



ექსკლუზივი

დავიდ კომა მამოზისთვის ეგზალტა

ეკა ანდრონიკაშვილის პრუდენია

მომღაებისგან მიტოვებული შვილები „დაღარები ექიმებმა შეასდინეს“

ჩემი ჩრედი
ოზია იოსელიანი
ექსტრომული
ტოვი VI
შეგიძლიათ შეიძინოთ
„გზის“ ამ ნომერთან ერთად!
წიგნი და „გზა“ ერთად
6 ლარი ღირს
წიგნის ფასი 5 ლარი
შემდეგ
ლადო ასათიანი
ტოვი I

ჩვეობაში ჭირვილიდან

„ბიძინა
მოურჯულაბელი
გაუგვი იყო“



რას ჰყვებიან ბიზნესმენებ
მისი ყოფილი პარტნიორები



რამომ არ
შეერთლავს
თამთა ჭელიძეს
პირად
სსოვრებაში



ვინ დარჩა
მოგებული
მსახიობის
„შუა ქალაქიდან“
წამოსვლით

გოგა ბარბაქაძე:
„ახლა უსაქმური ვარ“



სანიკვილოდ
განერული
სიღვარის
აღსარება

„ჩემი მკვლავლობა 8
საათზე იყო დაგეგმილი“



სასარგებლო რჩევები დიასახლისებს

სმოკერ ხელტი

განისხადეთ სიამოვნება, იოზრუნეთ პირად ჰიგიენასა და ჯანმრთელ სსოვრებაზე!



კბილის პასტა 55 გ

სმოკერ ხელტი

წარმოადგენს სოიოს მარცვლებიდან მიღებულ აქტიურ ნივთიერებებზე დაფუძნებულ ნატურალურ პროდუქტს.

მისი შემადგენელი კომპონენტები ანადგურებენ პათოლოგიურ მიკროფლორას, რითაც იცავენ პირის ღრუს სხვადასხვა დაავადებებისა და კბილებზე ნადების განვითარებისაგან რითაც უზრუნველყოფენ ჯანსაღ სუნთქვას.

კბილის პასტა სმოკერ ხელტს განსაკუთრებით საჭიროებენ ქაევის, ალკოჰოლისა და თამბაქოს მომხმარებლები!



Nabros
Pharma Pvt. Ltd.

შარშობალო: „ნაპროს ზარბა“
ოფისილორი წარშობალოლო სარაოოლოლოლი
შ.პ.ს. „სოენა ზარბა“
შოსკოინის № 56
ბალო: 223 63 25

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას გვერდითი მოვლენების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს

ჰილ კრემი

განთავისუფლდით კანის პრობლემებისგან!

ჰილ კრემი

წარმოადგენს უნიკალურ დამატენიანებელ და აღმდგენ საშუალებას, რომელიც მოქმედებს როგორც კანის ზედაპირულ, ისე მის ღრმა მშრებზე, რაც უზრუნველყოფს ნახეთქების და წულულებების სწრაფ შეხორცებას.

ხელს უწყობს ფსორიაზის დროს კანზე განვითარებული ქერქების დარბილებას და მის აშრეებას.



გამოყენების წესი: გამოიყენება დღეში 2-ჯერ, დილა საღამოს.



Nabros
Pharma Pvt. Ltd.

შარშობალო: „ნაპროს ზარბა“
ოფისილორი წარშობალოლო სარაოოლოლოლი
შ.პ.ს. „სოენა ზარბა“
შოსკოინის № 56
ბალო: 223 63 25

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას გვერდითი მოვლენების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს

მსოლოდ სარა ჯგუფთან ერთად



ქ. თბილისის მერიის კატრონაჟით

თბილისი ბანკი TBC BANK დაფინანსებოი

1 მ² - 500\$-დან

ნაბარება
2012 წლის დეკემბერი

მშენებლოების პროექტის
ონლაინ კონსტროლი

გურამიშვილის 78

*saba

(*7222)

მთავარი ოფისი:
თბილისი,
გუდაშვიტის 7

238 44 33
577 777 077
579 770 026

www.saba-jgupi.ge

ჟურნალი „**კარიბჭე**“ წარმოგიდგენთ
ყოველ ნომერთან ერთად, ორ კვირაში ერთხელ!

ზღაპრად ნაამბობი ყველაზე მთავარი წიგნი!



საღმრთო ისტორია

ილუსტრირებული ზიბლია ჭაქჭუჭისათვის
იაკობ გოგებაშვილისგან!

პირველ წიგნში:

- ძველის შექმნა
- ადამიანის შექმნა
- სამოთხე
- ადამისა და ევას შეცოდება

წიგნის ფასი: 3 ლარი

(ჟურნალთან ერთად: 4 ლარი)

**წიგნების ეს სერია იბეჭდება უწმინდესისა და უნებარესის
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით.**

პლასტიკური ქირურგიის კლინიკა „კარაპს მედლაინი“

თქვენი სურვილი - ჩვენი პროფესიონალიზმი!

საუბარი პლასტიკური ქირურგიის თემებზე ჩვენი საუკუნისთვის ჩვეული ამბავია – ვინ, სად, ვისთან რა გაიკეთა და ა.შ. დღეს თბილისში სხვადასხვა ცენტრი თუ სალონი ემსახურება სილამაზესა და პლასტიკურ ქირურგიას, თუმცა მათ შორის, როგორც გავიგებ, ჯანსაღი კონკურენციაა. ვინ რას სთავაზობს პაციენტს, ვინ რაზე ესაუბრება, ვინ რისი ოსტატია.

Dr. საშა და მისი გუნდი კლინიკა „კარაპს მედლაინი“ უკვე 7 წელია აქტიურად მოღვაწეობენ. მათთან ვიზიტის შემდეგ კმაყოფილების გრძნობით ავივსე, დავმშვიდდი, გავაანალიზე და რეალურად შევაფასე არსებული მდგომარეობა. მე თვითონ რინოპლასტიკის (ცხვირის პლასტიკა) სურვილი მამოძრავებდა და ამ თემაზეც საკმაოდ ვისაუბრეთ. გადავწყვიტე, გავიკეთო...

რა მომეწონა ყველაზე ძალიან: კონსულტაციისას წინასწარ მაჩვენეს მოსალოდნელი შედეგის 5 სხვადასხვა ვარიანტი. ჩემით ავირჩიე და ექიმებისაგან დასტური მივიღე. მოგეშადავ ოპერაციისთვის, მივედი და გავიკეთე. ოპერაციის შემოდგომ რომ გავიღვიძე, უკვე საკუთარ პალატაში ვიყავი, სადაც მომიძიარი სახით **Dr. შატი** (ანესთეზიოლოგი) დამხვდა.

ოპერაცია არ მახსოვს, არანაირი ტკივილი და განცდა, შედეგი კი სამუდამოდ დამამახსოვრდება, ეს ხომ ჩემი ოცნების სურული ახდენაა. საიდუმლოს გეტყვით, ამის შემდგომ კიდევ გამიჩნდა სურვილი, სხეულის სხვა ნაწილებსაც მივხედო, რაზეც აქამდე არ მიფიქრია.

გავიდა დრო... ჟურნალისთვის საინტერესო თემის ძიებაში ვიყავი... პლასტიკური ქირურგია რომ მსოფლიო მასშტაბით პოპულარულია და ქალბატონებისთვის ამაზე საინტერესო დღეს ალბათ არაფერია, სადავო არ არის. ვესტუმრე ჩემს ექიმებს, ვთხოვე, როგორც ყოფილი პაციენტი და ჟურნალისტი, დროებით მათი გუნდის წევრი გავმხდარიყავი და პლასტიკური ქირურგიის სამყაროში ერთკვირიანი ვოიაჟის შემდეგ მკითხველისთვის საინტერესო თემებიც შევაგროვე, დავამუშავე ინფორმაცია, რაც თამამად შემიძლია გაგიზიაროთ.

დიდიდან გვიან დამემდე ექიმების მუშაობის მეთვალყურეობისას და იქ მყოფ პაციენტებთან საუბრისას მივხვდი, რომ საკმაოდ რთული, საინტერესო და მრავლისმომცველი ყოფილა პლასტიკური ქირურგია. დღეში 4-5 ოპერაცია... ზოგი მკერდს იდიდებს, ზოგი ცხვირს ილამაზებს, მუცლის პლასტიკა, წვივების პლასტიკა, სახის ნებისმიერი დეტალის კორექცია, მკერდის აწევა, დაპატარავება, ლიპოსაქცია (საკმაოდ პოპულარული პროცედურა ჩვენს ქალბატონებში) და კიდევ მთელი ჩამონათვალი პლასტიკური ოპერაციებისა, რაც **Dr. საშას** და **Dr. კოტმს** ხელით კეთდება. ერთი სიტყვით, რას არ ნახავ.

გუყურებდი რა იმ ნამუშევრებს, რაც მათი ხელებით შეიქმნა, გავოცდი, ასეთი მასშტაბებით პლასტიკური ოპერაციები სხვა ქვეყნებში მხოლოდ რამდენიმე ცენტრში თუ კეთდება (ინტერნეტის მეშვეობით ბევრი ინფორმაცია მოვიძიე). საოცარია სახის პლასტიკური ქირურგიის შედეგად ასაკობრივი ცვლილებები, 15-20 წელი სად წავიდა? ქალების სახეები შეცვლილია, არა გადაჭიმული, არამედ გაახალგაზრდავებული.

განსაკუთრებით მომეწონა მუცლისა და მკერდის პლასტიკის ეფექტურობა (როგორც მითხრეს, მათ მიერ გაკეთებული მკერდი ევროპაშიც კი გახდა ცნობილი). თურმე პაციენტისათვის ეს ყველაფერი არც ისე რთული ყოფილა, როგორც მე მეგონა. სწორედ ამიტომ, თუ რამის გაკეთებას ფიქრობთ, ყველას ვურჩევ – **Dr. საშა კალანტაროვი**, **Dr. კოტმა მათითაშვილი** (პლასტიკური ქირურგები) და **Dr. შატი თუთუაშვილი** (ანესთეზიოლოგი)! ეს ბრწყინვალე გუნდი მოღვაწეობს სამედიცინო ტრადიციების მქონე კლინიკაში „კარაპს მედლაინი“. ჩემი სახელით კიდევ ერთხელ დიდი მადლობა მათ.

რაც შეეხება პლასტიკური ქირურგიების საიდუმლოს, მე კლინიკაში, იცი, ვინ ვნახე? და თან რას იკეთებდა? მერე გეტყვი, ან უფრო საინტერესოა, თუ არ გეტყვი. მიდი, გაიცანი ეს უნიკალური ადამიანები, ექიმები, პლასტიკური ქირურგები და გაცილებით მეტს გავიგებ, შეიძლება პატარა ცვლილებაც კი შეიტანო შენს გარეგნობაში, მაგარია!

თუ მკითხველს გაუჩნდება შეკითხვა, მას შეუძლია მიმართოს კლინიკის საინფორმაციო სამსახურს ან გაიაროს კონსულტაცია ქირურგებთან.

577 22 99 22

222 44 17

ჭავჭავაძის ბაზ. 5

www.plasticsurgerygeo.com



ქვეყანა



ჭორვილელი ონავარი ბიჭის ამბავი

„აქ ყველაფერი, რაც კი თანამედროვე და ლამაზია, ბიძინა ივანიშვილმა ააშენა“, — დასძინა მან, შემდეგ ნაცნობ მამაკაცს მიუბრუნდა და უთხრა: „ძალიან მიხარია, ბიძინამ პოლიტიკაში წასვლა რომ გადაწყვიტა, მომავლის რწმენა დამიბრუნდა. დარწმუნებული ვარ, ყველაფერს გააკეთებს, რასაც შეგვპირდა“.

13

სახე



ვინ დარჩა მოგებული გოგა ბარბაქაძის „შუა ქალაქიდან“ წამოსვლით

„ახლა უსაქმური ვარ და არაფერს ვაკეთებ, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ თეატრებში ვთამაშობ. რუსთაველის თეატრში პრემიერა ახლახან გვექონდა ანუ რეპეტიციებზე აღარ დავდივარ; ალბათ იმასაც გაიგებდით, რომ „შუა ქალაქშიც“ არ ვარ“.

20



ცხოვრება

თინათინა და პოლიტიკური კლიპი



„ამ ხელისუფლებამ მამაჩემი ციხეში სრულიად უდანაშაულოდ გამოკეტა და ახლა ჩემს ოჯახს ეძლევა შანსი, მხარში ამოუდგეს ადამიანს, რომელიც არა მარტო მამაჩემის, არამედ ყველა უდანაშაულო პიროვნების სიმართლეს დაამტკიცებს“.

37

№42 (593)
20 - 26 ოქტომბერი, 2011 წ.
ფასი 1 ლარი



მინიატიურები

მისტიკური დღეები

ჭრელი მსოფლიო

6

რეპორტაჟი

8

ჭორვილელი ონავარი ბიჭის ამბავი და სახლი მოპარული ხილის სანაცვლოდ

ბიზნესპარტნიორები

11

ზეიმი

12

კრიმინალი

14

ტანდემი

18

ამბლუა

20

„ვინ დარჩა მოგებული გოგა ბარბაქაძის „შუა ქალაქიდან“ წამოსვლით

მეზამოროშები

22

რატომ არ უმართლებს თამთა ქელიძეს პირად ცხოვრებაში

პროფსიონალი

24

დევიდ კომა მამობისთვის ემზადება

საზღვრებს მიღმა

26

„კარენოი“ თბილისელის ამერიკული აქცენტები

ალამიანი

28

„ქალაქელ კინტოობას“ სოფლელობა მიჩვენია“

მზა გენილები

გმირული საქმიანობა



„აღმოჩნდა, რომ ზაური ხიდან ჩამოვარდნილა და შემთხვევით, იმ დროს გზაზე გავლილი სატვირთო მანქანის ძარაზე დავარდნილა, გონი დაუკარგავს და ახმეტამდე უმგზავრია“.

64

■ კლასიკოსები	30
ბერტოლტ ბრეტსი	
■ პრობლემა	32
„რომ გავიგე, დედა ცოცხალი იყო, გული ნამივიდა“	
■ კვალი	34
„მისი პოეზია ნათელია და ლაღი“	
■ ნაგვნილი აგზა	36
ნაჩუქარი ლატარიის ბილეთი	
■ თინეიჯერული პონტები	37
თინეიჯერები და პოლიტიკური კლიპი	
■ ქართული სოციალისტური ლეგენდები	40
ფეხბურთზე ნაოცნებარი სამმხტომელის დრამატული კარიერის პერიპეტეიები	
■ მოდის კვირეული	43
„მოდის სფეროში მუშაობა მოგზაურობის კარგი საშუალებაა“	
■ ერუდიტი	44
„მე ხომ ვიცი, სიმართლე რა არის“...	
■ ტაქარი	46
■ ანტიდუპრესანტი	48
■ ავტო	48
■ საკითხავი ქალბისათვის	50
■ ჯანმრთელობა	52
■ წვეთი პოეზია	54
■ ჩრეული	55
ჩვენი ოტია	
■ ქართული ღებავები	56
რუსუდან ბერიძე. აბრეშუმის ვალეტი (გაგრძელება)	
■ რომანი	60
სვეტა კვარაცხელია. ყალბი ლტოლვა (გაგრძელება)	
■ გზავნილები	64
გმირული საქციელი	
■ ყველა ერთისათვის	68
■ ეს სამყაროა	76
■ გასართობი	78
■ ასტროლოგია	80
■ სქანვორდი	81

სამყარო



სასარგებლო რჩევები

- გადაყარეთ უსარგებლო ძველმანები.
- ყოველდღიურად, როგორც დაკავებულიც უნდა იყოთ, ბზინვარებამდე განმინდეთ

სამზარეულოს ნიჟარა.

50

ბიბლუსი



ვანდუტი

— ირაკლი, — მიმართა მან ჩავლიშვილს, — შენით დავინყოთ, რადგან ჩვენზე უფრო დასვენებული ტვინი გაქვს და ალბათ, მოვლენების უფრო ფხიზლად განჭვრეტაც შეგიძლია. გვირჩიე, ნინ როგორ წავინიოთ?

56

ტაიმ-აუტი



ცნობილი ბანგსტერები

ალ კაპონე (1899-1947) ბრუკლინში, იტალიელი ემიგრანტების ოჯახში, დაიბადა. ლუჩანოს მსგავსად, ისიც „ხუთი წერტილის“ წევრი იყო. შეტაკებისას მიღებული ქრილობის გამო, მეტსახელად „ნაიარევი სახე“ შეარქვეს.

76

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოცემის კვირეული ერთხელ, სუთმობათოვით
გაზეთი „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**
მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია**
პასუხისმგებელი რედაქტორი: **მარი ჯაფარიძე**
მენეჯერი: **მათე კბილაძე**
დიზაინი: **ანა უთურგაიძე**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ირმა ლიპარტელიანი,**
რეზო თხილიშვილი
მისამართი: თბილისი, იოსებძის ქ. #49
ტელ: 238-84-44, ფაქსი: 238-08-63. email: gza@palitra.ge
რეკლამა „გზაში“: 237-78-07; 238-78-70.

მისცისური დღეები



შესავლის ნაცვლად ბოლო დღეების ამბებ- ის ფონზე, „რატომღაც“, არ ვარ შაყირ-ხუმრობისა და ღლაბუც-პროვოკატორობის სასიათზე და ამიტომ, ცხონებული ჩემი მასწავლებლის იმ შევითხვით მინდა მივმართო ხელისუფლების ზოგიერთ... რაღა ზოგიერთს, მთლიანად ხელისუფლებას: „თქვენ მართლა ასეთი დებილები ხართ თუ თავს იდებებლებთ?“ (სხვათა შორის, აქვე მინდა ხაზგასმით ვთქვა: მიუხედავად ამ შევითხვის ცოტათი შეურაცხმყოფელი და, აქედან გამომდინარე, არაპედაგოგიური ფორმისა, ის ჩემი მასწავლებელი გაცილებით უკეთ ერკვეოდა პედაგოგიკაში, ვიდრე ზოგი დღევანდელი, მართლა დებილი დირექტორი. სკოლის დირექტორებსაც ვგულისხმობ და ამ ქვეყნის „დირექტორებსაც“).

ახლა, ამნუთას, ბიძინა ივანიშვილის შვილის მეგობრის დაპატიმრების ამბავი გაფრცვლდა. რა თქმა უნდა, არ ვიცი, როგორ განვითარდება ეს ამბავი ხუთმბათამდე, როდესაც თქვენ „გზის“ ამ ნომერს ნაკითხავთ, იქნებ სულაც ტელევიზორში გამოიყვანონ ის ბიჭი და მამა დაიფიცოს და დედა დაიგინოს, — მორფინისტი და ნამლის „ბარიგა“ ვარ, ბერა ივანიშვილთან მეგობრობა რა შუაშიაო?! — მაგრამ ასე „უცნაურად“ როგორ ემთხვევა ხოლმე ყველაფერი?! — ეს ბიჭი ახლა გახდა ნარკომანი; ივანიშვილი ახლა გახდა ბორისი და არა — ბიძინა; უგულავას ახლა გაახსენდა, რომ თბილისელებს არ აწყენდათ ხუთლარიანი ვაუჩერები... კიდევ ბევრი უცნაურობა ახლდა ამ დღეებს — ეტყობა, „მაგნიტური დღეები“...



განსაკუთრებული „მაგნიტური ველი“ და მიზიდულობა მთანმინდაზე იგრძნობა, ივანიშვილის სრა-სასახლესთან! იზიდავს, იზიდავს რო, — როგორც ბლდადის თაფლი ბუხს! ჩვენ ხომ იმის შემდეგ არ შევხვედრივართ ერთმანეთს, რაც ივანიშვილმა „ღია წერილი“ გამოაქვეყნა — დღევანდელი ეს „პროვოკაცია“ ჩაინიშნეთ და თუკი მეც შემატყვევთ ამის შემდეგ „მაგნიტური ავადმყოფობა“, იცოდეთ, არ მოგერიდოთ — აგე, კომენტარების ბლოკი საიტზე და აგე, ჩემი ელფოსტის მისამართი, — „მოყვარეს პირში მიძრახეთ“!..

მართლა გამიჩნდა აზრი — იმდენი ცოცხალი, მკვდარი და ცოცხალმკვდარი დაიძრა მთანმინდისკენ, ვიფიქრე, ეტყობა, „არ ტეხავს“ და ამ ადამიანებს ძლივს, სამშობლოსთვის სამსახურის საშუალება გამოუჩნდათ-მეთქი, მაგრამ მერე რაღაც მოვისმინე, რაღაც წავიკითხე, ვილაცხვების დაცქვეტილი ყურები და აქეთ-იქით მორბენალი თვლები ვნახე და... ტეხავს რომელია! ძალიან, ძალიან, ძალიან „მაგრად ტეხავს“!!!

ცხადია, დაუპატიუებელ „სტუმრებს“ ვგულისხმობ, თორემ მიწვეულებს რას ვერჩი?! ისე... ის დაპატიუებულებიც... ჰო, კაი, არაფერი.

რაც ამ დღეებში ივანიშვილის რეზიდენციის „სტიანიშვილებმა“ ოფლი ღვარეს... ისე, შს მინისტრს ერთი-ორი საპატრულო ეკიპაჟი კი უნდა გაეგზავნა „საცობების“ გასახსნელად. ბოლო-ბოლო, თუკი ვინმეზე რამე კარგი თქვა ივანიშვილმა

იმ წერილში, ეს სწორედ მერაბიშვილი იყო. ვაჰ, როგორ მაინტერესებს, რას ფიქრობს ვანო ამ ყველაფერზე. ვკვდები ინტერესით, მაგრამ რა ვქნა — ვურეკავ და არ იღებს ყურმილს...

არა, ყველაზე „საყვარლები“ მინც ჩვენი კოლეგები არიან „ნაციონალების“ მიერ მართული ტელევიზიებიდან და, განსაკუთრებით, ინტერნეტსაიტებიდან: ხომ ძალიან სასაცილო იყო ივანიშვილის რუსეთში ფულის შონაზე წიკვინი; ხომ საცოდაობა იყო მისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევის „არგუმენტები“ (ცოლზე ცალკე ბრძანებას რომ მოანერა ხელი! ფუჰ!!!); ხომ საზიზღრობა იყო ზემოთ ნახსენები, ივანიშვილების ვითომ ნარკომანი მეგობრის დაკავება, მაგრამ ამ მარაზმის გვირგვინად მინც ერთ-ერთი ინტერნეტტელევიზიის (ამ კოლეგიალობის დედა ვატირე, მინც ვერ ვასახელებ პირდაპირ; ისე, ვინც მოინდომებთ, ადვილად „დაგუგლავთ“) სკანდალური ტელესიუჟეტი მიმანია — სერიოზული ჟურნალისტური გამოძიების შედეგად დაადგინეს, რომ ივანიშვილი სინამდვილეში ივანაშვილი ყოფილა!!! აპრუნუნუნ თქვენს საქმეს! თქვე მართლა დებილებო! მაგით ვის ავენეთ, როგორ ფიქრობთ?! ახლა, რომ დავიდეს

თქვენს დონეზე ეგ ივანიშვილი და სულ მალე რომ რამდენიმე ტელევიზია ექნება (ინტერნეტში მინც) და მაგისმა ჟურნალისტებმა რომ თქვენი უფროსობის ნამდვილი გვარების ამბავი გამოიძიონ, მერე რას შერებთ?!

P.S. ივანიშვილის „ღია წერილი“, უფრო სწორად, მისი წაკითხვის ამბავი არასოდეს დამავინყდება — შვილიშვილებს რომ მოვუყვები, ისეთი მოგონება დამრჩება: იმ დღეს გვიანობამდე შემოვრჩი სამსახურს (მეოთხე სართულზე ვარ), არც გამიხედავს, რედაქციაში რა ხდებოდა. ღამის 3 თუ 4 საათი იქნებოდა, ფეხით ჩავუყვევი კიბეს და განათებული ოთახი დავინახე მეორე სართულზე. შევიხედე. შუქი დარჩენოდათ. სანამ ჩავაქრობდი, მაგიდაზე დადებული მასალის ამონაბეჭდი შევამჩნიე. სწორედ ის ღია წერილი აღმოჩნდა, რომელიც რამდენიმე საათში მთელ საქართველოს უნდა წაეკითხა. ჰოდა, მეტი რაღა მისტიკა გინდათ: ფანჯარაში თბილისური ღამე, სიჩუმე და ივანიშვილის „ბომბა“ წერილი.

P.P.S. ძმაკაცს რომ მოვუყვევი, ასე მითხრა, — დევნებრავი ხარ, სხვებზე ადრე შენ გაგია, თან მანქანით იყავი, იმათ როგორ აგასწრეს მთანმინდაზე?! გაქცეულიყავი, ჯერ არც „პრობკა“ იქნებოდა და რეგშიც პირველი იქნებოდი.

პროვოკატორი



ქვეყანა

საქართველო ძალიან ძვირს იხდის...

„საქართველო ძალიან ძვირს იხდის იმიჯის გამოსწორებისთვის,“ — წერს გაზეთი Daily Nation.



როგორც გამოცემაშია ნათქვამი, საქართველოს მთავრობამ კონტრაქტები გააფორმა ამერიკულ პიარკომპანიებთან, მათ შორისაა ოდესტა Group-ის კომპანია, რომელიც პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს 2010 წელს აშშ-ში ბარაკ ობამასთან შეხვედრაში დაეხმარა. გამოცემაში ასევე აღნიშნულია, რომ საქართველომ ლობისტურ ფირმასთან 300.000 დოლარის ღირებულების, ნ-თვიანი კონტრაქტის ვადა გააგრძელა. კომპანიის მიერ შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტროსთვის წარდგენილი დოკუმენტების თანახმად, Podesta Group-მა ლობირება უნდა გაუწიოს საქართველოს ინტერესებს, ურძოდ: დაეხმაროს როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო ორგანიზაციებთან და პრესასთან ურთიერთობების დამყარებაში. „წარსულში ბ-ნი სააკაშვილი შეერთებული შტატების პრეზიდენტის, ჯორჯ ბუში-უმცროსის ფავორიტი იყო. ის ყოფილ საბჭოთა კავშირში დემოკრატიას განასახიერებდა. დასავლეთში სააკაშვილის მიმართ დამოკიდებულება მას შემდეგ შეიცვალა, რაც ევროკავშირმა 2008 წლის აგვისტოს კავკასიურ კონფლიქტზე ანგარიში გამოაქვეყნა. დოკუმენტში ნათქვამია, რომ სამხრეთ ოსეთში ომი საქართველომ დაიწყო. Podesta Group-თან კონტრაქტი როდია ერთადერთი შეთანხმება, რომელიც საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელმა გააფორმა. გაგვლინანი ლობისტური კომპანია — Gephardt Government Affairs თავის ოფიციალურ ვებგვერდზე წერს, რომ „ხელი მოაწერა 430.000 დოლარის ღირებულების ერთწლიანი კონტრაქტს საქართველოს მომსახურების უზრუნველსაყოფად“.

ჯარისკაცის სისოცხლე 4 დოლარად შეაფასეს

სამხრეთკორეულ ქალს, რომელმაც კორეის ომში ძმა დაკარგა, კომპენსაციის სახით მთავრობამ 4 დოლარი გადაუხადა. მაღალჩინოსნებმა უხერხულობა თავადაც იგრძნეს და ეს გადაწყვეტილება მოქველებული კანონმდებლობით ახსნეს. ქალი მხოლოდ 2 წლის იყო, როდესაც მისი ძმა საომარ მოქმედებებს ემსხვერპლა (1950 წ.). მის ოჯახს სამხედრო მოსამსახურის დაკარგვის გამო წლების განმავლობაში კომპენსაცია არ მიუღია, წელს კი — დაღუპულის დის მოთხოვნის საფუძველზე, სახელმწიფომ ოჯახს 5.000 ვონი (იგივე 4



არათითი — ბეჭდის ნაცვლად...

ჯილიან შაიდიმა და კლაივ მატინასმა გადაწყვიტეს, რომ ყველასგან განსხვავებულად დაქორწინებულიყვნენ. მათ ჯვრისწერისას, მარადიული სიყვარულის სიმბოლოდ, ბეჭდების ნაცვლად, თითები გაცვალეს. ორიგინალური იდეა ჯილიანს ეკუთვნის. შეყვარებულ მამაკაცს საცოლის ჩანაფიქრი ძალიან მოეწონა და წყვილმა ერთმანეთის არათითები გადაინერგა.



დოლარი და 33 ცენტი) გამოუყო. ადამიანის უფლებათა დაცვის ანტიკორუფციულმა კომისიამ ამ გადაწყვეტილებას „გაუგებრობა“ უწოდა და პირობა დადო, რომ ამიერიდან ვეტერანებისთვის კომპენსაციების ახალ სისტემას შემოიღებენ. ომს, რომელიც ჩრდილო და სამხრეთ კორეას შორის 3 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა, 150000 ადამიანი ემსხვერპლა, ამდენივე უგზო-უკვლოდ დაიკარგა.



გამოთხოვება დიდ არბისტთან




მანუხებს. მიძიმე ოპერაცია გავიკეთე, ნანლავის კიბო მქონდა... ეს პრალაში ექიმმა მომასხალა. არ შემშინებია... ისლა ვთხოვე, გარეთ ცოლი დგას და არ გაუმხილოთ, უთხარით, რომ ოპერაცია მჭირდება-მეთქი. ეტყობა, ექიმმა ვერ გაიგო და ნატაშამ რომ შემოიხედა, მასაც უთხრა...

„კავკასიურ ცარცის წრეში“ ცუდად გავხდი. თავს ძალა დავატანე და ძლივს ვითამაშე. თანდათან ვუძღურდები. არტიტი ძუნწია, ისე არ მიანებებს თეატრს თავს, გული არ დასწყდეს... მაგრამ

რომ არ შეგიძლია!..“
ეს გახლავთ ამონარიდი 2008 წელს ჩანერილი ინტერვიუდან, რომლის გაცნობა ლელა ჯიყაშვილის წიგნში — „ვითარებანი ცნობილი ადამიანების ცხოვრებიდან“ — შეგიძლიათ. თითქოს რა ცოტა დრო გავიდა მას შემდეგ, როცა ჯერ კიდევ შეეძლო (თუნდაც ძალისძალად) ეთამაშა აზდაკი!.. წლეულს თებერვალში კი, როცა 83 წელი შეუსრულდა, არათუ სცენაზე გამოსვლის — ინტერვიუს ჩანერის ძალაც აღარ შერჩნოდა...
დაუვიწყარი სასცენო სახეები შექმნა. თავიც ასახელა და საქართველოსაც ფართოდ გაუთქვა სახელი, როგორც უმაღლესი თეატრალური კულტურის ქვეყანას.

„დავბერდი! არ გჯერათ? ისევ კარგად ვთამაშობ? ახლა მე მკითხეთ... ავად ვარ, ჯანი არ მაქვს. ფეხები მტკივა, გულიც



„ტყის ტაუერი“ იტალიაში

მილანში „ვერტიკალურ ტყეს“ აშენებენ. ორ მრავალსართულიან კორპუსში საცხოვრებელ კომპლექსთან, პარკინგსა და ფიტნესცენტრებთან ერთად, სხვადასხვა სიმაღლის ხეს, ყვავილსა და ბუჩქნარს განათავსებენ. ყველა სახლს ექნება მინიმუმ ერთი აივანი, სადაც „მინიტყე“ მოეწყობა. დიზაინერ სტეფანო ბოერის განცხადებით, ვერტიკალური ტყე იმითაც არის ღირსშესანიშნავი, რომ 10000 კვადრატულ მეტრ მიწას ზოგავს.



შენობებში მზისა და ქარის ელექტროსადგურები და თანამედროვე ვენტილაცია მონტაჟდება, რომელიც მცენარეებისთვის საჭირო ჰაერის შექმნას უზრუნველყოფს. „ტყის ტაურის“ მშენებლობა 2012-ში დასრულდება. მისი ბიუჯეტი 65 მლნ ევროა.

სიგალი პოლიციელი გახდა

პოლიუდის ვარსკვლავი სტივენ სიგალი მალე ტეხასის შტატში, ჰადსპეტის ოლქის შერიფის დახმარებას გახდება. 59 წლის მსახიობმა პოლიციას დახმარება თავად შესთავაზა. ჰადსპეტი მექსიკის საზღვართან მდებარეობს. სიგალის განცხადების შემდეგ, პოლიციელებმა მსახიობს შინ მიაციტეს იმის გასარკვევად, თუ რამდენად სერიოზული იყო მისი გადაწყვეტილება. მსახიობმა განაცხადა, რომ აშშ-ის საზღვართან პატრულირების სურვილი ნამდვილად აქვს. სტივენ სიგალმა სამსახიობო კარიერა 1986 წელს დაიწყო. ის ძირითადად, პოლიციელებისა და სუცდანიშნულების რაზმის წევრთა როლებს ასრულებდა.



ჭორვილი ონაპარი ბიჭის ამბავი და სახლი მოპარული ხილის სანაცვლოდ

„სულ უბრალო სოფელს მაშინ გაუფარდება სახელი, თუ იქ დიდი კაცი დიბადება“, — წერდა თავის დროზე მიხეილ ჯაფარიშვილი. რამდენად დიდი კაცი იქნება ქვეყნისთვის ბიძინა ივანიშვილი? — ამ კითხვებზე უტყუარ პასუხს ისტორია გასცემს. მის მშობლიურ სოფელ ჭორვილას კი სახელი ნამდვილად „გაუფარდა“. პოლიტიკაში მოსული ბიზნესმენის შესახებ ჯერ კიდევ ბევრი რამაა ბურუსით მოცული, პასუხგაუცემელი კითხვაც მრავლადაა... იმისთვის, რომ იდუმალებით მოცულ (პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ გრაფი მონტე-კრისტოდ მონათლულ) პიროვნებაზე რეალური წარმოდგენა შეგვექმნოდა, მის სახელთან დაკავშირებული ლეგენდების სისწორე გადაგვემოწმებინა და რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მოგვეპოვეინა, სოფელ ჭორვილაში გავემგზავრეთ.

სათუნა პახტურიკა
თაშუნა კინიკაძე

საჩხერის რაიონში შესვლისთანავე ფეშენებელური სპორტული კომპლექსი მოგვხვდა თვალში და რადგან მგზავრების საუბარში აყოლიება გვინდოდა, ხმამალა ვიკითხეთ, თუ ვის უნდა აუწინებინა სპორტული დარბაზი? „როგორ, არ იცით?“ — შეიცხადა ჩვენ წინ მჯდომმა ქალბატონმა. — „ეჟ ყველაფერი, რაც კი თანამედროვე და ლამაზია, ბიძინა ივანიშვილმა ააშენა“, — დასძინა მან, შემდეგ ნაცნობ მამაკაცს მიუბრუნდა და უთხრა: „ძალიან მიხარია, ბიძინამ პოლიტიკაში წასვლა რომ გადაწყვიტა, მომავლის რწმენა დამიბრუნდა. დარწმუნებული ვარ, ყველაფერს გააკეთებს, რასაც შეგვირდა. მაგ კაცს თავისი სიტყვა ჯერ არ გაუტყვია“. — „ბევრს გაუხარდა, ჩემო კარგო, მაგრამ ვინც სახელმწიფო სამსახურში მუშაობს, თავის აზრს ხმამალა ვერ გამოხატავს“, — უპასუხა მამაკაცმა. „რატომ ფიქრობთ, რომ ვერ გამოხატავს?“ — ვიკითხეთ ჩვენ. „იმიტომ, რომ უკეთეს შემთხვევაში, სამსახურიდან გაათავისუფლებენ, უარეს შემთხვევაში კი — დაიჭერენ“, — გვიპასუხა მძლოლმა. ქალბატონი კიდევ აპირებდა რალაცის თქმას, მაგრამ ერთ-ერთმა მგზავრმა, ხმადაბლა გადაულაპარაკა, — სამარშრუტო ტაქსიში ყურნალიტები არიანო, — და პირზე თითის მიდებით ანიშნა, გაჩუმდითო. მგზავრები „ერთსულოვნად“ გაჩუმდნენ. ჩვენ ისლა დავგვრჩენოდა, ჭორვილისკენ მიმავალი გზა გული-სყურით დავგვეთვლიერებინა...

კუთილმონწყობილი საავტომობილო გზა, ფეშენებელური სკოლა, თანამედროვე ტიპის სახლები — ულამაზესი ეზოები და ორიგინალური ლობეებით სულაც არ გიქმნის იმ განწყობ-

ბილებს, რომ იმერულ სოფელში ხარ. ჭორვილას ხშირად შევიცარიულ სოფელს ადარებენ. შეიძლება, ვინმეს გადამეტებულ ნათქვამად ეჩვენება, მაგრამ გვერნმუნეთ — გაზვიადებული სულაც არ არის. ჩვენი პირველი გაჩერება ბიძინა ივანიშვილის სახლთან იყო. დაცვის თანამშრომელი თავაზიანად მოგვესალმა, მაგრამ გასაუბრებაზე ან სხვა მომსახურე პერსონალთან დაკავშირებაზე უარი გვითხრა და კარი მოგვიხურა. ყურნალიტები, როდესაც კარს გვიხურავენ, ფანჯრიდან გადავდივართ... იმისთვის, რომ ფანჯრამდე მიგვეღწია, ჯერ ვალავანზე უნდა გადავსულიყავით. ვცადეთ კიდევ, მაგრამ მხოლოდ ეზოს რამდენიმე ხედის გადაღება მოვახერხეთ, მეტის საშუალება დაცვამ და სიგნალიზაციამ არ მოგვცა...

ჩვენი მორიგი სამიზნე, ბატონი ბიძინა ერთ-ერთი მეზობელი, ბატონი ბონდო აღმოჩნდა. ეზოში მოფუსფუსე მასპინძელი ჭიშკართან მდგარი უცხო სტუმრებისკენ ჩესარი ნაბიჯით გამოემართა, მაგრამ ყურნალიტების ხილვა აშკარად არ ესიამოვნა, საუბრისთვის თავის არიდების მიზნით, ჩვენი მოტყუებაც კი სცადა, — ბიძინას არ ვიცნობ, ამ სახლში სტუმრად ვარო. არადა, ჩვეულებრივ სოფელურ ყაიდ-აზე გამოწყობილი იმერელი გლეხი სტუმრის შთაბეჭდილებას ნამდვილად არ ტოვებდა. გადავწყვიტეთ, ლაპარაკ-

ში აგვეყოლებინა და სიტყვა ჭორვილის ლამაზ ბუნებასა და კომფორტულ სახლებზე ჩამოვეუგდეთ. ჩვენმა ჩანაფიქრმა გაამართლა — ბატონი ბონდო საუბრის ეშში მალევე შევიდა და წამოსცდა: „59 წელია, აქ ვცხოვრობ და არ მახსოვს, სოფელი ასე გამართულიყოს წელში“. სიტყვაზე ჩავიჭირეთ და კომპენსაციის სახით, ბიძინას შესახებ თუნდაც ერთი საინტერესო ამბის მოყოლა ვთხოვეთ. აი, რა გვიამბო: „ჭკვიანი ბავშვი იყო, სკოლაში კარგად სწავლობდა. არც ფიზიკური შრომა ეზარებოდა. ყანაშიც მუშაობდა... ძალიან ყურადღებიანი ადამიანი. ერთ დღეს ქუჩაში დამინახა, მკითხა, — რა გჭირს, მოხრილი რატომ დადინარო? — კუჭი მანუხებს-მეთქი. იმ წუთშივე საჩხერის საავადმყოფოს მთავარ ექიმს დაუკავშირდა და ჩემი ოპერაციაც მაშინვე დაიგეგმა. ბიძინა რომ არ დამხმარებოდა, ვინ იცის, ახლა როგორ ვიქნებოდი?! ოპერაციის გაკეთებას ჩემი სახსრებით ნამდვილად ვერ შევძლებდი“.

მისი ეზოდან ივანიშვილის სახლი ყველაზე კარგად ჩანს. ვიდრე ბატონი ბონდო ლაპარაკობდა, დრო ვიხელთეთ და სახლს სურათი გადა-



ბიზნესმენის სახლი ჭორვილაში





ქურნალისგები, როდესაც კარს გვიხურავენ, ფანჯრიდან გადავდივართ...

ვუღელთ. შესანიშნავი ფოტო იყო, მაგრამ მამაშვილურად გვთხოვა, — სურათი ნაშალეთ, მეზობელთან საქმეს „ნუ წამიხდენთო“.

გზაზე გამოსულებმა შევნიშნეთ, რომ ივანიშვილის სახლიდან ხანდაზმული მამაკაცი გამოვიდა. იქვე მოთამაშე ბავშვებისგან შევიტყვეთ, რომ ის ბიზნესმენის ბიძა, გოგია დვალი გახლდათ. როგორც კი სიტყვა „უურნალისგები“ გაიგონა, ნაბიჯს აუჩქარა, მაგრამ სად გაგვექცეოდა?! ბატონ გოგიას აქეთ-იქით ამოვუღეფით და დისშვილის შესახებ რამდენიმე კითხვა დაუუსვით. ტყუილად გავგინარდა — რომ ვერ გაგვექცა, ისეთი შეუვალი აღმოჩნდა, სიტყვაც ვერ დავაცდენინეთ... ენაწყლიანი არც ივანიშვილების კედლის მეზობელი, — ბონდო ტყემალაძე აღმოჩნდა, მისგან მხოლოდ ის შევიტყვეთ, რომ მილიარდერი მეზობლებთან ურთიერთობისას დღემდე უშუალოა და ხანდახან უარს არც მათთან სტუმრობაზე ამბობს.

იმედგაცრუებულები სოფლის გზას ავუყვებით. ცოტა ხანში ბურთით მოთამაშე ბავშვები შევნიშნეთ. უფროსებისგან განსხვავებით, პატარებს ჩვენთან საუბარზე უარი არ უთქვამთ. როგორც მათგან შევიტყვეთ, ქორვილის საშუალო სკოლაში სპორტისა და კულტურის სხვადასხვა სახეობის წრეები ფუნქციონირებს და ეს ყველაფერი ნებისმიერი მოსწავლისთვის უფასოა. შემდეგი რესპონდენტი ინტერვიუზე იმ პირობით დაგვთანხმდა, თუ მის ვინაობას არ გავამხელდით.

— ბატონ ბიძინას რამდენად კარგად იცნობთ?

— მე ამ სოფლის რძალი ვარ. როდესაც აქ მომიყვანეს, ის უკვე სასწავლებლად, რუსეთში იყო წასული. პირველად ბიძინა თავის ქორწილში ვნახე.

სხვათა შორის, ქორწილში ფული არავის „დაგვანერინა“.

— ოჯახი რომ შექმნა, უკვე მდიდარი იყო?

— ბიზნესი ახალი დანყებული ჰქონდა, მაშინ ამის შესახებ ცოტამ თუ იცოდა. არც ისეთი მდიდარი იყო, როგორც ახლაა.

— მის მეუღლეს რას გვეტყვით?

— ძალიან უბრალო, კეთილშობილი გოგია. ამბობენ, რომ ბიზნესის ნიჭი მასაც აქვს. კარგი დედა და მეუღლეა.

— ხომ არ იცით, როგორ გაიცნეს ერთმანეთი?

— როგორც ვიცი, ერთმანეთი გაურიგეს, ხვედელიძის ქალია.

— მათთან ურთიერთობას უპრობლემოდ ახერხებთ?

— აქ მხოლოდ ბიძინას დედა, ქალბატონი ციციწო ცხოვრობს. მისი ნახვა პრობლემა წამდვილად არ არის. ხანდაზმული ქალია და ხშირად შეუძლოდა. როცა თავს კარგად გრძნობს, ეზოს გარეთ გამოდის, „სკამეიკაზე“ ჯდება და მეზობლებთან საუბრით იქცევს თავს. ისე, სულ ექიმების თანხლებით დადის. ბიძინაც ხშირად მოდის. ქუჩაში ჩავლილი არაერთხელ მინახავს. მეზობლებს თუ დაგვინახავს, აუცილებლად მოგვესალმება, მოგვიკითხავს...

— როდესაც მისი დახმარება გჭირდებათ, პირადად უკავშირდებით?

— თუ აქ არის, შესაძლოა, პირადადაც ვთხოვთ რამე. ძირითადად, საქმის კურსში მის თანაშემწეს ვაყენებთ.

— ჩვენ ვნახეთ, რომ სოფელში ყველა სახლი ევროპული, თანამედროვე დიზაინით არის აშენებული. შენობის პროექტის მომზადებაზე ვინ ზრუნავს?

— სოფელში სპეციალური კომისიაა შექმნილი, რომელიც ამ საკითხზე მუშაობს. რაც კი ძველი, ავარიული სახლი იყო, ყველა დაანგრიეს და მათ მაგივრად ახალი ააშენეს. ბიძინა მხოლოდ ამ დახმარებით არ შემოიფარგლება. გაზის ქურები და გამათბობლები მთელი რაიონის მასშტაბით დაარიგა, ჭორვილელებს კი ტელევიზორი, მაცივარი და სარეცხი მანქანაც დაგვიმატა. გარდა ამისა, ანგარიშზე ყოველთვიურად 200 ლარს გვირიცხავს. ობლებს 500 ლარს ჩუქნის. როდესაც მეუღლე გარდაამცვალა, მისი გასვენების ხარჯი სრულად გაიღო. ასე ეხმარება ყველა ჭირისუფალს. ახალგაზრდებს კი გაბედნიერებას 3.000 დოლარით ულოცავს.

ინკოგნიტო რესპონდენტსაც დავემშვიდობეთ და იმ ეზოში შევდით, სადაც ძველი, ავარიული ნაგებობის



ბიძინა ივანიშვილი (მარჯვნიდან მეორე) მეგობრებთან ერთად

გვერდით ახალი სახლის მშენებლობა დანყებული. შინ 80 წელს მიტანებული ქალბატონი დაგვხვდა, რომელმაც გაოცებულმა გვკითხა, — რა ამბავია, დედა, ამ ბოლო დროს

ქოლესტერინის საწოში ააპარატი **გლუკომეტრები**

54 ლარი **25-99** ლარი

EasyTouch GC **175** mg/dl **5.6** mmol/L

სას „კონტრასტი“

მის: ბორჯომის ქ. №4 ტ: 34 74 03; 899 19 60 55



ამდენი ურუნალისტი რატომ დადის-ართო? ჩვენი სტუმრობის მიზანი გაიგოთ თუ არა, ცოტა არ იყოს გაგულსებულმა შემოგვიტია, — რა გინდათ, რას გადაეკიდეთ ამ ღვთისნიერ კაცსო?! დავამშვიდეთ, ავუხსენით, რომ ივანიშვილს არაფერს ვერჩოდით, უბრალოდ გვინდოდა, ყველაფერი გაგვეგო იმ ადამიანის შესახებ, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინ ქართული პოლიტიკა თავდაყირა დააყენა. მასპინძელს გული უცებ მოუღება და გვითხრა, — დედა, მე პოლიტიკის არაფერი გამეგება, მარტო ის ვიცი, რომ ბიძინა ცუდს არაფერს გააკეთებდა.

— ასე დარწმუნებული რატომ ხართ?

— ჩემ თვალწინ გაიზარდა და იმიტომ. ძალიან კარგი ბავშვი იყო. საკუთარ სოფელზე გული ყოველთვის შესტკიოდა. ზუსტად ვიცი, ხალხისა და ქვეყნის საზიანოდ არაფერს გააკეთებს. იცით, რამდენი კაცი გადაარჩინა სიკვდილს?! საჩხერელებისთვის რაიონულ საავადმყოფოში მკურნალობა უფასოა.

— ის თუ გახსოვთ, როგორი ბავშვი იყო?

— როგორ არ მახსოვს, ჩემს შვილებთან ერთად გაიზარდა. ფეხბურთს ერთად თამაშობდნენ. ისე, კარგი ონავარიც იყო. თხილსა და ბალს მპარავდა. რომ წამოიზარდა, მეხუმრებოდა, — შენი ბალი არ დამნიფდა, რომ ჩამოვკრიფოო?..

— იმ ხილის სანაცვლოდ ახლა სახლს გიშენებთ.

— ღმერთმა გაახაროს და გააძლიეროს!

ბებოს დავემშვიდობებთ და ქუჩაში გამოვედით. ბატონი ბიძინას სახლთან ახლოს მის მეზობლებს მოეყარათ თავი. საღამო ხანს, მუშაობით დაღლილები, ერთმანეთთან საუბრით იქცეოდნენ თავს. ჩვენც მეტი რა გვინდოდა? „უუჩოკები“ საგულ-

„უუჩოკები“ საგულდაგულოდ დავმალეთ და თავაზიანად მივესალმეთ...



საავადმყოფოს შენობა



დაგულოდ დავმალეთ და თავაზიანად მივესალმეთ. ჩვენი სტუმრობის ამბავი თანასოფლელებისგან უკვე გაეგოთ. სამწუხაროდ, ლაპარაკის სურვილი არც მათ ჰქონდათ, პირდაპირ გვითხრეს, — ჩვენ რას გვეკითხებით, ხომ ხედავთ, სოფელში რამდენი სიკეთე აქვს გაკეთებული; ისეთი სახლები აგვიშენა, გარეთ გამოსვლა აღარ გვინდაო. „ლიდერის თვისებები ბავშვობიდან ჰქონდა?“ — ვეკითხებით ჩვენ. „მოურჯულებელი ბავშვი იყო“, — ლაპარაკის ხასიათზე მოვიდა ერთ-ერთი.

— მაინც რას აკეთებდა?

— ძალიან დაუმორჩილებელი მოსწავლე იყო. სკოლის დირექტორიც კი ვერაფერს უხერხებდა. თავისნათქვამა იყო, სულ რაღაცას აპროტესტებდა. ჩვენს „ატამანს“ ვეძახდით. ხილის მოსაპარად ერთად დავდიოდით.

— სკოლაში შეყვარებული არ ჰყავდა?

— ჭორვილაში არავინ ჰყვარებია და სხვაგან თუ უყვარდა ვინმე, ეგ აღარ ვიცი.

— დღეს როცა გხვდებით, რა თემაზე გელაპარაკებთ?

— ბავშვობას ვიხსენებთ — აბა, პოლიტიკაზე ხომ არ ვილაპარაკებთ!

— რატომაც არა?

— არა, ამ თემაზე არასდროს გვილაპარაკია. არც კი ვიცოდით, პოლიტიკაში მოსვლას თუ აპირებდა.

— იმედი გაქვთ, რომ ხელისუფლებაში მოვა?

— ეგ როგორი კაცია, იცით? რამეს რომ იტყვის, გამოირიცხულია, რომ არ შეასრულოს.

— ამბობენ, რუსეთის სასარგებლოდ მოქმედებდესო...

— გამორიცხულია! ეგ როგორ შეიძლება დავიჯეროთ?! სამშობლოს მოყვარული კაცია, რაიონზე

ისე ზრუნავს, როგორც საკუთარ ოჯახზე. საქართველოს სხვა სოფლებში ხალხისგან იცლება, ჭორვილაში კი ზოგიერთი, ქალაქიდანაც დაბრუნდა. დღეს სოფელში ათასამდე კომლი ცხოვრობს. ხალხისგან დაცლილი, გალატაკებული სოფელი აალორძინა და თავიდან გააცოცხლა. ვინც მას მოლაღატეობას სწამებს, გვითხრას, თავად რა გააკეთა ხალხისთვის?..

— სოფელში რითი ხართ დასაქმებული?

— უამრავი სამუშაოა: ზოგი მინათმოქმედებას მისდევს, ზოგი მშენებლობაზე მუშაობს... სხვა სოფლებიდან და ქალაქებიდან ქართველები საზღვარგარეთ მიდიან სამსახურის საძებნელად, ჩვენ აქვე გვაქვს სამუშაო.

— ამბობენ, რომ 2 თვის წინ ჭორვილაში ბიძინა ივანიშვილთან პრეზიდენტი სააკაშვილი იმყოფებოდა. მისი ესკორტი ხომ არ შეგინიშნავთ?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემისგან ყველამ თავი შეიკავა. მხოლოდ ერთი ახალგაზრდა ბიჭი აღმოჩნდა გაბედული — ნათქვამი დაგვიდასტურა და თან ისიც დააყოლა, ეს ამბავი ძალიან შინაურული წრიდან გამოვიდაო. ჩავეძიეთ, მაგრამ თანასოფლელებმა ანიშნეს, რომ გაჩუმებულიყო და ისიც მათ „ბრძანებას“ დაემორჩილა.

მოსალამოვდა... ქუჩაში მდგარი იმერლები საკუთარი სახლებისკენ გაემურონენ. ჩვენი წამოსვლის დროც დადგა. ერთხანს კვლავ ივანიშვილის სახლთან შევეჯინდით. მის ბიძაშვილსაც შევხვდით, მაგრამ ლაპარაკი არ ისურვა. მოკლედ, იმ დღეს ჭორვილაში თითქმის ყველა დუმდა. ბიძინა ივანიშვილზე მისი გაკეთებული საქმე უფრო მეტს „ლაპარაკობს“, ვიდრე თანასოფლელები. ჭორვილა ერთი სურვილით დაჯტოვდა: მალე საქართველოს ყველა სოფელი მსავეთი აშენებული და დამშვენებული გვენახოს. ■



რას ჰყვებიან ბიძინა ივანიშვილზე მისი ყოფილი პარტნიორები

ქართულ და უცხოურ პრესაში ბიძინა ივანიშვილის, როგორც ბიზნესმენისა და მეცენატის მიერ განვლილ გზაზე არაერთი სტატია გამოქვეყნდა, ამიტომაც მკითხველის ყურადღებას კარიერის დასაწყისზე აღარ შევაჩერებთ. რადგან საქართველოში თითქმის ყველა, ყოფილი თუ მოქმედი პარტნიორი დუმილს ამჯობინებს, შევეცადე გამერკვია, თუ რა თვისებებით გამოარჩევდნენ მას ყოფილი ბიზნესპარტნიორები. „ფრთხილი, პუნქტუალური, დაკვირვებული, არაკონფლიქტური და რაც მთავარია, საკუთარი წესებით მოთამაშე, სადაც თითქმის ყოველთვის მოგებული რჩება“, — ასე ახასიათებენ მას ადამიანები, რომლებთანაც ივანიშვილს სხვადასხვა დროსა და ვითარებაში მოუწია თანამშრომლობამ.

ლალი პაპასკირი

ელენა პავლინა იმ ბიზნესმენის თანაშემწეა, რომელსაც 2004-2005 წლებში ივანიშვილმა და ვიტალი მალკინმა (მას რუსულ პრესაში ივანიშვილის „უმცროს პარტნიორად“ მოიხსენიებენ) მეტალურგიაში არსებული აქტივები 2,2 მილიარდ დოლარად მიჰყიდეს. ეს იყო ვლადიმირ ლისინი, რომელიც იმ დროისთვის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ ბანკს ედგა სათავეში.

ელენა პავლინა:

— ბორის ივანიშვილს ინტუიცია კრიტიკულ ვითარებაშიც არ ღალატობს. ამიტომაც „გამოიჭრა“ რუსეთში იმ დროს გამეფებული ფინანსური კრიზისიდან და მამინაც, როცა არაერთი წარმატებული ბიზნესმენი გაკოტრდა... 2005 წელს, ჩემს შეფთან, ვლადიმირ ლისინთან ერთად, ივანიშვილს პარიზის ფეშენებელურ სასტუმროში — „გეორგ V“ შევხვდით. კარგ ხასიათზე იყო. ჩვეული ქართული იუმორით, იმდენად ბუნებრივად და მოსწრებულად ხუმრობდა, რომ ვერც წარმოიდგენდი, თუ პლანეტის ერთ-ერთ უმდიდრეს კაცს ესაუბრებოდი... არ იპრანჭებოდა და წინასწარ დაზეპირებულ ფრაზებს არ იშველიებდა... მახსოვს, ქართველ ბიზნესმენს სახელის შეცვლის თაობაზეც ვკითხე. გაეღიმა: — ჩემს „ახალ ნათლობას“ განსაკუთრებული მიზეზი არ ჰქონია. 1986 წელს მოსკოვში ასპირანტურაში რომ ვსწავლობდი, ლექტორებიდან ზოგი „ბუზინას“ მეძახდა, ზოგიც — „ბენზინას“. ჰოდა, ერთ დღეს გამოვაცხადე, — დღეიდან ყველამ ბორის



სი დამიძახეთ-მეთქი; საქართველოში კი ისევ „მშობლიური“ სახელით მომმართავენო, — დასძინა... რა შემძლია გითხრათ მის თვისებებზე?.. ძალიან ფრთხილი და დაკვირვებული ადამიანია. არ ვიცი, რამდენად სასიამოვნო იქნება თქვენთვის ამის

გაგონება, მაგრამ ქართველებთან საქმიან ურთიერთობას თავს არიდებდა; რუსულ ბიზნესწრეებში ხუმრობდნენ, — ამ ჭკვიან ბიზნესმენს ყველა ის საქმე ჩაუფარდა, რომლის წილშიც ქართველი გაიყვანაო.

— მაგალითად?

— ერთხელაც, ყველასთვის მოულოდნელად, ივანიშვილისა და მალკინის მიერ დაარსებული ბანკი „როსიისკი კრედიტი“ გაკოტრების პირას აღმოჩნდა. მალე გაირკვა, რომ თურმე მის ქართველ ნათესავს სხვის ხარჯზე გამდიდრების სურვილი გასჩენოდა... მსგავს შემთხვევებთან დაკავშირებით თქვა ფრაზა, რომელიც შემდგომ ლამის უწესო ბიზნესის ფორმულად იქცა: „გოროვალ უ სებია ჟე, უ სვოის პარტნიოროვ“ (საკუთარ თავს, საკუთარ პარტნიორებს ჰპარავდაო)... ძალზე საინტერესოა მისი დამოკიდებულება კახა ბენდუქიძესთან. მათ ერთობლივი ასოციაცია — „ეკოლოგია, ტექნოლოგია, განათლება“ ჰქონდათ, სადაც სხვადასხვა სფეროდან თანხების მობილიზაციას ახდენდნენ. მაგრამ ამ საქმით ვერც ერთმა ვერ იხეირა და მშვიდობიანად გაცლა ამჯობინეს. რუსეთში ივანიშვილისა და მალკინის „უსცნაურ“ ურთიერთობაზეც ბევრს საუბრობენ. მართალია, სანდო ბიზნესპარტნიორე-

თუ ხართ ენერჯიული, ახალგაზრდა და გაინტერესებთ კარიერული ზრდა

შპს „ქართული კაზინოს ჯგუფი“
და **„STORM INTERNATIONAL“**

გუბატოვებით სამუშაოდ გოგონებს და ბიჭებს 18 დან 30 წლამდე, გამოცდილებით და გამოცდილების გარეშე, ინგლისური ან/და რუსული ენის ცოდნით შემდეგ პოზიციებზე:

კრედიტი/მოდერნი

ჩვენ გთავაზობთ: უფასო სწავლებას + სტიპენდიას, სტაბილურ ხელფასს, მოსახერხებელ სამუშაო გრაფიკს, გასაუბრებაზე ჩანერა ტელეფონით 220 07 02 ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა.



ბად კი ითვლებიან, მაგრამ როგორც ჩანს, წინდახედული ქართველი შეცდომებზე სწავლობს და უახლოეს მეგობარსაც კი საკუთარი თამაშის წესებს სთავაზობს. ყოველთვის, როცა სიტყვას მალკინზე ჩამოუგდებდნენ, ივანიშვილი მის დახვეწილ გემოვნებაზე იწყებდა საუბარს. ერთხელ წამოსცდა, — მალკინი ჩემი უახლოესი მეგობარი და

ითად ითვლებოდა, რომელიც მუდმივად ჩრდილში ყოფნას ამჯობინებდა... ამ და სხვა მიზეზების გამო, ბორის ივანიშვილი ყველასთვის ამოუცნობ მილიარდერად მიიჩნევა.

— **მასზე ამბობენ, წყნა არასდროს ავინყდებო...**

— იცით, ქართველებს ყველაფრის დრამატიზება გიყვართ... მან კარგად იცის, სად უნდა გაავლოს

არ ვიცი, რამდენად სასიამოვნო იქნება თქვენთვის ამის გაგონება, მაგრამ ქართველებთან საქმიან ურთიერთობას თავს არიდებდა

ერთ-ერთი ყველაზე ჭკვიანი პარტნიორია, მაგრამ ბოლომდე მხოლოდ საკუთარ თავს ვენდობიო... ერთხელ, არაფორმალური შეხვედრის დროს, „როსკრედიტთან“ დაკავშირებით ჰკითხეს (ამ ბანკით ივანიშვილი ყველაზე მეტად ამყობდა), რატომ აქვს ვიტალი მალკინს 33%-იანი წილი, ხოლო თქვენ — 67%-იანი, თუკი მას ყველაზე სანდო ბიზნესპარტნიორად მიიჩნევთ?

სადემარკაცო ხაზი ბიზნესსა და ქველმოქმედებას შორის. გულუბრყვილო ადამიანი ამხელა კაპიტალის დაგროვებას ვერ შეძლებდა... ჩვენთვის მისი პოლიტიკაში წასვლის გადანყეტილება მოულოდნელი იყო, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ ძალიან მიზანდასახული ადამიანია და რადგან ეს ნაბიჯი გადადგა, დარწმუნებული ვარ, სააკაშვილის ხელისუფლებასთან ბრძოლის მექანიზმებიც შემუშავებული აქვს.

დიდი ძალისხმევის ფასად, ტელეფონით, ბიძინა ივანიშვილის ყოფილი ბიზნესპარტნიორის, ქართველი ბიზნესმენის, თემურ ქარჩავას ებრაელ მრჩეველს, ანატოლი ლევის დაუფუკვეშირდი.

ანატოლი ლევი:

— მე და თემური ხშირად ვერ ვხვდებით. ის ამჟამად კანადაში იმყოფება, თავისი ბიზნესის დიდი წილი კი ლონდონში აქვს. რამდენიმე წლის წინ ზუგდიდშიც ჰქონდა ბიზნესი, მაგრამ ახლა მხოლოდ სახლი აქვს. გარკვეული მიზეზების გამო, საქართველოში ბიზნესსაქმიანობა შეწყვიტა.

— **გავრცელებული ინფორმაციით, ბიძინა ივანიშვილისა და თემურ ქარჩავას ძალისხმევით, 2008 წლის ომის დროს, სერგეი ბალაფშმა რუსულ სამხედრო ნაწილებს ენგურის ხიდის გავლით ზუგდიდში შესვლის უფლება არ მისცა, სანაცვლოდ კი გენერალ ბორისოვს საკმაოდ დიდი თანხა გადაუხადეს...**

— მას შემდეგ, რაც ივანიშვილმა პოლიტიკაში მოსვლის სურვილი გამოთქვა, უამრავი ჭორ-მართალი გავრცელდება. ბატონი ბორისი

მარი ჯაფარიძე

რუსთავი პატარა, „მოკრძალებული“, „ლარიბი“ ქალაქია. შესაბამისად, იქ ცხოვრებაც შედარებით იაფია. თუმცა, რაც ქალაქის შემოსასვლელთან „ამიერკავკასიაში ყველაზე დიდი ავტობაზრობა“ მოეწყო, ფასებმაც მოიმატა.

როგორც ამბობენ, დედაქალაქიდან ყველა კაზინოსა და გასართობი ინდუსტრიის შემადგენელ ობიექტებს მალე რუსთავში გადაიტანენ და მაშინ ეს ქალაქი პატარა ლას-ვეგასად გადაიქცევა. თუ ჭორი გამართლდა, ალბათ რუსთაველების ყოფაც შედარებით გაუმჯობესდება. ბოლო დროს კიდევ ერთი ჭორი აგორდა: ამბობენ, ქალაქის მერიისა და ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის შენობა, მის წინ მდებარე მოედანი და მიმდებარე სკვერი აზურბაიჯანის პირველმა ლედამ — მეჰრიბან ალიევამ შეისყიდა და იქ ერთგვარი „შარდენის“ გაკეთებას აპირებსო. ვცადე, ეს ინფორმაცია გადამემოწმებინა, მაგრამ არაფერი გამოვივიდა...

რუსთავში გზააბნეული ტურისტი რომ შემოეხეტოს, ვერაფრით გააკვირვებ... გაკვირვებას ვინ ჩივის, ქალაქში არაფერია ისეთი, რითიც სტუმრის წინაშე თავს მოინონებ... ქალაქის „ღირსშესანიშნაობას“ წინა ხელისუფლების დროს შესასვლელში დადგმული 2 ცხენის ქანდაკება წარმოადგენდა, ახალმა ხელისუფლებამ კი ცხენები აიღო და რომელ „თავლაში დააბა“, არაფერ იცის (არადა, მათი დადგმა დაახლოებით ნახევარი მილიონი ლარი დაჯდა). იქნებ ჯარტში ჩააბარეს ან სხვა ქალაქს გადასცეს საჩუქრად, ისევე, როგორც შოთა რუსთაველის ძეგლი, რომელიც წლების მანძილზე „რუსთაველის“ მეტროსთან იდგა და დედაქალაქმა რუსთაველს უსასოვრა? ეს ისეა, უფროს ძმას შარვალი რომ დაუპატარავდება და უმცროსს მისცემს ბოლომდე გასაცვეთად...

რაც მართალია — მართალია, ამ ბოლო დროს, ღვთისა და კაცისგან მიტოვებულ ქალაქსაც დაეტყო მზრუნველი ხელი (ოღონდ — მხოლოდ ქალაქის ცენტრალურ ნაწილს): გზის გასწვრივ სკვერები გაალამაზეს, გაანათეს და ერთ-ერთი ხეივნის თავში იუსტიციის სახლიც ააშენეს (სულ რაღაც 3 თვეში, სხვათა შორის), რომელიც პრეზიდენტმა ზარ-ზეიმით გახსნა. გახსნის დღისთვის, მიმდებარე ტერიტორიაზე შენობების ფასადებიც (მხოლოდ ფასადები...) შეღებეს და ასფალტიც სასწრაფო წესით დააგეს. სულ ახლახან კი ეს ახლად დაგებული



როსკრედიტის შენობა

ივანიშვილმა უპასუხა, — მირჩევნია, ბანკის მართვის პასუხისმგებლობა თავად ვიკისრო, ვიტალიმ კი საორგანიზაციო საკითხები მოაგვაროს — ეს მას კარგად გამოსდის; ხელმძღვანელობის ნიჭი არა აქვს, თუმცა ძალიან ნაკითხია და ხელოვნებაში ბრწყინვალედ ერკვევა; ასე რომ, არ ღირს მას საქმის „დირიჟორობა“ ანდოო... მალკინი არანაკლებ გავლენიანი ფიგურაა, ხშირად ხვდებოდა ბორის ელცინს, ანატოლი ჩუბაისს, ახერხებდა მსხვილი კლიენტების მოძიებას. და მაინც, ის ქართველი ბიზნესმენის ხელქვე-

გაგრძელება იხ. გვ. 77



რას ეკითხებიან რუსთაველები პრაზიდენტს და ისიან თუ არა, ვინაა ქალაქის მერი

ასფალტი ისევ გადათხარეს, რადგან მაშინ განათების ბოქების დაყენება ვერ მოასწრეს. ჰოდა, ქალაქის მთავარი ქუჩა გადათხრილია, ყველგან მუშები ფუსფუსებენ... რუსთაველები ყველა სასიკეთო ნაშრომებს მიესალმებიან... მეც — მათ შორის, მაგრამ ამას წინათ, ქალაქის ერთი ბოლოდან მეორეში მიმავალმა, საოცარი რამ შევნიშნე — გზა უცნაური ბარიერებით ორდაა გაყოფილი... თავიდან მეგონა, დროებითია-მეთქი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ რკინის ჩარჩოში ჩამაგრებული, პლასტიკატის დაფები საშვილიშვილოდაა ჩაცემენტებული. რომელ ჭკუათამყოფელს მოუვიდა აზრად ასეთი გამყოფი ხაზის გაკეთება, არ ვიცი.

ქალაქი წლების განმავლობაში თავის დღესასწაულს — რუსთაველსა და „მოკრძალებულად“ აღნიშნავდა. შემოდგომის ერთ საღამოს ზუმბა, მერაბ სეფაშვილი ან, იშვიათ შემთხვევაში, ლელა წურნუშია გვესტუმრებოდა, გვიმღერებდა, თინეიჯერები ქალაქის მთავარ მოედანზე ცეკვით გულს იჯერებდნენ და სულ ეგ იყო. წელს კი რუსთაველა საკმაოდ პომპეზურად აღინიშნა და 2 დღეს გასტანა. ზეიმის დადგომა სასიამოვნო სურნელმა გვაუწყა — ჰაერი მწვანის ოსშივარში იყო გახვეული. თუმცა ადგილობრივთა უმეტესობა მხოლოდ სურნელის ღრმა შესუნთქვით კმაყოფილდებოდა და რესტორნების მიერ მოედანთან განთავსებულ მაგიდებთან ხალვათობა იგრძნობოდა. ორი დღის განმავლობაში სახელდახელოდ მოწყობილ სცენაზე ცეკვა-თამაში იყო გაჩაღებული



ერთ-ერთმა ისე ოსტატურად იცეკვა რომ მაყურებელმა მხურვალე ტაშით, ლუ ბუგამ კი კოცნით დააჯილდოვა

ლი — სხვადასხვა ანსამბლი ენაცვლებოდა ერთმანეთს; ქალაქის საპატრიო მოქალაქეებზე დაასახელებს. ზეიმის კულმინაცია კი უგანდურ-იტალიური წარმოშობის გერმანელი მუსიკოსის, დევიდ ლუ ბუგას კონცერტის გახლდათ, რომელიც საღამოს 9 საათზე იწყებოდა. ამ დროისთვის საკმაოდ ბლომად მოგროვდა მაყურებელი. მოედანი კონცერტის მოლოდინში გუგუნებდა. ახალგაზრდები ლუდს მიირთმევდნენ, ცარიელ ბოთლებს კი იქვე გოვებდნენ.



ახალგაზრდები ლუდს მიირთმევდნენ, ცარიელ ბოთლებს კი იქვე გოვებდნენ

ჩიაშვილის სახელი და გვარი ერთადერთმა ადამიანმა მითხრა და ისიც ბოლომდე არ იყო დარწმუნებული, რომ სწორი პასუხი გამცა. რაც შეეხება მეორე კითხვას, რუსთაველებს ქვეყნის პრეზიდენტთან ასეთი კითხვები აქვთ: — როდის მონესრიგდება რუსთაველში მთავარი გზის გარდა, გზები და ეზოები? — გეშინიათ ბიძინა ივანიშვილის? — მართლა გგონიათ, რომ საქართველოში ყველაფერი კარგადაა? — რა დაჯდა ლუ ბუგას ჩამოყვანა? — იცით, რომ როცა რუსთაველი პენსია რიგდება, ბანკში თავპირისმტყრევია? — როდის მონესრიგდება საქართველოში სიტუაცია, რომ ჩემი ცოლი ემიგრაციიდან დაბრუნდეს? — იცით, რომ საქართველოში ბოლო 5 წლის მანძილზე მოსახლეობის 40% უსახლკაროდ დარჩა, ბანკებისა და პროკურატურის წყალობით? — არჩევნებში თუ ისევ „ნაციონალები“ გაიმარჯვებენ, ვინ იქნება პრეზიდენტი? — რა იყო სარკოზის ჩამოსვლის რეალური მიზეზი? — მართლა პუტინის ძმაცაყი ხართ? — ქვეყანაში არსებულ უამრავ უსამართლობაზე თვალს ზუჭავთ თუ მართლა არაფერი იცით? — გაქვთ თუ არა აუსრულებელი ოცნება? — შეგიძლიათ, ერთი დღით თქვენს რეზიდენციაში მიმინვიოთ?

ვიდრე ზეიმი დასრულდებოდა, მოყრიაშულე ხალხს შევერიე და 2 კითხვა დავუსვი: ვინ არის ქალაქის მერი და — რას ჰკითხავდით პრეზიდენტს, თუკი დარწმუნებული იქნებოდით, რომ გულწრფელ პასუხს მიიღებდით? ჩემდა გასაკვირად, გამოკითხულთა უმეტესობისთვის კი არა და, 99%-ისთვის თურმე უცნობია ქალაქისთვის

ლი — სხვადასხვა ანსამბლი ენაცვლებოდა ერთმანეთს; ქალაქის საპატრიო მოქალაქეებზე დაასახელებს. ზეიმის კულმინაცია კი უგანდურ-იტალიური წარმოშობის გერმანელი მუსიკოსის, დევიდ ლუ ბუგას კონცერტის გახლდათ, რომელიც საღამოს 9 საათზე იწყებოდა. ამ დროისთვის საკმაოდ ბლომად მოგროვდა მაყურებელი. მოედანი კონცერტის მოლოდინში გუგუნებდა. ახალგაზრდები ლუდს მიირთმევდნენ, ცარიელ ბოთლებს კი იქვე გოვებდნენ.



სიძას სიღადრის მკვლელობა ჩაუხალა

1.000 ლარად სასიკვდილო ბანძირული სიღადრი

თბა სურსილავა

ბოლო დროს ძალოვნებმა შეკვეთილი მკვლელობის მცდელობის რამდენიმე ფაქტი აღკვეთეს. შემთხვევითი ბელი რეალობა, ადამიანები მზად არიან ოჯახის წევრების მკვლელობაში ფული გადაიხადონ. ისინი ისე თავისუფლად უკვეთენ ახლობლის მოკვლას, ისე აუღელვებლად ესაუბრებიან თავიანთ გეგმაზე ე.წ. შემსრულებლებს, რომ ნებისმიერ ადამიანს გააოცებს. ყველა გახმაურებულ შემთხვევაში მიზანი ქონების ხელში ჩაგდებაა. 43 წლის ბაგრატ (მერაბ) თეთრაძე სიღადრის, იზოლდა კენჭუაშვილის მოცილებაზე ოცნებობდა. რამდენ ხანს ფიქრობდა ამაზე, უცნობია, მაგრამ ფაქტია, მან ე.წ. კილერის პოვნაც მოახერხა და თავისი სურვილიც გულწინად გაანდო.

სხვა გახმაურებული შემთხვევებისგან განსხვავებით, ბაგრატს ფული არ ჰქონდა, მაგრამ ისე ძალიან სურდა სიღადრის მოცილება, რომ მზად იყო უკანასკნელი თეთრები გაეღო. „...სულ 600-700 ლარამდე მექნება და იმ ჯაროსაც გაძღვევ... აქედან ერთი 100 ლარი მე უნდა ავიღო, სანამ ამას ჩავფარცხავ, სანამ დავასაფლავებ, ან

სიგარეტი მომინდება, ან წასვლანამოსვლა დამჭირდება...“ — ყველა თეთრს ითვლიდა თეთრაძე და კილერს თავისი გეგმაც გაანდო. აუხსნა, რა მიზეზით უნდა მისულიყო კენჭუაშვილების სახლში და როგორ წარმოედგინა მას სიღადრის მოკვლა: „დაიძახებ — იზო დეიდა, იზო დეიდა. რომ გამოვა, ეტყვი, რომ მანონი გინდა იყიდო და ფულს მისცემ... მერე უნდა მოახერხო და ჩასცხო რაღაც — ან დანა, ან სხვა რამე“, — მისცა დარიგება და მკვლელობისთვის ნაჯახიც გადასცა. „ეს ნაჯახი აიღე, ჩემს დას გამოვართვი, ცოტა გალესვა უნდა და ეგ არის. კარგია, ისე გალესილია, რა. ოღონდ იქ არ დატოვო, წამოიღე, მერე ამოგაკითხავ სახლში და წავიღებ, პატრონს უნდა დავუბრუნო“, — დასძინა მან და კილერს 20 ლარი გადასცა. მას ამ ფულით ხელთათმანები, ნილაბი და სხვა წვრილმანები უნდა შეეძინა. ისიც უთხრა, დანა-შაულისთვის ხელსაყრელი დრო საღამოს 10 საათამდე პერიოდი იყო.

როგორც ჩანს, შეთავაზებული მიზერული თანხის გამო კილერმა ხელის გასვრა არ იკადრა და ბაგრატს უღალატა, ის პოლიციაში დაასმინა და ძალოვნებს მტკიცებულებად ფარული ჩანაწერიც გადასცა.

ბაგრატ თეთრაძის გეგმის მიხედვით, დანაშაულის მომენტში ის სახლში უნდა ყოფილიყო, რომ ცოლს მასზე ეჭვი არ აეღო. იმ დღესაც ჩვეულებრივ გავიდა სახლიდან და ლოტკინზე, დის სახლში წავიდა. საღამოს 6 საათამდე იქ იყო და კილერის ზარს ელოდა, სახლში დროულად რომ დაბრუნებულიყო. ზარიც გაისმა, ისე სწრაფად გავიდა დის სახლიდან, რომ მათ არც დამშვიდობებია. ლოტკინზე, უნივერსამთან სრულიად მოულოდნელად თავზე პოლიცია დაადგა და ხელბორკილები დაადეს. ასე მიიყვანეს სიღადრის ბინაში სიძე. სწორედ მაშინ გაიგო ქალბატონმა იზოლდამ და მისმა ქალიშვილმა ბაგრატის განზრახვა, თუმცა მომხდარის დაჯერება გაუჭირდათ. ამბობენ, რომ მათთვის ეს ინფორმაცია, მონმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა. ძალოვნებთანაც აღიარა დანაშაული თეთრაძე

და არ დაუმაღავს, რომ ამ გზით სიღადრის ქონების ხელში ჩაგდება სურდა.

„სიღადრის ბინაში ჩემს ცოლ-შვილთან ერთად ვცხოვრობდი. ჩვენ გვეყრდა გარეთ. ვრჩებოდით უბინაოდ და ამიტომ გადავწყვიტე სიღადრი მომეკლა, ამისთვის საჭირო პიროვნებაც მოვინახე და ამაში თანხას 1.000 ლარის ფარგლებში ვიხდიდი“, — განაცხადა ბრალდებულმა. მას წინასწარი პატიმრობა უკვე შეეფარდა და დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში, 20-წლიანი სასჯელი ან სამუდამო პატიმრობა ელის.

ამ ოჯახის ცხოვრების დეტალების გასარკვევად მათ სახლში მივედი. ჯერ მეზობლებს გავესაუბრე, მომხდარით გაოგნებულიები არიან. ამბობენ, რომ თეთრაძე გულჩათხრობილი ადამიანი იყო. ქალბატონ იზოლდას ყველა დადებითად ახასიათებს. შეიძლება ითქვას, რომ მას მთელი ლოტკინი იცნობს. ასაკოვანი ქალბატონი დღე და ღამე შრომობს, ოჯახი რომ არჩინოს. ძროხებს უვლის და ყოველდღე რძესა და მანონს ქუჩა-ქუჩა ყიდის. მეზობელს ველაპარაკებოდი, ქუჩაში მომავალი იზოლდა კენჭუაშვილი რომ შევნიშნე. მას მანონი გაეყიდა და ცარიელი ჩანთებით სახლში დაღლილი ბრუნდებოდა. ინტერვიუზე კატეგორიული უარი მითხრა, მაგრამ ბოლოს მაინც დავითანხმე.

ბაგრატ თეთრაძე 4 წელია, ხათუნა კენჭუაშვილის მეუღლეა და დაქორწინების შემდეგ ქალბატონ იზოლდას სახლში ცხოვრობს. ორივესთვის ეს მეორე ქორწინება იყო, ხათუნას პირველი ქორწინებიდან 18 წლის შვილი ჰყავს, ხოლო ბაგრატს 20-21 წლის ქალ-ვაჟი. ცოლ-ქმარი კი წლისა და 4 თვის ნინოს მშობლები არიან.

თავად 70 წლის იზოლდა კენჭუაშვილი სამი შვილის დედაა. 1960 წლიდან ლოტკინზე ცხოვრობს. კულუარული ინფორმაციით, თეთრაძემ დანაშაული დაუკვეთა 35 წლამდე ასაკის ლოტკინელ ნარკომანს. დაზარალებული ვარაუდობს, რომ ე.წ. კილერი მისი ნაცნობი აღმოჩნდა და მან ქალი სასიკვდილოდ ვერ გაიმეტა.

სიღადრი სიძესთან უთანხმოებას ადასტურებს, მაგრამ ამბობს, რომ მსგავს განზრახვას ვერც კი წარმოიდგენდა.

იზოლდა კენჭუაშვილი:

— ჩემი ქალიშვილი პურის ქარხა-



იზოლდა კენჭუაშვილი

გაგრძელება იხ. გვ. 75

რა შეიძლება შეცვალოს მკერდის იმპლანტანტებმა ?



თქვენს კითხვებს პასუხობენ
პროფესიონალები!

MKURNALI.GE

საპაციენტო ინფორმაციის ცენტრი

8 მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი; 2 მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; 14 მოქმედი ლიცენზირებული ექიმი.

www.mkurnali.ge



გაღზაზა

100% ნატურალური პროდუქტი!

როცა თვით ბუნება კურნავს...

პროდუქტი



ბალზამი „პრომოლი“ – ბუნების მიერ ნაწარმებული პროდუქტი!

ლეგენდებით მოცული ურალის მთები, რომელსაც უმღერა ხალხურ გადმოცემებში, განთქმულია არა მხოლოდ მისი სიკეთე, არამედ მისი სილამაზით. ჩვენ არც კი ვფიქრობთ იმაზე, თუ როგორი საოცარი იდუმალი ძალაა ნამდვილი მთის უმღერის ფლორასა და ფაუნაში. ურალის მთების დიდებული ბუნება ამოუწურავი სასიცოცხლო ენერჯის და ნამდვილი ჯანმრთელობის წყაროა, რომელსაც ასე ხშირად უსურვებდნენ ერთმანეთს საბჭოური დროის მისალოც ბარათებში.

ჩვენ სხვა ეპოქაში ვცხოვრობთ, სხვა ქვეყანაში. მაგრამ ერთი უცვლელი დარჩა – ძლიერი ჯანმრთელობის სურვილი თქვენი და თქვენი ახლობლებისთვის. და ამისათვის სულაც არ არის საჭირო გაეშვავოთ ურალზე. მთების მკურნალი ძალა ინახება ჯადოსნურ ბალზამში „პრომოლი“. იგი 100%-იან ბუნებრივი პროდუქტია.

ბალზამის უნიკალურობა მდგომარეობს იმაში, რომ თითოეული მისი შემადგენელი კომპონენტი თავისი თავად მრავალფუნქციურია.

მის შემადგენლობაში შედის: თაფლი, პროპოლისი, კედრის ზეთი, გოგრის თესლის ზეთი, ქაჯვის ზეთი, ფუტკრის ცვილი. პრაქტიკულად ნებისმიერ მათგანს ხალხში უწოდებენ „ურალის ოქროს ფესუს“, რადგან მხედველობაში აქვთ სამკურნალო თვისებათა უნივერსალურობა. ხოლო ერთ ბალზამად შეკრული, დაატენტირებული, ურთულესი ტექნოლოგიით დამზადების გაულის შემდეგ, ისინი იძლევიან კუშლაციური ეფექტს და წარმოადგენენ უზარმაზარ ძალას, რომელიც გამაგზავნებელ შედეგებს იძლევა და აღადგენს ჩვენს ორგანიზმს.

ხანმოკლე დროის მანძილზე „პრომოლი“ უკვე დაეხმარა ათასობით ადამიანს დაავადებებთან გამკლავებაში.



მისი გამოყენების შედეგები შესაძლებელია უკვე პირველსავე დღეებში. შეინიშნება ჯანმრთელობის მდგომარეობის აშკარა გაუმჯობესება, განსაკუთრებით დაავადებათა მწვავე ფორმების დროს.

ბალზამი „პრომოლი“ ხელს უწყობს სისხლის კაპილარების გაფართოებას და ავსებას, რაც აძლიერებს ვენოზურ გადინებას, აუმჯობესებს სისხლის მიკროციკულაციას და შეეღობს ორგანიზმს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების დროს, როგორცაა იშემია, არითმია, სტენოკარდია, ასევე არტერიული წნევის იმ ადამიანებისთვის, რომელთაც ამინდის ცვლილებებზე დამოკიდებულება აწუხებთ, ეს შეუცვლელი საშუალებაა. ბალზამი ხსნის თავის ტკივილს, ასტმალურებს წნევას, შეეღობს სახსრებში ტენიანობას, და მასსადავ, საყრდენ-სამძირო აპარატის მრავლობით დაავადებების დროს (ართრიტი, ართროზი, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, რევმატიზმი, ნეკროტი, მალბურისის თიაქარი, ქუსლის დეზი და ა.შ.). გარდა ამისა, „პრომოლი“ არბილავს სისხლძარღვთა კედლებს, ხდის მათ უფრო ელასტიკურს, და ამცირებს თავის ქალის შიდა წნევას. „პრომოლი“ ხელს უწყობს ორგანიზმის აღდგენას ტრავმების შემდეგ, მათ შორის თავის ტრავმის, ინსულტების, ინფარქტების შემდეგ კარგი შედეგებია ისეთი დაავადებების დროს, როგორცაა ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები, თვალის დაავადებები (კონიუნქტივიტი, გლაუკომა, კატარაქტა, ახლომხედველობა), მაკრიანი დაავადებები.

„პრომოლი“ ეფექტურია ნებისმიერი მწვავე ინფექციური დაავადების მოხსნის დროს (გრძობი, მწვავე რესპირატორული ვირუსული ინფექციები, მწვავე რესპირატორული დაავადებები, ჰაიმორიტი, პაროდონტიტი, ყურის და სამწვერა ნერვის ანთების, ოსტეომიელიტი, დისბაქტერიოზი, და ა.შ.), ქრონიკული დაავადებების და ინფექციების რეციდივების (ასობა, ბრონქიტი, პნევმონია, პროსტატიტი და ა.შ.) დროს.

გამოსცადეთ თქვენს თავზე ჯადოსნური ძალა ბალზამისა, რომელიც თვით ბუნების მიერაა შექმნილი. მის დამზადებაზე იმუშავა ათასობით ფუტკარმა, რომლებიც დაუღალავად დაფრინავდნენ ყვავილიან ყვავილზე. მზრუნველმა ხელმა მათთვის კომპოზიციას დაუმატა სამკურნალო ზეთები იმ მცენარეებისა, რომლებიც ღეღამის წვენებს და სტიქის ენერჯის შეიწოვენ.

შეიგრძენით „პრომოლიდან“ ერთად ურალის მაცოცხლებელი სუნთქვა.

ოც წელზე მეტია, რაც პიპერტინით ვიტანჯებოდი. იგი არ მძლევდა წყნარი ცხოვრების საშუალებას. თავბრუს სვევა ყოველთვის თან მდევდა, თვალბში მუდამ მიბნელებოდა. წნევა 220-ზე ქვემოთ არ ეშვებოდა. თირკმლების დაავადების გამო თვითშეგრძნება სულ უფრო უარესდებოდა. სახსრების ტკივილი კიდევ უფრო ამძიმებდა ჩემს მდგომარეობას. ნათესავებმა თითქმის საბოლოოდ დაკარგეს ჩემი გამოჯანმრთელების იმედი. მაშინ დაღწევა ბალზამ „პრომოლის“ მიღება. უკვე პირველი ქალის შემდეგ ბრწყინვალე შედეგები მივიღე. წნევა შემცირდა და რჩება 180-ის დონეზე. გამიარა თავბრუს სვევამ, სახსრების ტკივილმა, ახლა თავისუფლად გადავადგილდები. თვითშეგრძნება გაუმჯობესდა. ორგანიზმი გამაგრდა. ახლა ყველა ჩემს ნაცნობს ვურჩევ ბალზამის გამოყენებას.

ანჟიკ ხაჩატრიანი
არტაშატი, სოფ. ვოსკანი

ჩემს ქმარს უკვე მრავალი წელია ფსორიაზი აწუხებს. რა არ გამოვცადეთ, სხვადასხვა მალამოები, ტაბლეტები, შედეგი არ ჩანდა. ვიყიდე 4 ქილა ბალზამი „პრომოლი“, დავიწყე ქმართან ერთად სმა. მე წნევა დამირეგულირდა. ასევე შევამჩნიე, რომ მხედველობა გამიუმჯობესდა. ხოლო ჩემს ქმარს კანი გაეწმინდა, ანაქერცლი გაქრა, ასევე სიწითლე. დიდდ მოხარული ვარ, რომ არსებობს ასეთი საშუალება. დიდი მადლობა!

ა. ტაკუკი
ქ. კიევი

ყველაზე მთავარია იმ ხალხთა გულწრფელი წერილები, რომლებმაც თავის თავზე გამოცადეს ბალზამ „პრომოლის“ კეთილისმყოფელი მოქმედება.

სამი წლის წინ მე დამიხვეს ღიაგონი – კანის კიბო. გამიკეთეს ოპერაცია, მომაცილეს ლაქა ფეხზე. მაგრამ თითქმის მამინვე ლაქა გამიჩნდა სხვა ადგილას (საზარდული), რაც გადაიზარდა წანაზარდში. დაზინებულ ადგილას ვიდებდი ბალზამ „პრომოლის“, ასევე ვღებულობდი შინაგანადაც. წანაზარდმა დაიწყო განზობა და ბოლოს მოძერა, ლაქა ზომებში შემცირდა. ასეთ შედეგს არ ველოდი. დიდი მადლობა თქვენ.

ვ. შვერნკო
ქ. ჩერნიოვო

ვარ 82 წლის. მაქვს გადატანილი ინსულტი. შედეგები ჩემთვის ძიმიე გადასატანი იყო. შემდეგ გაიფიქრა „პრომოლის“ არსებობა. დავიწყე მკურნალობა, სახსრებიც მაწუხებდა და ამიტომ სახსრებზეც დავიწყე წასმა. ახლა თავს კარგად ვგრძობ, ტკივილმაც გამიარა. ასეთ შედეგს არ ველოდი. დიდი მადლობა თქვენ.

კუკური ხაჭაპურიძე
ქ. ქუთაისი

პირილში შევიძინე 2 შუმა ბალზამი, დაეღიე და წავისვი კიდევ. მძიმე საშუალოს გამო 2 წლის წინ გამიჩნდა ჰემორი. ძალიან ვიტანჯებოდი, მაწუხებდა ტკივილები, საჭირო იყო ოპერაციული ჩარევა, მაგრამ თქვენი ბალზამის კურსის მიღების შემდეგ ვიგრძენი გაუმჯობესება, დაავადებამ რაღაც სასწაულით გაიარა. კიდევ შევიძინე „პრომოლი“ პროფილაქტიკისათვის. დიდი მადლობა თქვენი სასწაული ბალზამისათვის.

ტ. სიმონენკო
ქ. ფიტომირი

დიდ მადლობას ვიხდით! თქვენ მე გადამარჩინეთ. ვიყიდე თქვენგან 6 ქილა ბალზამი, გამოვიყენე 4 ქილა 1 თვეში. იკითხავთ რა შედეგები მივიღე? ჯერ ერთი, გამიარა ტაქიკარდია, არითმია, პათორიტი, ბრონქიტი, ასევე პოლიარტიტი. დაავადებები 20 წელზე მეტია მაწუხებდა. შედეგით ძალიან კმაყოფილი ვარ!

ი. შმატკო
ქ. ლვოვი

უკვე 5 წელია, რაც **გლაუკომა** მტანჯავს. მხედველობა სულ უფრო უარესდება იმის შედეგად, რომ **შაქრის დონე** სისხლში ძალიან მაღალი იყო. ყოველივე ერთვოდა ისიც, რომ ერთი წლის წინ ექიმებმა აღმოაჩინეს **თორმეტგოჯა ნაწლავის**

სიმსივნე. სამკურნალო პრეპარატები უკვე აღარ მშველდა. შევითქვე რა ბალზამ „პრომოლის“ შესახებ, გადავწყვიტე მიმეღო და გამეღო დანიშნული კურსი. ვხედავდი რა კარგ შედეგებს, მივიღე კიდევ 2 შუშა. და რა? ექიმები გაოცდნენ, მეც მათთან ერთად. გავიარე რენტგენი და აღმოჩნდა, რომ ბალზამმა სავსებით გააქრო სიმსივნე. ამ შესანიშნავი ამბის გარდა, კიდევ არის სხვა გაუმჯობესებებიც. მხედველობა გამოუმჯობესდა, თვალების წინ ბურუსი სავსებით გაქრა. „პრომოლიმა“ სისხლში შაქრის დონეც დასწავა. ახლა ტაბლეტებს აღინდელივით ყოველდღე როდი კვებულვ. გამადლობთ სასწაულისთვის! მე, რა თქმა უნდა, გავაგრძელებ ბალზამის გამოყენებას. დაველოდები უფრო მეტ შედეგს.

სონა არამის ასული მანასიანი ქ. ერევანი



მაღალი წნევა მქონდა. ასევე **მენჯ-ბარძაყის მოტეხილობა.** შუბორცებული კი იყო, მაგრამ ვერ ვდგებოდი და ვერც დავდიოდი. 10 დღის მიღების შემდეგ **წნევა**ც დარეგულირდა და ფეხზეც ვდგები და დავდივარ (ბარძაყის მოტეხილობისას). დიდი მადლობა თქვენ საოცარი ბალზამისათვის.

ანა გიორგაძე თბილისი



მრავალი წელი მაწუხებდა **თირკმელები, ნაღვლის ბუშტი** და **მაღალი წნევა.** 3 ქილა ბალზამის გამოყენების შემდეგ **ნაღველმა** დენა დაიწყო, დამირეგულირა **წნევა** და თავს გაცილებით ახალგაზრდულად ვგრძნობ. მოხარული ვარ, რომ ასეთი საშუალება არსებობს.

ნ. გუგულია ქ. ზუგდიდი



მაქვს **შაქრიანი დიაბეტი,** სისხლძარღვთა პრობლემები, პოლირეანული უკ-მარისობა. ენერჯის დიდ მოზღვაგებას ვგრძნობ, და-მირეგულირდა **შაქარი.** თქვენი დიდი მაღლიერი ვარ!

ციცინო ციციქიშვილი ზესტაფონი



უკვე ოთხი წელია **ფილტვების ტუბერკულოზით** ვიყავი ავად. „კერები“ არ იხურებოდა ტუბდისპანსერში მკურნალობის შემდეგაც კი. 2008 წლის შემოდგომის ბოლოს შევიძინე ბალზამი „პრომოლი“ და 3 თვის განმავლობაში ვისმარე 6 შეფუთვა. შედეგად კერები დაიხურა, ამასთან ერთად აღარ მაწუხებს **ართიმია** და **თირკმელები,** გამოუმჯობესდა **მხედველობა.** ჩემს 13 წლის ბიჭს ჰქონდა **ფილტვის ძირის გამკვრივება,** რომელიც ასევე გაიწოვა ბალზამის გამოყენების შემდეგ.

ს. მარტინიუკი ქ. სლაუგური



რამდენიმე წლის მანძილზე მაწუხებდა 12 გოჯა ნაწლავის წყლული, ალერგიული გამონაყარი, ტკივილი სახსრებში. ახლანა გაზეთით შევითქვე ბალზამ „პრომოლის“ შესახებ და დავიწყე მისი დაღვევაც და მტკივან სახსრებზე წასმაც. გამოყენების შემდეგ სახსრების ტკივილმა გამიარა, საერთო მდგომარეობა ნორმას დაუბრუნდა, ვიგრძენი სასიცოცხლო ძალისა და ენერჯის მოზღვაგება. დიდი მადლობა.

ზ. ტაბატაძე ქ. ფოთი

დეიდანემს 30 წელზე მეტია აწუხებს **ბრონქიალური ასთმა,** რომელმაც ძალიან მიმიე ხარისხს მიაღწია. მუდმივად ჰქონდა შეტევები, რის გამოც იფუძვლებოდა. როცა ვიუმრიში ჩატარდა ბალზამ „პრომოლის“ პრეზენტაცია, მან გადაწყვიტა გაესინჯა იგი. მიიღო 1 ქილა, რის შედეგადაც თვითშეგრძნება კარგზე უფრო მეტი გაუხდა. იგი აღარ იფუძვება, როგორც ადრე, შეტევა კი დღემდე ერთხელაც აღარ ჰქონია. დაიწყო მსუბუქად სუნთქვა და შედეგებით ძლიერ კმაყოფილია. რა თქმა უნდა იგი 1 ქილაზე არ შეჩერდა, აგრძელებს მის გამოყენებას და გაივლის მთელ კურსს.

ანა სარქისიანი ქ. გიუმრი



მაწუხებს **სახსრები** და **ნაღვლის ბუშტი.** ბალზამის მიღების შემდეგ მომქსნა სახსრების ტკივილი. „პრომოლის“ მიღებიდან 3-4 დღის შემდეგ ნაღვლის პრობლემაც მომქსნა. ამ საოცრებისათვის თქვენი მაღლიერი ვარ.

კერესელიძე ნ

„პრომოლის“ გამოყენა-გაყიდვა, აგრეთვე დაწვრილებითი კონსულტაცია მისი გამოყენების შესახებ გაიმართება შემდეგ მისამართებზე:

- ქ. თბილისი, ბახტრიონის 22**
- 20, 21, 22, 23, 24 ოქტომბერი, 15:00-დან 17:00-მდე.**
- ქ. ქუთაისი, ახალი მისამართი: კოსტავას ქ. 25 (სასტუმრო „ლია“)**
- 25 ოქტომბერი, 11:00-დან 12:00-მდე.**
- ქ. ბორი, სტალინის ბამზ. 26;**
- (სასტ. „ინტურისტი“, სტალინის სახ.მუზ. პირდაპირ)**
- 25 ოქტომბერი, 16:00-დან 17:00-მდე.**

ერთი შეფუთვის ფასი: 32.8 ლარი
ინვალიდებისა და პენსიონერებისათვის: 29.8 ლარი
 ერთი შეფუთვის მასა: 120 გრამი. პროფილაქტიკის კურსი – 2 შეფუთვა.
ქრონიკული დაავადებების დროს – 4 შეფუთვა.
მინიმალური შეკვეთა – 2 შეფუთვა. არ წარმოადგენს მედიკამენტს.
 მიღებამდე გაიარეთ ექიმის კონსულტაცია. საქონელი სერტიფიცირებულია.
საინფორმაციო: 592 22 98 98
www.apifito.net



სახსუ

მიზანმიმართულად ამბიციური „გიგი უგულავა“ და მორსხვი „პერა ქობალია“

„ყველას დაგხოცავთოი ჩვენან მორბოდა...“

ეთო ყორღანაშვილი

კაკი ქანკურძემ სალიტა ჩუბინიძე „ყვეთელი ავტობუსის“ (თსუსის მზარულთა და საზოანთა ერთ-ერთი გუნდის სახელწოდება) მეშვეობით გაიცნო მაშინ კონკურენტ გუნდებში თამაშობდნენ, დღეს კი თანამშრომლები და კარგი მეგობრები არიან. სალიტა „თქვენი შოუს“ მუსიკალურ ნომრებში სშირად მონაწილეობს ამას წინათ მაიკლ ჯექსონი რიჰანას სიმღერის ქართული ვერსიით „დაიტრა“, მერე კი „პატარა და საყვარელი“ ვერა ქობალიას როლშიც მოგვევლინა. კაკი მასხიობობის გარდა, სცენარისტობასაც ითავსებს. „თქვენი შოუს“ დანარჩენ ბიჭების მსგავსად, საქმეში ჩაფლულს, მშვენიერი სალიტას დანახვა ძალიან ახარებს. ბევრი აღნიშნავს, რომ კაკი გარეგნულად თბილისის მერს, გიგი უგულავას ჰგავს როცა მას ამის შესახებ ვთხარო, ძალიან გაუკვირდა.

პაპი:

— გიორგი აფციაურმა თავისი სადილოპო პროექტის — „სხვა კონცერტი“ — შექმნაში ბიჭებს დახმარება გეთხოვა, შემდეგ კი ეს პროექტი სატელევიზიო გადაცემადა გადაკეთდა. ხელმძღვანელები, რედაქტორები დასხდნენ და დაფიქრდნენ — რომელ ნიჭიერ ახალგაზრდასთან თანამშრომლობა შეიძლებოდა? ჩვენს საახლობლოში, ერთ-ერთი ასეთი სალიტა — კარგი ვოკალური, მსახიობური მონაცემებით და გარეგნობით გამორჩეული გოგონა — აღმოჩნდა.

სალიტა:

— ადრე ძალიან მორცხვი ვიყავი. მგონი დროა, სიმორცხვე დავძლიო და

ჩემი შესაძლებლობები უკეთ გამოვავლინო. თან, კამერებსაც მივეჩვიე...

— პროექტში 2 გოგონა ხართ. თანამშრომელ ბიჭებს თქვენთან როგორი დამოკიდებულება აქვთ?

— ძალიან კარგი. ყოველი სამუშაო დღის გათენება მიხარია, რადგან ვიცი, რომ მათ ვნახავ. საინტერესოები, ნიჭიერები და ერთმანეთისგან განსხვავებულები არიან.

პაპი:

— სალიტა, ინტერვიუსთვის რა ტექსტიც მოგეცე, კარგად გისწავლია (იცინის).

სალიტა:

— გულიდან წამოსული სიტყვები ვთქვი. ძალიან გამიხარებდა, ამ პროექტში რომ მოვხვდი.

პაპი:

— ჩვენც გაგვიმართლა, რომ გიპოვეთ.

ყოველდღე მუშაობთ?

— სალიტა, ნათია ბადირეიშვილი და ირაკლი მაჩიტაძე (მაჩვი) მსახიობები არიან. ისინი მხოლოდ 4 დღე მუშა-

ობენ, დანარჩენები კი თითქმის მთელი კვირის მანძილზე, საქმეში ვართ ჩართულები.

— რიჰანას სიმღერის ქართული ტექსტის (რომლითაც ჯექსონი „დაიტრა“) ავტორი ვინაა?

პაპი:

— ლევან კვარაცხელიასა და რევაზ ბლიაძეს „დამატებითი“ ნიჭი აქვთ — შეუძლიათ სიმღერების ტექსტები გადააკეთონ. მგონი, „ჯექსონის დატირება“ კარგი გამოვიდა.

— სალიტა, სხვა მუსიკალურ ნომრებშიც სშირად მონაწილეობ და სიმღერაც კარგად გამოგდის.

— ბავშვობიდან სცენაზე ვდგავარ. ბევრ მუსიკალურ კონკურსში გამომარჯვია. ჩემი ჯგუფიც მყავდა... სშირად მეკითხებიან: სიმღერას რატომ არ „მიწყვიტა“? „თქვენი შოუსი“ ისეთი საინტერესო გარემოა, რომ ჯერჯერობით, აქ ყოფნა მირჩევნია.

— ვიდრე გადაცემის ჩანერვას დაიწყებო, შემოქმედებითი პროცესი როგორია?

პაპი:

— შაბათ დღეს „გადარბენაა“. გოგონებს სახეზე ეტყობათ, რომ ერთი სული აქვთ, მაკიაჟს როდის გაუქვთებენ, თმას დავარცხნიან...

სალიტა:

— კაკი სულ გვსაყვედურობს: გარეგნობას ამხელა ყურადღებას რატომ აქცევთო?

— ალბათ ეს იმის დასტურია, რომ კაკის მაკიაჟის გარეშეც მოსწონხარ. ასეთ ლამაზ გოგონას სამსახურში ბიჭები არ გეპრანჭებიან?



სამსახურის შემდეგ ერთმანეთის დანახვაც აღარ გვინდა...



მის პაროდიაზე მუშაობა საინტერესო იქნება

პაპი:

— წარმოიდგინეთ სიტუაცია: 10 სცენარისტი — 10 მსურველ მამაკაცი დღე და ღამე ერთ ოთახში ვსხედვართ, სცენარებს ვწერთ და უცებ, სალიტა შემოდის...

სალიტა:

— თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე თქვენთან წმინდა მეგობრული გრძნობა მაკავშირებს!..

— სალიტა, ვერა ქობალიას როლისთვის მინცდამინც შენ რატომ შეგარჩიეს? სიტყვის — „მდგრადი“ უშეცდომოდ თქმა შეეძლოა?

— კი, მდგრადი.

პაპი:

— ყოჩაღ (იციინათ)! „ვერა ქობალიას“ სკეტჩში სიმღერა უნდა შეესრულებინა და ვინაიდან სალიტა კარგად მღერის, მისი როლისთვის ამიტომაც შევარჩიეთ. თან, სალიტა ბავშვურია. ვერაც ხომ პატარა და საყვარელია?..

— კაკო, ვერაზე გიგი უფულავას ძალიან ჰგავხარ. მისი პაროდის გაკეთების იდეა არასოდეს მოგსვლია?

— გიგი უფულავას ვგავარ?! პირველად მესმის!.. ალბათ, მის პაროდიაზე მუშაობა საინტერესო იქნება.

— თბილისის მერთან კიდევ რამე საერთო თუ გაქვს? მაგალითად შეგიძლია, „ოქცენი შოუს“ პიარის გამო დილაუფუნა პური გამოაცხო ან დასუფთავების სამსახურის თანამშრომლის ფუნქცია შეითავსო?

— პიარი და ადამიანისათვის ინფორმაციის მიწოდების ორიგინალური ფორმა ძალიან მსიბლავს. „სხვა კონცერტის“ ჩატარებამდე პიარაქციებს ვანყობდით: გავდით რუსთაველის მეტროსთან, პარლამენტთან, ვაკე-საბურთალოს გზაჯვარედინზე, მერე კი უნივერსიტეტის პირველ კორპუსთანაც მივედით და ტელევიზორები დავდგით, რომლის ეკრანზე „სხვა კონცერტის“ დანწყების დრო და ადგილი იყო გამოსახული...

სალიტა:

— კაკიმ ყოველთვის იცის, რა უნდა, სად და როგორ მოიქცეს. უშრეტეი ენერჯია აქვს, რომელსაც აბსოლუტურად სწორად იყენებს. მისი დანახვისთანავე ვთქვი, რომ ცხოვრებაში დიდ წარმა-

ტებას მიაღწევს! წამითაც არ ისვენებს, მიზანმიმართულად ამბიციურია.

— კაკო, თბილისის მერი რომ იყო, რას გააკეთებდი?

— ბევრ რამეს... არ ვიცი...

— საერთოდ, თანამდებობის დაკავებამდე უფრო იციან, რას გააკეთებენ, მერე კი, როგორც წესი, ავინყვებთ...

— მე დაბირებებსაც ვერ ვიძლევი (იციინს). ბავშვობიდან თბილისში ვცხოვრობ. აქ კარგი პირობებია, მაგრამ „ჩემს ჭკუაზე“ კიდევ რამეს გავაკეთებდი. აი, ხალხს თუ მოეწონებოდა, ეგ არ ვიცი: ქალაქში მეტ ფერადოვნებას შემოვიტანდი...

სალიტა:

— აი, მე კი საჩხერელი ვარ, რაც ძალიან მეამაყება.

პაპი:

— (იციინს) საჩხერე კარგია! წელს სამეგობრო სალიტას ოჯახში ჩავვდივით, მისი მშობლები და და-ძმა გავიცანიით...

სალიტა:

— ბიჭებს საჩხერეში ყველანი ძალიან თბილად შეხვდნენ — აბა, ამათ ცივად ვინ მიიღებს, მით უმეტეს, რომ იქ განსაკუთრებულად თბილი ხალხი ცხოვრობს. მოკლედ, კარგი დრო ვატარეთ. ქუჩაში ხალხი რომ გვიყურებდა, ვამაყობდი, — ვარსკვლავებთან ერთად ვარ-მეთი (იციინს).

პაპი:

— საჩხერეში პირველად ვიყავით. ბიჭებმა გარეთ გასვლა გადავწყვიტეთ. კარი გავალეთ თუ არა, ეგრევე, ვილაც კაცი აყვირდა: ყველას დაგხოცავთო! ჩვენცენ მორბოდა...

სალიტა:

— ჩვენი კოლორიტი ხომ უნდა გაცნო? ის ადამიანი უწყინარია. უბრალოდ, ყურადღების მიქცევა უყვარს. შეძლებული არაა, მაგრამ ამას წინათ ფულს წვავდა. მე ყოველთვის თბილად მხვდება და ამბობს ხოლმე: — „მის საქართველო“ მოდისო.

— სალიტა, თბილისში ვისთან ერთად ცხოვრობ?

— ამჟამად — მეგობართან ერთად.

პაპი:

— სახლს ავაშენებთ და ყველაფერი კარგად იქნება.

სალიტა:

— ჰო, კაკის სახლის მშენებლობა მალე თუ დასრულდა, იქ გადავალთ და ტკბილად ვიცხოვრებთ (იციინათ). ცხადია, ვსურვრობთ.

— სამსახურის გარეთ ურთიერთობთ?

პაპი:

— საღამოობით, როცა მარტო ვარ, სალიტა ჩემთან, სახლში ამოდის ხოლმე.



სალიტა:

— ტყუილია (იციინათ)! სამსახურის შემდეგ ერთმანეთის დანახვაც ალარ გვინდა...

პაპი:

— ხანდახან „ჯგუფური გასვლები“ გვაქვს, მაგალითად — სახინკლეში, რესტორანში... ერთხელ ერთად ბოულინგიც ვითამაშეთ.

— რა პროფესიის ხართ?

სალიტა:

— მომავალი ხელოვნებათმცოდნე (სალიტა მესამე კურსის სტუდენტია. — აჯტ) ვარ, მაგრამ არ ვიცი, ხელოვნებათმცოდნედ როგორ უნდა ვიმუშაო. ზოგადი განათლებისათვის ძალიან საინტერესო სფეროა. ალბათ, ეს პროფესია ამიტომაც ავირჩიე. ისე, სცენა უფრო მიყვარს...

პაპი:

— ბევრი მიფიქრია, მაგრამ ჩემს პროფესიასა და ამჟამინდელ საქმიანობას შორის პატარა „ძაღვი“ ვერ გავაბი — კვების პროდუქტების ტექნოლოგი ვარ. ერთხელ ჯგუფელმა მთხოვა, მის ძმას (რომელიც თსუ-ის მხიარულთა და საზრიანთა გუნდში თამაშობდა) დაეხმარებოდი. დასახმარებლად მისულს „გონება გადამიტრიალდა“ და მას მერე ამ სფეროში ჩავრჩი. უნივერსიტეტში სწავლა შარშან უნდა დამესრულებინა, მაგრამ სამსახურის გამო ვეღარ მოვახერხე. ახლა მეოთხე კურსზე ვარ. დარ-



ვერაც ხომ პატარა და საყვარელია?..

ჩენილ საგნებში გამოცდებს ჩავაბარებ და საოცნებო დიპლომს მივიღებ, მერე კი სწავლას მედიამენჯემენტის განხრით გავაგრძელებ.

— დასაბრუნლ „ოქცენი შოუს“ გეგმებიც გაგვანდეთ — რა სიახლეებს პპირდებით მაცურებელს?

— ახალი იდეები, რუბრიკები გვაქვს, რომლებზეც ამჟამად ვმუშაობთ. ერთ-ერთი რუბრიკა უკვე შევარჩიეთ (პრეზიდენტთან დაკავშირებით). ის ყოველ გადაცემაში — არა, მაგრამ ეთერში სშირად გავა. „ბომბა“ რუბრიკა გამოვა!..



ვინ დარჩა მოგებულ გოგა ბარბაქაძის „შუა ქალაქიდან“ წამოსვლით

მსახიობ გოგა ბარბაქაძეს ჟურნალისტებთან ურთიერთობა დიდად არ სიბლავს. ამბობს, რომ ინტერვიუს ჩაწერისას იძაბება. მსახიობს შემოქმედებითად „ცხელი“ ზაფხული ჰქონდა; ის ახალ ქართულ ზღაპარში — „ანოს და ვანოს თავგადასავალი“ გადაიღეს. რატომ დაითხოვეს გოგა ბარბაქაძე „შუა ქალაქიდან“, რატომ მიიჩნევს თავს უსაქმურად და ვინ დარჩა მოგებული მისი სერიალიდან წამოსვლით? — ამაზე მსახიობი გულახდილად გველაპარაკა.

გოგასთან ინტერვიუ რამდენჯერმე გადაიდო და სწორედ მაშინ შედგა, როცა მსახიობთან შეხვედრის იმედი გადამენურა.

„ახლა უსაქმური ვარ...“

თაყნა კვინიკაძე

— შეხვედრა აქამდე ვერ მოხერხდა. ასეთი დაკავებული ხარ? მითხარ, რას საქმიანობ?

— პირველად რომ დამირეკე, მაშინ მართლა დაკავებული ვიყავი. ახლა უსაქმური ვარ და არაფერს ვაკეთებ, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ თეატრებში ვთამაშობ. რუსთაველის თეატრში პრემიერა ახლახან გვეკონდა ანუ რეპეტიციებზე აღარ დავდივარ; ალბათ იმასაც გაიგებდი, რომ „შუა ქალაქშიც“ არ ვარ.

— ამ თემას მოგივინებთ მივუბრუნდეთ. ცნობილია, რომ ზღაპარში გადაგიღეს.

— დიას. ამ ზღაპარს „ანოს და ვანოს თავგადასავალი“ ჰქვია და ლევან დაბრუნდაშვილიმა გადაიღო. სხვათა შორის, ოპერატორიც, სცენარისტიც და რეჟისორიც თავადაა. ნიჭიერი რომ იყო, ვიცოდი (სერიალის — „შუა ქალაქში“ — ერთ-ერთი მთავარი ოპერატორი იყო), მაგრამ ასეთი ნიჭიერი თუ გახლდათ, მართლა არ მეგონა. საერთოდ, ზღაპარი რომ დაწერო, დიდი ფანტაზიის უნარი უნდა გქონდეს და ისიც უნდა გათვალა, თუ როგორ აღიქვამს ბავშვი შენს დაწერილს. ვფიქრობ, ლევანმა საინტერესო ზღაპარი დაწერა და ის მყურებელს აუცილებლად დაინტერესებს. იმ ფილმებზე წინასწარ ლაპარაკი, რომელშიც ვმონაწილეობ, არ მჩვევია, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა თამამად შემიძლია გითხრა, — „ანოს და ვანოს თავგადასავალი“ გამამართლებს!

— ეკრანზე როდის გამოვა?

— მგონი, ნოემბრის დასაწყისში. ყოველ შემთხვევაში, უკვე ამონტაჟებენ; მხოლოდ სამი დღის სამუშაო დაგვრჩა, ფინალი გადასალეები. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ფილმის დასამთავრებლად ფინანსებსაც ეძე-



თველოში ზღაპარი არ გადაუღიათ.

— ფილმში ბევრი ცნობილი ადამიანი მონაწილეობს, არა?

— დიას და მინდა გითხრა, რომ მსახიობებთან ერთად არაპროფესიონალებიც მონაწილეობენ. ამ ზღაპარში ნახავთ ნანუკა ჟორჯოლიანს, ნიკა გრიგოლიას, რუსუკა მაყაშვილს, რომელიც პუბის როლს ასრულებს. ანოს და ვანოს — ნიტა ლომიძე და ზუკა ძამუნაშვილი განასახიერებენ, მათი ძიძა ნატუკა გულისაშვილია, ბაბუა — ბადრი კაკაბაძე. ბავშვები დასასვენებლად ბაბუასთან მიდიან და ზღაპრულ სამყაროში ხვდებიან. ყვერე იწყება და რა იწყება... ყველაფერს ვერ მოგიყვები.

— თავისუფალ დროს როგორ ერთობოდით?

ბავშვი ისე იმრღებოდა, მშობლებს ვერ ნახულობდა, ახლა კი მასთან ერთად გაცილებით მეტ დროს ვატარებთ

— ღამე ვთევზაობდით. საერთოდ, თევზაობა და ნადირობა ძალიან მიყვარს, თან — ეს განტიერთვის საუკეთესო საშუალებაა.

— რაზე ნადირობ სოლმე?

— საქართველოში ცხოველზე ნადირობა არ შეიძლება, ამიტომ ფრინველზე ვნადირობ.

— არ შეიძლება თუ ნადირობ, მაგრამ არ ამჩვენ?

— არც შეიძლება და არც — ვამხელ. ისე, რომ იცოდე, მიზანში კარგად ვისვრი.

— გადასალეებ მოედანზე რა ხდებოდა? კადრს მიღმა დარჩენილი ამბები მიახებ?

— როცა კარგი ჯგუფი იკრიბება, ფილმის გადაღებას უამრავი კურიოზიც ახლავს. უკვე გითხარი, რომ ოჩოპინტრეს როლი ვითამაშე. ამ ზღაპარში არის 2 პერსონაჟი, რომლებსაც ოჩონაზი და ოჩოგანი ჰქვიათ. ოჩონაზი წყნარი, მშვიდი, კეთილი პერსონაჟია, ოჩოგანი — ძალიან ცელქი და მოუსვენარი. ერთ-ერთის როლს გიორგი ცაავა ასრულებს. ერთ ეპიზოდში მისთვის ხელი უნდა ამეყნია. ის ჩემ უკან იდგა. რამდენიმე დუბლი გადავიღეთ. ბოლოს თავი იმდენად ახლოს მოუტანია, „მოტორ“ რომ და-

ბენ: ძნელია ყველაფერი თავიდან ბოლომდე გათვალა, მით უმეტეს, საქართველოში.

— გადაღება ბათუმში გქონდათ, არა?

— ბათუმის ბოტანიკურ ბაღში გადავიღეთ. ულამაზესი ადგილია, მაგრამ ზოგჯერ, წვიმიანი ამინდი გვიშლიდა ხელს.

— შენს პერსონაჟზე რას გვეტყვი?

— ოჩოპინტრეს როლს ვასრულებ. ხშირად, მსახიობები გადაღებულ მასალას იქვე ნახულობენ, მე ასეთი რამ არ მახასიათებს: ვიდრე ფილმი ეკრანზე არ გამოვა, რეჟისორის კამერაშიც კი არ ვიჭვრიტები.

— რატომ?

— ზოგჯერ შეიძლება, შენი ნამუშევარი არ მოგეწონოს და რაღაცის გამოსწორება სცადო, მაგრამ უარესი გამოგვიდეს. ასეთ რამეს თავს ვარიდებ. მთავარია, რეჟისორს და ოპერატორს მოეწონოს.

— ოჩოპინტრეს როლზე მუშაობა საინტერესო იყო?

— საინტერესო — არა, ძალიან საინტერესო იყო. დიდი ხანია, საქარ-



იძახეს, ხელი პირდაპირ სახეში ვთხლი-
შე და ერთი დაკვრით დავაგდე. ამის
გამო ყველამ ბევრი ვიცინიეთ...

— ზღვაზე გასვლას ვერ ახერ-
ხებდით?

— ამ ერთი თვის განმავლობაში
ზღვაზე მხოლოდ ერთხელ გავედი და
წყალში მაშინაც არ შევსულვარ. ზღვის
ტალღების ყურება მომწონს, წყალში
შესვლა — არა.

— ცურვა იცი?

— წყლის ქვეშ ვცურავ, წყალზე —
ვერა. დაივინგი მომწონს. როცა მე და
მაიკო დავქორწინდით, ეგვიპტეში წა-
ვედი და მაშინ პირველად, წყლის
ქვეშ 10 მეტრ სიღრმეში ჩავედი.

— წყალქვეშა სამყარო როგორ
მოგეწონა?

— იქაურობა მარჯვებით, წყლის
ულამაზესი მცენარეებითაა საესე და
ცხადია, ჩემზე ძალიან დიდი შთაბეჭ-
დილება მოახდინა. მაიკო ჩემზე კარ-
გად ცურავს.

— წელს დასვენება ვერ მოასწა-
რო?

— საერთოდ არ დამისვენია, რად-
გან მხოლოდ 4 დღე მქონდა თავისუფ-
ალი. მაიკო და ბავშვი კოტორაანთ-
კარში იყვნენ. როგორც წესი, იქ ძა-
ლიან კარგ დროს ვატარებთ, მეგობ-
რები ამოდიან და ვერთობით. შარშან
ზაფხულში თათული ედიშერაშვილი,
თამუნა ნიკოლაძე, ოთარ ტატიშვილი,
ქართული ხმების რამდენიმე წევრი
გვესტუმრნენ და კარგად ვიხალისეთ.

— გოგა, „შუა ქალაქში“ მაყუ-
რებელი ახალ გმირებს გაიცნობს.
პირადად მე გული მწყდება, რომ
ამ სერიალის ერთ-ერთი მთავარი
გმირი — შენი პერსონაჟი აღარ
იქნება.

— ეს ამბავი ჩვენ დაახლოებით,
ერთი თვის წინ გავიგეთ.

— გულდანწყვტილი ჩანხარ.

— ყველაფერს აქვს დასასრული ან
თუ არ აქვს, ის არც ვარგა. მოკლედ,
ამ ამბისთვის მზად ვიყავი. დამთავ-
რდა და რა ვქნა?..

— ძველი მსახიობებიდან ლაშასა
და პეტოს როლების შემსრულებ-
ლები დარჩნენ, მაგრამ რატომღაც
მგონია, რომ შესაძლოა, მოგვიანებით
სცენარისტებმა ძველი გმირები და-
აბრუნონ.

— არ ვიცი, ჩემთვის ამის შესახებ
არაფერს არაფერი უთქვამს. ამიტომაც
გითხარი, — უსაქმურად ვარ-მეთქი.

— მაიკო რას საქმიანობს?

— მას, ქეთა ლორთქიფანიძესა და
მარიამ ჯოლოგუას თეატრალური სტუ-
დია აქვთ გახსნილი, ბავშვებისთვის
კასტინგი ახლახან დაასრულეს. რაც
შემეხება მე, რუსთაველის თეატრში
ვარ და „თავისუფალ თეატრში“ დად-
გმულ სპექტაკლებში — „კავკასიური
ცარცის წრე“ და „მშვენიერი ქართვე-
ლი ქალი“ ვმონაწილეობ.

— როგორც ვიცი, მაიკომ რეჟი-
სორობა დაიწყო.

— დიას. მისი „თავლობის თვე“
„თავისუფალ თეატრშია“.

— მის რეჟისორულ ნამუშევარს
როგორ შეაფასებ?

— ჩემგან ამის თქმა სწორი არ
იქნება, მაგრამ რა ვქნა, მართლა ძა-
ლიან მომეწონა. კეთილი სპექტაკლია
და ვინც ნახა, ყველა ამას აღნიშნავს.

— მუშაობის დროს რჩევებს არ
გეკითხებოდა?

— არა. მისი სპექტაკლი მხოლოდ
პრემიერის წინა ჩვენებაზე ვნახე, რე-
პეტიციასაც კი არ დავსწრებივარ. დახ-
მარება არ უთხოვია, ეს არ დასჭირვე-
ბია. ჭკვიანი ცოლი მყავს (იციინის).

— გაბრიელზე რას მეტყვი?

— გაბრიელი კაცური კაცია. უკვე
გაიზარდა, 3 წლისაა და უფრო გა-
ცელქდა. ბევრ კითხვას სვამს. ბავშვი
ისე იზრდებოდა, მშობლებს ვერ ნა-
ხულობდა, ახლა კი მასთან ერთად
გაცილებით მეტ დროს ვატარებთ და
ამით ბედნიერია. სერიალიდან ჩვენი
წამოსვლით მოგებული გაბრიელი
დარჩა.

— არტისტული ნიჭი მასაც ხომ
არ აქვს?

— ავლენს, მონაცემები აშკარად
აქვს.

— ნეტავ, ვის დაემსგავსა?

— რა ვიცი, რა ვიცი.

— პროფესია რა ასაკიდან აირ-
ჩიე?

— ბავშვობიდან მინდოდა, მსა-
ხიობი გავმხდარიყავი, მაგრამ დღე
და ღამე ამაზე ნამდვილად არ ვოც-
ნებობდი. სულ რაღაცებს ვიგონებ-
დი და ვთამაშობდი, მოგვიანებით
კი ეს ყველაფერი სერიოზულ თა-
მაში გადაიზარდა. ფილმები მიყ-
ვარდა. მასხოვს, „ილუზიონს“
მოუთმენლად ველოდებოდი, მაგრამ
მშობლებს არასდროს უთქვამთ, და-
იძინეო.

— თეატრის სცენასა და გადა-
სალებ მოედანს შორის რა განსხვავ-
ებაა?

— ძალიან დიდი განსხვავებაა. თე-
ატრი ცოცხალი ორგანიზმია: უყურებ
მაყურებელს, მისი სუნთქვა გესმის,
გრძნობ, რომელ ფრაზაზე ან მოქმე-
დებაზე როგორი რეაქცია აქვს, იქვეა
მუსიკა და ეს ყველაფერი ერთად ნამ-
დვილი საოცრებაა! ფილმში სხვანაი-
რი წესებია. იქ შეიძლება, გადალება
საფინალო სცენაზე მუშაობით დაიწ-
ყო — ანუ ჯერ „მოკლან“ და მერე
ითამაშო.

— თეატრის ზოგიერთი მსახიობი
ფილმში, სერიალში გადაღებას მხო-
ლოდ ფინანსური დანტერქების გამო
თანმდებია, შენს შემთხვევაშიც ასეა?

— რა თქმა უნდა! „შუა ქალაქში“
მისვლა არ მინდოდა, მაგრამ მაიკომ
მთხოვა.

— პოპულარობა დამლევლია?

— დამლევლი რატომ უნდა
იყოს? ადამიანს პოპულარულს ტე-
ლევიზია ხდის. ბევრს უკვირს, სე-
რიალში რომ აღარ ვარ და მეუბ-
ნებიან, — აწი აღარ ვუყურებთო.
რატომ არ უნდა უყურონ? იქნებ
„შუა ქალაქში“ ახლა ჩვენზე უკე-
თესი მსახიობები არიან? მე მათ
წარმატებას ვუსურვებ!

რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ფილმის დასამთავრებლად ფინანსებსაც ეძებენ





რატომ არ უმართლებს თამთა ჭელიძეს პირად სსოპრებში

„მინდა, აიღოვ ერთხელ უამიყვარდას“

მომღერალ თამთა ჭელიძეს სურათების გადაღება არ უყვარს, მაგრამ თუკი ფოტოებს პროფესიონალი ფოტოგრაფი უღებს, კამერის წინ სიამოვნებით პოზირებს. ცდილობს, ყოველთვის ფორმაში იყოს. გამომწვევად მხოლოდ იმ შემთხვევაში იცვამს, როცა სცენაზე დგას, სცენა და სიმღერა კი ძალიან ენატრება. თუ რა სიახლეები მომღერლის შემოქმედებაში და რატომ არ უმართლებს პირად ცხოვრებაში, ამაზე თამთა გულახდილად გველაპარაკა.

მარჯვნივ

— თამთა, როგორი ბავშვი იყავი?

— როგორც ოჯახში მეუბნებიან, — დამჯერი, ჭკვიანი ბავშვი ვყოფილვარ, მაგრამ ცოტა რომ წამოვიზარდე და ეზოში სიარული დავიწყე, ცუდი გავხდი, ბიჭებსაც კი არ ვუ-



დებდი ტოლს და ამიტომაც, ხშირად ხელები და ფეხები გადატყავებული მქონდა. გარდა ამისა, ეზოში კონცერტსაც ხშირ-ხშირად ვმართავდი, ვმღეროდი. ყველაზე მეტად ის მომენტი მომწონდა, როცა ტაშს მიკრავდნენ.

— პრანჭია თუ იყავი?

— ძალიან პრანჭია ვიყავი, მაგრამ თანატოლებისგან განსხვავებით, დედის მაღალქუსლიანი ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის ჩაცმის სურვილი

არასდროს გამჩნია, აი, მის სამკაულებსა და პარფიუმერიას კი ვემტერებოდი (იციინის). განსაკუთრებით დიდი, ბრჭყვიალა აქესუარები მომწონდა. აი, ასეთი ვიყავი ბავშვობაში. ეს ორი ფოტო განსაკუთრებით მიყვარს. ფოტოსურათი, სადაც კაბა მაცვია, ბორჯომშია გადაღებული. მშობლებს იქ ხშირად დაფიქვნი და მახსოვს, რომ კარგადაც ვერთობოდი.

— სერიოზულად რა ასაკში გაიპრანჭე?

— სკოლის დამთავრების შემდეგ. სკოლაში სწავლის პერიოდში ჩემი თაობის გოგონები ამაზე ფიქრს ბევრდროს არ ვუთმობდით, ახლანდელი მოზარდები კი გაპრანჭვას ძალიან ადრეული ასაკიდან იწყებენ.

— თმა რა ასაკში შეიღებ?

— ძალიან ხშირად ვიცვლიდი არა

ეს ორი ფოტო განსაკუთრებით მიყვარს. ფოტოსურათი, სადაც კაბა მაცვია, ბორჯომშია გადაღებული



მარტო ვარცხნილობას, არამედ თმის ფერსაც. ამ მხრივ ექსპერიმენტებს არ ვერიდებოდი, მაგრამ ბოლო დროს ქერა ვარ. მიმაჩნია, რომ ეს ფერი ძალიან მიხდება... თავიდან ინას ვიყენებდი, მაგრამ პირველ კურსზე ყოფნისას სპეციალური საღებავი ვიყიდე და თმა მუქ ბადრიჯნისფრად შევიღებე.

— ყურები ბავშვობაში გაიხრტე?

— ყურები 7 წლის ასაკში გავიხრტიე. მახსოვს, დედამ დაბადების დღეზე სალონში წამიყვანა, სადაც ყური „თოფით“ გამიხრტიეს. ჰოდა, ამით ძალიან ბედნიერი ვიყავი.



ეს ფოტო 4 წლის წინ, ევროვიზიის საიგისათვის გადამიღეს და ძალიან მომწონს

— წარბების კორექცია გაკეთებული გაქვს?

— ისეთი ფორმის წარბები მაქვს, რომ შესწორებას დიდად არ საჭიროებს, მაგრამ მასში მცირე კორექტივი მაინც შემაქვს. 15 წლის ვიყავი, როცა წარბების კორექცია პირველად გავიკეთე.

— აქესუარები გიყვარს?

— სამკაულების სიყვარული ბავშვობიდან გამომყვა. ყველაზე მეტად საყურე მიყვარს. მომწონს სამაჯურებისა და ბეჭდების ტარებაც. რაც შეეხება ყელსაბამს, მას იშვიათად ვიკეთებ, ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ძალიან მომეწონება.

— ჩაცმის როგორ სტილს ანჭებ უპირატესობას?

— ყველანაირი სტილის სამოსი შემეძლია, მოვირგო. არ მომწონს, როცა ფილარმონიაში ან თეატრში კედითა და ჯინსით დადიან. როცა ასეთ ადგილებს ვსტუმრობ, ვცდილობ შესაბამისად, კლასიკურად ჩაცმული ნაწივი. ყოველდღიურ ცხოვრებაში კი თავისუფალ სტილს ვანიჭებ უპირატესობას, „აჯაჯულ-დაჯაჯული“ დავდივარ. გამომწვევად მხოლოდ იმ შემთხვევაში ვიცვამ, როცა კონცერტში ვმონაწილეობ ან გადაღება მაქვს. მიმაჩნია, რომ სცენას ასეთი ჩაცმულობა უხდება.

— ჩაცმასთან დაკავშირებით ვის აზრს ითვალისწინებ?

— არავის აზრს არ ვითვალისწინებ. მთავარია, მე მომიხდეს და იმ სამოსში კომფორტულად ვერძნობდე



თავს. ხანდახან შეიძლება, აზრი დედასაც ვკითხო, მაგრამ ბოლოს არჩევანს მაინც იმაზე ვაკეთებ, რაც თავად მომწონს.

— გარეგნულად დედას ჰგავხარ თუ მამას?

— პატარა რომ ვიყავი, მამას ვგავდი, ახლა კი მგონი, ორივეს ვგავარ. საერთოდ, საოჯახო სურათებს იშვიათად ვიღებთ, ამიტომ დედასთან ერთად გადაღებული ეს ფოტოსურათი ძალიან მიყვარს. ლიკა ყაზბეგმა ჩვენება მოაწყო, სადაც ცნობილი ადამიანები მიგვიწვია და საქორწინო კაბები ჩაგვაცვა. ჰოდა, ეს სურათი მე, დედამ, ვერიკო ტურაშვილმა და გვანცა დარასელიას დედამ სწორედ ამ ჩვენების დამთავრების შემდეგ გადავიღეთ.

— ეს კი ქორწილის დღეს გადაღებული ფოტოა. რამდენი წლის იყავი, როცა შენ და ჯაბამ ოჯახი შექმენით?

— 16 ნოემბერს 20 წლის გავხდი, ქორწილი კი 17-ში გვექონდა. ეს ფოტო მოულოდნელად გადაგვიღეს. სახეზე გვეტყობა, რომ ბედნიერები ვართ.

— შენ და ჯაბას შვილი გყავთ...

— (მანყვეტიანებს) დიას, ლიზა 6 წლისაა და სკოლაში დადის. ძალიან დამჯერი და ჭკვიანი ბავშვია. ბედნიერი ვარ და ღმერთს მადლობას ვწირავ, მისი თავი რომ მაჩუქა. აი, ეს სურათი ძალიან მიყვარს, რადგან სწორედ მაშინ გადამიღეს, როცა ახალი გაგებული მქონდა, რომ დედა უნდა გავმხდარიყავი.

— შენ და ჯაბა ერთმანეთს წლების წინ დაშორდით. შენს პირად ცხოვრებაში ახლა რა ხდება?

— პირად ცხოვრებაში არ მიმართლებს; პირველი უიღბლო ქორწინების შემდეგ, ჩემი პირადი ცხოვრება ვერ აუწყო.

— ეი. შეყვარებული არ გყავს?



სახეზე გვეტყობა, რომ ბედნიერები ვართ

— არა, და უკვე დიდი ხანია, ველოდები იმ ადამიანს, რომელიც თავს შემეყვარებს. თუმცა, ჯერჯერობით არავინ ჩანს (იციინის). მინდა, კიდევ ერთხელ გამოვცადო ეს გრძნობა. ვერ ვიტყვი, — მეორედ გათხოვებაზე ვოცნებობ-მეთქი, მაგრამ თუკი ჩემს ცხოვრებაში გამოჩნდება ისეთი ადამიანი, რომელიც ამ საკითხზე დამაფიქრებს, ოჯახის შექმნაზე უარი რატომ უნდა ვთქვა?..

— უნდა გითხრა, რომ მშვენივრად გამოიყურები. რას აკეთებ იმისთვის, რომ ყოველთვის კარგ ფორმაში იყო?

— ქალი ყოველთვის კარგად უნდა გამოიყურებოდეს. ჩემთვის მთავარია, თმა და სახე მექონდეს წესრიგში, კარგი ფეს-საცმელი მეცვას და ნებისმიერი სტილის სამოსს მოვიხდენ.

— მშობიარობის შემდეგ ქალე



ეს სურათი ძალიან მიყვარს, რადგან სწორედ მაშინ გადამიღეს, როცა ახალი გაგებული მქონდა, რომ დედა უნდა გავმხდარიყავი

ბის უმრავლესობას წონის პრობლემა აწუხებს...

— წონის პრობლემა არასდროს მქონია. ორსულობის შემდეგ სხეულის ფორმები ცოტა კი შემეცვალა, მაგრამ არ გავსუქებულვარ. ზოგჯერ, როცა წონაში 1-2 კილოს ვიმატებ, ვცდილობ, საღამოობით აღარ ვჭამო და ამ მეთოდით ზედმეტ კილოგრამებს იოლად ვიშორებ.

— სახეს როგორ უვლი?

— სახის გასაწმენდად კოსმეტოლოგთან არასდროს მივსულვარ და ნიღბებსაც იშვიათად ვიკეთებ. ყოველ საღამოს და დილით სა-

ხეს საპნით ვიბან და კრემს ვისვამ. საერთოდ, იაფფასიან და უხარისხო კოსმეტიკას არ ვიყენებ. ამას მირჩევენია, სახეზე საერთოდ არაფერი წავისვა.



ეს სურათი მე, დედამ, ვერიკო ტურაშვილმა და გვანცა დარასელიას დედამ ჩვენების დამთავრების შემდეგ გადავიღეთ

— ცხვირის ოპერაცია გაქვს გაკეთებული. სხვა პლასტიკური ოპერაციის გაკეთებაზე თუ გიფიქრია?

— ერთი პერიოდი ვფიქრობდი, რომ ჩაცვენილი ლოყები მქონდა და მინდოდა, ამ „დეფექტის“ გამოსასწორებლად ოპერაცია გამეკეთებინა, მაგრამ მერე გადავიფიქრე.

— საერთოდ, პლასტიკურ ქირურგიაზე რა აზრის ხარ?

— თუკი ადამიანი ფიქრობს, რომ ამა თუ იმ ოპერაციის გაკეთების შემდეგ გალამაზდება და თავს უფრო კომფორტულად იგრძნობს, უნდა გაიკეთოს, მაგრამ აქაც ზომიერების დაცვა საჭირო. მაღიზიანებს და არ მომწონს, როცა ადამიანს სახესა და სხეულზე თითქმის ყველაფერი შეცვლილი აქვს.

— დაბოლოს, მითხარო, შენს შემოქმედებით ცხოვრებაში რა ხდება?

— ერთ-ერთ სერიალში როლზე დამამტკიცეს, მაგრამ ჯერ ვერ გავიმხელთ, რომელ სერიალზეა ლაპარაკი და ვინ იღებს. ამჟამად გადაღებების დაწყების მოლოდინში ვარ.

— სიმღერა, სცენა არ გენატრება?

— ძალიან მენატრება. გარკვეული მიზეზების გამო, ხანგრძლივი პაუზა გამომივიდა, მაგრამ გავაქტიურდები — მინდა, სერიოზული სიმღერა ჩავწერო, კლიპი გადავიღო და მხოლოდ ამის შემდეგ წარვდგები მსმენლის წინაშე. ეს ფოტო 4 წლის წინ, ევროვიზიის საიტისათვის გადამიღეს და ძალიან მომწონს. მენატრება ის პერიოდი, როცა აქტიური შემოქმედებითი ცხოვრებით ვცხოვრობდი.



დავიდ კომა მამოზისთვის ემზადება

ბავშვობიდან კარგად ხატავდა, დაკვირვებული თვალი ჰქონდა და შეუმჩნეველი არ რჩებოდა ვინმეს ჩაცმულობისა და ვარცხნილობის უმნიშვნელო დეტალებიც კი. 9 წლის იყო, მშობლებმა საცხოვრებლად თბილისიდან სანქტ-პეტერბურგში რომ წაიყვანეს და სწავლაც იქ განაგრძო. 13 წლის ასაკში ახალგაზრდა დიზაინერების საერთაშორისო კონკურსში — „ადმირალტიესკაია იგლა“ — სცადა ბედი და 100-ზე მეტ სტუდენტს შორის 47-ე ადგილი დაიკავა. ამას სხვა წარმატებებიც მოჰყვა და 15 წლის ასაკში რუსეთში „ვუნდერკინდი“ უწოდდეს. მოგვიანებით რამდენიმე კოლექცია შექმნა და ოცნებაც აიხდინა — ლონდონის წმინდა მარტინის კოლეჯში მოდის დიზაინსა და ქალის ტანსაცმლის ფაკულტეტზე ჩააბარა. 2006 წელს დიპლომისთვის ქართულ თემაზე მუშაობდა და მონატრებულ თბილისში რომ ჩამოვიდა, მასთან პირველი ინტერვიუ სწორედ მაშინ ჩაენერე — ასე გადაცანი ქართველ საზოგადოებას დავით კომახიძე, საკუთარი ნათლული და ამჟამად უკვე ცნობილი ლონდონელი დიზაინერი დევიდ კომა. ბევრმა თქვენგანმა იცის, რომ დღეს უკვე ბევრ ქვეყანაში ცნობილი ამ ახალგაზრდა კაცის მიერ შექმნილი კაბები მეგაფარსკვლავებსაც აცვიათ.

ბრენდი — „დევიდ კომა“ 2009 წელს დააარსა და ამ სახელით მეხუთე სეზონია, საკუთარ შემოქმედებას მსოფლიოს აცნობს. წელს „ჯორჯიან ფეშენ ვიკზე“ გვესტუმრა: მისმა პრეზიდენტმა, ქალბატონმა მაკა მეტრეველმა დავითი საპატიო სტუმრის სტატუსით მოიწვია.

„8 წელიწადია, ერთად ვართ...“

ირმა ხარშილაძე

— გარდა ჩვენებებისა, სად არ წაგიყვანეს, რა არ მოგატარეს და ძლივს მოგინებლეთ. მოდი, შთაბეჭდილებით დავიწყოთ.

— სიმართლე გითხრა, ჯერ ყველაფერი კარგად ვერც აღვიქვი. უმოკლეს დროში — 3 დღეში უამრავი რამ ვნახე. პირველი, რაც თვალში მომხვდა, ძალიან გალამა-



საშა ჩემი უახლოესი მეგობარი, პარტნიორი და საერთოდ, ყველაფერია

ზებული და განათებული ქუჩებია. ადრეც კარგი იყო, მაგრამ მაშინდელს „ვითომ კარგს“ დავარქმევ, ახლა კი ნაღდად კარგია (შეიძლება ვცდები კიდევ). გარდა თბილისისა,

მაკამ და ჩემმა მამიდამვიღმა ჯაბა კალმახელიძემ (ის უკვე ფაქტობრივად, საქართველოში ჩემი წარმომადგენელი გახლავთ) კახეთში, რთველშიც წამიყვანეს, რამაც ძალიან გამახარა, რადგან აქამდე არც კახეთში ვიყავი ნამყოფი და არც — რთველში. ძალიან ვისიამოვნე გზით: შემოდგომის კახეთი ძალიან ლამაზი ყოფილა. გზაში ცხვრის ფარა შეგვხვდა, ზღვასავით იყო, ჩვენი მანქანა კი მის შუაგულში მოექცა და ლამის, მანქანის სახურავზე ავედი: ხან ფოტოებს ვუღებდი, ხან — ვიდეოს. საგარეჯოს ლვინის ქარხანაც დავათვალიერეთ და ყურძენიც დაგვრიფეთ. მაკრატელი არ მოუციათ და ხელით ვკრეფდი. იქვე მწვადებიც შეწვეს, სოფლის ბავშვებიც გამოეფინნენ. მართალია, არც ბავშვებს და არც კახელ გლეხებს არ გავსაუბრებია, მაგრამ ზოგადად, ძალიან კარგი ატმოსფერო სუფევდა. მერე რესტორანში წავედით და უჩვეულო სიტუაციაში აღმოვჩნდი: სუფრასთან 50-60 კა-



3 დღეში უამრავი რამ ვნახე. პირველი, რაც თვალში მომხვდა, ძალიან გალამაზებული და განათებული ქუჩებია

ცი იყო, მათ შორის დეპუტატები სხვადასხვა რეგიონიდან. ყველანი სადღეგრძელოებს ამბობდნენ და მეც მადღეგრძელებს, რაც სასიამოვნო გახლდათ.

ძალიან შთამბეჭდავი იყო „სარაჯიშვილის“ კონიაკის ქარხანაში სტუმრობა. იქ არჩილ აბზიანიძემ გვიმასპინძლა და ამ კაცით აღვფრთოვანდი: ისე პროფესიულად, გასაგებად და საინტერესოდ გვიამბობდა კონიაკზე, მის ტექნოლოგიაზე, რომ უდიდესი სიამოვნება მივიღეთ. კონიაკიც მაჩუქეს, ეტიკეტით — „დევიდ კომა“.

— გითქვამს, — ამ კონიაკს მამასთან ერთად დავაგემოვნებო. მამაშენი — კოკა ხომ კარგი კონიაკის დიდი დამფასებელია...

— საშამ, ჩემმა მეუღლემ მითხრა: მამაშენს ნაუღეო. ჰოდა, მეც ვაჩუქებ და ვნახოთ, როდის დალევეს — ჩემთან ერთად თუ უჩემოდ...

— მოდი, „ჯორჯიან ფეშენ ვიკზე“ გავგიზიარე შთაბეჭდილება.

— მიხარია, რომ საქართველოს სამოდლო ცხოვრებაში პირველი ნაბიჯები იდგმება და „ფეშენ ვიკი“ აქაც ეწყობა. კრიტიკული ვერ ვიქნები და ვერც უცხოურ „ფეშენ ვიკებთან“ გავავლებ პარალელს, რადგან ეს მხოლოდ დასაწყისია. ასეთი ჩვენებების ორგანიზებას დიდი ენერჯია და თავდაჯერებულო-



ბა სჭირდება. ვფიქრობ, ყველაფერი დიზაინერებისთვის, ახალგაზრდობის გემოვნების დასახვეწად კეთდება და კიდევ იმისთვის, რომ საქართველოში სამოდულო საქმიანობა განვითარდეს. რაც შეეხება სხვა დიზაინერებზე ჩემს შეხედულებას, ისინი ჩემი კოლეგები არიან და მათი შემოქმედების გარჩევას სახალხოდ არ დავინწყებ. რასაკვირველია, თუკი რომელიმეს პირადად მოესურვება ჩემთან გასაუბრება და ჩემი რჩევა დასჭირდება, არავის დავზარდები. ერთს კი ვიტყვი: მომეწონა და მესიამოვნა, რომ თითოეულ კოლექციაში მეტნაკლებად არსებობდა საერთო ხაზი, რაც კოლექციაში აუცილებლად უნდა ჩანდეს. და კიდევ, ფერების შეხამება და პროპორციები მომეწონა. საერთოდ, ცალკე რომელიმე სამოსს — ქვედატანს ან ფეხსაცმელს არასდროს ვაფასებ. ამით კლიენტები და ბეიერები უნდა დაინტერესო. მე დიზაინერის სამყარო მაინტერესებს და სრული ამბის „მოსმენა“ მინდა. სამოდულო ბიზნესში თავის დამკვიდრება იოლი ნამდვილად არ არის. ჯოჯოხეთური შრომა, 24-საათიანი მუშაობა მიწვევს ნამუშევრების შესაქმნელად და ეს საქმე სულაც არ არის ისეთი სახალისო, როგორც ადრე მეგონა (*ილიმის*). თუმცა ბედნიერი ვარ, რომ პროფესიის არჩევისას არ შევცდი, ამ საქმის გარეშე მართლა ვერ ვიცხოვრებ.

— დათო, მშობლების თანადგომა და მორალური თუ მატერიალური მხარდაჭერა რომ არ გქონოდა, ამდენს მიაღწევდი?

— მთავარი ის კი არ იყო, რომ ვთქვათ, ადრეულ წლებში დედაჩემის — ლალის მოქსოვილი კაბა გამომიტანია ჩვენებაზე ან შეკერვაში დამხმარებია, არამედ გაცილებით მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ყოველთვის მაძლევდა ღირებულ რჩევას; მეუბნებოდა, რომ დამოუკიდებლად უნდა გავცნობოდი, წამეკითხა, შემესწავლა, მომეფიქრებინა, მიმეგნო, ჩავწვდომოდი სამოდულო საქმის თითოეულ ნიუანსს, დეტალს, თვითონ დამემყარებინა კონტაქტებიც. ყოველთვის ვიცოდი, რაც უნდა გამეკეთებინა. მშობლები დამეხმარებოდნენ და გამიმარებდნენ ზურგს, მაგრამ კიდევ ვიმეორებ: ისინი უჩემოდ არავის არაფერზე მოლაპარაკებინა და შეთანხმებინა, ჩემ ნაცვლად არავის არაფერი უკეთებია და ეს ძალიან დამეხმარა. მშობლების მად-

ლიერი ვარ, რომ დამოუკიდებლობის უფლება მომცეს.

— როგორც ვიცი, მამაშენს ყოფილ ფეხბურთელ კოკა კომპანიძეს სურდა, რომ შენ და შენი უმცროსი ძმა — ბექა ფეხბურთელები გამოსულიყავით...

— კი, ეს ვიცოდი და ჯერ ფეხბურთით დავინწყე, მერე — ჩოგბურთს ვთამაშობდი, მაგრამ ხომ ხედავ, ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა: არც ფეხბურთელები გავბდი და არც — ჩოგბურთელები. მართალია, ბექა კარგა ხანს თამაშობდა ჩოგბურთს, მაგრამ საბოლოოდ, მანაც სხვა გზა აირჩია. მას ლამაზი ოჯახი აქვს — მეუღლე ტანია და ახალდაბადებული ვაჟი — სანდრო. მარიამიც გყავს — 6 წლის დაიკო, რომელსაც ჩვენგან განსხვავებით, მშობლები სხვაგვარად ზრდიან. ის სხვა თაობის ადამიანია, ძალიან თავისუფალი და უკვე დამოუკიდებელი. ვნახოთ, თუ ხატვის ნიჭი აღმოაჩნდება და ხელოვნებით დაინტერესდება, ამით ძალიან გამახარებს; მერე ლონდონში ჩამოვა და ჩემთან და საშასთან იცხოვრებს.

— მეუღლე — საშა ყოველთვის შენ გვერდითაა და რასაკვირველია, თბილისშიც შენთან ერთად ჩამოვიდა.

— საშა პროფესიით სოციოლოგია; მოხუცებსა და „ბომბებს“ უნდოდა, დახმარებოდა, მაგრამ ახლა მე მეხმარება (*ილიმის*). კომპანიაში საორგანიზაციო საქმეებსა და ბიზნესს სწორედ ის უძღვება. საშას არც გამორჩეული ჩაცმა-დახურვა უყვარს, არც განსაკუთრებულად მოდურია. მისთვის ადამიანური ურთიერთობებია მნიშვნელოვანი; ჭკვიანია და იცის, რა უნდა. ის რომ არა, კომპანია „დევიდ კომაში“ არაფერი იქნებოდა.

— ფაქტობრივად, საშას მიანდვი ყველაფერი... საკუთარ გულთან ერთად.

— დიახ. ბედნიერი ვარ, ასეთ ადამიანს რომ შევხვდი. ერთმანეთი პეტერბურგში გავიცანი და 8 წელიწადია, ერთად ვართ. ის ჩემი უახლოესი მეგობარი, პარტნიორი და საერთოდ, ყველაფერია.

— ძალიან დაკავებული კი ხართ, მაგრამ დრო არაა, შვილებს იფიქროთ?

— მორჩა, უკვე ვფიქრობთ! ადრე არ მინდოდა, მაგრამ ახლა შვილის ყოლაზე მართლა ვფიქრობ. რაკი მიზანი დავისახეთ, ამ წლიდან მის განხორციელებასაც შევუდგებით (*იციინის*).

ჯოჯოხეთური შრომა, 24-საათიანი მუშაობა მიწვევს ნამუშევრების შესაქმნელად და ეს საქმე სულაც არ არის ისეთი სახალისო, როგორც ადრე მეგონა



თალიზი

თმის გადარეგების კლინიკა

ბაჰაჰანის ქ. 27 ბაულ: 214-15-15
www.talizi.ge



„კარენოი“ თბილისელის ამერიკული ამხანაგები

ცოტა ხნის წინ ამერიკიდან საქართველოში მსახიობი სათუნა იოსელიანი ჩამოვიდა. მასთან საუბარი ყოველთვის საინტერესოა, მით უფრო, რომ უკვე რამდენიმე წელია, ამ ქალბატონს საქართველოს საზღვრებს მიღმა უწევს ცხოვრება. ჰოდა, როგორც კი მსახიობის თბილისში ჩამოსვლის შესახებ შევიტყვევ, უმალ მისკენ გავეშურე...

„ახლა ლალი ვარ და მადლოვანი ვარ იმ ქვეყნის, რომელიც მებაზრონოს“

ლალი ფასია

— ამერიკაში პირველად 2007 წელს, დეიდაშვილის ქორწილში ჩავდი. იქ ყოფნისას ბევრ საკითხში გავთვითცნობიერდი. მაგალითად, გავიგე, რომ არსებობდა პროგრამა — „ამერიკისთვის საჭირო ადამიანები“, რომელშიც მსახიობები, პიანისტები, მოქანდაკეები, მხატვრები მონაწილეობენ. ამ პროგრამაში რომ ჩაერთო, პროფესიული გამოცდილება უნდა გქონდეს. მასში ჩართვის სურვილი მეც გამიჩნდა და ამერიკას, უკვე მეორედ, ამიტომაც ვეწვიე. იქ შევხვდი ცუცა კაპანაძეს, რომელმაც თავისი მეგობრები — ცოლ-ქმარი ლია და ვიქტორ სირელსონები გამაცნო, მანამდე კი სერიოზულ დახმარებას მიწვედნენ ეკა ცინცაძე და მისი მეუღლე — შარუთა დერდერიანი. მათ ბევრი რამ გადამატანინეს და მიმიწვიეს კორპორაციაში — „კავკასიექსპრესი“, რომელიც ჟურნალსაც გამოსცემდა. მას ილია და მაია ბარამიძეები ხელმძღვანელობდნენ. კორპორაციაში მიმიწვიეს როგორც რეჟისორი და ბავშვების აღმზრდელი. ჩამოვყალიბებ პატარა, ქართული მოზარდ მაყურებელთა თეატრი და „ნაცარქექიას“ დადგმა გადავწყვიტე. იმ თეატრში ცუცა კაპანაძეც მივიწვიე და „ნაცარქექიაში“ ვახუშტის როლი (ეს პერსონაჟი მე გამოვიგონე) ვათამაშე. თავის დროზე მიშა თუმანიშვილმა, ანტონ თავზარაშვილმა, ლილი იოსელიანმა ისეთი ცოდნა მომცეს, რომელიც ამერიკაში სერიოზულად დამეხმარა. რეჟისორობაზე არასდროს მიფიქრია და ეს დარგი არც მხიბლავდა, მაგრამ როგორც ამბობენ, კარგი რეჟისორული ნამუშევრები გამომივიდა.

— გამოცდილი რეჟისორებისთვის კონსულტაციისთვისაც არ მიგიმართავთ?

— თავიდან დახმარებისთვის გოგი ქავთარაძეს, ჩემს უსაყვარლეს

რეჟისორსა და მეგობარს ვურეკავდი, რჩევას ვეკითხებოდი. უნდა აღვნიშნო, რომ მაია ბარამიძე გენიალური ტექნიკური რეჟისორი და შესანიშნავი ადმინისტრატორია. უდიდესი დახმარება გამინია. მოკლედ, ამერიკაში მცხოვრებ ქართველ ბავშვებს რალაცები ვასწავლე. მე და ცუცა საამისოდ ენერჯიას, ცოდნასა და გამოცდილებას არ ვიშურებთ. მერე ექსპერიმენტი ჩავატარე — თეატრისა და კინოს სინთეზი მოვახდინე; გადავიღე და დავდგი ნოდარ დუმბაძის „შელადოსი“. ოპერატორად ერთი მშვენიერი ბიჭი — ზურა ქათამაძე მყავდა. ჩემი სახლის წინ, ოკეანეზე ისეთი რიფები იყო, რომ სოხუმი მახსენდებოდა. ჰოდა, ავდექით და ის რიფები კამერით დავაფიქსირეთ. ეს იყო ფილმი და სპექტაკლი ერთად — იწყებოდა ეკრანზე და გრძელდებოდა სცენაზე. ბავშვებმაც კარგად ითამაშეს და ექსპერიმენტმაც გაამართლა. მერე, კრიზისის გამო, კორპორაცია „კავკასიექსპრესი“ გაუქმდა. მერე ჩამოვყალიბებთ კორპორაცია — „გრაალი“. სხვათა შორის, „გრაალი“ პრეზიდენტ სააკაშვილის მეუღლე — სანდრა რულოვსი გვეწვია. კარგად იმღერა და ბავშვებს თავისი ნიგნები დაურიგა... მოგვიანებით კორპორაცია „გრაალიც“ დაიშალა. ვიქტორ სირელსონს საოცრად უყვარს ქართული კულტურა. გადასარევად მღერის და ცეკვავს ქართულად. მას დაარსებული აქვს ორგანიზაცია — „მოცეკვავე წერო“. ჰოდა, მე და ცუცა იქ გადავედით.

— საქართველოს ნოსტალგია არ გაქვთ?

— არა. უბრალოდ, შვილი და შვილიშვილი მენატრებიან. ჩემებს ინტერნეტის საშუალებით ვეკონტაქტები... საქმეში იმდენად ვარ ჩაფულული, რომ ნოსტალგიისთვის დრო არ მრჩება: საბავშვო თეატრის გარდა, მოზარდილების თეატრიც გვაქვს, დავდივართ გასტროლებზე. მა-



ლე გასტროლი კანადაში გვექნება. ვაპირებ, ნოდარ დუმბაძის „თეთრი ბაირალების“ დადგმას... ცუცას უკვე დაწყებული აქვს მუშაობა „აკაკი წერეთელზე“...

— ქალბატონო სათუნა, არც კინოს ნოსტალგია გაქვთ?

— კინოსა და სცენის გარეშე ცხოვრება ნამდვილად მიჭირს. ამ ქვეყნიდან ისე არ წავალ, ხანუმა რომ არ ვითამაშო... ისეთ კარგ რეჟისორებთან მაქვს ნამუშევარი, როგორებიც არიან: რეზო ჩხეიძე, თემურ ბაბლუანი, ნანა ჯორჯაძე, ოთარ შამათავა, ტატო კოტეტიშვილი, ოთარ ლითანიშვილი, მიხო ბორაშვილი და ა.შ. აქ ჩამოსულს, ეკა ანდრონიკაშვილმა — „ჯვარტის“ ხელმძღვანელმა სიურპრიზი დამახვედრა: ჩეხები და რუსები ერთობლივ სურათს იღებენ და მე, გოგა პიპინაშვილი, ეკა ჩხეიძე, გიარონიშვილი და ბაადურ წულაძე მიგვიწვიეს. ჯერჯერობით მხოლოდ ის ვიცი, რომ ბებიის როლს მომცემენ, მაგრამ უკვე ველავ — კამერის წინ უნდა დავდგე — ანუ ჩემს საყვარელ გადასაღებ მოედანს დავუბრუნდები.

— ისე, სამშობლოში საბოლოოდ დაბრუნებას არ აპირებთ?

— დრომ მოიტანა ჩემი ამერიკაში გამგზავრება და ისევ დრო თუ მოიტანს ჩემს უკან დაბრუნებას... მსახიობს მისი პროფესიონალიზმის შესაფერისი ხელფასი უნდა ჰქონდეს, აქეთ-იქით სირბილი არ უნდა უხდებოდეს; ვილაცემმა, ვისაც ეს ევალება და ენება, უნდა გაითვალისწინო და მიხედონ ქართულ კინოს, თეატრს, მხატვრობას...



ისე, თავი ემიგრანტად არ მიმაჩნია, რადგანაც იქ უამრავი ქართველია. ნიუ-იორკში შესანიშნავად ვგრძნობ თავს, რადგანაც ყოველდღიურად აღარ მესმის პოზიცია-ოპოზიციის ჯახაჯუხის შესახებ... მსუბუქად და მარტივად კი ვლაპარაკობ, მაგრამ ბახტრიონის ქუჩიდან ნიუ-იორკში, „სქენდ ავენიუზე“ გადასვლა ძნელია, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკა მართლაც, კარგი ქვეყანაა და მგონია, რომ ჩემია, რადგანაც საოცრად თავისუფალია! ახლა მეტყვიტ, — მერედა, აქ ვინ დაგიშალა თავისუფლად ცხოვრებაო? არავის შეუუვიწროებია, მაგრამ საქართველო ტერიტორიულად რომ დააპატარავეს, ეს მანუხებს! მტკივა ის, რომ ჩემი ძმა — საშუა იოსელიანი აქ მოკვდა, მეორე ძმაც რომ მოკვდა და ვერ ვიპოვე; ჩემი ლევან აბაშიძე და მასთან ერთად, ბევრი კარგი ბიჭი ამ ქვეყნიდან უდროოდ რომ წავიდა. დაცარიელდა ქალაქი და ამ ყველაფერზე ნებისმიერ ქართველს ეტირება... იცით, ამერიკაში სამუშაოდ საქართველოდან რა გოგოები (ნატა იმნაიშვილი, თინიკო ყენია, ნანა ყიფიანი, თინა ტალახაძე, ლალი მელიქიშვილი) არიან ჩასულები?! ერთმანეთზე უკეთესები — ჟურნალისტები, არტისტები, მოცეკვავეები, ექიმები, ნამდვილი პროფესიონალები...

— როცა ამერიკაში გამგზავრება გადანყვიტეთ, ამ ამბავს თქვენი კოლეგები და მეგობრები როგორ შეხვდნენ?

— ჩემები არ მიშვებდნენ ალბათ იმიტომ, რომ „ხაჩსაჩა“ ქალი ვარ, სულ ვიცინი და ვკისკისებ... კი ვამბობ, — ნოსტალგია არ მანუხებს-მეთქი, მაგრამ როგორ შეიძლება, ჩემი გული აქ არ იყოს?! ჩემი გული „ძმათა სასაფლაოზეა“, სადაც ჩემი ძმაცაა დაკრძალული; დედის საფლავიც აქ მაქვს... საქართველოში ბევრი რამ არის, რაც მაღელვებს.

— დედა და ძმები ახსენეთ. იოსელიანების გვარიდან ბევრი ცნობილი ადამიანი გამოსული...

— ამერიკაში ვიყავი, როცა ბატონი ოტისას გარდაცვალების ამბავი შევიტყვე და ძალიან მეწყინა; მისი შვილებისთვის სამძიმრის თქმა ჯერ ვერ მოვასწარი. ჩემი ყოფილი მეუღლეც გარდაიცვალა და მის გასვენებაშიც ვერ ჩამოვედი, მაგრამ რას ვიზამთ, ამ ცხოვრებაში ყველას თავისი დრო და ჯვარი აქვს. ძალიან მიყვარს ჩემი გვარის ყველა წარმომადგენელი. მაქვს იოსე-

ლიანების გერბიც, რითაც ვამაყობ. საწყალმა ავთო იოსელიანმა ბოლო ინტერვიუ ჩემთან ერთად მისცა. ვგიჟდებოდი მასზე და ჯაბა იოსელიანზეც. სხვათა შორის, ლილი და ჯაბა ჩემი გარე ბიძაშვილები არიან... მოდი, დიდებული პიროვნება, ადმირალი იაროსლავ იოსელიანიც გავიხსენოთ და პლატონ იოსელიანიც, ცნობილი ქართველი ისტორიკოსი. მოკლედ, ბევრი კარგი ადამიანი იყო და არის ჩვენს გვარში... ერთმა კაცმა, მის ვინაობას არ დავასახელებ, მითხრა, — რა გაგიკეთებიათ ქვეყნისთვის იოსელიანებსო? არაფერი მითქვამს. აბა, ხომ არ ვეტყვოდი: გენაცვალე, საქართველოს ისტორია ისწავლეთ-მეთქი...

— თქვენს ცხოვრებაში ყველაზე კაშკაშა პერიოდად რომელს მიიჩნევთ?

— ყველაზე კარგად ის პერიოდი მახსენდება, როდესაც საშუა — ჩემი ძმა დაიბადა, მერე მავა — ჩემი შვილი რომ გაჩნდა (პირველი შვილი დაღუპული მყავს და მერე დიდხანს არ მიჩნდებოდა), შემდეგ შვილიშვილის, საშვიკო კალმახელიძის დაბადებამ გამახარა... გრანპრიმაც უდიდესი სიხარული მომგვარა... ბევრი ტკივილი გადამიტანია არა მარტო პირად, არამედ შემოქმედებით ცხოვრებაშიც. ყოფილა შემთხვევა, როცა ამა თუ იმ როლზე დავუმტკიცებდნენ და მერე მოვუხსნივარ; მაშინ „ცეკა“, „ტეკა“ იყო და ყველას თავისიანი

ვაპირებ, ნოდარ დუმბაძის „თეთრი ბაირაღების“ დადგმას... ცუცას უკვე დაწყებული აქვს მუშაობა „აკაკი წერეთელზე“...

ჰყავდა მისახედი. მოკლედ, ბევრჯერ დაცემულვარ და ფენიქსით აღვმდგარვარ... ახლა ლალი ვარ და დიდი მადლობელი ვარ იმ ქვეყნის, რომელიც მპატრონობს. ის ზოგადად, ყველა ქვეყნის პატრონი ქვეყანაა! უფალმა იმ დროს შემომამშველა ხელი, როცა საჭირო იყო...

— ვფიქრობ, რომ კინოში თქვენი რეალიზაცია სათანადოდ არ მოხდა...

— ეს ჩემი ბრალიცაა, ყველაფერს სხვას ვერ დავაბრალებ. ცხოვრებაში ისეთი 7 წელი მქონდა, რო-

ცა, როგორც მსახიობი, უმოქმედო ვიყავი... ამის მერე წავედი რუსთავის თეატრში, სადაც ვითამაშე სპექტაკლში „რეკვიემი ვერცხლის ქორნილისათვის“, რომელიც თამაზ ბაძალუას პიესის მიხედვით დაიდგა. იქ ასეთი მონოლოგი მქონდა: „მე მინდა, 25 წლის შემდეგ გითხრა, რომ აღარ მიყვარხარ. მე არ ვარ შენი მონა, შენ არ შეგიძლია მე მიყილო, ჩანთაში ჩამდო და მატარო“. ამ მონოლოგს რომ ვკითხულობდი, მეგონა, ჩემს სათქმელს ვამბობდი...

— არტისტის ნიღაბი ცხოვრებაშიც თუ მოგიგიათ?

— არა. სახლში არტისტობა რაში მჭირდება? ადამიანებთან ურთიერთობაში თბილი, მაგრამ ამავედროულად, მხეციც ვარ... ზოგადად, ადამიანები მიყვარს. როცა ამერიკაში მყოფს ქუჩაში მაჩერებენ და მეფერებიან, ცრემლები ჩამომდის და ვფიქრობ, ეს ყველაფერი რატომ რუსთაველზე არ ხდება-მეთქი? ის ხალხი, ვინც იქ მეფერება, დასაფასებელია, რადგან თითოეული მათგანი ამერიკაში მუშაობით საქართველოში დარჩენილ ოჯახს ინახავს. თავს ვხრი იმ ჩემი ქართველების წინაშე, ვინც იქ არიან...

— როგორ ფიქრობთ, ცხოვრებაში თქვენმა სილამაზემ სომ არ გაგნოთ?

— სილამაზე არაფერ შუაშია,



საკუთარ თავს თვითონ ვაწვნი, რადგანაც ხისტი აღმოვჩნდი. საერთოდ, ჯობია, ურთიერთობაში დიპლომატი იყო; იოსელიანმა კაცთან მოქცევაც არ იცის... ჰოდა, ახლა ასეთი კარგი ფაქტურა ურეალიზაციოდ დავრჩი (იცინის)!

— მამაკაცებს აქტიური ქალები არ უყვართ...

— არც ისეთი აქტიური ვარ, როგორიც შორიდან ჩანს...



ცხოვრება

„ქალაქელ კინტოვას“ სოფელში პირველი

რედაქციიდან სახლში რომ ვბრუნდები, ხშირად ვხედავ ერთ მოხუცს, რომელსაც საცხოვრებელ კორპუსებს შორის პატარა ბაზარი გაუმართავს და ბოსტნეულითა და ხილით ვაჭრობს. უბნის მცხოვრებნი მას უკვე კარგად იცნობენ და ერთი დღე რომ არ გამოჩნდეს, მოისაკლისებენ ხოლმე ტკბილად მოსაუბრე ნათელა ბაბოს. რამდენი წლის ხართ-მეთქი? — გამოველაპარაკე ერთხელ. 85 წლისო, — მიპასუხა. ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოთ, ასე ყოჩაღად და მხნედ კიდევ დიდხანს იყავით-მეთქი, — ვუსურვე მოხუცს და ვთხოვე, ჩვენი ჟურნალისთვის თავისი ცხოვრების შესახებ მოეთხრო. დაიმორცხვა: — აბა, რა ჟურნალში დასაბუქდი ქალი მნახეო და გვარი, ჩემი დიდი თხოვნის მიუხედავად, მაინც არ მითხრა. ნათელა ბაბო ანუ „ქალაქელი კინტო“, როგორც თავის სოფელში ეძახიან, კახეთიდანაა. არ მოსწონს ქალაქური ცხოვრების წესი, მაგრამ სიბერეში, ლექსების წერასთან ერთად, გაჭირვებამ ვაჭრობაც დააწყებინა.

ნილო ჯაბახიშვილი

— ეგეჰ, ისევ კომუნისტების დრო ვიზოდა... რას წარმოვიდგენდი, თუ სარჩოს საშოვნელად ამ ხნის ქალი სოფლიდან ქალაქში გადმოვიხვენივობდი?! რას აღარ მოვესწარი, შვილო, ჩემი ხნისა ქვევ აღარ დაგორავს. ომიანობის წლები და ათასი ჭირ-ვარამი გამოვიარე. მასსოვს, ლამპის შუქზე დედაჩემთან ერთად, საჩეჩელზე ძაფს ვართავდი და წინდებსა და ხელთათმანებს ვქსოვდი ფრონტზე გასაგზავნად. თავიდანვე ასეთი ყოჩაღი ქალი ვიყავი. უგემურობითა და უბედურებით გადავიტანეთ ომიანობის წლები. ყანას რომ იღებდნენ, მერე თავთავს ვკრეფდით ხოლმე, პური რომ გვექონოდა. 3 დედამამიშვილი ვიყავით. მამა ომში წაიყვანეს, მაგრამ ქერჩის ბრძოლების შემდეგ, ისევ უკან დააბრუნეს.

— მისი დაბრუნება გახსოვთ?

— როგორ არ მასსოვს. ჩემი და ძალიან დარდობდა უმამობას და ცუდად იყო. ერთი ოთახი გვექონდა და ყველა იქ ვცხოვრობდით. ბებიაჩემი და დედაჩემი ჩემი დის სანოლთან იყვნენ ჩამომსხდრები, რომ უცებ ხმა გავიგეთ, — ოჯახის შვილებო, სახლში ხართო? — დაიძახა ვიღაცამ. ჩემმა დამ მამაჩემის ხმა იც-

ნო და მაშინვე ლოგინიდან წამოხტა შესახვედრად.

— რამდენი წლის გათხოვით? ან სად გაიცანით მომავალი მეუღლე?

— 22 წლის ვიყავი, როდესაც მეზობელმა ერთი ბიჭი გამაცნო და ოჯახმა გადაწყვიტა, გავთხოვიყავი. რას ამბობ, შვილო, ბიჭებს როგორ დაველაპარაკებოდით, გვერიდებოდა. მაშინ კი არა, ამ ხნის ქალი

ვარ და ახლაც მერიდება უცხო კაცთან დალაპარაკების...

— აბა, თქვენს დროს სიყვარულს არ უხსნიდნენ ერთმანეთს?

— (ეცინება) უხსნიდნენ, მაგრამ რა ვიცი, ჩემთვის სიყვარული არავის აუხსნია, გარიგებით გამათხოვეს.

— ისე, რომ თვითონ არ მოგწონდათ საქმრო?

— როგორ არა, კაცო! რომ არ მომწონებოდა, ხომ არ გავყვებოდი! მაღალი, ლამაზი ბიჭი იყო. მერე შემეყვარდა კიდევ, მაგრამ მალევე დავქვრივდი — ქმარი 27 წლისას მომიკვდა და ერთადერთი შვილი დამრჩა.

— მერე, არ გაგიჭირდათ მართოს შვილის გაზრდა? არ შეგეშინდათ მართო დარჩენილს ან გათხოვებაზე აღარ გიფიქრიათ?

— აბა, რას ამბობ? მთხოვნელები კი მყავდა, მაგრამ ჩემს შვილს მამინაცვალს დავაყენებდი თავზე?! ერთი წუთითაც არ შემშინებია. ბავშვს მოხუცებულ დედასთან ვტოვებდი და სამ ადგილას ერთდროულად ვშუშობდი. მაშინ ხომ სამსახურის შოვნა ძნელი არ იყო. 48 წელი რაიონის საავადმყოფოში სანიტრად ვიმუშავე, 10 წელი კი — ფოსტაში. სამსახურიდან წამოსული კოლექტივშიც ვასწრებდი მუშაობას. სხვები რომ დაისვენებდნენ, მე ისევ თოხს ვიღებდი ხელში და ვმუშაობდი. აბრეშუმის ჭიას ვუვლიდი და მთავრობას ვაბარებდი. აი, ეგეთი ყოჩაღი ვიყავი და დღესაც ყოჩაღი ვარ... იცი, რამდენი სიგელი და მედლი მაქვს მიღებული? მერე ჩემი შვილიშვილები დაარბენინებდნენ აქეთ-იქით. გარდა ამისა, ბოსტანსაც ვამუშავებდი — ვთოხნიდი და ვბარავდი კიდევ, ვუნახსაც ვწამლავდი და დასაბერტყად კაკლის ხეზეც თვითონ ავდიოდი. რა მექნა, მართოხელა ქალი ვიყავი და ყველაფერი — კაცისა და ქალის



ჩემს შვილს მამინაცვალს დავაყენებდი თავზე?!



საქმეც ჩემს კისერზე იყო. წესიერი და პატიოსანი შვილი მყავს, მთელ რაიონში იცინან, როგორი კარგიც არის. მატყუარა და ავაზაკი რომ იყოს, ცხოვრება-ქონებაც ექნებოდა და აქ ვაჭრობა კი ალარ დამჭირდებოდა... ნეტავ, ხომ არ გამიბრაზდება, ასეთ რამეებს რომ გელაპარაკები? არ მითხრას, ეს რაები გითქვამსო, ოჯახის წევრებს არ ვანყენინო...

— რატომ უნდა გაბრაზდნენ? ყველას კი არ ჰყავს ისეთი კარგი და ყოჩაღი დედა ან ბაბო, როგორიც თქვენ ხართ — თქვენით უნდა იამაყონ...

— რას ამბობ, ბაბო გენაცვალოს? აბა, მე რა საამაყო ქალი ვარ?! მთელი ჩემი ცხოვრება ნვალეხასა და დარდში გავლიე. ახლაც ვწვავლობ, ზამთარ-ზაფხულ ქუჩაში ვდგავარ და ხილსა და პროდუქტს ვყიდი. ჩემი შვილიშვილი სტუდენტი რომ გახდა, აქ უპატრონოდ ხომ ვერ გამოვუშვებდით?! შვილი და რძალი თან ვერ გამოჰყვებოდნენ, რადგან სოფელში საქონელიც მისახედა და მიწაც. მკითხეს: — შენ ხომ არ წახვალ? უარს როგორ ვეტყვიდი?! ვიდრე შემიძლია, ჩემებს რაემი გამოვადგე, თავს როგორ დავზოგავ?! აქ ჩამოსულს დარდისგან 3 დღე სიცხე მქონდა. არ მიყვარს აქაურობა. სოფელში უსაქმურად რა გამაჩერებდა? ლევს, შვინდს, მაცყვალს, ტყემალს ვკრეფდი და გასაყიდად ბაზარში მიმქონდა. აქ კი რა უნდა მეკეთებინა? ქირაც გადასახდელი იყო, გზის ფული, ჩაცმა, ჭამა ხომ სჭირდებოდა ჩემს შვილიშვილს და ვთქვი: დედას ვუჭირებ ამ ცხოვრებას, რამეს მოვიფიქრებ და ჩემს შვილს შევეშელავათები-მეთქი. 2 ვედრო ავიღე და ბაზარში წავედი. ყურძენი ვიყიდე და რადგან გზაც არ ვიციოდი, ავლაბრიდან მომავალ „მარშრუტკას“ გამოყვევი და საბურთალოზე ჩამოვედი.

უცებ გავყიდე და 7 ლარი მოგება დამჩნა. მეორე დღესაც ასე გავაკეთე და აგერ უკვე 7 წელია, ქუჩას შემოვრჩი. აქ უკვე ყველა მცნობს. ერთი დღეც რომ ვერ მნახონ, მომიკითხავენ ხოლმე: — როგორ ხარ, ნათელა ბაბო, ცუდად ხომ არ იყავი, რომ არ ჩანდიო? ზამთარში თბილი ტანსაცმელი მოაქვთ — არ შეგცივდესო. ზოგჯერ პატრული მიშლის ხოლმე — აქ დგომა და რამის გაყიდვა არ შეიძლებაო და ჩემი ვედრებით მანქანებს ვეფარები, ზოგს კი ვეცოდები და არაფერს მეუბნება. ნეტავ, ვის რას ვუშლი?!
— ნათელა ბაბო, რამდენი შვილიშვილი გყავთ?
— ოთხი — 2 გოგო და 2 ბიჭი.

ერთმა სამედიცინო დაამთავრა, სამსახურს ეძებს და ვერ შოულობს. ორდინატურაშიც ხომ უნდა ჩააბაროს, ისე რა გამოვა?

— ყველაფერში მშვენივრად ხართ გარკვეული. დროს არ ჩამორჩებით...

— რად უნდა ჩამოვრჩე ვითომ? თელავში საექთნო და საბუღალტრო მაქვს დამთავრებული. იცი, რამდენი ლექსი ვიცი ზეპირად?! კითხვა მიყვარს. „ვეფხისტყაოსნის“ ბევრი სტროფი

ვის მოსწონდა. მამისმინე, ნინო, მე ჩემი აზრი მაქვს, მაგრამ თან არც მინდა, ვინმეს ვანყენინო. რა ვქნა, არ მომწონს, წახევრად ტიტვლები რომ დადიან ქუჩაში და არავისი არ ერიდებათ. კაცო, ისეთი კაბები აცვიათ, გაგიჟდები. ამას წინათ „მარშრუტკაში“ ერთი გოგო ფულის მისაცემად რომ დაიხარა, ყველაფერი გამოუჩნდა. შევატყვევე, ბიჭებს თვლები დაებრიცათ. გოიმებს ეძახიან,

ზოგჯერ კატრული მიშლის ხოლმე — აქ დგომა და რამის გაყიდვა არ შეიძლებაო და ჩემი ვედრებით მანქანებს ვეფარები, ზოგს კი ვეცოდები და არაფერს მეუბნება. ნეტავ, ვის რას ვუშლი?!

წყალივით ვიცი. ახლა — ბარათაშვილი?.. „წარვედ წყლის პირს სევდიანი ფიქრთ გასართველად/ იქ ვეძიებდი ნაცნობ ადგილს განსასვენებლად/ იქ ლბილს მდელოზედ სანუგეშოდ ვინამე ცრემლით/ იქაც ყოველი არემარე იყო მოწყენით/ ვინ იცის, მტკვარო, რას ბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვი/ მრავალ დროების მონამ ხარ, მაგრამ ხარ უტყვი“. აბა, დაუფიქრდი, ამ სიტყვებში რამდენი რამაა ჩადებული, რამდენი ტკივილი!.. რა იყო, შვილო, რა გაცუებული მიყურებ, არ შეიძლება, პოეზია მიყვარდეს?.. ლექსებს თვითონაც კი ვწერ...

— როგორ არ შეიძლება, მაგრამ ის მივირს, ამ ასაკში ასეთი კარგი მესიერება რომ გაქვთ და ისიც, თქვენგან განსხვავებით, დღევანდელ ახალგაზრდობას რომ არ შეუძლია პოეზიის ასეთი აღქმა...

— ეჰ, შვილო, შენ მოგწონს ახლანდელების საქციელი? მაგრამ ყველა ერთნაირი ხომ არ არის! ჩემი შვილიშვილები ბიჭებს ახლოს არ ეკარებიან. როდესაც სტუმრად თავიანთი ძმის მეგობრები მოდიან, ოთახიდან გარეთ არ გამოდიან. ძალიან მორიდებული გოგონები არიან. სხვები კი ბიჭებს კისერზე ეკიდებიან და ჩემ თვალწინ კოცნიან, განა მოერიდებათ ვინმესი?! პაპიროსაც ეწევიან, ხალხნო! აბა, ეს რა მოსაწონი საქციელია?!

— რატომ გიკვირთ? ადრეც ხომ ეწოდნენ ქალები?

— ჩემს დროს თითო-ოროლა თუ მოსწევდა. მახსოვს, საავადმყოფოში ერთი ქალი ეწეოდა — ანიჩკა ერქვა და ყველა მასზე ლაპარაკობდა. არა-

ხომ, ვინც ასე არ იცვამს? ჰოდა, მთლად გოიმებივით ნუ ჩაიცვამენ, მაგრამ ცოტა მაინც დაიფარონ სხეული...

— მოკლედ, ქალაქური ცხოვრების წესი არ მოგწონთ, ხომ?


— მაღალი წნევა მაქვს, თიაქარიც მანუხებს და ვატყობ, თვალისჩინიც მაკლდება, მაგრამ მაინც არ ვუტყდები სიბერეს — ოღონდ, სოფელში ვიყო და თოხსა და ბარზე ვიმუშავებ — აბა, ვაჭრობა რა ჩემი საქმეა?! ყიდვა-გაყიდვა ძალიან მეჯავრება. ნეტავ, ჩემი შვილიშვილი გათხოვდეს, რომ მეც სოფელში წავიდე და დავისვენო აქაურობისგან. ყოველ დღით, 4 საათზე უკვე ბაზარში ვარ და 4-5 ვედროთი დატვირთული აქამდე ძლივს მოვდივარ ხოლმე. ღმერთმა გაახაროს მძღოლები, ხშირად მესმარებიან. სოფელში რომ ჩავდივარ, იქაურები დამცინიან: აი, „ქალაქელი კინტოც“ ჩამოსულაო!.. სხვა გზა არა მაქვს, თორემ „ქალაქელ კინტოობას“ სოფლელობა მიჩრჩენია.

— ნათელა ბაბო, რას ინატრებდით?

— უკვე ძალიან დაღლილი ვარ ცხოვრებით და სიცოცხლე აღარ მინდა... ვისურვებ, რომ ჩემი შვილი თავის ოჯახთან ერთად, კარგად იყოს და კიდევ — მთელ საქართველოს და ყველა ქართველს ღმერთმა გადმოგვხედოს და გონება გაგვინათოს. მე კი, სანამ შევძლებ, ვიბრძოლებ და ვიშრომებ შვილისთვის, შვილიშვილებისთვის და შვილთაშვილისთვის, რომელიც ჯერ ძალიან პატარაა. ენაცვალოს იმათაც და თქვენც — ყველას ნათელა ბაბო!..



ბერტოლტ ბრეხტი პროლეტარულ ბანსაცხელში გამოყოფილი ეზუბიანი ჰამპირი



გერმანელი დრამატურგი და პოეტი ბერტოლტ ბრეხტი XX საუკუნის თეატრალური სამყაროს ერთ-ერთი გავლენიანი ფიგურა იყო. მან ჯონ გეის „მათხოვრის ოპერა“ „სამგროშიანი ოპერის“ სახელწოდებით გაასცენიურა. მოგვიანებით შექმნა პიესები: „დედილო კურაჟი“ და „კავკასიური ცარცის წრე“. ბრეხტი ანტიფაშისტი იყო, ამიტომ, 1933 წელს გერმანია დატოვა და სკანდინავიასა და აშშ-ში ცხოვრობდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ავსტრიის მოქალაქეობა მიიღო. 1949 წელს, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში თეატრალური დასი — „ბერლინის ანსამბლი“ დააარსა. მის ნამუშევრებს შორის არის „გალილეის ცხოვრება“, „სენზანელი კეთილი კაცი“, „არტურო უის კარიერა“ და არაერთი სხვა. ბრეხტი კლასიკოსია. ის „ეპიკური დრამის“ შექმნას ცდილობდა და მყურებელს სცენაზე მიმდინარე მოქმედებისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებას უწერდავდა.

„საქსი ბაქსტის სანაცვლოდ“

ბრეხტის ბიოგრაფიის ინგლისელი მკვლევარი — ჯონ ფუეჯი შეეცადა დაემტკიცებინა, რომ ბრეხტი მისი თხზულებების ერთადერთი ავტორი არ იყო და რომ ის პიესების უმრავლესობას საყვარლებთან ერთად ქმნიდა, რომ 20-იანი წლების დასაწყისიდან, დრამატურგის მეგობარი ქალების უმრავლესობა მასთან და მისთვის

მუშაობდა. დაუსრულებელი თავგადასავლებისა და უამრავი სასიყვარულო ურთიერთობის მიუხედავად, ბრეხტი სათუთი გულის ადამიანი იყო და როდესაც ქალთან რომანი ჰქონდა, მისგან დიდ ადამიანს ქმნიდა. ბერტოლტ ბრეხტი „სექსუალური რევოლუციის“ ერთგვარი წინამორბედი და წინასწარმეტყველიც კი იყო. მისი ახალგაზრდული გატაცებებიდან აუგსბურგელი ექიმის შვილი — ჰაულა ბანსოლცი უნდა გავიხსენოთ, რომელმაც 1919 წელს მწერალს ვაჟიშვილი — ფრანკი გაუჩინა. მოგვიანებით, ბერტოლტის გული აუგსბურგის სამედიცინო ინსტიტუტის შავკანიანმა სტუდენტმა — ჰედი კუნმა დაიპყრო. 1920 წელს ბრეხტის საყვარელმა ქალმა — დორა მანჰაიმმა თავისი მეგობარი, ნახევრად ინგლისელი, ნახევრად გერმანელი ელიზავეტა ჰაუპტმანი გააცნო. იმხანად ბრეხტი ახალგაზრდა მგელს ჰგავდა — გამხდარი, თავგადასხოტრილი, ხელში სიგარით... მუდამ თავყანისმცემლობით გარშემორტყმული, ტყავის პალტოში გამოწყობილი მარქსისტი კინემატოგრაფისტებთან, ქორეოგრაფებთან, მუსიკოსებთან მეგობრობდა. ელისაბედ ჰაუპტმანი „მგზნებარე მანიფესტის“ — „ბაალის“ დაწერაში ეხმარებოდა, რომელმაც იმდროინდელ თეატრალურ სამყაროში გადატრიალება მოახდინა. ის არაჩვეულებრივი ქალი თარგმნიდა ინგლისურიდან და ბრეხტთან სანოლსაც იყოფდა და სანერ მაგიდასაც... „სექსი ტექსტის სანაცვლოდ“ — ასეთია მკვლევრის ყოვლისმომცველი, მაგრამ ძალზე უხეში ფორმულირება. ფუეჯის აზრით, მწერლის საუკეთესო ნაწარმოებებს სწორედ ის ქალები წერდნენ, რომელთაც „პროლეტარულ ტანსაცმელში გამოწყობილი ეშვებიანი ვამპირი“ ლოგინში იწვევდა, მაგრამ გერმანელი დრამატურგის შემოქმედების მკვლევართა უმრავლესობა ამ მოსაზრებას კატეგორიულად არ ეთანხმება. 1922 წელს ბრეხტი მიუნხენის ოპერის მომღერალ — მარინა ცოფზე (ორი ფეხმძიმობის შემდეგ) დაქორწინდა, მაგრამ ქორ-

წინება ხანმოკლე აღმოჩნდა. მათი ქალიშვილი — ჰანე ჰიობი მოგვიანებით მამის პიესებში თამაშობდა. ქორწინებიდან მცირე ხანში დრამატურგმა მსახიობი — კაროლა ნეერი გაიცნო. როდესაც დრამატურგი ხელში გიტარას აიღებდა და მჭახე ხმით ბალადას დაამლერებდა, მაღალი, ტანსრული შავგვრემანი მარინა ცოფი, საკმაოდ დიდი მუცლის მიუხედავად, შფოთავდა და სავარაუდო მეტოქეებს მზერით ეძებდა. პოტენციურ მეტოქეებს შორის კაროლა ნეერიც იყო, მაგრამ კაროლასა და ბერტოლტს შორის სასიყვარულო რომანი რამდენიმე წლის შემდეგ გაჩაღდა. 1924 წელს ელენა ვაიგელს კონკურენციას ვერავინ უწევდა, რომელმაც მწერალს ვაჟიშვილი — სტეფანი გაუჩინა, ხოლო 5 წლის შემდეგ, ცოლის სტატუსი კატეგორიულად მოითხოვა და მიიღო კიდევ. ამ ქორწინების შემდეგ, მარი-ლუიზა ფლიასერმა ბერლინი დატოვა, ხოლო გერმანიის კომპარტიის წევრმა — ელიზაბეტ ჰაუპტმანმა თვითმკვლელობა სცადა. კაროლა ნეერის დაბრუნება სადგურში გათამაშებული დრამატული სცენით დაგვირგვინდა: მას შემდეგ, რაც ბრეხტმა დაქორწინების შესახებ აცნობა, კაროლამ ნაჩუქარი ვარდები სახეში მიაცარა...

შემოქმედებითი აპიბალის თანააპტორი

მარგარეტ შტეფინისა და ბრეხტის გზები 1930 წელს გადაიკვეთა. ბერლინელი ქვისმთელის ქალიშვილმა ექვსი უცხო ენა იცოდა, თანდაყოლილი სმენა, სამსახიობო მონაცემები და ლიტერატურული ნიჭი ჰქონდა. ერთი სიტყვით, თავისუფლად შეეძლო დრამატურგის ან პოუზიის სფეროში რაიმე მნიშვნელოვანი შეექმნა — ნაწარმოები, რომელიც ავტორზე მეტხანს იცოცხლებდა, მაგრამ შტეფინმა შემოქმედებითი გზა სრულიად შეგნებულად, საკუთარი ნებით აირჩია — შემოქმედის ხვედრზე უარი თქვა და ბრეხტთან მუშაობა არჩია. ერთდროულად სტენოგრაფისტიც იყო, საქმის მწარმოებელიც და რეფერენტიც... ბრეხტი მასწავლებლად მხოლოდ ორ ადამიანს აღიარებდა — ლიონ ფოიხტვანგერსა და მარგარეტ შტეფინს. ეს ნაზი, მოკრძალებული ქერთიანი ქალი თავდაპირველად მემარცხენე ახალგაზრდული მოძ-



რაობის წევრი იყო, შემდეგ კი კომუნისტურ პარტიაში გაერთიანდა. მათი თანამშრომლობა 10 წელიწადს გრძელდებოდა. საბჭოთა კავშირში გამოცემულ ბრეხტის საუკეთესო პიესათა კრებულში შესული ექვსი პიესის სატიტულო ფურცლებზე წვრილი შრიფტით წერია: „მ. შტეფინთან თანამშრომლობით“. გერმანულ ლიტერატურათმცოდნე ჰანს ბუნგეს კი მიაჩნია, რომ მარგარეტ შტეფინს „სამგროშიანი ოპერისა“ და „ბატონ იულიუს კეისრის საქმის“ შექმნაშიც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის.

მარგარეტ შტეფინის წვლილი ბერტოლტ ბრეხტის შემოქმედებითი კაპიტალის შექმნაში მხოლოდ ამით როდი ამოიწურება. იგი ბრეხტის სხვა პიესების შექმნაშიც მონაწილეობდა, დრამატურგთან ერთად თარგმნა მარტინ ანდერსენ ნეკსეს „მოგონებები“, ესმარებოდა საგამომცემლო საქმიანობაში, მრავალი წლის განმავლობაში ეწეოდა ბრეხტის შემოქმედების პროპაგანდას საბჭოთა კავშირში. ამ საქმიანობასთან შედარებით, გაცილებით მცირეა ის, რისი შექმნაც თავად შეძლო: რამდენიმე საბავშვო პიესა, მათ შორის „მფარველი ანგელოზი“, რამდენიმე მოთხრობა და ლექსი... მარგარეტ შტეფინის სიმამაცე, მოთმინება და ნებისყოფა გაცუბასა და აღფრთოვანებას იწვევს. მარგარეტისა და ბრეხტის ურთიერთობის საიდუმლო და ამოსავალი წერტილი სიყვარული იყო. მარგარეტს ბრეხტი უყვარდა და მისი თავდადება, მისი ბრძოლა ბრეხტის ლიტერატურის პოპულარიზაციისთვის, უანგარო თანაავტორობა ალბათ ამ სიყვარულის გამოხატულება იყო. მან ერთხელ ბრეხტს რუთ ბერლაუსთან ერთად, დივანზე პიკანტურ პოზაში წაასწრო. ბერტოლტმა 2 საყვარლის შერიგება უჩვეულო გზით მოახერხა: მისი თხოვნით, შტეფინმა რუთის რომანის გერმანულ ენაზე თარგმნა დაიწყო, ბერლაუმ კი გრეტას პიესის — „მას რომ მფარველი ანგელოზი ჰყოლოდა“ — დანიის თეატრების სცენებზე დადგმის ორგანიზება ითავა... ტუბერკულოზით დაავადებული მარგარეტ შტეფინი 1941 წელს მოსკოვში, ომის დაწყებამდე 18 დღით ადრე გარდაიცვალა. სწულდება ბოლო სტადიაში იყო და მარგარეტის საშინლად იტანჯებოდა, მაგ-

რამ ექიმებს მისი გამძლეობისა და სიცოცხლის დაუოკებელი სურვილი აოცებდა. მარგარეტის გარდაცვალების შესახებ ცნობა ბრეხტმა ვლადივოსტოკში მიიღო, საიდანაც ამერიკის შეერთებულ შტატებში გემით უნდა გამგზავრებულიყო. „გრეტას დაკარგვა ჩემთვის უმძიმესი დარტყმაა“, — აღნიშნავდა ის ერთ-ერთ წერილში. ქალ „თანამშენთან“ გამოჩენამდე ბრეხტს ქალთა სახეების შექმნა უჭირდა. დედილო კურაჟის სახე შესაძლოა, მთლიანად მარგარეტ შტეფინმა მოიფიქრა და გამოიქრნა...

**„აპაქსიური ცარცის წრე“
და ჯლასიკოსის
პარბნიორაზი**

30-იან წლებში საბჭოთა კავშირში რეპრესიები დაიწყო. შემდეგ იყო ომი, ემიგრაცია, ახალი ქვეყნის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა... ულამაზესი სკანდინავიელი მსახიობი, საბავშვო მწერალი და დანიის პირველი მუშათა თეატრის დამაარსებელი — რუთ ბერლაუ ბრეხტმა ემიგრაციაში ყოფნის დროს გაიცნო. სწორედ მისი მონაწილეობით შეიქმნა — „კავკასიური ცარცის წრე“ და „სიმონა მაშარის სიზმრები“. მოგვიანებით რუთ ბერლაუ ბრეხტისა და მისი მეუღლის — ელენა ვაიგელის ურთიერთობას ასე იხსენებდა: „ბრეხტი ცოლთან წელიწადში მხოლოდ ერთხელ, შობის წინ წვებოდა. საღამოობით სპექტაკლის შემდეგ ახალგაზრდა მსახიობ ქალთან ერთად ბრუნდებოდა და მეორე სართულზე ადიოდა. დილით კი ელენა ვაიგელის ხმა გაისმოდა: „ეი, ჩამოდი, ყავა მზად არის!“ ამ ყველაფრის მომსწრე თავად ვარ, რადგან მაშინ მათ მეზობლად ვცხოვრობდი“. რუთ ბერლაუს შემდეგ ბრეხტის ცხოვრებაში ფინელი მეამულე — ჰელა ბუოლიოკი გაჩნდა, რომელმაც მწერალი თავის სახელში შეიკედლა, დოკუმენტებით მოამარაგა და ყოველმხრივ ეხმარებოდა. მწერალი, პუბლიცისტი და ლიტერატურათმცოდნე — ჰელა

ბუოლიოკი მსხვილი კაპიტალისტი იყო, ამასთან, საბჭოთა დაზვერვას ეხმარებოდა და, როგორც ამბობდნენ, რუსებს ნილს ბორთან „მისასვლელი“ გზა გაუკვალა. ბერტოლტ ბრეხტი სოცრალიზმის ცოცხალ კლასიკოსად იყო აღიარებული, მაგრამ მან იმით ისარგებლა, რომ ელენა ვაიგელი ავსტრიელი იყო და ორმაგი მოქალაქეობა გააფორმა, შემდეგ მისი თხზულებათა პირველი სრული კრებულის გამოცემის უფლება დასავლეთგერმანულ გამოცემულ პეტერ ზურკამპს გადასცა, საერთაშორისო სტალინური პრემიის მიღება კი შვეიცარიული ფრანკებით ისურვა. ამ ფულით კოპენჰაგენთან ახლოს, პატარა სახლი იყიდა და რუთ ბერლაუს აჩუქა, მაგრამ რუთი ბერლინში დარჩა, რადგან კვლავაც უყვარდა ამა ქვეყნის სიამეთა მოყვარული ბრეხტი...

1955 წელს სტალინური პრემიის მისაღებად ბრეხტი ცოლთან და ახალ სატრფოსთან, თეატრ „ბერლინერ ანსამბლის“ რეჟისორის ასისტენტ კეტე რიულკე-ვაილერთან ერთად გაემგზავრა. ამ ხანებში დრამატურგი მსა-



ქალ „თანამშემქეთა“ გამოჩენამდე ბრეხტს ქალთა სახეების შექმნა უჭირდა

ხიობმა კეტე რაიხელმა მოხიბლა, რომელიც ასაკით შვილად ერგებოდა. 1954-1955 წლებში ბრეხტთან მდივნად მუშაობდა იზოტ კილიანი. მისი ქმარი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილ ნეომარქსისტ-ინტელექტუალთა დაჯგუფების წევრი იყო. ბრეხტმა მოურიდებლად ურჩია, ახლა გამოირდი და 2 წლის შემდეგ, თავიდან დაქორწინდიო. მალე ბერტოლტს მეტოქეობა



„რომ გავიგა, დედა ცოცხალი იყო, გული წაივიდა“

ამ ადამიანებს გული ყველაზე მეტად საკუთარმა მშობლებმა ატკინეს, თანაც ისე ძალიან, რომ ზოგიერთმა მათგანმა პატიების უნარი დაკარგა... ერთი შეხედვით, შესაძლოა, აგრესიულები და გულდასურულები მოგეჩვენონ, სინამდვილეში, ძალიან გულჩვილები და მიმნდობები არიან... საკმარისია, თბილად გაუღიმო, მცირე ყურადღება მიაქციო და მაშინვე დაგიმეგობრდებიან. ეს მგრძობიარე, სათუთი სულის ადამიანები მშობლებმა მხოლოდ იმიტომ უარყვეს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონენი არიან... ალბათ, მკითხველს დააინტერესებს, როგორია მათი ყოველდღიური ყოფა, რაზე ოცნებობენ, რა სტიკვათ, რა უხარიათ...

გმობლებისგან უარყოფილი შვილები

სათუნა ბახტურიძე

ჩემი რესპონდენტები — ელენე, გიორგი, მანანა, სინა, ვალერი, მათა სენაკის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სახლში გაიზარდნენ, შემდეგ ზოგი მარტყოფის, ზოგიც დუშეთის და ზოგიც ქუთაისის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანსიონატში გადაიყვანეს.

ელენე, 29 წლის:

— ბევრ რამეზე დამწყვეტია გული, ხშირად ჩუმივარ მიტირია, მაგრამ ასლა ძალიან ბედნიერი ვარ იმიტომ, რომ ცოტა ხნის წინ, ყველაზე დიდი ოცნება ამისრულდა.

— **რა ოცნება აგისრულდა?**

— დედაჩემის ხმა გავიგონე. ეს ოცნება დუშეთის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სახლის დირექტორმა, დარეჯან ცომაძემ ამისრულა. დედაჩემი სწორედ ამ ქალბატონმა მოძებნა. გაირკვა, რომ ის ახლა უკრაინაში ცხოვრობს. ტელეფონში მისი ხმა რომ გავიგონე, სინარულის ელდა მეცა. იმ დღეს ძალიან ბედნიერი ვიყავი.

— **დედამ პირველად რა გით-**

ხრა?

— ზუსტად ეს სიტყვები მითხრა — „ელენა, დედა, შვილო, როგორ ხარ?“

— **ნანოს, რომ ბავშვთა სახლში დაგტოვა?**

— თურმე არ იცოდა, რომ ცოცხალი ვიყავი. ექიმებს მოუტყუებიათ, — შენი შვილი მოკვდაო.

— **დედა ქართველია?**

— არა, რუსია, მამაჩემია ქართველი. სულ რაღაც ერთი წელია, რაც უკრაინაში გადასახლებულან.

— **დედმამიშვილები თუ გყავს?**

— კი, ერთი ძმა და ძმისშვილები მყავს, მაგრამ ჯერ არც ის დამლაპარაკებია და არც — მამა.

— **დედა ხშირად გირეკავს?**

— კი.

— **ელენე კიდევ რაზე ოცნებობ?**

— მშობლებთან ჩახუტებაზე და... მინდა, რომ ექვთანი გამოვიდე.

გიორგი, 30 წლის:

— მეც ვოცნებობ მშობლების ნახვასა და მათთან ჩახუტებაზე, მაგრამ ჯერ კიდევ არ ვიცი, ვინ არიან ისინი. ადრე თუ გვიან, აუცილებლად ვიპოვი.

— **კიდევ რა მიზანი გაქვს?**

— მინდა, რომ მომღერალი გავხდე, ცხოვრება მოვიწყო და დავოჯახდე.

მანანა, 26 წლის:

— მე ვიპოვე მშობლები, ერთი დღე მათთან ერთადაც ვიცხოვრე, მაგრამ გული ძალიან მატკინეს.

— **რას გულისხმობ?**

— როდესაც მშობლებს შევეხმინე, მკაცრი ხმით მკითხეს, — ჩვენი ვინაობა და მისამართი საიდან გაიგეო? ერთი დღე ძლივს ამიტანეს, მეორე დღეს მომატყუეს — შენი ძმის ქორწილში უნდა წაგიყვანოთო და ისევ პანსიონატში მომიყვანეს. მხოლოდ ბებიას შევეცოდე. ცრემლიანი

ახალგაზრდა პოლონელმა რეჟისორმა გაუწია. მწერალი ეჭვიანობდა, მაგრამ კილიანმა ასაკოვანი თაყვანისმცემლის კეთილგანწყობილება კვლავ დაიბრუნა და 1956 წლის მაისში მწერალმა მას ახალი ანდერძის ტექსტი უკარნახა, რომელიც იზოტ კილიანს ნოტარიუსთან უნდა დაემონებინა, რაც დაუდევრობის გამო არ გააკეთა. ანდერძში კი ნათქვამი იყო, რომ დრამატურგი რამდენიმე პიესის საავტორო უფლებას ელიზაბეტ ჰაუპტმანსა და რუთ ბერლაუს უთმობდა, კეტე რაიჰელს, იზოტ კილიანსა და სხვებს კი ქონების ნაწილს უტოვებდა... 1956 წლის პირველ სამ თვეში ბრესტმა სპექტაკლის — „გალიციის ცხოვრება“ 59 რეპეტიცია ჩაატარა და გარდაიცვალა. იგი ჰეგელის გვერდით დაკრძალეს. ელენა ვაიგელმა მეუღლის ანდერძი არ აღიარა და მემკვიდრეობას ერთპიროვნულად დაეპატრონა, თუმცა არშემდგარ მემკვიდრეებს გარდაცვლილი მეუღლის ნივთების ნაწილი აჩუქა...

სექსუალური მაგნეტიზმის, ჭკუის, სხვათა დარწმუნების ნიჭის, თეატრალური და საქმიანი ალღოს წყალობით მრავალ მწერალ ქალს იზიდავდა. საქვეყნოდ ცნობილია, რომ თაყვანისმცემელ ქალთა პირად მდივნებად გადაქცევა ჩვევად ჰქონდა, ცნობილია, რომ სინდისი არ ქენჯნიდა, როდესაც სხვის იდეას ითვისებდა, ლიტერატურული საკუთრების მიმართ აგდებული დამოკიდებულება ჰქონდა და გულწრფელად ირწმუნებოდა, რომ ეს „ბურჟუაზიული და დეკადენტური ცნებაა“. ბრესტს მუდამ ჰყავდა საკუთარი „ზანგები“, უფრო სწორად — „ზანგი“ ქალები. მას უამრავი ქალი ჰყავდა, მაგრამ ჭეშმარიტება ის არის, რომ ეს მრავალმხრივი ადამიანი შემოქმედებაში იყენებდა ყველაფერს, რაც მის გვერდით იბადებოდა და იქმნებოდა — წერილებს, ლექსებს, სცენარებს, დაუმთავრებელ პიესებსა თუ ჩანახატებს... ეს ყველაფერი მის ხარბ, კვიმატ და დაუოკებელ შთაგონებას კვებავდა, რადგან მას მყარი ბაზის შექმნა შეეძლო იმ ყველაფრისთვის, რაც სხვებს მხოლოდ ბუნდოვან ესკიზად წარმოედგინათ. ბრესტმა თეატრის ძველი წეს-კანონები დინამიკით ააფეთქა და თეატრს რეალობის ასახვა აიძულა.

მოამზადა ნატო მანჯავიძემ



სინა და მანანა



თვალეებით გამომაცილა. ამ ამბავზე ჩემზე ისე იმოქმედა, რომ სიგარეტის მოწევა დავინწყე.

— **მათი პატიება შეგიძლია?**

— ოლონდ, აქ მაინც მინახულონ და ვაპატიებ.

სინა, 26 წლის:

— ვერ ვაპატიებ მშობლებს იმას, რაც გამიკეთეს.

— **ასეთი რა გაგიკეთეს?**

— დედამ პირდაპირ მითხრა, ავადმყოფი რომ იყავი, იმიტომ დაგტოვეო. ჩემს სანახავდ პირველად დეიდაშვილი მოვიდა. რომ ვკითხე, — დედა მყავს თუ არა-მეთქი? მიპასუხა, — ცოცხალი აღარ არისო. თურმე მომბატყუა, მოგვიანებით მითხრეს, რომ სიურპრიზის გაკეთება უნდოდათ. როცა გავიგე, დედა ცოცხალი იყო, გული წამივიდა... 3 დღე ვიყავი სახლში. თავიდან ყველა (დედა-მამა, და-ძმა) კარგად შემხვდა. მერე რა მოხდა, არ ვიცი... პანსიონატში რომ დავბრუნდი, ძალიან ცუდად ვიყავი, ფსიქოლოგი დამჭირდა, რომ მდგომარეობიდან გამოვსულიყავი. მერე ეკლესიაშიც დავინწყე სიარული.

— **შეყვარებული ხომ არ გყავს?**

— კი, მყავს. კარგი ბიჭია.

— **დაქორწინებას აპირებ?**

— არ ვიცი, პანსიონატში დაქორწინება არ შეიძლება.

— **შენი შეყვარებულიც პანსიონატში ცხოვრობს?**

— კი.

პალარი, 28 წლის:

— ვიცნობ მაგის შეყვარებულს, მართლა კარგი ბიჭია.

— **შენც გეყოლება შეყვარებული.**

— როგორ გითხრა, მე მიყვარს, მაგრამ ის რას ფიქრობს ჩემზე, არ ვიცი.

— **ისიც პანსიონატის ბინადარია?**

შამომითვალა, – გათხოვილი ქალი ვარ, თანაც პროკურორის ცოლი და არ მინდა, ჩემი ქმრის რეპუტაცია შეილახოსო

— არა.

— **როდის უნდა გაუშვილო შენი გრძნობის შესახებ?**

— ჯერ მაგის დრო არ არის. ჩემი მიზნები მაქვს მისალწევი. ცნობილი მომღერალი უნდა გავხდე.

— **პანსიონატში როგორ მოხვდი?**

— დედაჩემს მოსკოვში გაუჩინივარ და იქვე დაფუტოვებოდა. წლისა და ცხრა თვის რომ გავხდი, თბილის-

ში ჩვილ ბავშვთა სახლში გადმომავბანეს. 3 წლის ასაკში სენაკის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სახლში გადამიყვანეს და დღემდე იქ ვარ. გავიგე, რომ დედაჩემი ქუთაისელი პროკურორის ცოლი იყო და მასთან ერთი შვილი ჰყავდა. ახლაც ის ცოცხალი აღარ არის, რამდენიმე თვის წინ გარდაცვლილა.

— **მისი ნახვა თუ მოასწარი?**

— დედამ უარი თქვა ჩემთან შეხვედრაზე.

— **ხომ არ იცი, მიზეზი რა იყო?**

— თავისი დის პირით შემომითვალა, — გათხოვილი ქალი ვარ, თანაც პროკურორის ცოლი და არ მინდა, ჩემი ქმრის რეპუტაცია შეილახოსო. თავიდან პროკურორი მამაჩემი მეგონა, მერე გავარკვიე, რომ დედაჩემი სტუდენტობისას, თავის შორეულ ნათესავს შეუცდენია. ქუთაისელ პროკურორს დედა სიგიჟედმე შეყვარებია და ყველაფრის მიუხედავად, ცოლად შეურთავს. რადგან დედამ უარმყო, მამის მოძებნა გადავწყვიტე, მაგრამ მის ოჯახში რომ მივედი, ბებია მსახლიდან გამომაგდო, ასე მითხრა, — ჩემს შვილს სხვადასხვა ქალთან იმდენი შვილი ჰყავს, ყველა აქ რომ მოვიდეს, ხომ გაგვიყდიო.

— **მამათქვენს ოჯახი თუ აქვს?**

— კი, ცოლი და ერთი ბიჭი ჰყავს. სხვათა შორის, ძმამ და ბიძაშვილმაც ერთი წლის წინ პანსიონატში მომაკითხეს. მითხრეს, რომ მამაჩემი ციხეში იყო და როგორც კი გათავისუფლდებოდა, ჩემს სანახავდ მაშინვე მო-

ვიდოდა. მამა ციხიდან იანვარში გამოვიდა, მაგრამ არ მინახულა, რატომღაც ძმამ და ბიძაშვილმაც უარმეყვეს. ალბათ შეეშინდათ, მათთვის ქონება არ გამყვო. ჩემი მშობლები ძალიან უღირსები აღმოჩნდნენ. ჯანმრთელი ადამიანი უნარშეზღუდულთა პანსიონატში გამოსაკეტად გამოიმეტეს. იცით, სწავლა როგორ მინდოდა? პანსიონატში რას ვისწავლიდი?! ორივეს შევუთვალე, — თუ ჩემი ნახვა

არ გინდათ, განათლების მიღებაში მაინც დაემხმარეთ-მეთქი. ორივეს ჰქონდა ამის საშუალება, მაგრამ არც ერთი არ დაემხმარა. ამას მათ ვერასდროს ვაპატიებ.

— **ვალერი, რამე ხომ არ გეშლება, ჯანმრთელი ბავშვი უნარ-**



სენაკის პანსიონატის აღმრდილები თავიანთ ხელმძღვანელთან, თეა სიმონიასთან ერთად

შეზღუდულთა სახლში როგორ მიგიღეს?

— სხვათა შორის, სენაკის უნარშეზღუდულ ბავშვთა სახლში მართლაც არ მიღებდნენ, მაგრამ დედაჩემმა თავისი პროკურორი ქმრის დახმარებით დიაგნოზი გააყალბა. იცით, ჩემს დიაგნოზში რა წერია? — ვითომ მე ცერებრალური დამბლა მაქვს. გვაგარ ახლა მე იმ ადამიანს, რომელსაც ცერებრალური დამბლა აქვს?

თანარი, 28 წლის:

— არ ვიცი, ვინ მომიყვანა პანსიონატში. არც მშობლებს ვიცნობ. ნეტავ, დედაჩემი შორიდან მაინც დამანახვა. ოლონდ, მასთან შემხვედრად და თუ უნდა, ნურაფერს ამისნის, მხოლოდ ერთხელ ჩამიხუტოს დედაშვილურად...

მაია, 30 წლის:

— ჩემი მშობლები დუშეთის პანსიონატის ხელმძღვანელების დახმარებით მოვქებნე და დღემდე მაქვს მათთან ურთიერთობა. დედას ყველაფერი ვაპატიე. როგორც თავად მითხრა, — ექიმებმა შეაცდინეს, უთხრეს, რომ სასიკვდილოდ ვიყავი განწირული და ჩემს გადარჩენას ვერ შეძლებდნენ.

— **ხშირად გეზიანებია?**

— კი.

— **შინ ნაყვანას ხომ არ გაბრუნდებოდა?**

— რა ვიცი, ჯერ ყველაფერი წინ არის...



„მისი ჰოეზია ნათელია და ლაღი“

გიორგი კალანდაძე პოეტა იმ თაობის წარმომადგენელია, რომელიც სამწერლო ასპარეზზე გასული საუკუნის 30-იან წლებში გამოვიდა. ამ თაობას სიჭაბუკეშივე გამოაკლდნენ: ლადო ასათიანი, მირზა გელოვანი და ალექსანდრე საჯავია. გიორგი კალანდაძემ სამოც წელს გადააბიჯა და, მიუხედავად უმძიმესი ცხოვრებისა — გადასახლებული გახლდათ პოლიტიკური მოტივით, მოასწრო, გამოექვეყნებინა ორიგინალური ნაწარმოებების, თარგმანებისა და ლიტერატურული გამოკვლევების რამდენიმე ათეული კრებული. მის მოღვაწეობას არაერთი მიმოხილვა მიეძღვნა, მისი სახელი და გვარი კი ქართულ ენციკლოპედიაშია შეტანილი.

ორმა სარშლიაქი

2011 წელს გიორგი კალანდაძის დაბადებიდან 100 წლისთავი შესრულდა. ამ საიუბილეო თარიღს მიუძღვნა გამომცემლობა „მთანმინდამ“ მისი პოეტური ნაწარმოებებისა და თარგმანების „ერთტომეული“, სადაც ლექსები თემატურადაა დაყოფილი. იქვეა წარმოდგენილი საბავშვო ლექსები და თარგმანები.

სწორედ პოეტის დაბადების 100 წლისთავს დაუვუკავშირეთ ჩვენი პუბლიკაცია და გადავწყვიტეთ, კიდევ ერთხელ შეგახსენოთ გიორგი კალანდაძის ღვაწლი ქართული კულტურის განვითარებაში და მის ცხოვრებაზეც გიაგებოთ.

პროლოგი თარიღებით

გიორგი კალანდაძე 1911 წლის 24 აგვისტოს ზესტაფონის რაიონის დაბა ძირულაში დაიბადა. შეიძენილედის დამთავრების შემდეგ, 1927 წელს, სწავლა ჯერ თბილისის ინდუსტრიულ ტექნიკუმში, ხოლო 1933 წელს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე განაგრძო. 1938 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში. 1942-1949 წლებში რეპრესირებული იყო საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ჯგუფთან თანამშრომლობისათვის. 1954 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1973 წელს — სადოქტორო დისერტაციები. 1957 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა საქართველოს

მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში. გარდაიცვალა 1979 წლის 20 თებერვალს.


გიორგი კალანდაძის პირველ ლექსად მიჩნეულია „ჯორდანო ბრუნო“, რომელიც 1934 წელს გამოქვეყნდა ყურნალ „ახალგაზრდა მწერალში“. მას მოჰყვა: „ლირიკული პეიზაჟი“, „კავკასს ქედმაღალს“, „შამილი“ და სხვა ლექსები...

პოეტ გიორგი კალანდაძის გახსენება, მის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე საუბარი ჰოლანდიაში მცხოვრებ მის ვაჟს, პოეტსა და ლიტერატურის მკვლევარს, **ზურაბ კალანდაძეს** ვთხოვეთ.

— ამ გადასახედიდან, უკვე გამოცდილი ადამიანი, თავად მეცნიერი, როგორ აფასებთ მამას — შემოქმედსა და მეცნიერს?

— გიორგი კალანდაძის პოეტური შემოქმედების კვლევისას გასათვალისწინებელია მისი თაობის პოეტთა, მისივე მეგობრების: ლადო ასათიანის, მირზა გელოვანის, ალექსანდრე საჯავიასა და სხვათა პოეზიის ნიშან-თვისებები და გარემო, ასევე, თვით პოეტის ცხოვრების გზა, რომელიც ია-ვარდებით არ ყოფილა მოფენილი. გიორგი კალანდაძის პოეზია ნათელია და ლაღი, ისეთივე, როგორიც თვით მისი პიროვნება მასსოვს. ხასიათდება გრძნობათა სისათუთითა და სამშობლოს მრავლისმომცველი, გენეტიკური სიყვარულით, სახელოვანი წინაპრების პატივისცემით, მისი მოქალაქეების ბედნიერი მომავლის სურვილით, ბუნების სილამაზით ტკბობით, ქართველი ქალის სინატიფით აღფრთოვანებით. მიუხედავად იმისა, რომ მამას ძალადობისა და ანტიეროვნული პოლიტიკის პირობებში მოუხდა მოღვაწეობა, მისი პოეზია ოპტიმისტური ჟღერადობისაა. გამოინაკლის წარმომადგენს გადასახლების დროს შექმნილი ლექსების ნაწილი, რომელიც ცალკე მომცრო კრებულად გამოიცა სახელწოდებით „არიადნას ძაფი“.

გადასახლების დროს, 1945 წელს შია დაწერილი გიორგი კალანდაძის უსათაურო ლექსი, რომლის ორ სტროფისაც წარმოგიდგენთ: ...ღმერთო, მიშველ, მონა ბედკრული/ შენ გვედრებ, ხელაპყრობილი/ მე, ადამის ძე, შენი ერთგული/ შავ ვარსკვლავზე და შავ დროს შობილი.../



გიორგი კალანდაძე

წმინდაო ღმერთო, შენ დამიხსენი/ ტანჯვა-წამების ტვირთი ამხადე/ საქართველოსკენ გზა გამიხსენი/ ქართული მიწის ღირსი გამხადე.

ზურაბ კალანდაძე:

— მამაჩემის შემოქმედებაში არეკლილი ზოგიერთი გრძნობა თუ აზრი ჩემთვის ბავშვობიდანაა ნაცნობი და განუყოფელი, მაგრამ მისი პოეტური პორტრეტის შესაქმნელად აუცილებელი იქნება მკვლევარი დაეყრდნოს მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ სრულ ინფორმაციას (მათ შორის ცალკეულ მოსაზრებას მისი შემოქმედების ირგვლივ), რომლის გზამკვლევადა შეიძლება ჩაითვალოს 1986 წელს გამომცემული ცნობარი: „გიორგი კალანდაძე. ბიბლიოგრაფია“. გიორგი კალანდაძის მეცნიერული ნაშრომები, ლიტერატურული მიმოხილვები, მონოგრაფიები და ლიტერატურული პორტრეტები ძირითადად პოეზიას შეეხება. ეს ბუნებრივიც არის. იგი, როგორც პოეტი, საკუთარი პრაქტიკული გამოცდილებითაც უდგებოდა სხვათა პოეზიის განხილვას. ხსენებული ნაშრომები გამოირჩევა ნათელი და ლაკონური სტილით. ვფიქრობ, დღევანდელი მკითხველისთვის საინტერესო იქნება მათში წარმოდგენილი მოსაზრებების გაცნობა. დასაანაია, რომ დღემდე ისინი ერთ, სრულ ტომეულად არ გამოცემულა. ამ მხრივ მუშაობა დაწყებულია.

მნიშვნელოვანია ასევე გიორგი



კალანდაძის ერთ ციკლში — „ხალხთა მობობისათვის“ თავმოყრილი ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალი და, ასევე, სხვა ქვეყნების ავტორთა ნაწარმოებების თარგმანები: ძველი სკანდინავიური, კერძოდ, ისლანდიური ეპოსის უდიდესი ძეგლი, მი-

ბებმა, რას ჰყვებოდა მათზე? — ამ ლიტერატურულ თაობას, რომელსაც პირობითად „ჩვენ თაობელებს“ უწოდებენ (რადგან შემოკრებილნი იყვნენ ჟურნალ „ჩვენი თაობის“ ირგვლივ), გასაკუთრებული ახლობლობა, სულიერი ნათესაობა

დაუნერა: მშობელ ქვეყნიდან განდევნილმა/ უცხო მხარეში ნანამებმა/ შენი დალუბვა გავიგონე/ ძმაო, ძმათათვის სასახელო/ შენი დალუბვა გავიგონე/ ცა რისხვად მხრებზე დამელენა/ სიკვდილმა გულთან გაიქროლა/ ფრთა გამკრა სისხლის გამყინავი/ გამყინა, დამცა, გამარინდა/ დამიშრო ცრემლთა ნაკადული/ ცრემლი ხომ სევდის მალამოა/ ტირილი ვცადე, ვერ ავტირდი/ აზიის მინავ, ულმობელო/ უდაბნოს ზეცავ, თალხიანო/ ისმინეთ გლოვა მარტვილისა/ მომიკვდა სიყრმის მეგობარი! ...ვერა ვქენ, ველარ მოვესნარი/ შენ შავი მინა დაგაყარეს/ და მეც, აქ ცოცხლად მტვერმიყრილი/ დღეს ვწყველი ჩემი გაჩენისას/ მე ვწყველი შავ ბედს, უბედობას, მშობელ ქვეყნიდან განშორებას/ და შენი ბედი მენატრება/ ძმავე, ციხის გარეთ დალუბელო/ აქ კი მონობა ფრთაგაშლილი/ თავს ყორანივით დაგვფარფატებს/ და ნათელ გრძნობებს გვინადგურებს/ ალვირაქსნილი მბრძანებელი. ზოგიერთმა „ჩვენთაობელმა“, მაგალითად, გაბრიელ ჯაბუშანურმა და რევაზ მარგიანმა გაუძლეს იმდროინდელ ქართველებს. გაბრიელი ხშირად მოდიოდა ჩვენთან, შინ, რევაზ მარგიანთან კი პი-

„და გზა მოჰგავს არყის ტყეში ამირანის ნასროლ ისარს“, — გიორგი კალანდაძის ეს სტრიქონები მართლა ისრაბივით სრიალბან მთელ ლაქსში“

თოლოგიური და საგმირო სიმღერების კრებული „უფროსი ედა“; „კავკასიური ხალხური პოეზია“, სადაც ერთიანდება კავკასიის ხალხთა ფოლკლორის ნიმუშები და რომელიც ქართველ მკითხველს წარმოდგენას უქმნის ოსების, დაღესტნელების, სომხების, აზერბაიჯანელებისა და სხვათა პოეტური ზეპირსიტყვიერების მრავალფეროვნებაზე; ბაკ-ქილიდეს, გოეთეს, პრიუდომის, ლამარტინის, გორკის, ბლოკის, სიმონოვის, ბაგრიცკის, ასევის, პლოტკინის, კუპალას, გულიას, გუბლიას, ისაკიანის, შირაზის, გამზათოვის, ტურსუნზაძეს და სხვათა ნაწარმოებები.

აკავშირებდათ ერთმანეთთან. „და გზა მოჰგავს არყის ტყეში ამირანის ნასროლ ისარს“, — გიორგი კალანდაძის ეს სტრიქონები მართლა ისრაბივით სრიალბენ მთელ ლექსშიო, — ჩაუნერია ლადო ასათიანს უბის წიგნაკში... „ჩვენ თაობელებად“ წოდებული თანატოლებისადმი მამას ბოლომდე შერჩა მეგობრული გრძნობა, რომელსაც ქართველები ძმაცაცობას ვეძახით. ეს მარადიული გრძნობა იყო. ძალიან წუხდა, რომ მათ სათანადოდ არავინ შეუწყო ხელი, რომ ფართოდ გაეშალათ თავიანთი მუშაობა. ისვენებდა ლადო ასათიანს, მირზა გელოვანსა და ალექ-

როგორ მუშაობდა ბატონი გიორგი? — განმარტოვებოდა ხოლმე, ან იქნებ გზადაგზა გიკითხავდათ ოჯახის წევრებს თავის ლექსებს, ნამუშევარს, იზიარებდა რჩევებს...

ზურაბ კალანდაძე:
— მას ჰქონდა მუშაობის თავისებური მანერა, მუშაობის დანყების ჩვეული წესი. ჯერ სანერ მაგიდას აწესრიგებდა, შემდეგ დაჯდებოდა ბეჭებში გამართული და ერთხანს ასე გარინდებული იჯდა. ამ დროს ვერ შეჰბედავდი დალაპარაკებას. სამუშაოს დამთავრების შემდეგ მშვიდი და, ამავე დროს, მეტყველი სახე ჰქონდა. ახალდანერილ ლექსს უფრო მეტად თავის დას — ნინას გაუზიარებდა ხოლმე, რომელიც მისი პოეტური მესაიდუმლე იყო. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მეც მიზიარებდა მოსაზრებებს პოეზიის, ცხოვრების იდეალების, მომავალი ლიტერატურული გეგმების შესახებ. ვთხოვდი ხოლმე და მიყვებოდა გადასახლებაში ნანახსა და განცდილს.
— რას ისვენებდა ხოლმე მართლაც „ჭაბუკებად დარჩენილ“ თანატოლებზე, მეგობრებზე, რომლებიც მხოლოდ ლიტერატურული შემოქმედებით გაიცნეს თაო-



მეორე რიგში მარცხნიდან მესამე — გიორგი კალანდაძე

სანდრე საჯაიას, როგორც გულმხურვალე პატრიოტებს, „ცინცხალი ნიჭისა“ და ვაჟკაცური ბუნების მქონე ბიჭებს და მათი ადრეული წასვლით მწვავე ტკივილს განიცდიდა. ალექსანდრე საჯაიას გარდაცვალება გადასახლებაში შეიტყო და ძალიან განიცადა. 1945 წელს ლექსიც კი

რადი ურთიერთობაც მქონდა მისი სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში. მახსენდება იმავე თაობის მწერალი — ლადო ავალიანი, რომელთანაც ძალიან ახლო ურთიერთობა გვაკავშირებდა და რომელმაც მართლაც გულში ჩამწვდომი სიტყვა წარმოთ-

გაგრძელება იხ. გვ. 82



ნახეჯარი ლაცხარის ბილეთი...

ინგა ჯაყელი

ქალთა დღეს ანდრომ ყველა ძველი თუ ახალი „შეყვარებული“ რომ მოინახულა და კარგადაც მოილხინა მათთან ერთად, მერე გაახსენდა, რომ შინ ცოლი და მარჩენალი სიდედრი ელოდებოდნენ და ისინიც ქალები იყვნენ.

არა, ანდროც მუშაობს — თუ შეიძლება, სამსახური ერქვას ერთ-ერთი ლამის გაკოტრებული უმაღლესი სასწავლებლის ლექტორის საქმეს და მით უმეტეს, ხელფასს — საათობრივ ანაზღაურებაზე თვეში 100, ჰა და ჰა, 120 ლარს უხდიდნენ და ისიც თითქმის არასოდეს მიჰყვებოდა სახლამდე. სიდედრს რომ არ ემარჯვა და ვაჭრობის ფხა არ გამოეჩინა, კარგა ხნის წინ დაექცეოდა ოჯახი. ჰოდა, რანაირად გინდა, ასეთ ქალს იაფფასიანი სუნამოც არ მიუტანო დღესასწაულზე?!

გუნების ცვალებადობა უცებ შეატყო ნანუკამ — სამსახურის და... საწოლის „კოლეგამ“... კი იცოდა ანდრომ, ქალი მარტო მისი რომ არასოდეს ყოფილა და ხშირად ცვლიდა სხვაში, მაგრამ თავს იმით იმშვიდებდა: ცოლი ხომ არაა, საყვარელია და ასეთი ქალისთვის მორაბი როგორ ეკითხა ან ერთგულება როგორ მოეთხოვება?.. რომც მოეთხოვა, ნანუკა მის ჭკუაზე გამველელი არ იყო და უაზრო მოთხოვნების გამო რატომ უნდა დაეკარგა „გემრიელი ლუკმა“ და თბილი „კერათავეშესაფარი“?!

— რა იყო?! — გადაუსვა თბილი ხელისგული ნახევრად გამელოტებულ თავზე ბალიშზე ნებიერად გადაწოლილმა.

— სახლში მიუსვლელობა არ იქნება და ხელცარიელიც როგორ მივიდე ცოლთან და სიდედრთან — 2 ლარი და ხურდა ფულის მეტი არ მიჭყავის ჯიბეში...

ნანუკა წამოდგა და ტრილიაჟიდან სუნამოს გაუხსნელი კოლოფი აიღო:

— თუ აკადრებ ცოლს, ეს ნაუღე... ბუბერმა კიღურაქემ მარჩუქა, არადა, რისი იმედით ნეტავი — საკა-

ცეთი რომ განყდეს, მაინც არ მოვუშვებ სიახლოვეს! — ირონიულად მონკურა ქალმა ტუჩები. — არაა ცუდი, მაგრამ ვერ ვიტან მის სუნს და მაინც არ ვიხმარ...

— აქეთ მასაჩუქრებ?! — დაირცხვინა ანდრომ.

— მოგცლია ერთი! — ხელი აუქნია ნანუკამ.



სახლისკენ მიმავალმა ლარიანით სპორტული გაზეთი იყიდა, მეორე ლარიანით კი მომენტალური ლატარიის ბილეთი — „გადაფხიკე და მოიგე“ გამოართვა გამყიდველს. არც 2 კონა იის ყიდვაზე დაუხევიდა უკან და შინ ამაყად შეაბიჯა: მარტო ცოლს კი არა, სიდედრსაც აკოცა ლოყაზე და მოუბოდიშა:

— ხომ იცი, არკადოვნა, შენთვის სულიც არ მენანება, მაგრამ რაც არაა — არაა. ამიტომ, იმფერი გულისთ გიყიდე ეს ლატარიის ბილეთი, სულ მცირე, სარეცხი მანქანა უნდა იყოს შიგ.

ანდრო, შრომის შესამსუბუქებლად, სიდედრს, მეორე წელია, ჰპირდებოდა ახალი სარეცხი მანქანის ყიდვას...

— რომელ სიძეს ჰყავს ისე სიდედრი გულში, რომ ღმერთმა მისი გეიგონოს! — ხელი ჩაიქნია არკადოვნამ, მაგრამ ბილეთი მაინც სიხარულით გამოართვა და სანამ სათ-

ვალე არ დაიკოსა ცხვირზე, არც გადაფხეკას დააყენა საშველი. მერე კი ისე ფრთხილად შეუდგა საქმეს, ბილეთი არ გავაფუჭო, თითქოს გარანტირებული მოგება ელოდა შიგ... თან ჯერ გვერდითა რგოლები გადაფხიკა და... გულზეც წაივლო ხელი: — არიქა, წყალი, რალაც მევიგე!..

ანდრომ კი დაცქვიტა ყურები და რომ არასოდეს წამოუნწევია სიდედრის სიტყვაზე საჯდომი, წყალიც მიურბენინა, თუმცა — საყვედური მაინც აჯახა:

— იქნება ლარიანს იგებ და ამისთვის იხეთქავ, შე ქალო, გულს?!

მერე ბილეთის ჩამორთმევა დაუპირა, რომ დანყებული საქმე დამთავრებინა, მაგრამ ხელებში ეცა სიდედრი:

— ჩემია!
— ვინ გართმევს?! — გაიბუტა ანდრო...

როგორც იქნა, გადაფხიკა არკადოვნამ მონაგების გრაფაც და... ხელახლა გახდა მოსაბურუნებელი:

— მანქანა მევიგე!..
— სარეცხი მანქანა?! — ახლა ანდროს მოეფინა გული ყელში.

— სარეცხი კი არა, ნამდვილი მანქანა, ახალთახალი, ჩემი ცხოვრების ოცნება! — ცრემლები გადმოუგორდა ქალს თვალებიდან და სიძე გულში ჩაიკრა. — შენს გამზრდელს

და ოქროს გულს ვენაცვალე, ალალი იყოს შენზე ჩემი ამაგი და ნამშრომ-ნანვალეები!..

ისეთი ტკივილი იგრძნო ანდრომ გულში, გაუკვირდა, ინფარქტმა რომ არ დაარტყა და ღმერთსაც კი გაებუტა ასეთი „სიურპრიზისთვის“ კარგა ხნით: რაც ამ ოხერ ლატარიის ფული აქვს გადაყრილი მოგების იმედით, იმ ფასში ისედაც იყიდა მანქანას, ერთად რომ მოეყარა თავი და რალა სიდედრისთვის ნაჩუქარში უნდა ყოფილიყო ავტომობილი, როცა თავად ორ ლარზე მეტი არ მოუგია არასოდეს?!

მოკლედ, თვითონ მიუჯდა არკადოვნა საქვს და სულ ორჯერ დაუთმო ანდროს, ისიც — თავად მეჯდა გვერდით — უყურადღებო ხარ, არ დამიმტვრიო, არ დამლუპოო...

სამუდამოდ შესაძულდა ლატარიაც და... სიდედრიც...



თინეიჯერები და პოლიტიკური კლიპი

„მამაუნს არ მისცე უფლება, ქართველები ბანჯვისთვის გაგვნიროს“

ცხადია, ბოლო დროს ყველას ბიძინა ივანიშვილი და მისი ვაჟი, ბერა აკერია პირზე. მათ შესახებ ხალხს ყველაფერი აინტერესებს. ისინი დიდხანს ელოდნენ ბერას კლიპსაც, რომელიც მან მამის გადანყვეტილების მხარდასაჭერად მიძღვნა — „ქართული ოცნება“ გადაიღო. ბოლოს და ბოლოს, კლიპი ინტერნეტით გავრცელდა და ბერას ნამღერს ცხადია, არაერთგვაროვანი შეფასება მოჰყვა.

როგორც წესი, თინეიჯერების უმეტესობა აპოლიტიკურია, მაგრამ ივანიშვილების პოლიტიკურმა განაცხადმა ისინიც კი დააინტრიგა. სწორედ ამის შედეგია, რომ ჩემს მობილურზე არაერთი ისეთი მესიჯი მოვიდა, სადაც მოზარდები ამ ყველაფერთან დაკავშირებით საკუთარ მოსაზრებას გამოთქვამენ და ჯერ კიდევ არაპოლიტიკოს ბიძინა ივანიშვილსა და მის ვაჟს რჩევებსაც კი აძლევენ.



ლიკა ქავაია

ელენი, 17 წლის:

„მე რეპის მოყვარული გახლავართ და ქართულ შოუბიზნესში ახალი სახის გამოჩენა მხარუბს. ბერას გარეგანი მომწონს. იმედია, მამამისის გაპოლიტიკოსება შემოქმედების გაგრძელებაში არ შეუშლის ხელს. მე მისი ფანკლუბის წევრი ვარ და ზუსტად ვიცი, რომ ის და მისი ოჯახის წევრები ნამდვილი პატრიოტები არიან. თუ მისა გადადგება და ბატონი ბიძინა მოვა ქვეყნის სათავეში, ამით ქართველი ხალხი არაფერს ნააგებს, პირიქით, მხოლოდ ამის შემდეგ მოგვეცემა ნორმალურად ცხოვრების საშუალება. იმედია, ივანიშვილები მიზანს მიადგენ და იმის იმედიც მაქვს, რომ ამ შემთხვევაში, სკოლაში სწავლა ფასიანი არ გახდება. ჩემს მშობლებს ნამდვი-

ლად არ აქვთ იმის საშუალება, რომ ფული გადაამხადონ და დავრჩები უსწავლელი...“

მამა, 18 წლის:

„რეპი არ მიყვარს, სამაგიეროდ, პოლიტიკა მაინტერესებს და იმედი მაქვს, რომ „ქართული ოცნება“ ახდება. ამ ხელისუფლებამ მამაჩემი ციხეში სრულიად უდანაშაულოდ გამოკეტა და ახლა ჩემს ოჯახს ეძლევა შანსი, მხარში ამოუდგეს ადამიანს, რომელიც არა მართო მამაჩემის, არამედ ყველა უდანაშაულო პიროვნების სიმართლეს დაამტკიცებს. ბატონო ბიძინა, მინდა ასეთი რჩევა მოგცეთ: თუ ხელისუფლების სათავეში მოხვალთ, ნუ განუდგებით საკუთარ ერს და სხვების მსგავსად, ნუ გაყიდით საქართველოს ტერიტორიებს (ვიცი, ეს არაფერში გჭირდებათ, მაგრამ მაინც), თორემ იცოდეთ, ერთხელ თქვენც წარდგებით უფლის წი-

ნაშე და პასუხს აგებთ ყველაფრისთვის. თქვენ შესახებ კარგის გარდა, არაფერი მსმენია. ვიცი, ქველმოქმედი ხართ და მიუხედავად ამისა, ზოგ-ზოგიერთი თქვენზე მაინც აუგს ამბობს, მაგრამ იცოდეთ, ცუდის მთქმელები ცოტანი არიან, ჩვენ, ამაგის დამფასებლები კი ბევრნი ვართ და თუ ამ ტირანიისგან ჩვენს გათავისუფლებას შეძლებთ, მთელი ცხოვრება თქვენი მადლიერები ვიქნებით. პატივისცემით“.

ბიო, 17 წლის:

„პირადად მე, შერჩეული ჭირი მირ-

ამჯერად, თქვენივე თხოვნით, გთავაზობთ ბერას სიმღერის — „ქართული ოცნება“ — ტექსტს:

ერთად დადგომა რომ შეეძლოთ, ყველა იმედი არ არის წასული, მთელი ცხოვრებაა ვიცნებო, ეს ოცნებაა ქართული. გირჩევ შემეგუო, მოვედი დიდი ხნით. შურს და ბოღმას ვპასუხობ ღიმილით, თუ რამე ვისწავლე, ვისწავლე ტკივილით, საქართველოს ვუყვარვარ დედისერთა შვილივით. თბილისი ძველი ფილმი, შეაფასე კადრები, რეჟისორი გვატყუებს, ცხოვრებაა შავ-თეთრი, არ მიცნობს არც ერთი, გონიათ მეც როლში ვარ, სცენარი შევცვალე, პუბლიკა შოკშია. ყველაფერი ქართული, ნამდვილი ქართული, გაგება — ქართული, ვაცობა — ქართული, Mr.dream მოვლენა — ქართული, Georgian Dream -ოცნება ქართული, მესმის ქართულად, მიყვარს ქართულად, ვგრძნობ და განვიცდი, ქართულად, ქართულად, ნებისმიერ მწვერვალზე ასული დავრჩები, თავიდან ფეხებამდე — ქართული, ქართული, ქართული. მხედვე კლიპებში, პრესაში, ფიქრობ, მიცნობ, თუ რამეს მივალნიე, მივალნიე თვითონ, გაიხსენე ის დრო, ბავშვობა გავწირე, ყველა ჩემი იარა იარაღად ვაქციე,

ნაიკითხე თვალბეჭედი ცხოვრებამ რა დამანერა, ყველაფერი წამართვეს, სიყვარულის აღარ მჯერა და როცა წავიქეცი, არავინ არ ამყენა და როცა დავდექი, ვერავინ ვერ გამოჩერა, მასსოფს. გიყვები ნამდვილს, არავინ არ მაგებს, არაფერი არ მცვლის. ვიცი საიდან მოვდივარ, ვიცი საით მივდივარ, პატარა ქართველი, ნახე რა დიდი ვარ. მოვიდნომე ქართულად, მოვიპოვე ქართულად, ყველა ჩემი მტერი, ჩამოვიტოვე ქართულად. ვაშენებ მომავალს, ვამაყობ წარსულით, თავიდან ფეხებამდე ქართული... ქართული, ქართული. წამართვი მინა, ვერ წამართვი ღირსება, სანამ ვარ ქართველი, საქართველო იქნება, გპირდები, ეს ყველაფერი მორჩება, როგორ გავჩერდე, მთელი თაობა მომყვება, საერთოდ არ ვაკეთებ ან ვაკეთებ ქართულად, მოვედი კაცურად, ნავალ კაცურად, რა უნდათ, არ მიცნობს არც ერთი, ავიღებ გრემის, ვიტყვი thank you ქართული აქცენტით.. მოვიდა დრო, ერთად დავდგეთ. მომავალი ჩვენია. ავიხდინოთ ქართული ოცნება... ქართული ოცნება.



ჩვენია შეუჩვეველს. ახლა მთავრობა კიდევ რომ შეიცვალოს, ახალი სახეების გამოკვება დაგჭირდება და ისევ 9 პირ ტყავს გაგვაძრობენ. მიმა მაგარი არ არის, მაგრამ არც იმის მჯერა, რომ ბიძინა ივანიშვილი აგვაშენებს. ასე მგონია, ის მართლაც, რუსების კაცია და მეშინია, ისევ მათ ხელში არ ჩავგავდეთ. მართალია, ბევრი კარგი საქმე აქვს გაკეთებული, მაგრამ შეიძლება, ამ ყველაფერს იმიტომ აკეთებდა, რომ პოლიტიკაში მოსვლა უნდო-

და და რომ არა ქველმოქმედება, საქართველოში ერთ მხარდაჭერასაც ვერ იშოვიდა. რა ეჭვიანები ვართ ადამიანები, არა? რა ვიცე, რა ვიცე... ბერა, ჩემი თანატოლი ხარ და მშურად, ერთ რჩევას მოგცემ: მამაშენს არ მისცე უფლება, მოგატყუოს, ქართველები ტანჯვისთვის გაგვნიროს. შეიძლება, მას ამით არაფერი დაუშავდეს, მაგრამ მისი საქციელის გამო შენ თუ არა, შენს შვილებს მანც მოუკითხება. და კიდევ, თუ დარწმუნებული არ ხარ იმაში,

რომ ბატონ ბიძინას ქართველებისთვის მსოლოდ კარგი სურს, მაშინ გირჩევ, მას მხარი მანც არ დაუჭირო. იმედია, მართლაც ქართველების ოცნებების ახდენა გაქვთ ჩაფიქრებული, თორემ სული ისედაც, კბილებით გვიჭირავს..."

ნა, 15 წლის:

„უკვე ყველა ბერას კლიბზე ლაპარაკობს, მე კი მისი ნახვის საშუალება არ მომეცა. ძალიან გთხოვთ, სიმღერის ტექსტი დაიბეჭდოთ, რა.“

რას ფიქრობენ ბერა ივანიშვილის „ქართულ ოცნებაზე“

SHARI:

„აი, დიდად კლიბი, რომელსაც ამდენ ხანს ველოდით... აბა, შევესიოთ, მიგობრებო.“

IMHOKING DEPRESS:

„კლიბის ფინალი საქართველოს მოსახლეობის ხელშია...“ — ეს ფრაზა ზედმეტი იყო.“

ბანიკო1978:

„დიდებულია და რაც მთავარია, სიტყვები გულიდან მოდის.“

REALFAN:

„ვიდეთ არა უშავს, სიმღერა კი არ ვარგა. ბერა ჯერ პატარაა და ალბათ, დროთა განმავლობაში დაიხვეწება.“

ZMUZU:

„მომენონა, ოლონდ — ფინალი „მიშა მაგარიას“ ფინალს ნაგავს. თუმცა ეგ მომენტი ბევრ კლიბში შეიძლება ნახო.“

JOKER13:

„ის კი ვიცე, რომ ბევრ ქართველ ფანს გააგაფებს, დულს „ფეისბუკი“. კლიპსაც არა უშავს, კარგია.“

მუზაური:

„მთავარია გულწრფელობა, რაც ამ კლიპში აშკარად ჩანს.“

თხილი-სი:

„კარგი ბავშვები თამაშობენ კლიპში, სულ ნარჩვევი თინეიჯერები. სლოგან-მაისურები მომენონა, ორიგინალურია.“

სონუმი991:

„ეს რა არის? ბიძინა ივანიშვილის საარჩევნო კლიპია?“

GEORGIANPOWERLIFTING:

„ყოჩაღ, მაგარიას! პატარა ბავშვმა ყველა ქართველ რეპერს აჯობა. მაგარი ნიჭიერია, ყოჩაღ!“

ნიკოლ:

„რა არის ქართული ოცნება — უფასო „პონიკი“? ეს კითხვა FB-ზეც უნდა დავსვა და იქნებ ვინმემ მიპასუხოს.“

SPIRIT CRUSHER:

„სიმღერა კარგია, მაგრამ პოლიტიკურ ჭრილში რომ არის განსახილავი, ეს „ტეხავს!“

ჩხირა:

„არ ვიცე, გათვალა თუ დამთხვევა, მაგრამ პაპსავიკებს მოენონებთ. აბა, ხარისხიან, კარგ მუსიკას საქართველოს მოსახლეობის მსოლოდ 20% უსმენს.“

VIEGEL:

„მთავარია, ახლა მიშამ არ დააძალოს შვილს რეპერობა, თორემ ბერას კი ეშველება რამე, ჯერ პატარაა.“

ზანი-ზიცილა:

„ყოჩაღ, ბიძი, ახლა მივხვდი, რომ ყველაფერი დიდი ხნის წინ, კარგად დაგეგმე.“

მუანიფი:

„ახლა ვნახე, ამ კლიბთან დაკავშირებით 400-მდე კომენტარი იყო დადებული. ბევრი მათგანი გადავიკითხე, მაგრამ დავიჯერო, არავის დაუნერია — არ მომენონაო?! რა ვიცე, მე ვერ ვნახე და... „ფეისბუკზე“ მაგარი აფერისტული „ბაზრები“ იყო. ერთი წერს: „აუ, ბოლოში გრემს ავიღებ და „თენქიუს“ ვიტყვი აქცენტითო, რომ ამბობს, მაგ მომენტზე დამბურძგლა...“

ნათია25:

„ქართული ოცნება დენზე ნაგვის მიბმაა, არა?“

ზანელი:

„ფეისზე“ მართლაც, საგიჟეთია... ძალიან დიდია დანიტერესება. კლიპი თბილია და საყვარელი.“

შოთა525:

„ქართული ესტრადისთვის ხარისხიანი სიმღერაა, კლიპიც ნორმალურია, მაგრამ თავად ბერას აქვს დიდი ნაკლი. მე მგონი იმიტომ, რომ ჯერ კიდევ გამოუცდელია და ზედმეტად იპრანჭება...“

ვასილი:

„ქართული ოცნება“ კარგია, მაგრამ სომხებმა რა ვენათ?“

იტრატი:

„რას ერჩით, მშვენიერი თინეიჯერული კლიპია... ათასჯერ მეტად მომეწონება, თუ ჩვენი შვილები მართლა ქართულ საქმეს გააკეთებენ, ნამდვილ ქართულ სახელმწიფოს ააშენებენ და

ქართულ ენაზე იმეტყველებენ. ღმერთმა ინებოს!“

რაჭველი:

„ჩვეულებრივი კლიპია, არაფერი განსაკუთრებული. P.S. ივანიშვილი რომ კრემლის კაცია, ამას ყველა ხვდება.“

ბაბაო ენაში:

„არაფერი არ მთხოვო სექსამდე, ამერიკულ დროზე ვარ, გაგაგიჟებ დილის ექვსამდე...“ ყველაფერი ქართული, გაგება — ქართული, კაცობა — ქართული... ვაიძე, რა მაგარია! 2 PAC-ის შემდეგ ასეთი ლირიკა არსად მომისმენია.“

LE ROI:

„ასე პოლიტიკა არ „კეთდება“ და ქვეყანა არ ბრწყინდება. არ არის ნორმალური, ხალხი არ გიცნობს, შენ კი მანც თქვა, — მოვდივარო და მორწმუნეების რიგი დადგეს; მათ ეგონათ, რომ მესია ხარ. ეგეთი „მრევლი“ „ტეხავს“, რა... ხალხო, გისურვებთ, შეურაცხადი, ფანატიკოსი „ბარანების“ ფარას არ დაემსგავსოთ.“

VEGGO:

„16 წლის ბავშვია, მთელი ცხოვრება ნინ აქვს და ნელ-ნელა დაიხვეწება. სანამ გააკრიტიკებთ, გაისხენეთ, რომ თქვენც გყავთ შვილები.“

შოპირა:

„რამდენი ადამიანი ჰყავს გამწარებული ხელისუფლებას? ციხეები გადავსებულია პატიმრებით. რამდენს ნართვეს ბიზნესი? რამდენი დაიჭირეს უსამართლოდ? ჰოდა, დაგროვდა ეს ყველაფერი... ივანიშვილის გამოჩენამ ხალხს ჩაუსახა იმის იმედი, რომ შეიძლება ქვეყანა ნავიდეო დემოკრატიული და არა — ავტორიტარული რეჟიმისკენ. ჰოდა, რატომ გიკვირთ ხალხის ასეთი რეაქცია და ეიფორია? რა შუაშია მესია? მე მინდა დემოკრატია, მრავალპარტიული პარლამენტი, დაბალანსებული ხელისუფლება, თავისუფალი მედია და არა ის, რაც დღეს ხდება და რასაც ვუყურებ წლების განმავლობაში... ეს პირველ რიგში, თავად



მმართველი პარტიისთვისაა კარგი — ბოლოს და ბოლოს, ცულობა საპირ-ნონე კონკურენტი, მაგრამ ამას მიხედვრა ხომ უნდა?..“

პანიკა 1978:

„მუსიკატმცოდნე არა ვარ. როგორც მუსიკალური უანრი, რუბი მაინცდამაინც არ მიყვარს, მაგრამ ჩემთვის ძვირფასია ამ კლიპის პათოსი, სულისკვეთება, მისი შინაარსი და ავტორის ღრმა სიყვარული სამშობლოსადმი — საქართველოსადმი! P.S. ვინც ამ ბიჭს დასცინით, არსად დაგვკარგოთ სტეფანე (თავისი ელასტიკით) და ქეთო — იგივე სოფო ნიჟარაძე“.

ტოხ:

„გაგება ქართული, კაცობა ქართული, მოვალე კაცურად, წავალ კაცურად, ნაგვართვეს ღირსება“, — ამ ქვეყანაში როდის დამთავრდება ძველ-ბიჭურ-ყანურ ენაზე ლაპარაკი?“

ბერკურილა:

„ბიძინა ივანიშვილის შვილია? აუ, ჯერ მამამ აიკლო აქაურობა და ახლა შვილიც... მე არაფერს მიშლის, მაგრამ ზოგიერთმა ფულის გამოყენება მართლა არ იცის, რა“.

ზუპიტა:

„ამ კლიპის ყურების შემდეგ აღარ მინდა, ხელისუფლებას სათავეში ბიძინა ჩაუდგება, თორემ მერე მართლა „დაგვერხევა“!

OZZY-KA10:

„რაც ამ კლიპის გადაღებაზე დახარჯა, გაჭირვებულებისთვის რომ დაერიგებინა, ეგ იქნებოდა ქართული საქმე“.

ტატ:

„სისხლი გამეყინა ძარღვებში!! ღმერთო, რა ამაყი ვარ. P.S. მაგარი ტექსტი და შესრულება. გილოცავ, ბერა, იმდენად ძვირფასი და გენიალურია, რამდენადაც თავად ხარ ორიგინალური. ნარმატებები“!

ბარბიკა:

„მოუხედავად ივანიშვილისადმი ჩემი დამოკიდებულებისა, კლიპი, უფრო სწორად, ბერა მომეწონა, გულწრფელი ჩანს. აი, მამამისის გულწრფელობისა კი რა მოგახსენოთ“.

GODDESS:

„კლიპი მომეწონა და აქვე გეტყვით, რატომ: ეს სტილი ჩემს გამოცემაში არ ზის და საერთოდაც, ამ კლიპს მუსიკალური ღირებულების გამო არ უნდა ვაფასებდეთ, რადგან ის უბრალოდ, ბიძინა ბიძიას პოლიტიკაში მოსვლის მხარდასაჭერი „როლიკია“:

1. არის მაჩტივი, პაპსა სიმღერა, რომელიც საქართველოში არსებულ და პოპულარულ ყველა პაპსას სჯობია, როგორც შესრულებით, ისე შინაარსითაც.

2. კლიპი პროფესიონალურადაა გადაღებული და სასიამოვნო საყურებელია.

3. გამოყენებულია ბევრი მარკეტინგული ხრიკ-მაიმუნობა, რომელიც გათვლილია ახალგაზრდობაზე. ლამაზ გოგო-ბიჭებს სიამაყით აქვთ მორგებული „ქართული ოცნების“, თანაც — საკმაოდ გემოვნებიანი მაისურები.

4. კლიპი დადებით ემოციებზეა აგებული და შესაბამისად, რიგით (და არა ჩვენსაირ კრიტიკულ) მაყურებელში ინვესტს კიდევ ასეთ ემოციებს.

5. „მიშა მაგარიას“ ერთმნიშვნელოვნად სჯობს, თუნდაც იმით, რომ ბერა არ ამბობს: ბიძი მაგარიაო“.

ELXORXE:

„ტექსტს კარგად მოუსმინეთ. ბერა შეიძლება, პატრიოტია, მაგრამ მან რა იცის ჩემი ან შენი სურვილის, ან თუნდაც, ტკივილის შესახებ? როგორ უნდა აღიქვას საკუთარი თავი იმ ხალხის ადგილას, რომელმაც ცხოვრების დიდი ნაწილი ტანჯვაში გაატარა?“

BRIAN GRIFFIN:

„მე მხოლოდ თეორიულად ვიცი, რა ანუხებდათ ჩემს მშობლებს კომუნისტების დროს (მაშინ დაბადებულიც არ ვიყავი). ჰოდა, გეკითხებით: მაქვს მორალური უფლება ვივარაუდო, რომ მათ რუსეთის „ნიხლქვეშ“ ყოფნა სხაგთ და ვუთხრა, რომ მესმის მათი და შევიზრდე რომ ყველაფერს გადავკეთებ, რათა იგივე არ გამოსცადონ? ასეთ შემთხვევაში, ცინიკოსად ხომ არ მიმიჩნევენ? არავის მოუკლავს ჩემი შვილი ომში და მაქვს მორალური უფლება, შვილდავარგულ დედას მხარდაჭერა აღვუთქვა?“

HEPHAESTUS:

„უბედურება ისაა, რომ ასე, სიმღერებით ცდილობენ ხალხის „გამოღვიძებას“ და მათი მხარდაჭერის მოპოვებას. ეს არა მარტო სამწუხარო, არამედ დამამცირებელიც კია. ჯერ იყო და, ზვიადმა „ტიტები“ გვაძლერა, მერე ედიკა მოვიდა და „გიხაროდენ“ გააკეთა, მიშამ — „მიშა მაგარია“... ივანიშვილიც იმავეს აკეთებს ანუ ყველა ერთნაირი სტანდარტით უდგება ამომრჩეველს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ საზოგადოების ცნობიერებაში არაფერი შეცვლილა. ჩვენ ისევ ის ვართ, რაც 1989 წელს ვიყავით...“

ACTIONSRIPT:

„რატომღაც მგონია, რომ შავი ზუსტად შეფერებოდა ამ კლიპს. ეს ხომ არც შოკოლადის რეკლამაა და არც — ნაყინის. პროტესტის, უკმაყოფილების გამოხატვის პონტი შავი ყველაზე მაგარია“.

VAMPIRE-W:

„ავიღებ გრემის, ვიტყვი THANK YOU-ს ქართული აქცენტით!“ — ეს კარგი იყო, მომეწონა! რაც შეეხება სიმღერის ხარისხს, დღევანდელი შოუბიზნესი (ვერც ქართული და ვერც უცხოური) გენიალურობით ვერ დაიკ-

ვეხნის. მე თუ მკითხავთ, ბიზნესზე და მაილი საირუსზე უარესი ნამდვილად არ არის. რაც შეეხება პოლიტიკას, ნეტავ იცოდეთ, როგორ მეზიზღება. მიკვირს, რატომ არ იღლებით ამ ყველაფრით? სიყვარული და მშვიდობა რატომ არ გინდათ? იცით, რა კარგია, როცა ყველას ყველაფერს აპატიებ და უბრალოდ, გულწრფელად გიყვარს?! კარგი ბავშვია ბერა, მისგან დადებითი ენერგია მოდის. ბიძინაც კარგი ადამიანია. რაც შეეხება მიშა სააკაშვილს, ძალიან მხიარული და ოპტიმისტიკია. უცნობი და მისი ძმა ენერგიულები არიან (გახსოვთ ის დრო, როცა უცნობი სცენაზე ნიღბით გამოდიოდა და ყველა მის „გალონი მიქრის“ მღეროდა?!); შალვა ნათელაშვილი მხიარული და მეგობრული ადამიანია. როგორ მინდა, დავინახოთ, რომ ყველა ერთნი ვართ და უბრალოდ, გვიყვარდეს ერთმანეთი. აბა, რომელ ფულსა და ძალაუფლებას არ ჯობია გულწრფელი სიყვარული? რატომ არ იღლებით ამდენი სიძულვილით? P.S. ბერას ვურჩევ, არ გაიფუჭოს თავი პოლიტიკით. ამ სფეროსთვის ყველა კარგი ადამიანი მეცოდება!“

BAIRAM DUDUK:


„გოგო-ბიჭებმა რაღა გიგისმიერ აღდგენილ და დასუფთავებულ თბილისის ქუჩებში მოინდობეს ბერას მაისურებით სირბილი? ელდკას დროინდელ თბილისში, რა თქმა უნდა, კლიპს არავინ იღებდა“.

კამიკაძე 32:

„მომწონს ეს ბავშვი. კარგი შვილი გაუზრდია ბიძინას. ნამდვილი ქართველია და ამავე დროს, კარგი ტიპი. ისეთი არაა, შერაზხმელები რომ არიან და ხალხს თავში ჯვრებს რომ ურახუნებენ. ბერა, ყოჩაღ! ისე, კარგი იქნება, ამ პოლიტიკურ „პრომოუტინგში“ გამოცდილ ხალხს თუ დაიყენებს გვერდით. გაა გაჩეჩილაქე არ მევასება, მაგრამ როგორც შოუმენი, დიდი გამოცდილებისა და კარგი გამოცდების მქონეა. ბასა, გრეწო, შალვა რამიშვილი და ეს ბავშვი კარგი გუნდი იქნებოდა, ბევრ კრეატიულ რაღაცას მოიფიქრებდნენ!“

ANAMCH:

„მანტერესებს, ნანუკას რომ სცოდნოდა, „მოიდა ბიძინას“ ამბავი ასე მალე მოხდებოდა, ისეთი თბილი გადაცემის გაკეთებას გაბედავდა?.. მდიდარი მამიკოს ძალიან კარგად გაზრდილი შვილია, რომელსაც აქვს საშუალება, ირეპოს... ეჰ, ბერა, ბერა, არ სჯობდა, მამას პოლიტიკაში არ დასცდენოდა ფეხი? იჯდებოდი ახლა ამერიკაში, სწუპისა და ქულისის გარემოცვაში და ირეპავებდი ბედნიერად!“



სამყარო

ფეხბურთზე ნაოცნებარი სამხატვროების დრამატული კარიერის პერიპეტოიები

ქართული სპორტის ისტორიაში ბევრი შესანიშნავი სპორტსმენი გვევლინება და გვყავს; გვყავს ისეთებიც, რომლებზეც ვამბობთ, — ლეგენდარულიაო, მაგრამ მათ შორისაც ვიქტორ სანევევი გამორჩეულია. მისი ტიტულების შესახებ ბევრმა კარგად უნყის, ამიტომ მხოლოდ ერთს შეგახსენებთ — ვიქტორ სანევევი XX საუკუნის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენადაა დასახელებული.

საოცარია, რომ მართლაც ლეგენდარული, გამოჩენილი სპორტსმენის დახასიათებისას, უბრველეს ყოვლისა, მის საოცარ მოკრძალებასა და თავმდაბლობას უსვამენ ხაზს. ჩვენც ამ შტრიხის ილუსტრაციით დავინწყებთ თხრობას.

მოგი ურანგოვილი

ერთმა ქართველმა ჟურნალისტმა მომიყვა: სანევევი მეუღლესთან ერთად კინოთეატრ „რუსთაველის“ ბილეთების რიგში იდგა. როგორც ჩვენში ხშირად ხდებოდა, ამჯერადაც ბევრი ურიგოდ ცდილობდა წინ გაძრომას. საბოლოოდ, საღარო დაიკეტა და ვიქტორსა და მის მეუღლეს ბილეთი არ შეხვდათ. არადა, იმ პერიოდში კინოთეატრ „რუსთაველის“ დირექტორი კიდევ ერთი ოლიმპიური ჩემპიონი, ნუგზარ ასათიანი იყო და, როგორც ხვდებით, მასთან რომ მისულიყო, არც რიგში დგომა მოუწევდა... კიდევ ერთი შემთხვევა, ამჯერად — ჩემი საკუთარი პრაქტიკიდან: ინტერვიუსთვის დავურეკე; მობრძანდითო, — მიპასუხა. შინ ვესტუმრე (მაშინ თბილისში, ფალიაშვილის ქუჩაზე ცხოვრობდა). ვიქტორის მეუღლემ ყავა მოგვიდგო. დაახლოებით ნახევარი საათი ვისაუბრეთ, მადლობა გადავუხადე და ნამოვედი. სამსახურში რომ დავბრუნდი, მაშინლა ვნახე, რომ დიქტოფონში ერთი სიტყვაც არ ჩამინერია... ის-ის იყო, ჟურნალისტობას ვინწყებდი, ეს ჩემი პირველი ინტერვიუ იყო, თანაც — სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონთან.. მოკლედ, დავურეკე და კვლავ შეხვედრა ვთხოვე. კი, ბატონო, მობრძანდი, შენ თუ არ გეზარებაო... საკუთარი

გამოცდილებით გეტყვით — ასე იშვიათად თუ მოიქცევა ვინმე...

სანევევის ოჯახი სოხუმში კაზაკების სტანიციდან, სენგელევსკიდან გადმოსახლებულა, რომელიც არმავირთან მდებარეობდა. მეორე მსოფლიო ომის დროს იქ ხალხი შიმშილობდა და სანევევმაც საქართველოს შეაფარეს თავი. ვიქტორიც სოხუმში, 1945 წლის ოქტომბერში დაიბადა. მამა მძიმედ ავადმყოფი, ლოგინად იყო ჩავარდნილი და ოჯახის სიმძიმე ვიქტორის დედას, ქალბატონ ქსენიას აწვა კისერზე. ხელმოკლედ ცხოვრობდნენ. დედა ქალაქის სკვერებში გაზონებს კრეჭდა და ამით ირჩენდნენ თავს. ამის გამო ვიქტორი დაბა განთიადის სკოლა-ინტერნატში გადაიყვანეს, რასაც ვერაფრით ვერ შეეგუა და სოხუმში დაბრუნება უნდოდა. თუმცა იქ ფეხბურთის თამაში რომ დაიწყო და თავი სულ ცოტა, მიხეილ მესხად წარმოიდგინა, ინტერნატში დარჩენა თავადვე ამჯობინა. თან განთიადს ერთი უპირატესობაც ჰქონდა — ლესელიძესთან ახლოს იყო, სადაც სპორტის სხვადასხვა სახეობაში საბჭოთა ნაკრების ნევრები ვარჯიშობდნენ. განსაკუთრებით მას მძლეოსნები აინტერესებდნენ, რობერტ შავლაყაძე, იგორ ტერ-ოვანესიანი, ვალერი ბრუმელი — სწორედ იმ პერიოდში ისინი რომის ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადებოდნენ. მართალია, ბრუმელი ჯერ

კიდევ ახალგაზრდა იყო და შავლაყაძეს სთხოვდა, სიმალღეზე მსტომელების სპეციალური ვარჯიშები ესწავლებინა მისთვის, მაგრამ ვიქტორისთვის ახალგაზრდა ბრუმელიც საინტერესო იყო. აქ მას ნამდვილად გაუმართლა, საკუთარი თვლით ხედავდა, თუ რა ტიტანური შრომაა საჭირო ოლიმპიური მწვერვალის დასაპყრობად. მათგან სწავლობდა და მთსავით დიდ სპორტსმენობაზე ოცნებობდა, ოღონდ თავიდან ფეხბურთი ჰქონდა არჩეული. თუმცა ერთ ზაფხულს სწრაფად აიყარა ტანი, 185 სმ სიმაღლის გახდა და ახლა საბჭოთა კალათბურთელთა ნაკრებს მიაპყრო მზერა. როგორც ჩანს, ვიქტორ სანევევს ღმერთმა ნამდვილი სპორტსმენის ნიჭი დაანათლა და ვინ იცის, იქნებ კარგი ფეხბურთელი ან კალათბურთელი გამოსულიყო, მაგრამ საბოლოოდ მაინც მძლეოსნობა აირჩია.

ჯერ კიდევ 11 წლის იყო, სკოლის დირექტორმა მძლეოსანთა მწვრთნელს, აკოვ კერსელიანს რომ სთხოვა ერთ-ერთი მოსწავლის ნახვა. კერსელიანს თვალში მოუვიდა ბიჭი და თავის ჯგუფშიც აიყვანა. რა თქმა უნდა, მაშინ ვერც წარმოიდგენდა, რომ ეს ბავშვი სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი გახდებოდა. ნიჭი — ნიჭად, მაგრამ ვიქტორი საოცრად შრომისმოყვარე აღმოჩნდა. წლების შემდეგ, საბჭოთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ვიტოლდ კრეერი ამბობდა: „სანევევმა მთელი თავისი სპორტული კარიერის მანძილზე ორი სპორტსმენის სამუშაო შეასრულა. ჩვენ ერთად დავითვალეთ და აღმოჩნდა, რომ მან მხოლოდ ცალ ფეხზე ხტუნვით 700 კმ დაფარა. ეს დაახლოებით, მოსკოვიდან ლენინგრადამდე დისტანციაა, ხოლო სპრინტით მოსკოვიდან თბილისამდე მანძილი, 2000 კმ გაირბინა. როდესაც მას ვაფასებ, როგორც მწვრთნელი, პირველ



ველთანრიგოსანივით დაიწყო ვარჯიში. მიუნხენის ოლიმპიადამდე ოთხნეულში წარმატებებიც ჰქონდა და მარცხიც. ახალი მეტოქეები გამოუჩნდნენ: იორგ დრემელი გერმანიის დე-



ეს საკმარისი არ იყო. ვიქტორ სანეევმა თავისი მეორე ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა. დრემელი მეორე იყო, მესამე ადგილი კვლავ ბრაზილიელმა ნელსონ პრუდენსიმ დაიკავა. სანეევი საქართველოს სპორტსმენთაგან პირველი იყო, ვინც ორ ოლიმპიურ თამაშებში იმარჯვა, თუმცა ის საკუთარი შედეგით მთლად კმაყოფილი არ გახლდათ, მსოფლიოს რეკორდის დამყარებაც უნდოდა. ათიოდე დღეში ეს სურვილიც აისრულა, სოხუმში გამართულ შეჯიბრებებზე 17.44 მეტრზე გადახტა. ამ ნახტომსაც თავისი ისტორია აქვს. ბიორითმების ლენინგრადელი სპეციალისტების გამოთვლით, სანეევი, რომელიც ოქტომბერშია დაბადებული, თავისი ფიზიკური შესაძლებლობების პიკს სწორედ ამ თვეში მიაღწევდა. ამიტომ ისინი დაჟინებით სთხოვდნენ

მოსკოვის ოლიმპიადის გახსნაზე, 1980 წ.

მოკრატული რესპუბლიკიდან და კუბელი პერეს დუენიასი. პირველთან ორჯერ წააგო — ევროპის თასზე და კონტინენტის ჩემპიონატზე, ხოლო დუენიასმა ერთი სანტიმეტრით გააუმჯობესა მისი მსოფლიოს რეკორდი. თუმცა სანეევისათვის მთავარი — ოლიმპიური თამაშები იყო, კარგად მოსამზადებლად კი მას კვლავ მტკივანი ფეხი უშლიდა. ოლიმპიადამდე დაახლოებით ერთი თვე რჩებოდა და ვიქტორმა იგრძნო, რომ დასვენება სჭირდებოდა. სოხუმში გადაფრინდა, დედის მალამოთი მკურნალობდა და ორ კვირაში თითქმის ბოლომდე მოიჩინა ფეხი ისე, რომ ხტუნვა შეძლო.

სამსხტომელთა ოლიმპიური ასპარეზობები, როგორც ყოველთვის, მოულოდნელობებით დაიწყო. საკვალიფიკაციო ნორმატივი ვერ შეასრულეს სანეევის ძველმა მეტოქემ — ჯუზეპე ჯენტილემ და მსოფლიოს რეკორდსმენმა პერეს დუენიასმა. ვიქტორმა კვალიფიკაცია ადვილად დაძლია — 16.85 მეტრი. მეორე დღისთვის მწვრთნელებთან ერთად გადამწყვიტა თავიდანვე გაეოცებინა მეტოქეები და კარგი ნახტომით დაეწყო. ასეც მოხდა, გამორბენის წინ კიდევ ერთხელ გაიარა ყველაფერი და ნახტომიც ჩინებული გამოუვიდა — 17.35 მეტრი. ჩანაფიქრმა გაამართლა, კონკურენტები ასეთი დასაწყისისთვის მზად არ იყვნენ და დიდხანს ვერ შეძლეს სანეევის შედეგთან მიახლოება. მხოლოდ გერმანელმა იორგ დრემელმა მოახერხა 17.31 მეტრზე გადახტომა, მაგრამ გამარჯვებისათვის

მას, რომელიმე შეჯიბრებაში მიეღო მონაწილეობა. თხოვნა უცნაური იყო, მაგრამ ვიქტორი დათანხმდა და თავის კარიერაში ყველაზე შორეული ნახტომიც გამოუვიდა. თუ გავისხენებთ, რომ მან მეხიკოშიც 17 ოქტომბერს დაამყარა მსოფლიოს რეკორდი, ლენინგრადელი სპეციალისტების გამოთვლები არცთუ ურიგო რამ ყოფილა.

ახალ ოლიმპიურ ციკლში ვიქტორს ახალი კონკურენტი გამოუჩნდა, თანაც ძალიან ძლიერი. ბრაზილიელმა ჟოაო კარლოს დე ოლივეირამ 1975 წლის პანამერიკულ თამაშებში მსოფლიოს რეკორდი დაამყარა მეხიკოში — 17.89 მ. მაგრამ მონრეალის ოლიმპიურ თამაშებზე ოლივეირა ორ სახეობაში გამოდიოდა — სიგრძეზე ხტომასა და სამსხტომში. სიგრძეზე ხტომაში მან მეოთხე ადგილი დაიკავა და ახლა სამსხტომში გამარჯვების იმედად იყო. კვალიფიკაცია მანაც და სანეევმაც იოლად გაიარეს. ძირითად შეჯიბრებებში ბრაზილიელმა მხოლოდ ერთხელ შეძლო სანეევის გადასწრება, თუმცა მას ამერიკელმა ჯეიმს ბატსმა აჯობა — 17.18 მ. სტადიონი ლამის დაინგრა ბატსის ნახტომის შემდეგ. სანეევისათვის სწორედ ეს აღმოჩნდა ძირითადი გამალიზიანებული. მეხუთე ცდაზე მან თითქოს იფეთქაო — 17.29 მ-ზე გაფრინდა. ოქროს ნახტომიც ეს აღმოჩნდა და ვიქტორმაც მესამე ოლიმპიური ოქრო მიითვალა.

არსებობს დოკუმენტური ფილმი — „სანეევის საიდუმლოება“, ის სწორედ მონრეალის ოლიმპიადის შემდეგ არის

გადაღებული. კითხვაზე — მიიღებს თუ არა სანეევი მონაწილეობას მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებში, იგი მოკლედ მიუგებს: „პასუხს მოსკოვის ოლიმპიადის შემდეგ გეტყვით“. ვიტოლდ კრეერი კი აგრძელებს: „იცით, როდესაც ადამიანი რალაცას აკეთებს კარგად, ამაშია მისი წარმატებების საიდუმლოება. თითქოს ადვილია — გარბის და ხტება, მაგრამ ეს მხოლოდ ვიქტორ სანეევს შეუძლია. თუ ის ტრავმებს მოიშუშებს, მოსკოვის ოლიმპიადის მოგებაც შეუძლია დაისახოს მიზნად“. მაგრამ ვიქტორ სანეევს მეტოქეებზე მეტად, სწორედ ტრავმებთან უხდებოდა ბრძოლა. ოთხი წელი ოლიმპიადამდე ისე მიიღია, მნიშვნელოვანი საერთაშორისო ასპარეზობებიდან მხოლოდ ევროპის ჩემპიონატი მოიგო. ვერც ბოლო შესარჩევ ტურნირებში იმარჯვა და მწვრთნელთა საბჭომაც საოლიმპიადო ნაკრებში არ შეიყვანა. საბჭოს სხდომის წინ ვიქტორი დიდხანს ესაუბრა კრეერს. ეუბნებოდა, რომ მას, სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონს, მორალური უფლება ჰქონდა, გამოსულიყო მეოთხე ოლიმპიადაზე. როგორც იქნა, დაითანხმა.

ამჯერად მთავარი კონკურენტი, ბრაზილიელი ოლივეირა მხოლოდ სამსხტომელთა შეჯიბრებებში მონაწილეობდა, მაგრამ სანეევმა ჯერ კიდევ ასპარეზობების დაწყებამდე დაკარგა ენერჯის სოლიდური მარაგი: საზეიმო გახსნის ცერემონიაზე მან სტადიონზე ოლიმპიური ჩირაღდანი შემოიტანა. თუმცა არც ეს იყო მთავარი, რის გამოც ვიქტორ სანეევს მხოლოდ ვერცხლის მედალი ერგო. გახსოვთ ალბათ — 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიადას აშშ-მა და თითქმის მთელმა დასავლურმა სამყარომ ბოიკოტი გამოუცხადა ავლანეთში საბჭოთა ჯარების შეყვანის გამო. კრემლს კვლავაც უნდოდა, მსოფლიოსთვის დაემტკიცებინა, რომ საბჭოთა კავშირი უძლიერესი იყო მსოფლიოში. ამიტომ, ოლივეირას შიშით — ოქრო არ წაეღო მოსკოვიდან, — საბჭოთა სპორტსმენის, ესტონელი იააკ უუდმაიას ნახტომს რამდენიმე სანტიმეტრი მოუმატეს და ის გააჩემპიონეს. არ ეგონათ, თუ ვიქტორი ბოლო ცდაზე ყველაზე შორს გადახტებოდა — 17.24 მ. ოლივეირამ დაჯილდოების ცერემონიაზე თითებით აჩვენა ყველას — სანეევმა მეოთხე ოლიმპიადაც მოიგო, ხოლო თავად ვიქტორმა კვლავ მოკრძალებულად თქვა: „მე მხოლოდ ძლიერმა შემგვედრმა ქარმა შემიშალა ხელი, რომ ოლიმპიურ თამაშებში მეოთხე გამარჯვება მომეპოვებინა“...



„მოდის სფეროში მუშაობა მოგზაურობის კარგი საშუალებაა“

შვედური წარმოშობის ავსტრალიელი ჟურნალისტი — ნორა ბალდენვაიტი „საქართველოს მოდის კვირეულს“ სტუმრის სტატუსით დაესწრო. ის დამოუკიდებელი ჟურნალისტი გახლავთ, რომელიც მსოფლიოში ცნობილ გამოცემებში მოდის შესახებ წერს...

ეთო ყორღანაშვილი

ნორა ბალდენვაიტი:

— საქართველოში პირველად ვარ. თქვენს ქვეყანაში სოფო ჭყონიამ მომიწვია. ქართული მოდის სამყარო ძალიან მაინტერესებდა.

— „ფეშენ ვიკის“ შემდეგ ქართულ მოდაზე როგორი წარმოდგენა შეგექმნათ?

— ფვიქრობ, ჯერ საწყის სტადი-

— შესაბამისად, ძალიან თავშეკავებული იყავით, როცა ქართული მოდის შეფასება გთხოვეთ...

— (იციან) სიმართლე გითხარით, თუმცა ყველაფერი ბოლომდე არ მითქვამს...

— თუ ობიექტური ჟურნალისტი ხართ, „ცუდი რაღაცების“ წერას გვერდს მინც ვერ აუვლით...

— უბრალოდ, იმას ვაშუქებ ხოლმე, რაც ხდება. პარიზში ვცხოვრობ. მოგესხენებათ, ის მოდის ცენტრია. ამ ქალაქში უამრავი დიზაინერი ჩამოდის. ფვიქრობ, რომ მოდის სამყაროს წარმომადგენლები მხოლოდ პარიზზე არ უნდა იყვნენ კონცენტრირებულები — საჭიროა, სხვაგანაც წავიდნენ და ნიჭიერი დიზაინერები მოძებნონ.

— ნორა, პარიზში მომუშავე ქართველ მოდელზე, ქრისტინე ძიძიგურზე თუ გსმენიათ რამე?

— არა, მაგრამ მინდა აღვინიშნო, რომ ქართველ ქალებს სახის ძალიან კარგი ნაკვეთები აქვთ.

— საშუალება თუ გქონდათ, რომ თბილისის ქუჩებში გაგველოთ და ზოგადად, ხალხის გემოვნებას დაპკვირებოდით?

— ქუჩასა და მოდის სამყაროს შორის დიდი განსხვავებაა: მოდის ტენდენციებს ქუჩამდე არ მიუღწევს.



მოდის სამყაროს წარმომადგენლები მხოლოდ პარიზზე არ უნდა იყვნენ კონცენტრირებულები

აშია, განვითარება სჭირდება. ხალხს ენთუზიაზმი ეტყობა — უპირველეს ყოვლისა, ესაა მნიშვნელოვანი. მოხარული ვარ, რომ „საქართველოს მოდის კვირეულზე“ მოხვდით.

— ამ ღონისძიებისადმი კრიტიკული წერილის მიძღვნას ხომ არ აპირებთ?

— ალბათ, დაწერ. ჩემი წერილი კრიტიკული და ობიექტური იქნება.

— განაწყენებული რესპონდენტები გყავთ ხოლმე?

— არა. ძირითადად, ცუდი რაღაცებს არ ვწერ. ამიტომ საჩივრებსაც არ ვიღებ (იციან).



ჟურნალისტი ნორა ბალდენვაიტი მსოფლიოში მოგზაურობის კარგი საშუალებაა...



ქუჩასა და მოდის სამყაროს შორის დიდი განსხვავებაა

ვია. ალბათ, ეს იმის ბრალია, რომ დიზაინერებსა და მოსახლეობას შორის მჭიდრო კავშირი არაა.

— თქვენი — როგორც მოდის ჟურნალისტი ინტერესი ბოლოს რომელმა მნიშვნელოვანმა მოვლენამ მიიპყრო?

— პარიზის მოდის კვირეულმა. მისი გაშუქების შემდეგ, ცოტა ხანს გამოვიძინე, მერე კი საქართველოში გამოვემგზავრე. უკან დაბრუნებული დავისვენებ და მალე ისევ მუშაობას შევუდგები.

— ხშირად მოგზაურობთ?

— დიახ, ეს ჩემი მუშაობის შემადგენელი ნაწილია. ამ ცოტა ხნის წინ ნიუ-იორკსა და მილანში ვიყავი.

— ჟურნალისტიკაში მოდის განხრით მუშაობა რატომ გადაწყვიტეთ?

— წინათ ციურისში პიარკომპანია მქონდა. მერე საცხოვრებლად პარიზში გადავედი და გადაწყვიტე, ჟურნალისტი გავმხდარიყავი. მოდის სფერო ძალიან მაინტერესებს. დიზაინერებს მხოლოდ ჟურნალებიდან არ ვიცნობ — მათ პირადად ხშირად ვხვდები. თან, ჟურნალისტიკისთვის მოდის სფეროში მუშაობა მსოფლიოში მოგზაურობის კარგი საშუალებაა...



„მე სომ ვიცი, სიმაართლე რა არის“...

სკოლაში ყველაზე კარგად ჰუმანიტარულ საგნებს სწავლობდა; ყველანაირი უანრის ლიტერატურას საიამოვნებოთ ეცნობა. ზაფხულში რთულ ლიტერატურას ეტანება, მიძიმე სამუშაო დღის შემდეგ — შედარებით მსუბუქს. სანოლთან წიგნები ყოველთვის უდევს. ისე ვერ იძინებს, თუ რამე არ წაიკითხა. ნაკლებად ინტერესდება პუბლიცისტიკით. უმეტესად, რუსულ ენაზე კითხულობს, ზოგჯერ — ინგლისურად; ქართულად — იშვიათად. რუბრიკა „ერუდიტისთვის“ ამჯერად მსახიობი ეპა ბნდრმ-ნიკაშვილი შევარჩიე და მას სააგენტო „ჯე არტი“ ვესტუმრე.

თაბუნა კინიკაპე

პრეაგულის მამიარ

— ეკა, გამორჩეულად რომელი ავტორი გიყვარს?
— პილევინზე ვგიჟდები. გენიალური მწერალია, ნობელის პრემიაზეც წარადგინეს, გამორჩეული ხელწერა აქვს და ცოტა გიჟია. ქართველებიდან — კონსტანტინე გამსახურდია, ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონი, მიხეილ ჯავახიშვილი, ხოლო თანამედროვე მწერლებიდან აკა მორჩილაძე მომწონს.

— წიგნი მოგიპარავს?
— ეს არასდროს გამიკეთებია. როცა წიგნს ვინმეს ვათხოვებ და აღარ მიბრუნებს, მტკივნეულად განვიცდი. ვერ ვისწავლე, რომ ჩავინერო, ვის მიაქვს. ჩემი პირადი ბიბლიოთეკიდან რამდენიმე ძვირფასი წიგნი დავკარგე. როცა საზღვარგარეთ მივდივარ, წიგნები ჩემოდნით ჩამომიქვს.

— შენს შემოქმედებაში რა სიახლეა?
— ახლახან სომხეთში ვიყავი — კომედიურ ფილმში ვითამაშე და მალე პრემიერაზე დამპატიყებენ. სერიალის — „ჟამი ყვავილობისა“ — გაგრძელების ამბავი განიხილება. იმედია, მალე გაირკვევა და გადალება განახლდება. ამ წუთში სააგენტო „ჯე არტის“ საქმით ვარ დაკავებული. 6 ქართველ მსახიობს (ვანიკო ტულუში, ეკა ჩხეიძე, გოგა პიპინაშვილი, ბაადურ წულაძე, ხათუნა იოსელიანი და დათო როინიშვილი) პრალაში ვუშვებთ გადაღებაზე. ნოემბრიდან საქართველოში ბოლივუდის გადაღებები იწყება. მათ ფილმზე თემიკო ჭიჭინაძე და ზურა შარია არიან დამტკიცებულები. კიდევ ვის დააკავებენ, ჯერ ცნობილი არ არის. გადალება საქართველოში იქნება. გვინდა, პროდიუსერები და რეჟისორები მოვიზიდოთ. სააგენტოში 400-მდე მსახიობია განწევრებული — სტუდენტებიც და უფროსი თაობის წარმომადგენლებიც. ეს საიტი უცხოეთშიც იციან და ათვალიერებენ, რაც მსახიობის წარმატებული კარიერისთვის ძალზე მნიშვნელოვანია.

— ბერძნული მითოლოგიით, რომელი მცენარე მიიჩნევა ქორწინების სიმბოლოდ?

— (ფიქრობს)

— საგარეუდო პასუხებს გეტყვით: დაფნა, ვაშლი, ბრონეული თუ კვიპაროსი?

— ვაშლს გამოვირცხავ, არ იქნება. დაფნა? არა, მოდი, ბრონეულს ვიტყვი.

— გამოიცანი. მარკ ტვენმა უთხრა ერთ მანდილოსანს — თქვენ მომთბვლელი ბრძანდებით! — სამწუხაროდ, არ შემძლია, მაგავსი ქათინაურით სამაგიერო გადაგიხადოთ — უპასუხა ქალმა. მწერალს გაეღიმა და უთხრა: — თქვენც ისევე მოიქცით, როგორც მე. რისკენ მოუწოდა მწერალმა?

— ზუსტად არ ვიცი, ალბათ უთხრა, ეს ქათინაური



ზრდილობის გამო გითხარიო.

— „თქვენც ისევე მოიქცით, როგორც მე — იცრუეთ“ დედამინაზე არსებობს ზღვა, რომელიც შუა ოკეანეშია და საზღვრები არ გააჩნია. დასახლება მიიღო წყალმცენარეებისგან, რომლებიც ოკეანის ამ ნაწილში ფართოდაა გაფრცელებული. დასახლება ეს ზღვა.

— მარჯნის ზღვას ვფიქრობ. არა?

— ცდები, ლაპარაკია სარგასის ზღვაზე რომელიც ატლანტის ოკეანის ცენტრალურ ნაწილშია. „პოლიფუდი არის ადგილი, სადაც გადაგისდინა 100 დოლარს კოცნისთვის და 50 ცენტს — შენი სულისთვის“. რომელი ცნობილი მსახიობია ამ გამონათქვამის ავტორი?

— ამ მსახიობის შესახებ ვერაფერს მეტყვი?

— ის დაბადებისთანავე გააშვილეს. 5-6 წლის ასაკში დედამ უკან დაიბრუნა, მაგრამ მალე ობოლთა თავშესაფარში მოხვდა და 2 წელი იქ გაატარა. მისი ნამდვილი სახელი და გვარია ნორმა ჯინ ბეიკერ მონტენსონი.

— მერილინ მონრო.

— სამხრეთ ნახევარსფეროში რომელია ზამთრის თვეები?

— იენისი, ივლისი, აგვისტო.

— რა უფრო მძიმეა, 1 კილოგრამი ბამბა თუ 1 კილოგრამი რკინა?

— (იციან) ტოლია.

— ქალი და კაცი მიდან გზაზე. მათ ვილაც დაემგზავრება და ჰკითხავს, ერთმანეთის რა ხართო? ქალი უპასუხებს, ამ კაცის დედა ჩემი დედის დედათილიაო. გამოიცანი, ვინ არიან ერთმანეთისთვის ქალი და კაცი?



— რა საინტერესო კითხვაა, ცოტა დამაბნეველიც (ბაუზის შემდეგ) მამა-შვილი არ გამოდიან?

— დიას. რომელ დარგში არ გაიცემა ნობელის პრემია?

— ზუსტად რომ არ მახსოვს?!

— ამ პროფესიის წარმომადგენელმა ნობელს საყვარელი ქალი წაართვა. მიზეზი მხოლოდ ეს არის.

— რომელიღაც ტექნიკური დარგია, თითქოს წამიკითხავს, მაგრამ ვეღარ ვიხსენებ.

— მათემატიკაში. სად მდებარეობს კუნძული როდოსი, სადაც ცნობილი ქანდაკება — როდოსის კოლოსი მდებარეობდა?

— ეგეოსის ზღვაში.

— „39 საფეხური“, „რებეკა“, „ჩიტები“, „ადამიანი, რომელმაც ზედმეტად ბევრი იცოდა“, „ფსიქო“— ვინ არის ამ ფილმების რეჟისორი?

— ალფრედ ჰიჩკოკი.

— რომელ მხატვარს უწოდებდნენ „შუქრდილების დიდოსტატს“? მიგანიშნებ, ის ქალაქ ლეიდენში მენისქვილის ოჯახში დაიბადა. იყო ბაროკოს ეპოქის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი. მან მთელ პოლანდიურ ფერწერაზე უდიდესი გავლენა მოახდინა, თანამედროვეებმა ვერ დააფასეს. უკიდურეს სიღარიბეში გარდაიცვალა.

— რემბრანდტი.

— „მინდა მხოლოდ გიცქეროდე ასე/ ჩავიძირო მაგ თვალეზის ტბაში/ რომ გამდგარმა წარსულისგან განზე/ არასოდეს არ გამცვალო სხვაში/ მონარნარეც, მომცემელო შვების/ იქნებ შენი გული უკვე ჩახვდა -/ ვით შეიპყრო სიყვარულმა შლეგი/ რა მორჩილი სულიგანი გახდა“— ვინ არის ამ სტროფების ავტორი?

— სერგეი ესენინი. ბავშვობაში მისი ლექსები ზეპირად ვიცოდი.

— „ქვეყნის სიყვარულს საყველბუროდ და საარშიყოდ ნუ გაისდით, სამშობლო რისკიპი ქალი არაა, მთვრალს რომ მოგენატრება და მაშინ გაიხსენებ, სამშობლო ტაძარია სალოცავი, მუხლზე დაჩოქილი უნდა იდგე მის საკურთხეველთან“. რომელი ცნობილი ქართველი მწერალია ამ სიტყვების ავტორი?

— ნოდარ დუმბაძე.

— ჟირაფს უფრო მეტი კისრის მაღა აქვს თუ ბელურას?

— რას მეკითხები (იკინის)? სად ჟირაფი და სად — პატარა ბელურა?

— ვერ მიპასუხებ?

— ლოგიკურად რომ ვიმსჯელო, ჟირაფს მეტი კისრის მაღა უნდა ჰქონდეს (ფიქრობს). ბელურას შემთხვევით არ იტყოდი, შეიძლება მას მართლა ჟირაფზე მეტი კისრის მაღა აქვს. ასეა?

— გამოიცანი. ახლა მითხარი, აქლემს აქვს თუ არა კუზანი ხერხემალი?

— არა, სწორი ხერხემალი აქვს, კუზები სულ სხვა რამეა.

— იმ დღეს, როცა მწერალთა სახლიდან შალვა დადიანის ცხედარი გამოასვენეს, იქ დაასვენეს ერთი პოეტის ცხედარი. რომლის?

— ვერ გიპასუხებ.

— გალაკტიონის. რა ერქვა თავდაპირველად შექმნილ ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ტრაგედიას — „რომიო და ჯულიეტა“?

— სხვა სახელი ერქვა?

— „ჯულიეტა და რომეო“. „ნუ ხარჯავ ამდენ ძალისხმევას, ყველაფერი საუკეთესო მოულოდნელად

ხდება“. ვინ არის ამ გამონათქვამის ავტორი?

— თუ შეიძლება, გამიმეორე. (გამეორების შემდეგ) რომელი ქვეყნის წარმომადგენელია?

— ის არის კოლუმბიელი მწერალი, ჟურნალისტი, გამომცემელი— ცხოვრების დიდი ნაწილი მექსიკაში და ევროპაში გაატარა.

— ვხვდები, გაბრიელ გარსია მარკესზეა ლაპარაკი.

— შენს ცხოვრებაში თუ ხდება კარგი ამბები მოულოდნელად?

— რა თქმა უნდა. მივხვდი, რომ კარი არ უნდა შეამტვირო. რაც მოსახდენია, ისედაც მოხდება. არსებობს „მოულოდნელი სიხარულის ხატი“. ამ ხატთან სანთელს ყოველთვის ვანთებ. რა არის ადამიანისთვის საჭირო, უფალმა უფრო კარგად იცის.

— ამერეკაში მის სახელს 7 მთა, 8 მდინარე და 120-მდე დასახლებული პუნქტი ატარებს. ვისზეა ლაპარაკი?

— ვაშინგტონზე.

— სად გამოიგონეს ჯინსი?

— ამერიკაში.

— ცდები, იტალიაში გამოიგონეს.

— რამდენი საინტერესო რამ გავიგე...

— დაბოლოს, დაასრულე გერმანული მასიზობისა და მომღერლის, მარლენ დიტრიხის ცნობილი გამონათქვამი: „ჭორებს არავინ გააფრცველებდა, უამრავ ადამიანს რომ არ სწყუროდეს.“


— სიასლე.

— „მისი მოსმენა“. შენზე ჭორებს სშირად აფრცველებენ?

— არ ვიცი. არ მცალია იმისთვის, რომ მათ თვალყურს ვადევნო. ისინი იმ „ინფორმაციას ფლობენ“, რომელიც თურმე ჩემს თავს ხდება. ასეთი ადამიანების ფანტაზიით იშვიათად ვინტერესდები.

— მათზე არ ბრაზდები?

— არა, მეცინება. მე ხომ ვიცი, სიმათლე რა არის.



„ინფორმაციას ფლობენ“, რომელიც თურმე ჩემს თავს ხდება



ეპიპეტია მონოზაჟი გყოფი ისრაელის ერი, მოსე წინასწარმეტყველის შობა, ეპიპეტია და ცეცხლოვანი მაცვლის ბუჩქი

ისრაელის ერის პირველი წინასწარმეტყველი იყო მოსე, რომლის მისიაც მხოლოდ წინასწარმეტყველება არ ყოფილა — იგი ამადროულად იყო მმართველი ღვთის რჩეული ერისა. ამჯერად სწორედ მოსე წინასწარმეტყველისა და მისი მოღვაწეობის პერიოდის შესახებ ვისაუბრებთ...


შორანა მარკვილაძე

ისრაელის, ებრაელი ერის წარმოშობის შემდეგ, უფალმა თავისი რჩეული ერი მალევე გაიყვანა ალტეშული ქვეყნის ტერიტორიიდან მამამთავარ იაკობის მეთაურობით და ეგვიპტეში დაამკვიდრა. ეს მოხდა დაახლოებით ძვ.წ.ა. 1800-იან წლებში. მაშინ რჩეული ერი მხოლოდ 75 სულისგან შედგებოდა. ისრაელიანთა ეგვიპტეში ჩასვლის დროისთვის, ეგვიპტეს ფაქტობრივად მამამთავარ იაკობის ერთ-ერთი ვაჟი — ძმების მიერ ტყვედ გაყიდული იოსები მართავდა, რომელიც იმ დროისთვის 40 წლის იყო. ამის შემდეგ მან კიდევ 60 წელიწადი იცოცხლა და სიცოცხლის ბოლომდე მართავდა ეგვიპტეს. მის სიცოცხლეში ებრაელები ეგვიპტეში პატივდებულნი იყვნენ და ერთხანს მისი გარდაცვალების შემდეგაც შეინარჩუნეს ამგვარი ყოფა, მაგრამ შემდეგ, როგორც ბიბლია მოგვითხრობს, მოვიდა ახალი ფარაონი, რომელიც არ იცნობდა იოსებს. სწორედ ამის შემდეგ აღმოჩნდნენ ისრაელიანები ეგვიპტელთა მონობაში.

როგორც ვთქვით, ისრაელიანები ეგვიპტეში ძვ.წ.ა. 1800-იან წლებში ჩავიდნენ. იმ პერიოდში ეგვიპტე ერთიანი სახელმწიფო იყო. იოსები ეგვიპტეს მართავდა ძვ.წ.ა. 1750-იან წლებამდე. ამ დროიდან ერთი საუკუნის შემდეგ ეგვიპტეში ანარქია დაიწყო და ეგვიპტის სამეფო ორ ნაწილად გაიყო — სამხრეთ და ჩრდილოეთ ეგვიპტედ. სამხრეთ ეგვიპტეს მართავდნენ თებელი მეფეები — ეგვიპტელი ფარაონები; ჩრდილოეთ ეგვიპტის მართვის უფლება კი ეგვიპტოლოგიაში ჰიქსოსებად ცნობილმა მეფეებმა (რაც ეგვიპტურად უდაბნოს მეფეებს ნიშნავს) მოიპოვეს. ჰიქსოსები იყვნენ ისრაელიანები და ეს იქიდანაც ჩანს, რომ ისინი უდაბნოს მეფეებად — უდაბნოდან მოსულელებად იწოდებიან.

ჩრდილოეთ ეგვიპტეში ჰიქსოსების

მმართველობა დაახლოებით 150 წლის მანძილზე გრძელდებოდა, შემდეგ სამხრეთ ეგვიპტის მეფეებმა — ფარაონებმა დაამარცხეს ჰიქსოსები, გააუქმეს ჩრდილოეთ ეგვიპტის სამეფო და ეგვიპტე კვლავ ერთიანი სახელმწიფოდ გადაიქცა. ამის შემდეგ მთელ ეგვიპტეში კვლავ ფარაონების მმართველობის ხანა დაიწყო. სწორედ ამის შემდეგ აღმოჩნდნენ ისრაელიანები დამონებულ მდგომარეობაში. საერთოდ, ისრაელიანებმა ეგვიპტეში 400 წელი დაჰყვეს. შემდეგ, ღვთის ბრძანებითა და ნებით, რჩეული ერი მოსეს მიერ გამოყვანილ იქნა ეგვიპტელთა მონობი-



დან და კვლავ ალტეშული ქვეყნისკენ გაემართნენ. მოსე წინასწარმეტყველი იშვა იმ დროს, როდესაც ისრაელიანთა მონობიდან გამოსვლის ჟამი მოახლოვდა...

მოსეს შობა

ბიბლიიდან ცნობილია, რომ იოსების გარდაცვალების შემდეგ ებრაელებმა თანდათან დაივიწყეს ქვემარტი ღმერთი. ეგვიპტელთა მონობაში ჩაფარდნის შემდეგ, ბოლო 150 წლის მანძილზე, ისრაელიანების ყოფა უკიდურესად დამძიმდა — მათ დევნიდნენ და ავიწროებდნენ, ყველაზე მძიმე სამუშაოს ასრულებინებდნენ, რათა მათი რიცხვი უკიდურესად შემცირებულიყო: ბიბლია მოწმობს, რომ მონობის პერიოდში ისრაელის ერი ყველაზე მეტად გამრავლდა, რისიც ფარაონებს მეტად ეშინოდათ, რადგან თუ დამონე-

ბული ერი გამრავლდებოდა, შესაძლო იყო, მათი მართვა და გაკონტროლება ვეღარ მოეხერხებინათ და ისრაელიანებს მმართველი ხელისუფლება დაეპყროთ. დამონებამდე ისრაელის ერი ხომ ჩრდილოეთ ეგვიპტეს მართავდა და საკმაოდ ძლიერი და მეტროპოლი ერი იყო...

ფარაონმა ბრძანება გასცა, რომ ისრაელიანთა ყველა ახალშობილი ვაჟი დაეხოცათ და წყალში გადაეყარათ. ამ განსაცდელმა ისრაელიანებს ქვემარტი ღმერთი გაახსენა, გულმხურვალედ ევედრებოდნენ ერთადერთ ქვემარტი ღმერთს შეწევნობასა და ხსნას.

მოსე ლევის ტომიდან იყო. ახალშობილ ყრმას დედამისი 3 თვის მანძილზე მალავდა, მაგრამ მეტხანს დამალვა აღარ შეიძლებოდა — ჩალის გაფისულ კალათში ჩასვა, დილადრიიან ჩაიყვანა ნილოსზე და მდინარეს გააყოლა, თავის ქალიშვილ მარიამს კი დაავალა, ჩუმად ედევნებინა თვალი, რა ბედი ეწეოდა ბავშვს.

მაღე მდინარეზე საბანაოდ ფარაონის ასული ჩავიდა და კალათში ჩასმული ჩვილი იპოვა. ფარაონის ასული მისვდა, რომ ბავშვი ებრაელი იყო, მაგრამ შეებრალა და მისი აღზრდა გადაწყვიტა. მას თვალს ადევნებდა მარიამი — სამალავიდან გამოვიდა, ფარაონის ასულთან მიიღებინა და შესთავაზა, ბავშვისთვის ძიძას მოეყვანათ. ფარაონის ასული დათანხმდა. მარიამმა მას დედამისი მიუყვანა. ნაპოვნი ჩვილის ძიძად ფარაონის ასულმა მისივე დედა აიყვანა.

ახალშობილს მოსე უწოდეს, რაც წელიდან ამოყვანილს ნიშნავს. მოსე ფარაონის ასულმა იშვილა და აღზარდა. მას ნამდვილი მეფის შვილივით ექცეოდნენ. მოსემ შეისწავლა ეგვიპტელთა ყველა სიბრძნე და მეცნიერება.

მოსეს ეპიპეტიაზე გაქცევა

მოსემ იცოდა, რომ ებრაელი იყო და მისი ერი ეგვიპტელთაგან იჩაგრებოდა; სულდა ეგვიპტელთა კურპები, გულში ერთი ქვემარტი ღმერთის რწმენა და სიყვარული ჰქონდა. ქვემარტი სარწმუნოება აღზრდის დროს საკუთარმა დედამ შთაუწერა. მანვე შეაყვარა ებრაელი ხალხიც. მოსე ძალიან ნუხდა საკუთარი ხალხის ხვედრის გამო და მათი დახმარება სურდა.

ბიბლიიდან ვიცით, რომ ერთხელ



მოსე ერთ ებრაელს გამოესარჩლა, რომელსაც უმოწყალოდ სცემდა ეგვიპტელი. მან ეგვიპტელი მოკლა და ქვიშაში ჩაფლა. ამ პერიოდში ფარაონის ტახტზე აწინააღმდეგებ მესამე ავიდა, რომელიც დაახლოებით მოსეს ტოლი იყო და მასთან ერთად იყო აღზრდილი სამეფო კარზე. როგორც ჩანს, აწინააღმდეგებ მესამემ იცოდა, რომ მოსე იუდეველი იყო და თავიდანვე არ უყვარდა, მაგრამ მისი შევიწროების უფლება არ ჰქონდა ისევე როგორც მამამისს, რადგან მოსეს ფარაონის ასული მფარველობდა, მაგრამ როგორც კი ამის შესაძლებლობა მიეცა, მოკვლა გადაწყვიტა. მიზეზად ეგვიპტელის მკვლელობა დაასახელა, მაგრამ მოსემ მოასწრო ეგვიპტიდან გაქცევა და მიდიანის ქვეყანას — არაბეთს მიაშურა. იქ მიდიანელი მღვდლის ოჯახში პოვა თავშესაფარი და მალე მღვდლის ასულზე — საფორაზე დაქორწინდა, შეეძინა 2 ვაჟი და იქვე დაჰყო ორმოცი წელიწადი, ვიდრე უფალმა ეგვიპტეში არ გაგზავნა თავისი რჩეული ერის ეგვიპტიდან გამოსაყვანად.

უებნება, მიანიშნებს, რომ მე ის ვარ, ვინც შენს გულშიაო. სწორედ ამ გამოცხადების დროს დაავალა მოსეს უფალმა ეგვიპტეში დაბრუნება და თავისი რჩეული ერის ეგვიპტელთა მონობიდან გამოყვანა. დაბრუნებულმა და შეშინებულმა მოსემ თავდაპირველად უარი განუცხადა უფალს, რადგან კარგად ესმოდა, რომ ადამიანური ძალით შეუძლებელი იყო ამ უდიდესი საქმის აღსრულება — მას არავინ დაუფერებდა. მაშინ უფალმა სასწაულები აჩვენა და განამტკიცა, თუმცა მოსე მაინც ცდილობდა, თავი აერიდებინა და კვლავ მიმართა უფალს: „გევედრები, უფალო, სხვა გაგზავნე. მე არ შემიძლია, რადგან ლაპარაკი არ შემიძლია“ (როგორც ბიბლია გვაუწყებს, მოსე იყო „ენა-მძიმე და ხმა-წერილი“). ამაზე უფალმა მიუგო: — „ნადი, მე ვიქნები შენთან და გასწავლი, რა უნდა გააკეთო. შენი ძმა, აარონი შეგებდება გზაში და ხალხთან ის ილაპარაკებს. თან ნაილე კვერთხი,

რომელიც ხელში გიპყრია, ამ კვერთხით სასწაულებს აღასრულებ“. უფალმა სწორედ მაშინ მისცა მოსეს სასწაულთა ქმნის უნარი და ნიჭი წინასწარმეტყველებისა. მოსე მორჩილად დაჰყვა ღვთის ნებას და ეგვიპტისკენ ნასასვლელად მზადება დაიწყო. წმინდა მამები ცეცხლოვანი მაცულის ბუჩქს ხშირად ადარებენ ყოველდღიან ღვთისმშობელს: როგორც მაცულის ბუჩქს ეკიდა ცეცხლი ყოველი მხრიდან და არ ინვოდა, ასევე ქალწული მარიამისგან იშვა იესო ქრისტე — განკაცებული ღმერთი და ამით მის ქალწულებას არაფერი ევნო. ამრიგად, მაცულის ბუჩქი, რომლისგანაც ისმოდა სიტყვა ღვთისა, მოასწავებდა ყოველდღიან ღვთისმშობელს, რომ მისგან იშვებოდა იესო ქრისტე — სიტყვა ღვთისა.

მოსე წინასწარმეტყველთან დაკავშირებით თხრობას „გზის“ მომდევნო ნომერში განვაგრძობთ.

მოსეს მიერ ცეცხლოვანი მაცულის ბუჩქის ხილვა

მიდიანის ქვეყანაში ყოფნის პერიოდში მოსე თავისი სიამაგრის ცხვრებს მწყემსავდა. ერთხელ ფარა მოშორებით გადარევა და იმ მთის მახლობლად მოხვდა, რომელსაც „ღვთის მთას“ ეძახდნენ. მთას ორი წვერი ჰქონდა. დაბალს ქორები ერქვა, მაღალს — სინა. სწორედ ქორების მთაზე შეიქმნა მოსე ღირსი ღვთიური გამოცხადებისა — იხილა ცეცხლოვანი მაცულის ბუჩქი, რომელსაც ცეცხლი ეკიდა და არ ინვოდა. გაოცებული მოსე მთას მიუახლოვდა, რათა გაეგო, რა ხდებოდა. მას მაცულოვანიდან ხმა მოესმა: „მოსე! მოსე! ფეხზე გაიხადე და ისე დადექი ჩემ წინაშე, ვინაიდან სადაც შენ დგახარ, წმინდა ადგილია.“ მოსემ ჰკითხა: — „ვინ ხარ შენ, უფალო?“ და პასუხად ესმა: — „მე ვარ, რომელი ვარ“, რაც ძველბერძნულად გამოითქმის, როგორც — „იაჰვე“. სხვათა შორის, ენ. იეჰოვას მოწმეები ამტკიცებენ, თითქოს იაჰვე ღმერთის მარადიული სახელია, რომელიც უფალმა განუცხადა მოსეს მაცულოვანში. ეს ასე არ არის. მოსემ როდესაც წარმოთქვა — „ვინ ხარ შენ, უფალო“, ამ სიტყვებში ღმერთი არ მოუახლოვებია, არამედ სიტყვა „უფალო“ მოკრძალების გამოსახატავად თქვა, რაც ნიშნავდა — „ჩემო ბატონოო“. მოსეს კვლავ მოესმა ხმა მაცულოვანიდან — „მე ვარ“. მისი გული ახლოს იყო უფალთან, მან იცოდა ღმერთი და ამიტომაც აუწყებს უფალი — მე ვარო. ამით

მსოფლიოს რჩეული მოთხრობები

რჩეული მოთხრობებისგან

ჟურნალ „კრიმინალიზმი“ ერთად

ნაიტიბე წიგნები. ყველსად იქნები!

24 თვეოვანი - ზომი №40

მთხრობაილი - ამბროს ბირსი

31 თვეოვანი

ზომი №41 - ზრად ჰარტი

ფასი ... 2 ლარი!!!

უკვე გამოცემული ზომები უბრალოდ შეიქმნოთ წიგნის დასაყვანად.



ანტიდუპლიკატი

გზაში საკითხავი კოლაქი

ქემდეველი ოქმე ივანიძე

1. ჩივთქელისა სოფელია ნალკის რაიონში.
2. მონაკოში პირველი კაზინო 1846 წელს გაიხსნა.
3. „სათვლიანი“ პინგვინები მხოლოდ სამხრეთ აფრიკაში ბინადრობენ.
4. პირველ მსოფლიო ომში ბრიტანელმა 14 ათასი მფრინავი დაკარგეს.
5. აკაკი წერეთლის „თორნივე ერისთავი“ რუსულად კოლაქ ნადირაძემ თარგმნა.



6. ნაცისტების მიერ განადგურებული 6 მილიონი ებრაელიდან მილიონნახევარი ბავშვი იყო.

7. რუსეთი ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც ქართული ღვინის ხარისხი არ აკმაყოფილებს.

8. „ეს ყველაზე დიდი სისულელეა, რაც ცხოვრებაში მომისმენია“, — ეს ბილ გეისის უსაყვარლესი ფრაზაა, რომელსაც ხშირად კამათში ჩაურთავს ხოლმე.

9. ვასილ ამაშუკელი პირველი ქართველი ოპერატორი იყო. აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში კინოფირზე მისი აღბეჭდილია.

10. მხატვრული ფილმი „რეკორდი“ გურამ პატარაიამ 1974 წელს, ჩეხი მწერლის, კარელ ჩაპეკის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით გადაიღო.

11. „ლიუბოვ ზლა, პოლიუბი ი კაზლა“, — უყვარდათ თქმა რუს ქალებს. დღეს კი გაიძახინ: „ლიუბოვ ნა სტოლოკო ზლა, შტო უყე კაზლოვ ნა ესეს ნე ხვატაუტ!“.

12. ჟირაფი ხმელეთზე მობინადრე ცხოველთა შორის ყველაზე მაღალია. მისი გული 10 კილოგრამამდე იწონის და უზარმაზარი დგუშით მუშაობს, თითქმის 9 მეტრის სიმაღლემდე რომ მოახდინოს სისხლის ცირკულაცია. ჟირაფის კისრის სისხლძარღვებში ერთგვარი სარქველები აქვს. თავის დაბლა დახრის დროს ეს სარქველები იხურება, ტვინზე სისხლის დანოლა არ ხდება და ცხოველს წყლის დაღვივებას გული არ მისდის.

13. დები იშხნელები გაგრაში მიდიოდნენ კონცერტის ჩასატარებლად, როცა გზაში სამთავრობო ავტომობილი წამოეწიათ და მძღოლმა თავის მანქა-

„შეკრულან“ ელექტრომობილი

კონცერნი „ჯენერალ მოტორსი“ ახალი თაობის ორადგილიანი ელექტრომობილის — EN-V — შემუშავებას გეგმავს. ეს პროტოტიპები წარმოადგენს დიზაინერთა და ინჟინერთა ხედვას, უახლოესი მომავლის ქალაქის მანქანებთან დაკავშირებით. „2030 წლისთვის პლანეტის 8-



მილიარდიანი მოსახლეობის 60%-ზე მეტი ქალაქებში იცხოვრებს, ხოლო EN-V-ის კონცეპტავტოები იმ ქვეყნებში, სადაც გადაადგილების ალტერნატიული საშუალებებია საჭირო, პრობლემის გადაწყვეტის შესაძლებლობას იძლევიან“, — განაცხადა „შეკრულან“ ვიცე-პრეზიდენტმა, კრის პერიმ. ახალი კონცეპტავტოები „შეკრულან“ ბრენდის ქვეშ გამოვა. ლითიუმ-იონური ბატარეებით მას შეუჩერებლად 40 კმ-მდე მანძილის გავლა შეუძლია, რაც შემქმნელთა მოსაზრებით, ქალაქში გადასადგილებლად საკმარისი დისტანციაა. აკუმულატორების დატენა

საყოფაცხოვრებო დენის წყაროდანაა შესაძლებელი, თუმცა ამ ეტაპზე უცნობია, რა დროა საჭირო მის დასატენად. პროტოტიპ EN-V-ის პირველი ვარიანტები მოძრაობაში მოჰყავდა 3-კილოვატინან ელექტროძრავებს, რომლებიც ავტომობილს 40 კმ/სთ სიჩქარის განვითარების საშუალებას აძლევდა. ასეთი ავტო ელექტრონული საჭით, სხვა მანქანებთან მონაცემების გაცვლის სისტემით იყო აღჭურვილი, ასევე მას შეეძლო საგზაო მდგომარეობის გაანალიზება და სრულ ავტომატურ რეჟიმში, მძღოლის ან მგზავრის მონაწილეობის გარეშე გადაადგილება. ადრე გავრცელებული ცნობით, ამგვარი ავტომობილების ტესტირება რეალურ საქალაქო პირობებში 2012 წლიდან იგეგმება. გამოყოფენ 2,5 კვადრატული კმ-ის ფართობს, რომელიც სხვა მანქანებისგან თავისუფალი იქნება. ეს შეიძლება იყოს ოლიმპიური სოფელი ან ქალაქის მშენებარე რაიონი. ტესტირების შედეგად მოდერნიზდება მანქანებს შორის კომუნიკაცია და გადაინედება მათი კონსტრუქცია.

Audi A1-ის ყველაზე მკლავრი მოდიფიკაცია

ერთ-ერთმა გამოცემამ ჰეჩბეკ Audi A1-ის ყველაზე მკლავრი მოდიფიკაციის — RS1 — არაოფიციალური ციოტოები გამოაქვეყნა. სავარაუდოდ, ავტომობილის დებიუტი მომავალი წლის მარტში, ჟენევის მოტორშოუზე შედგება. სურათების მიხედვით, განახლებული ჰეჩბეკის გარეგნობა კონცეპტუალური Audi A1 Clubsport Quattro-ს სტილშია შესრულებული, რომელიც მიმდინარე წლის მაისში წარმოადგინეს. პროტოტიპი 503 ცხბ-იანი, 2,5-ლიტრიანი, 5-ცილინდრიანი ტურბომოტორითა და სრული აძვრის სისტემით იყო აღჭურვილი. როგორც კომპანია Audi-ში განაცხადეს, 0-დან 100 კმ/სთ სიჩქარეს ასეთი ავტომობილი 3,7 წამში ავითარებს, ხოლო

200 კმ/სთ-ს — 10,9 წამში. წინასწარი მონაცემებით, სერიულ Audi RS1-ს 280 ცხბ-იანი, 2-ლიტრიანი „ტურბო“, სიჩქარის გადაცემათა 6-საფეხურიანი მექანიკური კოლოფი, მძღავრი სამუხრუჭე მექანიზმები და სპორტული სავარძლები ექნება. 0-დან 100 კმ/სთ სიჩქარეს იგი დაახლოებით 5 წამში განავითარებს, ხოლო მაქსიმალური სიჩქარე 240 კმ/სთ იქნება. სხვა ინფორმაციით, განახლებულ Audi A1-ზე პირველად იქნება გამოყენებული ჰიბრიდული დანადგარი უკანა ხიდზე ელექტრომომტორითა და ბატარეების მცირე კომპლექტით. შემდგომში ანალოგიურ აგრეგატებს გერმანული მარკის სხვა მოდელებისთვისაც გაითვალისწინებენ.





უსაფრთხოების ნოვაციური სისტემა „ნისანისგან“

უახლოეს ორ წელიწადში „ნისანის“ ავტომობილებზე უსაფრთხოების ახალი სისტემა გამოჩნდება, რომელიც გარკვეულ სიტუაციებში მანქანას აქსელერატორზე რეაგირების საშუალებას არ მისცემს. იაპონური მწარმოებლის წარმომადგენელთა თქმით, ეს ტექნოლოგია იმ საგზაოსატრანსპორტო შემთხვევებს შეამცირებს, რომელთა დროსაც ექსტრემალურობის ნიადაგზე ადვლავების გამო, მძღოლებს გაზისა და მუხრუჭის სატერფულები ერთმანეთში ერევათ. „იმისთვის, რომ გაირკვეს, აქსელერატორზე ფეხის დაჭერა გონივრული იყო თუ მცდარი, სისტემა ავტომობილის გარშემო შექმნილ სიტუაციასა და მძღოლის მოქმედებებს შეაფასებს“, — ნათქვამია „ნისანის“ მიერ გავრცელებულ ცნობაში. სიახლე ოთხი კამერის საშუალებით წრიული ვიდეოხედვის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე იმუ-

შავებს. თუ ელექტროსისტემის შეფასებით, ამა თუ იმ კონკრეტულ მომენტში სატერფულზე ფეხის დადგმა არამართებული გადაწყვეტილებაა, სისტემა მძღოლს ამის შესაძლებლობას არ მისცემს. ავტომობილისტი სისტემის ამოქმედების შესახებ ხმოვანი სიგნალითა და ბორტკომპიუტერის ეკრანზე გამოსახული წარწერით შეიტყობს. კომპანია „ნისანი“ ამტკიცებს, სისტემა მცირე სიჩქარეებზე მუშაობისთვისაა განკუთვნილი (სადგომში ან შეზღუდულ სივრცეში), ამიტომ იგი შარაგზაზე მოძრაობისას არ გააქტიურდება და მძღოლის მოქმედებაში არ ჩაერევა. ჯერჯერობით უცნობია, თუ რომელ მოდელებზე გამოჩნდება ამგვარი სისტემა. „ნისანის“ მესვეურთა მოსაზრებით, წელიწადში 7 ათასამდე ავარია ხდება იმის გამო, რომ მძღოლები ერთიმეორეში გაზისა და მუხრუჭის სატერფულებს ურევენ. ■

უფირანი „ჰიუნდაი“



ინდოეთში „ჰიუნდაიმ“ თავის საავტომობილო ხაზში ყველაზე მცირე მოდელი, სიტი-კარი EON წარადგინა. სიახლე სამხრეთკორეული მარკის კვლევის ცენტრშია შემუშავებული. თავდაპირველად, ის მხოლოდ ინდური ბაზრისთვის იქნება გათვალისწინებული, თუმცა შემდგომში სხვა ქვეყნების დილერთა სალონებშიც გამოჩნდება. მისი გაბარიტული სიგრძე 3495 მმ, სიგანე — 1550 მმ, სიმაღლე — 1500 მმ, ხოლო ბორბლების ბაზა 2380 მმ-ია. ამგვარად, ავტომობილი გარკვეულწილად დაპატარავდა, 5-კარიან ჰენდევკ ი10-თან შედარებით. ამასთან, ორივე მანქანის ბორბლების ბაზა ერთი და იგი-

ვე ზომისაა. სიახლე 0,8-ლიტრიანი, 56 ცხმ-ის სიმძლავრის ბენზინის ძრავით აღიჭურვება, რომელიც სიჩქარის გადაცემათა მექანიკური, 5-საფეხურიანი კოლოფით იმუშავებს. ასეთი მანქანა 100 კმ-ის გასავლელად საშუალოდ 4,7 ლ სანავსს ხარჯავს. ინდოეთში იგი ალტურვილობის 5 ვარიანტადაა ხელმისაწვდომი. ყველაზე იაფფასიანი Eon 269 — ათასი 999 რუპია (დაახლოებით 5,5 ათასი აშშ დოლარი), ხოლო ტოპვერსია 371 ათასი 869 რუპია (7,5 ათასი აშშ დოლარი) ღირს. კომპანია „ჰიუნდაი“ ინდოეთში წელიწადში დაახლოებით 150 ათასი ეგზემპლარის გაყიდვას გეგმავს. ■

ანტიუპრანატი

გზაში საკითხავი კოლაქი

ქეპლერელი თეკო ივანიძე

ნაში გადასხდომა სთხოვა. თურმე სტალინის მონატრებია იზხნელების ტუბილი ხმა და მათ წასაყვანად ბიჭვინთიდან მანქანა გამოუგზავნია.

14. რომის ზოგიერთი მოქალაქე უკმაყოფილებას გამოთქვამდა, თუ რამდენ ნაკლებად ღირსეულ ადამიანს დაუდგეს ქალაქში ძეგლი და კატონი არავის გასწენებიაო. კატონმა გაიგო ამის შესახებ და განაცხადა: მე მიორჩენია ხალხმა იკითხოს, რატომ არ დაუდგეს კატონს ძეგლი, ვიდრე ის იკითხოს, რატომ დგას აქ მისი ძეგლიო.

15. ლაკონიაში გამარჯვების შემდეგ თებში დაბრუნებული ეპამინონდი იძულებული გახდა სასამართლოს წინაშე წარმდგარიყო, რადგან ოთხი თვით გადააცილა ბეოტარქის (მხედართმთავრის) თანამდებობაზე ყოფნის ვადას. სასამართლოზე მან მსაჯულებს განუცხადა: „თუკი ჩემს დასჯას გადაწყვეტთ, ჩემი გარდაცვალების შემდეგ შეგიძლიათ საფლავის ქვაზე ასეთი ეპიტაფია ამოკვეთოთ: „აქ განისვენებს ეპამინონდი, რომელმაც თებელთა სურვილის სანინაღმდეგოდ დაამარცხა სპარტელები, რომლებსაც 500 წლის მანძილზე ვერავინ სძლია. მან აღადგინა ქალაქი მესანა, რომლის აღდგენაც 230 წელი ვერავინ ითავა. მისი წყალობით გადარჩნენ ელინები მონობას და მოიპოვეს თავისუფლება და ყველაფერი ეს მან ერთი ლაშქრობით მოახერხა, რამაც მდგომარეობს მისი დანაშაული“. განსასჯელის მოსმენის შემდეგ მსაჯულებმა გაიცინეს და ისე დაიშალნენ, რომ კენჭის საყრელი ქვებისთვის ხელი არ უხლიათ.

16. მიხეილ ხერგიანი ერთ-ერთ საერთაშორისო შეჯიბრებაზე გაჯიუტდა, საბჭოთა კავშირის სახელით ნუ მაცხადებთ, სვანეთის სახელით გამომაცხადეთო. რამდენჯერმე იხმეს, მაგრამ არ გამოცხადდა. უცხოელმა მსაჯმაც აილო და სვანეთის სახელით გამოცხადდა. ამის გამო ხერგიანს სერიოზული პრობლემები შეექმნა და სამი წლის განმავლობაში ნაკრებში აღარ მიუწვევიათ.





სასარბებლო რჩევები

თუ გსურთ, შინ ყველაფერი რიგზე გქონდეთ და ყოფილი პრობლემები იოლად და სწრაფად მოაგვაროთ, გაითვალისწინეთ ზოგიერთი რჩევა.

როგორ შევინახოთ ბოსტნეული
იმ ყუთის ძირზე, რომელშიც ბოსტნეულს ინახავთ, დააფინეთ პერგამენტი ან გასანთლული ქაღალდი — კარტოფილი, სტაფილო და კომბოსტო კარგად და საღად შეინახება.

როგორ შევინარჩუნოთ ყავის არომატი
დაფქული ყავა არომატს არ დაკარგავს, თუ მას საყინულეში შეინახავთ.

როგორ დავუბრუნოთ ქვაბს ბზინვარება
მიმწვარ ქვაბს ადვილად გაასუფთავებთ, თუ მასში წამოადუღებთ სოდას წყალს (2 სუფრის კოვზი სოდა 1 ლიტრ წყალზე).

როგორ გაფუცქვანთ მოხარშული კარტოფილი
წრიულად დასერეთ კარტოფილის კანი და მოხარშეთ. მოხარშული უმაღლე გადაიღეთ ძალიან ცივ წყალში. კანი დაიჭმუჭნება და თვითონვე მოსცილდება.

როგორ დავიცვათ ავეჯი მტერისგან
იმისათვის, რომ მტვერი ავეჯს დიდხანს არ დაედოს, განმინდეთ 1 სუფრის კოვზი ანტისტატიკისა და 8 სუფრის კოვზი წყლის ნარევი დასველებული ქსოვილით.

როგორ გავწმინდოთ ლამინატი
ლამინატი განმინდეთ კარგად განურთი ჩვრით. ყურადღება მიაქციეთ, რომ გადაბმის ადგილებს წყალი არ მოხვდეს, თორემ ისინი შეიძლება გაიჟინდოს და გაიბეროს.

როგორ შევინახოთ ბურღულეული
ბურღულეული მანქანები-საგან რომ დაიცვათ, შეინახეთ ქსოვილის ტომრებში. ტომრე-

ბი წინასწარ 15-20 წუთის განმავლობაში ადუღეთ მარილწყალში, შემდეგ გაუნურავად გააშრეთ. ასევე შეიძლება შეინახოთ ჩირიც.

როგორ გავიგოთ, ახალია თუ ანტი თევზი

ახალი თევზის ქერცლი გამჭვირვალე ლორწოთია დაფარული, თვალები არ არის უფერული და ამღვრული. თუ შიგნეულს დაანვევით, ღრმული ხელის ალებითანავე ამოივსება.

როგორ შევინახოთ კაკალი
კაკალი, მოგესხნებათ, ცხიმს შეიცავს, ამიტომ უმჯობესია საყინულეში შეინახოთ, რათა არ გამოშრეს.

როგორ უზრუნველყოთ მცენარეები წყლით

თუ უქმებზე შინიდან წასვლამ მოგინათ და შიშობთ, რომ ქოთნის მცენარეები უწყლოდ ვერ გაძლებენ, აიღეთ პატარა პლასტმასის ბოთლები, აავსეთ წყლით, სწრაფად გამოაბრუნეთ და ყელით ქოთანში ჩაარჭვეთ. 3-4 დღის განმავლობაში თქვენი მცენარეები წყლით უზრუნველყოფილი იქნება.

როგორ გავასუფთაოთ საშხაპე
საშხაპის კარი განმინდეთ ძმრით დასველებული ღრუბლით — კარზე ორთქლისა და წყლის ნალექი აღარ გაჩნდება.

როგორ გავასწოროთ ნივთები უთოს გარეშე

თუ სასწრაფოდ გჭირდებათ დაჭმუჭნილი პერანგის დაუთოება, მაგრამ უთო ხელთ არ გაქვთ, დაკიდეთ ის აბაზანის თავზე და მოუშვით ცხელი წყალი. აბაზანის კარი დახურეთ. რაც უფრო მეტხანს გააჩერებთ ტანისამოს ორთქელში, მით უკეთესად გასწორდება მასზე ნაკეცები.

როგორ მოვაშოროთ ტანსაცმელს სიპრიალე

თუ მუქი ფერის ტრიკოტაჟის ნივთის ზედაპირი აპრიალდა, ის ქაფქაფა ყავაში დასველებული უხეში ჯაგრისით უნდა განმინდოთ.

როგორ გავწმინდოთ ქუჭყიანი და დალაქვებული ლარნაკი

მინის ან ბროლის ლარნაკი, რომელშიც დიდხანს ეწყო ყვავილები, კარგავს ბზინვარებას და კედლებზე ნალექი და ნადები უჩნდება, რომელიც მარილებისგან არის წარმოქმნილი. ჩაასხით ლარნაკში ძმრისა და მარილის ხსნარი და ერთხანს გააჩერეთ.

რატომ ვმცინარჩუნლოთ სახლში ჭებრიბი და სისუფთავა მინიმალური ძალისხმევი?

დაიცავით რამდენიმე წესი

- დაყავით სახლი ზონებად.
- ყოველდღე მხოლოდ ერთი ზონა დაალაგეთ. ამისთვის 15 წუთიც გეყოფათ.
- გადაყარეთ უსარგებლო ძველმანები.
- ყოველდღიურად, როგორი დაკავებულაც უნდა იყოთ, ბზინვარებამდე განმინდეთ სამზარეულოს ნიჟარა.
- მოაწყვეთ გენერალური დალაგება კვირაში ერთხელ.
- ნუ დაელოდებით სახლის მეტისმეტად გაჭუჭყიანებას.




რუბრიკა მოამზადა
კკა გუნთაიშვილმა

მალა!

„კალიტრა მეფია“
ცარმეგნიფიკანტი კრომეტს

ჯაფოსნუჩი

ქისა



დაალოფაი!

ყველაფერს თავისი დრო აქვს!



რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარბიჭიშვილი

როგორ ვიმკურნალოთ სურნელოვანი მცენარეებით

თავშავა

თავშავა მრავალწლიანი მცენარეა. ისხამს წვრილ, ლილისფერ-მოვარდისფრო ან ღია ძონისფერ ყვავილებს, რომლებიც იშვიათ არომატს აფრქვევს. სამკურნალო თვალსაზრისით გამოსაყენებლად, მცენარე ყვავილობისას უნდა შეგროვდეს. მას ახმობენ ჰაერზე, ოღონდ ჩრდილში და ინახავენ ქაღალდის



ამ ნაჭრის პარკში, ერთი წლის განმავლობაში.

თავშავას პრეპარატებს აქვთ ანტიმიკრობული, ანთების საწინააღმდეგო, ჭრილობის შემახორცებელი, ტკივილგამაყუჩებელი, დამამშვიდებელი, ამოსახველებელი, ოფლმდენი, შარდმდენი, კრუნჩხვების საწინააღმდეგო, საჭმლის მომნელებელი და წნევის დამწვეი მოქმედება.

ხველა და გრიპი (მკურნალობის დამატებითი საშუალება): თერმოსში ჩაყარეთ 2 ჩ/კ დაქუცმაცებული (ნედლი ან გამხმარი) თავშავა, დაასხით 0,5 ლ მდულარე წყალი, გააჩერეთ 1 საათი და გაფილტრეთ. მიიღეთ 1/2 ჭიქა თბილი წყენი, დღეში 4-ჯერ, ჭამამდე 30 წუთით ადრე. მკურნალობა განაგრძეთ სრულ გამოჯანმრთელებამდე.

უმაღობა, კუჭის საზში, შერულობა: 2 ჩ/კ დაქუცმაცებულ, ნედლ ან გამხმარ თავშავას დაასხით 1 ჩ/ჭ მდულარე წყალი, გააჩერეთ 20 წუთი, გაფილტრეთ. მიიღეთ 1/4 ჭიქა

თბილი წყენი, დღეში 4-ჯერ, ჭამამდე 30 წუთით ადრე. მკურნალობა განაგრძეთ სრულ გამოჯანმრთელებამდე.

ნევროზი და უძილობა: 1 ს/კ ნედლ ან გამხმარ მცენარეს დაასხით 1 ჩ/ჭ მდულარე წყალი, გააჩერეთ 2 საათი, გაფილტრეთ. მიიღეთ თითო-თითო ს/კ წყენი, დღეში 3-ჯერ, ჭამამდე 15 წუთით ადრე. მკურნალობის კურსია 10-14 დღე.

მენსტრუალური ციკლის მოშლა: 2 ჩ/კ დაქუცმაცებულ, ნედლ ან გამხმარ თავშავას დაასხით 0,5 ლ მდულარე წყალი, გააჩერეთ 30 წუთი, გაფილტრეთ. მიიღეთ 1/4 ჭიქა წყენი დღეში 4-ჯერ, ჭამამდე 20 წუთით ადრე. თან დამატეთ 1 ს/კ რძე და 1 ჩ/კ თაფლი. მკურნალობა განაგრძეთ გამოჯანმრთელებამდე.

თავის ტკივილი, სისხლძარღვოვანი საზში: 4 ს/კ ნედლ ან გამხმარ თავშავას დაასხით 1 ლ მდულარე წყალი, დააყენეთ ნახევარი საათი, გაფილტრეთ. ამ წყენით დაიბანეთ თავი, შემდეგ კარგად გაიმშრალეთ პირსახოცით და შეიხვიეთ თბილად.

თავშავა უკუნაჩვენებია ორსულთათვის.

გველთავა

გველთავა ადვილად მოსაშენებელი, ერთწლიანი მცენარეა, ლიმონისა და პიტნის არომატით, რისთვისაც თურქულ ბარამბოს უწოდებენ.

სამკურნალოდ გამოდგება ყვავილობის დროს მოკრეფილი ბალახი. გველთავას პრეპარატებს აქვთ ბექტერიოციდული, ანთების საწინააღმდეგო, ჭრილობის შემახორცებელი, ტკივილგამაყუჩებელი, კრუნჩხვების საწინააღმდეგო, დამამშვიდებელი, მაღის აღმკვრელი

და საჭმლის მომნელების მარეგულირებელი მოქმედება.

საშარდე გზების ანთება და ნეფრიტი (მკურნალობის დამატებითი საშუალება): 2 ს/კ დაქუცმაცებულ გველთავას დაასხით 1 ჩ/ჭ მდულარე წყალი, გააჩერეთ 1 საათი და გაფილტრეთ. მიიღეთ 1/4 ჩ/ჭ დღეში 3-ჯერ. მკურნალობის კურსია 10-14 დღე.

თავის ტკივილი, ნევრალგია, ტაქიკარდია (მკურნალობის დამატებითი საშუალება): 1 ს/კ დაქუცმაცებულ მცენარეს დაასხით 1 ჩ/ჭ მდულარე წყალი, დააყენეთ 30 წუთი, გაფილტრეთ. მიიღეთ 2 ს/კ დღეში 2-3-ჯერ, ჭამამდე 15-20 წუთით ადრე. მკურნალობა განაგრძეთ სრულ გამოჯანმრთელებამდე.

გაცივება, მეტეორიზმი, ნაწლავთა საზში: 1 ს/კ დაქუცმაცებულ მცენარეს დაასხით 1 ჩ/ჭ მდულარე წყალი, გააჩერეთ 1 საათი, გაფილტრეთ. მიიღეთ 1/4 ჩ/ჭ დღეში 3-4-ჯერ, ჭამამდე 30 წუთით ადრე. მკურნალობა განაგრძეთ სრულ გამოჯანმრთელებამდე.

უძილობა, ნერვული გადაძაბვა: 5 ს/კ დაქუცმაცებულ მცენარეს დაასხით 1 ლ მდულარე წყალი, გააჩერეთ 30 წუთი, გაფილტრეთ და ჩაასხით 37-38-გრადუსიან წყლით სავსე აბაზანაში. აბაზანა მიიღეთ 20-25 წუთის განმავლობაში, დღეგამოშვებით, დაძინებამდე 1 საათით ადრე. მკურნალობის კურსია 10 პროცედურა.

პარადონტოზის, სტომატიტის, გინგივიტის პროფილაქტიკა: 2 ს/კ დაქუცმაცებულ გველთავას დაასხით 0,5 ლ მდულარე წყალი, გააჩერეთ 1 საათი, გაფილტრეთ. წყენი გამოივლეთ პირის ღრუში, დღეში 3-4-ჯერ, 10-14 დღის განმავლობაში.

დაფეხილობა და რევმატიული ტკივილი: ერთ მუჭა დაქუცმაცებულ გველთავას ბალახს მდულარე წყალი გადაავლეთ, გაახვიეთ 2-3 ფენა მარლაში, დაიდეთ მტკივნეულ ადგილას, ზემოდან დაიფარეთ პოლიეთილენის ნაჭერი და შალით შეიხვიეთ. ასეთი კომპრესი დღეში 1-2-ჯერ გაიკეთეთ, 2-3 საათით. მკურნალობა განაგრძეთ მდგომარეობის გაუმჯობესებამდე.

P.S. პატივცემულო მკითხველებო, მოგვწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 5(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე: nino.char@yahoo.com.



პასუხები აკითხვალთა შეკითხვებზე

ვაგრძელებთ პასუხს რედაქციაში შემოსულ შეკითხვებზე. შეგახსენებთ, რომ ვხელმძღვანელობთ თამარ მამაცაშვილის წიგნით — „შეკითხვა ექიმს“, სადაც თავმოყრილია საკმაოდ მნიშვნელოვანი ინფორმაცია საზოგადოებისთვის აქტუალურ, სამედიცინო საკითხებზე. ამ წიგნის ყიდვა შესაძლებელია წიგნის მაღაზიებში.

— ჩემს შვილს დაეწყო ასთმის შეტევები. იქნებ არსებობს ბავშვთა ასთმის მკურნალობის თანამედროვე მეთოდები?

— არსებობს ბავშვთა ბრონქული ასთმის მკურნალობის საერთაშორისო პროგრამები; შექმნილია თერაპიის ალგორითმი, რომელიც დამოკიდებულია ავადმყოფის ასაკზე, დაავადების ხანგრძლივობასა და სიმძიმის ხარისხზე. შემუშავებულია საკმაოდ ეფექტიანი მეთოდები ბრონქული ასთმის გასაკონტროლებლად. სწორი მკურნალობის დანიშვნა მხოლოდ ალერგოლოგს შეუძლია. მისგან ამ დაავადებაზე სრული ინფორმაცია უნდა მიიღოთ. მაგალითად, ასთმის ატიპიური ფორმის

დროს არ შეიძლება ავადმყოფს ექინოს ბუმბულის ბალიშზე, დაუშვებელია ოჯახში ცხოველებისა და ფრინველების ყოლა. ასთმიანები მგრძობიარენი არიან არა მხოლოდ ალერგენის მიმართ, არამედ — არასპეციფიკური ზემოქმედებისადმიც. მაგალითად, სიცივის, ფიზიკური დატვირთვის, ფსიქოემოციური გადაძაბვისადმი. ცნობილია შემთხვევები, როცა ბავშვი ტირანი ხდება ხოლმე. მან იცის, რომ დაავადების შეტევისას დედას ძალიან ეშინია, ამიტომ რაღაცის მისაღწევად თავად იწვევს ასთმის შეტევის პროვოცირებას, იწყებს მძიმე სუნთქვას, რისთვისაც დიდი ფიზიკური ძალისხმევა სჭირდება. ასთმით დაავადებულისთვის

მნიშვნელოვანია სპორტი, თუმცა დატვირთვა ზომიერი უნდა იყოს.

— რა განსხვავებაა ვენების ვარიკოზულ გაგანიერებასა და თრომბოფლებიტს შორის?

— ვარიკოზსა და თრომბოფლებიტს შორის პრინციპული განსხვავებაა. ვარიკოზული გაგანიერება ფენების კანქვეშა ვენების დაავადებაა, რომლის დროსაც დაზიანებული ვენა გაფართოებას იწყებს და მისი კედლები იმდენად თხელდება, რომ მცირე ტრავმამაც კი შეიძლება სისხლდენა გამოიწვიოს. თრომბოფლებიტი უყურადღებოდ დატოვებული ვარიკოზული დაავადების გართულება გახლავთ. ვენის კედლებში ვითარდება ანთება და წარმოიქმნება თრომბები. თრომბოფლებიტს ყოველთვის თან სდევს ტემპერატურის მცირე მატება (37,5-მდე), ვენის გასწვრივ კანის განითლება და ტკივილი, შემდგომ კი შემკვრივება. თრომბი იმითაა საშიში, რომ ნებისმიერ დროს შეიძლება მოწყდეს და დაეცოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სისხლძარღვს.

ელი სააბის წარმატებული დაბიუტი

ლალი ფასია

ცნობილმა ალბანელმა დიზაინერმა — ელი სააბიმ მსოფლიო მოდის ასპარეზზე სახელი იმით გაითქვა, რომ ქმნის ბრწყინვალე, ჰაეროვან და ქალურ სამოსს. მისი კლიენტები არიან შეინების ცოლები, პრინცესები... მოდელიერმა პირველი კოლექციის ჩვენება 18 წლის ასაკში, 1982 წელს რომში გამართა, მაგრამ პირველი სეროიზული აღიარება 2002 წელს მოიპოვა, როდესაც ქალის საუკეთესო როლის შესრულებისთვის, ჰოლი ბერის „ოსკარი“ გადაეცა: მსახიობი სწორედ ელი სააბის შექმნილი კოსტიუმით გავიდა სცენაზე. ამ დიზაინერთან იმოსებიან: ბიონსე, მარიონ კოტიარო, გვინეტ პელტროუ, დაიან კრიუგერი. გამორჩეულია მისი საქონილო კაბებიც, თითოეული ხელოვნების ნიმუშია. წელს კი მისმა ბრენდმა, რომელიც მსოფლიო „პოტ კულტურის“ სამეულში შედის, რიგით პირველი სუნამო — „ლე პარფიუმი“ გამოუშვა. ცოტა ხნის წინ ამ სუნამომ საქართველომდე მოაღწია და ექსკლუზიურად, „ისი

პარის“ მაღაზიათა ქსელში იყიდება. აქვე აღვნიშნავთ, რომ ეს ლუქს-ბრენდი მხოლოდ 25 ქვეყანაშია წარმოდგენილი და ამ სიაში საქართველოც მოხვდა.

ამ ყველაფრის შესახებ ცოტა ხნის წინ სპეციალურად პრესის წარმომადგენლებისთვის გამართულ პრეს-კონფერენციაზე გახდა ცნობილი; მას უძღვებოდნენ ხატია შამუგია და დიდი პარფიუმერიული გაერთიანების

წარმომადგენელი კატია აკერმანი, რომელიც სპეციალურად საფრანგეთიდან ჩამოვიდა. ელი სააბის სუნამოს ისეთი სურნელი აქვს, რომელსაც ნებისმიერი ასაკის ქალბატონი მოიხმარს.

ხატია შამუგია:

— ამ სუნამოს არომატი ადამიანს განსაკუთრებულ ემოციებს აღუძრავს, ისეთს, რომ მას პრინციესადაც კი შეუძლია წარმოიდგინოს თავი. არადა, რით არის ურიგო, ქალბატონმა ცოტა ხნით მაინც თავი ზღაპრულ სამყაროში რომ წარმოიდგინოს და იოცნებოს? ელი სააბის კაბების ფასი 60-80 ათასი ევროდან იწყება...

— და აღბრუნდეთ არს გამოჩენილი, რომ უახლოეს მომავალში ელი სააბი ქართული მოდის კერეულსაც ეწვიოს, არა?

— თუ მისი სუნამო საქართველოში უკვე მოხვდა და გაყიდვშია, არ არის გამორიცხული, დიზაინერი ჩვენს ქვეყანასაც ეწვიოს. თუკი რობერტო კავალი გვეწვია, დარწმუნებული ვარ, ისიც ჩამოვა და მისი რომელიმე მორიგი ახალი სუნამოს პრეზენტაციას თვითონვე დაესწრება.



ხატია შამუგია და კატია აკერმანი



სიბლუსი

სიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაბნილი, წიგნი

წვეთი პოეზია

გიმზერ და მჯერა

გიმზერ და მჯერა, რომ ქართველობა არასოდეს არ გადაშენდება; ვაგლახ, ხელახლა ბაგისჩვილობა, ქალიშვილობა რა დაგშენდება!

როცა გიხილე, მამა-პაპათა განმეორება გულს ჩამეწვეთა, მენ უნდა გეცვას ყაბა „ხაბარდა“, უნდა დაქროდე რუსთაველზედა.

ეს ყაისნალი ან ეს ხავერდი ვინ გაგიჩინა, ვინ მოგაბარა? თავადის ქალო, იქნებ დაბერდი, სიბერის შუქი შემოგეპარა?!



შემოგეპარა და ბნელ დალაღში გაიშრიალა თეთრი ზოლებით: ყველა წავიდა, ერთილა დარჩი, მიწაში წვანან შენი ტოლები!

როცა გიხილე, ციხე-კოშკების განმეორება გულს ჩამეწვეთა, მენ უნდა გეცვას ოქროს ქოშები, დაგოგმანობდე რუსთაველზედა.

მაშინ ჩემგვარი ენამწარენიც ვერ გაჟილავდნენ ძველ სილამაზეს, როცა ჩამქრალი ჟელაპტარივით შემოხვდებოდი ვერის დაღმართზე.

გიმზერ და მჯერა, რომ ქართველობა არასოდეს არ გადაშენდება, ვაგლახ, ხელახლა ბაგისჩვილობა, ქალიშვილობა რა დაგშენდება!

ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია არნოდ ჩიქობავას რედაქტორობით 1982 წელს გამოცემული ქართული ენის განმარტავითი ლექსიკონის ერთტომეულის მიხედვით შემდგენელი თეიმურ ივანიძე

ა

დასაწყისი იხ. „გზა“, №2-52, 2010 — №1-41, 2011

- მეზრე** — ხარების გამრეკავი.
- მეჯლისი** არაბ. — დიდი წვეულება, ნადიმი, ლხინი, ზემი.
- მეჯლანე** — ჯლანების, ძველი ფეხსაცმელების დამკერებელი, შემკეთებელი.
- მზაკვარი** — ცბიერი, ფლიდი, ვერაგი.
- მზებნელი** — ვინც მზის სინათლეს ვერ ხედავს — უსინათლო.
- მზებუდობა** — ზაფხულის მზებუდობა — წლის დრო, როდესაც ყველაზე გრძელი დღეა და ყველაზე მოკლე ღამე. ზამთრის მზებუდობა — როდესაც ყველაზე მოკლე დღეა და ყველაზე გრძელი ღამე.
- მზექალი** — იტყვიან ლამაზ ქალზე.
- მზენვია** — პატარა ფრინველი ნყალწყალეების ოჯახისა, ცხოვრობს წყალსატევების მიდამოებში.
- მზვარე** — მზიანი, უჩრდილო ადგილი.
- მზირი** (ძვ.) — მზვერავი, მოთვალთვალე, ჯამუში.
- მზისყური** — მზიანი კუნჭული, მყუდრო ადგილი.
- მზრალი** — შემოდგომას მოხნული გაზაფხულზე დასათესად.
- მთავარმართებელი** — იგივეა, რაც მეფისნაცვალი.

ლალო ასათიანი

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ჩვენი ოცნა

ოცნა იოსელიანი

ჩვენი წმიდა გიორგის ხატი

ოთახს ორი ფანჯარა კი ჰქონდა, მაგრამ სახლი ორლობისკენ, ჩრდილოეთით იყო პირმიქცეული და აივანიც წინ ჰქონდა ჩამოსურული. ასე რომ, მზე ზაფხულობით ამოსვლისას და ჩასვლისას თუ შემოაბარებდა ირიბ სხივებს, თორემ, სხვა დროს, ძველი ხის ოდაში სანახევროდ ბნელოდა. ზამთრობით მაინც გათენებდა და ღამეებს ვერ გავიგებდით, ხატი რომ არა...

კირით თეთრად შეფეთილ ბუხრის ფიტონზე წმიდა გიორგის ხატი იყო დასვენებული. აქეთ-იქით მკრთალი იისფერი საყვავილე...

ხატი მაშინდელი ჩემი 2 ციდა სიგარტესიგანისა თუ იქნებოდა. ბებია რომ იტყოდა: ხატს რომ თვალს შეაჩვენებ, ნაფოტად მოეჩვენებათო, ღვთის წყალობით, ეს არასოდეს დაგვმართნია. თუნდ იმიტომაც, რომ მზის სხივდაუჯერავდაც ოქროსფრად ციალებდა და ამ ჭვარტლისფერ გარემოში გარედან მზემომდგარ სარკველივით ანათებდა. არ ვიცი, უამინდობაშიც იმ 2 მომცრო ფანჯრიდან ნათელს როგორ იტაცებდა, რომ თვალს გაგახელდით თუ არა, მზერა ხატს ჰქონდა მიბურობილი და გათენებებს მნათობივით გვამცნობდა. იქვე 2 ძველი კარადა გვედგა, კედელზე მამაჩემის გადიდებული სურათიც გვეკიდა. დასავლეთის ნაწივმარ, შემწვალ კედელზე ჭყეტულა არა, მაგრამ მაინც ჭრელაჭრულა ფარდავაც გვექონდა გარკული და ქუფრში მაინც მარტო ოქრო-ხატი ანათებდა.

ბუხარში თუ ცეცხლი გვეთო და ზედ ვიყავით მიფიცებული, ხატი თავს ზევით, ფიტონზე იყო და აღარ ჩანდა, მაგრამ ცეცხლს რომ ჩავაქრობდით, კი-ზინობელა ლამაზაც რომ აგვეთო, ამ ჭიატა შუქს მიიტაცებდა, თავისი ნათელით გააბეგრებდა და ღამითაც პირფერის სანერად ჩახჩახებდა. კი, მართალია, დღედაღამ თვალი ზედ გვეჭირა, აბა, სხვა რა უნდა დაგვენახა, მაგრამ ყოველთვის მარტო ხატი კი არა, ნათლისმფენი მზე ხატი იყო.

...და უნდა გენახათ, ერთ დღით მოულოდნელობისაგან ჩვენი სახტად დარჩენა და სასონარკვეთა, როცა გავიღვიძე და ბნელა. უკვე მონათლებული უნდა იყოს და რა ხდება?! ფანჯარაზე ნათელია მომდგარი და სახლში ბნელებთა. ზაფხულია, მზის სხივიც კი აპირებს სარკმელში შემოპარვას და რატომ?! გათენებული უნდა იყოს და რატომ უნდა ბნელოდეს?!
 რა ხდება?!
 რა ამბავია ჩვენს თავს?!
 თენდება და ჩვენთვის არ თენდება?!
 იქნება ისევ მძინავს, მაგრამ არა, აგერ, ნამოვფევი!

მზეც აღარ მზებო, როცა ზამთრის ქარბუქშიც ნათელი გვეთო?! და სადაა ის, ფანჯრიდან კი არა, ბუხრის თავიდან რომ გვითენებდა?!
 რატომ არ ჩანს მნათობი!..
 ვაი, შენს მტერს და ავად მახსენებელს!..
 ხატი!..
 ხატი არაა!..
 ხატი, ხატი, ხატი არაა!..
 უღმერთოდ და უხატოდ დავრჩენილვართ!..
 უდღეოდ, უსინათლოდ და უშეოდ დავეტოვებოვართ!

ნამოვფარდი ლოგინიდან ნიფხავ-პერანგის ამარა... პერანგი სად იყო... შევგლიჯე შუა ფიცრული კარი და ბებიას ოთახში გაჭნდი.
 — აა-უუუჰ! — დავღუგვე უკვე ძილგატეხილ მოხუცს, თუ, ვინ იცის, მთელი ღამის თვალმოუხუჭველს...
 — ჰო, ბებია, ჰო-ჰო-ჰო... — ნიკაპის ცახცახით დამიყვავა, სასონარკვეთილი უნუგემო რომ სხვის ნუგემისცემას და დაიმედებას ინდომებს, ისე.
 — ხატი! ხატი არაა, ბებია!
 — ხა-ა-ტ-ი... — ამოიგინა და ნამოინია, ბალიშზე იდაყვით დაეყრდნო. ლოგინიდან გადმოცურებული საბანი არც მე გამსენებია და არც იმას.
 — ჰო-ჰო... ხატი... ხატი არაა!
 — ჰო, ბებია, არაა... არა, რავა არაა...
 — სადაა, მერე, თუა?!
 მხრებში ჩავარდნილი თავის მკერდზე დაბჯენილი ნიკაპი უცახცახებს.
 — არის!.. ღმერთი და ხატი რავა არ არის!
 — სად, სად, სადაა, მერე, თუა?! — და შუა კარიც ისევ უკან გავვარდი. — ცარიელია ბუხრის ფიტონი, ცარიელია ოთახი და ბნელა. ალბათ გარეთაც ბნელა; დღეა თუ არა, მზე ანათებს თუ არა, სულ ერთია, ყველგან ბნელა!

შევვარდი უკან თავზარდაცემული:
 — არაა, ბებია, ხატი, არაა!..
 — ხატიცაა, ბებია და ღმერთიც... აბა, რავა... უღმერთობა და უხატობა გაგონილავა?!
 — რო არ გაგონილა, სადაა მერე?!
 — არის, ბებია, აა-არის!
 — არ არის!.. ხატი, ხატი, ხატი არაა!



ადექი, ადექი და ნახე! — მხრებში ვწვდი, ბალიშიდან ნამოვნიე.

— არის, არის, რავა არა, მარა...
 — რა მარა, რის მარა?!
 — ეკლესიაში, ეკლესიაშია...
 — ეკლესიაში იქნება... ეკლესია დავეტილია და, ალბათ, იქნება მისი ხატები, მარა ჩვენი, ჩვენი ხატი სადაა!
 — ჩვენი ხატი...
 — ჰო, ჩვენი წმიდა გიორგი, ჩვენი ხატი!

— ხატი, ბებია, ეკლესიისაა და იქ უნდა იყოს...

— ეკლესია როცა ღია იყო, ჩვენი ხატი მაშინაც ჩვენი იყო და ახლა დავეტილი ეკლესიის გახდა?!

ჩამოყარა საწოლიდან, საწყალმა, ძვალტყავა ფეხები, აკანკალებული ხელით პირფერი გადაისახა და როგორც ლოცვის დროს იცოდა, ისე სინანულით, მაგრამ დამაჯერებლად და შთაგონებით ახსნა.

— ეკლესიაში... სახელითა მამისათა, და ძისათა, და წმიდისა სულისათა... ეკლესიაში გადავსვენეთ...

— რა, რა, რა გადასვენება უნდოდა...

— იქვე, ბებიას ტანსაცმლიან სკამზე ჩამოვფევი და აღმომხდა: — ვინ, ვინ ქნა ეგო... რატო, რატო ქნა!..

— ასე უნდა ექნა, სხვა გზა და ხსნა არ იყო, ბებია...

— რატო, რატო და ვინ, ვინ, ვინ?!

— ბიძამენმა, ბიძამენმა გადაასვენა...

რო არ ექნა, დაგვიჭრდნენ, ბებია, არ იქნებოდა, რო არ ექნა...

— შენ დაგიჭრდნენ?! — ნამოვფარდი ისევ სკამიდან. ჩემთვის ბებიაც ხომ ხატი იყო!

— მე თუ არა... მე ასი წლისა ვარ... ბიძამენს, მამიდამენს და შენ... ჯერ, ალბათ, არა, მარა...

— მე, მერე, რო გავიზრდებოდი?!

— არა... არ ვიცი, ბებია, ღმერთო, შენ დაუბნევი ჭკუა-გონება... ჩვენს ამნარად დამაქცევარს... არ ვიცი და რაფერ გითხრა...

ღმერთო ჩემო, და ხატი ჩემო, რა დრო იყო, ბებია თუ რაიმე არ იცოდა და თუ ჩვენს გაჭირვებას უღმერთობა და უხატობა უნდოდა, მეგონა? ■



რუსუდან პერიკა

— ძალიან მიმიძმს, — ამოიხრა მან, — ძალიან...

— კარგად მესმის თქვენი.

— ისე, გურამს დიდად ვერც ქაღაქიდან გასვლამ უშველა...

— ესეც თვითონ გითხრათ?

— თქმა რად მინდოდა? უკან უფრო დათრგუნვილი დაბრუნდა, — თვალეები აუნყლიანდა ქალს.

— ბოლო დროს მისთვის რამე განსაკუთრებული ხომ არ შეგინიშნავთ?

— რას გულისხმობთ?

— ცოტა უცნაურად ხომ არ იქცეოდა?

— არა. უბრალოდ, მამის დალუპვით იყო გაოგნებული.

— სხვა არაფერი?

— არა, სხვა მხრივ, გურამი ისეთივე იყო, როგორიც ყოველთვის. ამის შემდეგ ჩავლევინივილი სავარძლიდან წამოდგა:

— ვფიქრობ, რომ ეს ჩვენი ბოლო საუბარი არ უნდა იყოს.

— მაინც ვის შეეძლო ასეთი საშინელების ჩადენა, ვის?..

— ჩვენც ამის გარკვევას ვცდილობთ... როგორ ფიქრობთ, ქალბატონო სოფიო, გურამს მტრები ჰყავდა?

— მტრები?.. — ჩაფიქრდა ქალი.

— არა მგონია... ყოველ შემთხვევაში, მათზე არაფერი მსმენია.

— მომხდარის თქვენული ვერსია თუ გაქვთ?

— რა თქმა უნდა, არა, — როგორც იქნა, ფეხზე წამოდგა მასპინძელი, — მაგრამ რომ მქონდეს, მერე რა?! ჩვენს ქვეყანაში ხომ ჭეშმარიტების დადგენის დრომ ჩაიარა...

სოფიო ბიბილაშვილის სახლიდან გამოსულმა ჩავლევინივილი ისეთი დაღლა იგრძნო, რომ ერთი სული ჰქონდა, სახლში გაქცეულიყო და დასაძინებლად მიგდებულიყო. მაგრამ იცოდა, ამას ვერ შეძლებდა, რადგან ოთხ საათზე განყოფილებაში კიდევ ერთ ოპერატიულ თათბირზე ელოდნენ. ირაკლიმ საათს დახედა — ორს თხუთმეტი წუთი აკლდა. „თათბირამდე ამირან ალადაშვილის დამტკრეული მანქანის ნახვაც უნდა მოვასწრო“, — გადანყვიტა მან და მანქანაში სწრაფად ჩაჯდა.

ადგილზე მისვლისთანავე მანქანას გარშემო რამდენჯერმე შემოუარა. „უცნაურია, — გაიფიქრა მან,

ნანარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით gza.fantazia@gmail.com



პანკსების პანელა

— მიუხედავად იმისა, რომ მანქანა ჯერ ქვის ლობურას დაეჯახა და მერე, სულ მცირე, ორჯერ მაინც ამოტრიალდა, გარედან თითქმის არ დაზიანებულა“. ამის შემდეგ ჩავლევინივილი სალონი მოათვალეირა და მაშინვე თვალში მოხვდა გასაღებების ასხმულა, რომელიც იატაკზე ეგდო. მანქანის კარის გაღება ცოტათი კი გაუძნელდა, მაგრამ ბოლოს მაინც გამოალო, მძღოლის სავარძელში ჩაჯდა, იატაკიდან გასაღებების ასხმულა აიღო, ერთ-ერთი გასაღები საკეტში გაუკეთა, ფრთხილად გადაატრიალა და მაშინვე დარწმუნდა, რომ გურამ ალადაშვილი მართალი იყო: არც მანქანის საკეტი და არც გასაღები დაზიანებული არ აღმოჩნდა.

ჩავლევინივილი მანქანიდან უფრო შეფიქრიანებული გადმოვიდა და რადგან გასაღებების ასხმულა ჯერ კიდევ ხელში ეჭირა, სრულიად ანგარიშიშეუცემლად, მანქანის საბარგულთან გადაინაცვლა და გაალო. საბარგულში სიძველისგან გახუნებული რამდენიმე გაზეთი და ფემოტეხილი ხის სკამი დახვდა. სკამის დანახვებზე ირაკლის მაშინვე შემთხვევის ადგილის სიახლოვეს ნანახი სკამის მოტეხილი ფეხი გაახსენდა. შემდეგ ერთ-ერთი გაზეთი აიღო და თარიღს დახედა. ის მართლაც ძველი, თითქმის ნახევარი წლის წინანდელი აღმოჩნდა...

მაშ ასე, — განაგრძო ფიქრი ჩავლევინივილი, — რა გვაქვს?.. ფეხმოტეხილი სკამი საბარგულში, სკამის მოტეხილი ფეხი შემთხვევის ადგილზე და... გაურკვეველ ვითარებაში

დალუპული მძღოლი. დიას, გაურკვეველში! იმიტომ, რომ ღვინიაშვილმა არც ამჯერად ულაღატა ჩვეულებას და შემთხვევის ადგილზე დაუდევრად იმუშავა. თუმცა ღვინიაშვილი რა მოსატანია, როცა ჩაკეტილი საბარგულის გაღება გურამ ალადაშვილსაც კი არ უფიქრია. მაგრამ მან მთავარი დაადგინა: მამამისი ავტოკატასტროფაში არ დალუპულა. მართალია, ჯერ კონკრეტულად არაფერი ვიცი, მაგრამ ერთი რამ უკვე ნათელია: იმ წილიან ღამეს, გზის იმ უკაცრიელ მონაკვეთზე მიმავალ ამირან ალადაშვილს რაღაც სხვა შეემთხვა. და იქ, იმ დროს, სულ მცირე, კიდევ ერთი ადამიანი მაინც იყო. მაგრამ ვინ?..“

4 საათი შესრულდა თუ არა, ანდრო მიროტაძემ სათათბირო ოთახის კარი ჩაკეტა. ჩავლევინივილი მაშინვე იგრძნო, რომ შეკრებილები დაქმარებული იყვნენ. „ალბათ, ვერც ერთმა ვერ მოახერხა რაიმე სერიოზულის პოვნა, რაც გამოძიების მსვლელობაზე იმოქმედებდა, — გაიფიქრა მან, — პოლიციაზე შექმნილ ფილმებში ასეთი მომენტები, როგორც წესი, გამოტოვებულია. არადა, მე თუ მკითხავ, სიტუაციაში გარდატეხა ხშირად სწორედ ასეთ მძიმე, თითქმის მტრულ წუთებს შეაქვს და ახლაც ასე იქნება“. ამის გაფიქრება და ჩავლევინივილის მიერ გადანყვიტალების მიღება ერთი იყო. მოგვიანებით, ამ ამბის გახსენებისას, საკუთარ თავს გამოუტყდა, რომ ეს, პირველ რიგში, პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად და პოლიციაში დაბრუნების გასამართლებლად გააკეთა.

მიროტაძემ ერთი ჩაახველა და შემდეგ შეკრებილთ გამომცდელად გადახედა:

— როგორაა საქმე?

— ალადაშვილების ოფისის მახლობლად მდებარე ყველა სახლი და ეზო შემოვიარე, — დაიწყო ლევან ხარაიშვილი, — მაგრამ არავინ არაფერი იცის. არც სროლის ხმა გაუგონია ვინმეს და არც რამე საეჭვო შეუნიშნავს. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ყველა ერთად დაბ-



რმავდა და დაყრუვდა...

— შენთან რა ხდება? — ღვინია აშვილს მიუბრუნდა ანდრო.

— გურამ ალადაშვილის ბინაში ვიყავი.

— მერე?

— მგონი, ცხოვრებაში არასდროს მიგრძნია თავი ასეთ იდიოტად: წარმოდგენა არ მქონდა, რას ვეძებდი. ერთადერთი, რისი თქმაც შემიძლია, ისაა, რომ გურამ ალადაშვილი კონიაკის დიდი მოყვარული ყოფილა... კიდევ ძველებური და, როგორც ჩანს, ძვირფასი წიგნების დიდი კოლექციაც ჰქონია. ლაბორატორიაში დავრევე, ტყვიების ამბის გაგება მინტერესებდა, მაგრამ მითხრეს, ხვალამდე არაფერი გამოვაო...

მიროტაქემ ერთი ამოიოხრა და ანა მორჩილაძეს შეხედა.

— მისი პირადი ცხოვრებით — ოჯახით, ნათესავეებითა და ნაცნობ-მეგობრებით დავინტერესდი, — დაინწყო ანამ, — მაგრამ მნიშვნელოვანი ვერაფერი აღმოვაჩინე. როგორც ჩანს, გურამ ალადაშვილი მთელ დროს სამსახურს უთმობდა. ადრე თევზაობით ყოფილა გატაცებული, მაგრამ ბოლო ხანებში ამა-საც კი შეეშვა, როგორც მისი ნათესავეები ამბობენ...

— ბევრი ნათესავი ჰყავს?

— ორად ორი დეიდაშვილი და რამდენიმე გარე ბიძაშვილი... ჰოდა, ერთ-ერთი დეიდაშვილის თქმით, გურამ ალადაშვილი გამობრძმედილი ბერბიჭა და საკუთარ თავში ჩაკეტილი ადამიანი იყო...

ჩავლევდი ანას ყურადღებით უსმენდა და ნელ-ნელა იმაშიც რწმუნდებოდა, რომ მის საფუძვლიან მსჯელობას ფანტაზია აკლდა. თუმცა მსგავსი დასკვნის გამოტანა მაინც ნაადრევად მიიჩნია, რადგან ანას არ იცნობდა, სხვებისგან კი მასზე მხოლოდ კარგი თუ სმენოდა. მეტიც, ზოგიერთი იმასაც კი ამბობდა, ანა მორჩილაძისგან მაღალი კლასის გამომძიებელი დადგებაო...

— მოკლედ, ერთ ადგილს ვტკეპნით, ხომ? — ფიქრის ძაფი გაუნწყობდა ირაკლის მიროტაქემ. — ვიცით, რომ გურამ ალადაშვილი მოკლეს, ისიც ვიცით, სად და როდის მოხდა მკვლელობა, მაგრამ ჯერჯერობით ვერაფრით გავარკვევით, ვის და რატომ უნდა ჩაედინა ეს. ასე თუ გაგრძელდა, გამოძიება გართულდება და პროცესი გახანგრძლივდება. შენთან რა ხდება, ირაკლი? — მოულოდნელად მიუბრუნდა ის ჩავლევდი.

— გურამ ალადაშვილის მკვლე-

ლობასთან დაკავშირებით რაიმე ახალს ვერც მე ვიტყვი, მაგრამ რაც შეეხება მამამისს...

ირაკლიმ იგრძნო, უცბად ყველამ ყურები როგორ დაცქვიტა.

— მამამისს? — ჩაეკითხა ანდრო.

— ვფიქრობ, ამირან ალადაშვილი ავარიისი არ დალუპულა...

— აბა, რა დაემართა?

— ისიც მისი შვილივით მოკლეს და ეს ორი მკვლელობა ერთმანეთთან კავშირში უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, აქედან უნდა გამოვიდეთ, რადგან სხვა ვერსიები ნაკლებსავარაუდოა.

ამ სიტყვების შემდეგ, ირაკლიმ შეკრებილთ გამოცდელად მოავლო თვალი — არავინ შერხეულა, ყველა ისევ მდუმარედ მიშტერებოდა და ჩავლევდი ირაკლიმ იგრძნო, რომ მტანჯველი „ნიჟარიდან“ გამოძვრა და ისევ ჩვეულ ყოფას, იმ ცხოვრებას დაუბრუნდა, სულ ცოტა ხნის წინ სამუდამოდ დასრულებული რომ ეგონა.

— პრინციპში, სულ ეს არის, — ახლა მიროტაქეს მიმართა, — ხოლო იმის დამტკიცება, რომ ამირან ალადაშვილი ნამდვილად მოკლეს, ალბათ, დიდად არ გამოიჭირდება.

ამის შემდეგაც კარგა ხანს არავის დასცდენია სიტყვა. ბოლოს დუმილი ღვინიაშვილმა დაარღვია:

— რაკი ასეა, იქნებ ისიც გვიბრძანო, ვინ მოკლა?

— ეს ჯერ არ ვიცი, მაგრამ ვინც უნდა იყოს, უცნაური შეცდომა კი დაუშვა.

— რა შეცდომა? — თითქმის ერთდროულად იკითხეს ღვინიაშვილმა და მიროტაქემ.

— აი, ეს კი უკვე ადგილზე უნდა ვნახოთ, — ფეხზე წამოდგა ირაკლი...

10 წუთის შემდეგ სამ მანქანაში გადანაწილებული საგამოძიებო ჯგუფის წევრები უკვე ავტოავარიის ადგილისკენ მიქროდნენ. როცა შემთხვევის ადგილამდე სულ ცოტა მანძილი დარჩა, ჩავლევდი ირაკლიმ წია შეუჩნდა: ხომ შეიძლებოდა, რაღაც მომჩვენებოდა და იქ სკამის ფეხი კი არა, უბრალო ჯოხი დაგვხვდესო?.. ადგილზე მისვლისთანავე ირაკლი მანქანიდან პირველი გადავიდა და სამხილის საპოვნელად მარტომ გასწია. დანარჩენები გზაზე დარჩნენ. ჩავლევდი ირაკლიმ მათი ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვები ესმოდა, მაგრამ ვერაფრით გაარკვია, რაზე ლაპარაკობდნენ. „ალბათ იმაზე, ჰალუცინაციები რომ მიჭირს და პოლი-

ციაში სამსახურისთვის აღარ ვვარგევარ“, — დაასკვნა და სწორედ იმ მომენტში სკამის ფეხიც დაინახა. ის პირდაპირ მის წინ ედგო. „ეს იგი, არ მომჩვენებია“, — შევბოთ ამოისუნთქა ირაკლიმ და თანამშრომლებს ხელით ანიშნა — ყველაფერი რიგზეაო.

— შეიძლება, მართალიც ხარ...

— სკამის ფეხის დათვალეობის შემდეგ მაინც დაეჭვებით ჩილაპარაკა ღვინიაშვილმა, — მეც მასსოვს ის სკამი საბარგულში და შეიძლება, ეს მართლაც მისი ფეხი იყოს, მაგრამ...

— ნებისმიერ შემთხვევაში, აუცილებლად უნდა შევამოწმოთ, — გაანწყვეტინა მას მიროტაქემ და შემდეგ ჩავლევდი ირაკლიმ მიუბრუნდა: — ირაკლი, მოდი, აბა, შენი ვერსია ცოტა უფრო გასაგებად აგვისხენი.

— ყველაფერი მარტივადაა, — დაინწყო ირაკლიმ, — გოგის ანგარიშში ნავიკითხე, რომ ალადაშვილის მანქანის საბარგული ჩაკეტილი იყო. ამდენად, საეჭვოა, ის ავარიის დროს თავისით გაღებულყო და მერე ისევ ჩაკეტილიყო. ასეთ შემთხვევაში ძარის უკანა ნაწილზე დარტყმის კვალი უნდა დარჩენილიყო. მე კი ასეთი კვალი ვერ აღმოვაჩინე.



— შენ რა, უკვე მანქანის ნახვაც მოასწარი? — გაკვირვებით ჰკითხა მას ღვინიაშვილმა.

— რა თქმა უნდა: დანარჩენებს როგორმე ხომ უნდა დაგწოდით, — ისეთი ტონით უპასუხა ჩავლევდი ირაკლიმ, თითქოს თავისი საქციელისთვის ბოდიშს იხდისო.

— სწორადაც მოიქეცი, — გაამ-



ხნევა ის მიროტაძემ, — განაგრძე!
 — ვფიქრობ, სურათი უკვე ისე დადგა ნათელია. შეგიძლიათ, წარმოდგინოთ ნისლში მარტო მომავალი ხანდაზმული ადამიანი, რომელმაც საჭე ვერ დაიმორჩილა, რის გამოც მისი მანქანა რამდენჯერმე ამოტრიალდა და...

— ვერ გამიგია, რა არის აქ წარმოდგენელი? — გაანწყვეტინა ირაკლის ხარაიშვილმა.

— გეთანხმები, ჯერჯერობით — არაფერი, მაგრამ იმის წარმოდგენა თუ შეგიძლია, რომ ამის შემდეგ ეს ადამიანი მანქანიდან გადმოსულიყო, საბარგული გაეღო, იქიდან სკამი ამოეღო, მისთვის ფეხი მოეტეხა და მიწაზე დაეგდო. შემდეგ საბარგული ისევ ჩაეკეტა, მძღოლის სავარძელში დაბრუნებულიყო, უსაფრთხოების ღვედიც კი შეეკრა და მომკვდარიყო თავის ტრავმით, რომელიც ავარიის მომენტში მიიღო?..

ამის შემდეგ შეკრებილთ ხმა აღარ ამოუღიათ. ჩავლექიშვილისთვის ნაცნობი იყო ეს მდგომარეობა: ფარდა ნელ-ნელა იწევა და ადამიანების თვალწინ ჩნდება ის, რის ნახვასაც არავინ ელის. ლევან ხარაიშვილმა ლაბადის ჯიბიდან პლასტიკატის პაკეტი ამოიღო და სკამის მოტეხილი ფეხი შიგ ფრთხილად ჩადო.

— მე ის აქედან დაახლოებით ხუთი მეტრის მოშორებით აღმოვაჩინე, — შენიშნა ჩავლექიშვილმა, — ავიღე და გვერდზე მოვისროლე.

— უნდა გითხრა, რომ ნივთმტკიცებასთან მოპყრობის უცნაური მეთოდი შეგირჩევია, — შენიშნა მიროტაძემ.

— იმ მომენტში წარმოდგენაც კი არ შემეძლო, რომ ამ ფეხს ამირან ალადაშვილის მკვლელობასთან რაიმე კავშირი ჰქონდა, — თავის მართლებას მოჰყვა ირაკლი, — ის კი არა, ახლაც არ ვიცი, ეს ფეხი თავისთავად რას ამტკიცებს.

— ახლავე აგისხნი, — თვალები ეშმაკურად მონკურა ანდრომ, რომელმაც ირაკლის თავის მართლებას ყურადღება არ მიაქცია, — თუ სწორად მიგიხვდი, ამირან ალადაშვილის დაღუპვის მომენტში აქ კიდევ ვილაც იყო...

— რომელმაც გზიდან გადავარდნილი მანქანა დაინახა და იფიქრა, ხელს მოვითბობო, — გაანწყვეტინა მიროტაძეს ღვინიაშვილმა.

— და იქნებ მოითხოვო კიდევ, — ისევ განაგრძო მიროტაძემ, — ხომ არ ვიცით, იმ უბრალო სკამის გარდა, ალადაშვილის მანქანაში კიდევ რა იდო? ხოლო იმაში, რომ ის

„ვილაც“ პოლიციას არ დაუკავშირდა და სკამის ფეხიც გადააგდო, გასაკვირი არაფერია...

— ამაში კი გეთანხმები, მაგრამ საქმე ისაა, რომ... — რალაცის ახსნა დააპირა ჩავლექიშვილმა, მაგრამ მიროტაძემ აღარ აცალა:

— მაგრამ რატომ გვითხარი, უფროსი ალადაშვილი მოკლულიაო?

— არ ვიცი... — მხრები დამნაშავესავით აიჩეჩა ჩავლექიშვილმა. — ალბათ, ცოტა ვიჩქარე, უბრალოდ, იმის თქმა მინდოდა, რომ არც ისე მარტივადაა საქმე, როგორც ერთი შეხედვით ჩანს.

— ამაში გეთანხმები.

— მანქანა კიდევ ერთხელ უნდა დავათვალიეროთ, — საუბარში ისევ ჩაერთო ღვინიაშვილი, — კრიმინალისტები უთუოდ გაოცდებიან, სკამის ტალახიან ფეხს რომ მივართმევთ.

— გაოცდებიან და გაოცდენ! ვერაფრით დავეხმარებით, — შენიშნა მიროტაძემ, რომელსაც უკვე აშკარად ეტყობოდა, რომ ამ იმპროვიზებული თათბირის დასრულებას ეშურებოდა, — დანარჩენზე ხვალ ვილაპარაკოთ, რადგან საეჭვოა, დღეს რაიმე ლოგიკურ დასკვნამდე მივიდეთ.

პოლიციელები ისევ მანქანებში დაბრუნდნენ. ანა მორჩილად ირაკლის მიუახლოვდა:

— შეიძლება, შენთან ერთად ნამოვიდე?

ჩავლექიშვილმა ქალს უსიტყვოდ დაუქნია თავი.

— უბრალოდ, ღვინიაშვილის მანქანაში საშინელი სივიწროვება, ხარაიშვილს კი სალონი ანკესებით აქვს გადავსებული...

— რა თავს იმართლებ, დაჯექი, — მანქანის კარი გამოუღო ანას ირაკლიმ.

ისინი ბოლოში მიდიოდნენ და დიდხანს დუმდნენ. ანა სათქმელს ვერაფრით უყრიდა თავს, ადამიანებთან ურთიერთობას გადაჩვეულ ირაკლის კი ისიც უცნაურად ეჩვენებოდა, რომ გვერდით ვილაც თუნდაც მდუმარედ ეჯდა. დუმილის დარღვევა ბოლოს მაინც ანას მოუხდა:

— მგონი, მართალი ხარ. გურამ ალადაშვილის მკვლელობასა და ამ ავარიას შორის არის რალაც კავშირი.

— ყოველ შემთხვევაში, ეს ვერსიაც უნდა შევამოწმოთ.

— რა თქმა უნდა...

ამის შემდეგ სალონში ისევ უხერხული სიჩუმე ჩამოწვა.

— როგორ ფიქრობ, ადამიანები პოლიციაში რატომ მიდიან? — მოულოდნელად ჰკითხა შემდეგ ანას ჩავლექიშვილმა.

— მე რატომაც მოვიქეცი ასე, ზუსტად ვიცი, სხვებისა კი რა გითხრა! სხვათა შორის, პოლიციის აკადემიაში გვასწავლიდნენ, — ერთნაირად მეოცნებე 2 ადამიანი არ არსებობსო.

— იმის თქმა გინდა, რომ პოლიციელებიც ოცნებობენ?

— ოცნებით ყველა ოცნებობს. განა შენ კი არ გაქვს სასუკვარი ოცნებები?

„სასუკვარი კი არა, არანაირი ოცნება აღარ მაქვს“, — გაიფიქრა ჩავლექიშვილმა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

— იმიტომ გავხდი პოლიციელი, რომ მონაზვნად წასვლა ვერ შეეძელი, — წამოიძახა უეცრად ანამ.

— რაო? — გაოცება ვერ დაფარა ირაკლიმ.

— ჰო, ასე იყო... მონაზვნობისთვის დიდხანს ვემზადებოდი. რომ იტყვიან, სულ ნაბიჯ-ნაბიჯ ვუახლოვდები სასუკვარ მიზანს, მაგრამ ერთ დღესაც რალაც ისეთი მოხდა, რომ... — სათქმელი აღარ დაასრულა ანამ.

ჩავლექიშვილმა მას გვერდულად გახედა.

— მომიყვი, — სთხოვა, — მაინტერესებს, ისეთი მაინც რა მოხდა, ეკლესიის ნაცვლად პოლიციაში რომ ამოგაყოფინა თავი?

— ახლა არა, — უარის ნიშნად თავი გააქნია გოგონამ, — სხვა დროს მოგიყვები...

ამასობაში თბილისშიც შევიდნენ.

— სად ცხოვრობ? — ჰკითხა ანას ირაკლიმ. — ბარემ სახლში მიგიყვან.

— დიდ დილომში.

— მარტო ცხოვრობ?

— არა.

— გასაგებია.

— ვითომ?.. მე კი მგონია, რომ არაფერიც არ არის გასაგები.

— მართალი ხარ. ისიც კი ვერ გავიგე, გათხოვილი ხარ თუ არა?

— არა, დანიშნული ვიყავი...

— მერე?

— სხვა დროს მოგიყვები.

— „სხვა დრო“ როდის დადგება?

— ალბათ, მალე... ან — არასოდეს...

ანას სახლამდე მიცილების შემდეგ ირაკლიმ თავადაც შინისკენ გასწავა, სველი ქურთუკი სკამზე მიაგდო და ფეხზეც კი არ გაუხდია, საწოლზე ისე მიწვა... ზღვა და მის



ტალღებზე მოფარფატე თოლიები ესიზმრებოდა... ერთი საათის შემდეგ გაელვია და უცბად ვერც კი მიხვდა, სად იყო. შემდეგ ფესსაცმელი გაიძრო, სამზარეულოში გავიდა, ყავა მოიდულა და ფანჯარაში გაიხედა. „ზამთარი ფეხაკრებით მოიპარება, — გაიფიქრა მან და ქაფქაფა სასმელი სიამოვნებით მოსვა, — მალე ხეები სულ გაშიშვლდება და წვიმას ხანდახან თოვლი შეერევვა... ყველაფერი ისე იქნება, როგორც ყოველთვის... ოღონდ, აღარაბოლოდ ვიქნები ისეთი, როგორიც თუნდაც ერთი წლის წინ ვიყავი... ისე, მაინც როგორი ვიყავი ერთი წლის წინ?... ალბათ, უფრო მართალი... ყოველ შემთხვევაში — საკუთარ თავთან მაინც... მაგრამ თავი ხელში მაინც უნდა ავიყვანო. ახლა ისევე გამოძიებული ვარ და ფულს დამნაშავეების გამოაშკარებაში მიხდიან და არა საკუთარ ვერსემდგარ ცხოვრებაზე წუწუნში...“

ირაკლიმ ყავა ბოლომდე დალია, ფინჯანი ნიჟარაში ჩადგა, მაგიდის უჯრაში ბლოკნოტი და ავტოკალამი მოძებნა და რაღაცის წერას შეუდგა. წერას რომ მორჩა, შუალაშე კარგა ხნის გადასული იყო. ნაწერს სწრაფად გადაავლო თვალი. შემდეგ დაჭმუჭნილი ფურცლებით მოფენილ იატაკს დახედა და ბოლოს გადაჭრელებული ფურცელიც მათ გზას გაუყენა. „გურამ ალადაშვილის მკვლელობასა და ავტოავარიას შორის ხელშესახებ კავშირს ვერ ვხედავ, უფრო სწორად — მის პოვნას ვერ ვახერხებ. არადა, ვგრძნობ, რომ ეს კავშირი არსებობს. ისე, აუცილებელი სულაც არაა, რომ გურამის მკვლელობა მამამისი დაღუპვის პირდაპირი შედეგი იყოს. შეიძლება, პირიქითაც კი მოხდა ყველაფერი. რაც შეეხება მიზეზს, ის შეიძლება, ძიების ბოლომდე არ გამოიკვეთოს. ამიტომ, პოლიციელს ყოველთვის უნდა შეეძლოს მოვლენების უკან „გადახვევა,“ — გაახსენდა სადღაც ამოკითხული სიტყვები.

ჩავლეიშვილი სასტუმრო ოთახში გავიდა, დივანზე წამოწვა და ფიქრი ისე განაგრძო: „ოქტომბრის ერთ ნისლიან ღამეს კლიენტისგან გადამეტებული სიჩქარით მომავალი მოხუცი ადვოკატი ავტოავარიას ხედება და ადგილზე იღუპება. ერთი შეხედვით, ამ საქმეში ყველაფერი ნათელია, მაგრამ გარდაცვლილის ვაჟს მაშინვე უჩნდება ეჭვი, რომ ეს ჩვეულებრივი ავარია არ იყო. რატომ? იმიტომ, რომ მისი მტკიცებით, მამამისი ნისლიან ღამეში კი არა, დღისით-მზისითაც არასდროს უმატებდა სიჩქარეს. თანაც, იმ პერიოდში იმასაც ამჩნევდა, რომ მოხუცს რაღაც ანუხებდა და თრგუნავდა, თუმცა კი ცდილობდა, გარეგნულად არაფერი შეემჩნია...“

ირაკლის ინტუიცია უკარნახებდა, რომ კვანძი შეიკრა და მისი გახსნაც ადვილი შესაძლებელი იყო, მაგრამ კონკრეტულად სად, ამას მაინც ვერაფრით მიმხვდარიყო. „და ახლა ალბათ, ვერც მივხვდები“, — დაასკვნა ბოლოს. ამიტომ, ისევ სამზარეულოში დაბრუნდა, ფინჯანი გარეცხა და იატაკიდან დაჭმუჭნილი ქაღალდები აიღო. „თავიდან უნდა გავიარო ყველაფერი, — გაიფიქრა, — მაგრამ რომელი „თავიდან?“ რით დაიწყო ყველაფერი: ამირან ალადაშვილის ბურუსით მოცული სიკვდილით თუ მისი შვილის ამკარა მკვლელობით?“

ძალაგამოცლილი ჩავლეიშვილი დანვა და მაშინვე მკვდარივით დაეძინა. დილის ექვს საათზე უკვე ფეხზე იყო, რვის ნახევარზე კი სამსახურშიც დაბარებულივით გამოცხადდა. შესასვლელში მეგობარი — ევა ხადური დახვდა, რომელიც მაშინვე მის შესახებ დაელოცა.

— მითხრეს, რომ პოლიციაში დაბრუნდი, მაგრამ სანამ საკუთარი თვალით არ გნახე, მაინც ვერ დავიჯერე... — დაიწყო მან.

— ახლა ხომ გჯერა?
— მჯერა რომელია? ცოტაც და სიხარულით ავტირდები...

— არ ღირს, — მხარზე ხელი მეგობრულად მოუთათუნა ქალს ჩავლეიშვილმა, — თათბირიდან რომ გამოვალ, სადმე, მყუდრო ადგილას დავსხდეთ და ერთად წაფუტიროთ...

თათბირი ზუსტად დანიშნულდროს დაიწყო. მიროტაძემ, ჩვეულებებისამებრ, ხელები მაგიდაზე მძიმედ დააწყო:

— ირაკლი, — მიმართა მან ჩავლეიშვილს, — შენით დავიწყვით, რადგან ჩვენზე უფრო დასვენებული ტვინი გაქვს და ალბათ, მოვლენების უფრო ფხიზლად განჭვრეტაც შეგიძლია. გვირჩიე, წინ როგორ წავინიოთ?

— მე-ე? — გაუკვირდა ირაკლის.
— მე ხომ საქმის მასალების გაცნობაც ვერ მოვასწარი?..

— შეიძლება, გაცნობა ვერ მოასწარი, მაგრამ რაღაც საზრიანი უკვე შემოგვთავაზებ. ვინ-ვინ და, მე მართლა კარგად გიცნობ და სანამ-

ლეოს დავდებ, რომ გუშინ მთელი ღამე იჯექი და შემდგომი მოქმედების გეგმის მონახაზზე იმტვრევი თავს. ასე იყო თუ არა?

ჩავლეიშვილმა უფროსს მორჩილად დაუქნია თავი.

— შედეგს გაგვიმხელ? — დაინტერესდა მიროტაძე.



— რა თქმა უნდა, მაგრამ მანამდე ჩემი და გურამ ალადაშვილის ბოლო შეხვედრის ამბავი უნდა გაგიმხილოთ...

— როგორ?! — გაოგნდა მიროტაძე. — იმის თქმა გინდა, რომ...

— ჰო... — თავი დამნაშავესავით დახარა ჩავლეიშვილმა. — ალბათ, გუშინვე უნდა მეთქვა ყველაფერი, მაგრამ გუშინ ისეთი შემოღობილი იყო, რომ...

ამის შემდეგ ირაკლიმ შეკრებილთ დანვრილებით უამბო, თუ რა მიზნით ჩააკითხა მას ზღვაზე გურამ ალადაშვილმა. მოყოლა რომ დაასრულა, ოთახში ერთხანს სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა, რომელიც ანდრო მიროტაძემ დაარღვია:

— არც კი ვიცი, რა ვთქვა... ჩვენ აქ თავს ვიმტვრევთ, იქნებ როგორმე რაიმე ხელჩასაჭიდი მაინც ვიპოვოთ, შენ კი ასეთი რამ იცი და დუმხარ?

— ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს... — ღვარდიანად წამოისროლა ღვინიაშვილმა.

— თან, რაღა ყოველთვის შენ უნდა მოხვედ მსგავს სიტუაციაში? — ღვინიაშვილის ნათქვამისთვის ყურადღება არ მიუქცევია, ისე განაგრძო ჩავლეიშვილის დამუნათება ანდრომ.

— ეგ რომ ვიცოდე, რა მიჭირს, — ამოიოხრა ირაკლიმ.

— ხომ ხვდები, რომ ეს, ფაქტობრივად, გამოძიების თავიდან დაწყებას ნიშნავს?

— ვხვდები...

— მაშინ, ჰა — ბურთი და ჰა — მოედანი...

გაგრძელება შემდეგ ნომერში



სმება კვარაცხელია
ნაწარმოებზე თქვენი
შთაბეჭდილება შეგიძლიათ
გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

ყალბი ლტოლვა

დასაწყისი იხ. „გზა“ №23-41

ვასიკოს ოთახში გავედი, ტახტზე ჩამოვჯექი და სკოლიდან მის დაბრუნებას დაველოდე. გაუნძრევლად ვიჯექი და არაფერზე ვფიქრობდი, სრულიად არაფერზე. თითქოს მიიძინა ჩემმა გონებამ. რამდენიმე ხნის შემდეგ მანქანის დამუხრუჭების ხმა გავიგონე. მივხვდი, რომ ლევანმა ვასიკო მოიყვანა და გარეთ გამოსვლა დავაპირე. ძლივს გადავდგი ნაბიჯი. ისე დავდიოდი, როგორც ასი წლის ბებრუსანა, რომელსაც წელის ათრევა უჭირს. სანამ მე ჩავედი, ბავშვი უკვე მაგიდას უჯდა და სადილობდა. ფეხებს სასაცილოდ აქანავებდა სკამის ქვეშ.

— ანა, ნავიდეთ დღეს მთანმინდის პარკში, კარგი? მაგარი ამინდია! — შესძახა ვასიკომ ჩემს დანახვაზე. — ლევანი შემპირდა, აგიყვანთო.

მაგარი ამინდია? უნებლიეთ ფანჯარაში გავიხედე. ცა ისეთი მონუმენტული და ცისფერი იყო, თვალს მოსჭრიდა ადამიანს. მზეც სასიამოვნოდ აცხუნებდა, მაგრამ მე საშინლად მციოდა. მზერა ლევანისკენ გავაპარე. იგი უცნაურად მომჩერებოდა. სწორედ ასე მიყურებდა როზაც. რაც შეიძლებოდა ფართოდ გავიღიმე.

— ნავიდეთ მერე, რა პრობლემაა? მორჩი ჭამას და ტანსაცმელი გამოიცვალე, — ვთქვი და სამზარეულოდან გამოვედი...

— რალაც განუხებს, ანუშკი, — მითხრა ლევანმა, როცა მთანმინდაზე ავედი და ვასიკო სათამაშო ავტომატს მიუჯდა.

— არა, რას ამბობ, გეჩვენება, — ნაძალადევი უდარდებლობით გავიქნიე თავი, თან ღიმილს არ ვიშორებდი სახიდან.

— ჩემი დახმარება ხომ არ გჭირდება?

— არა, დიდი მადლობა.

მამაკაცმა კიდევ რალაცის თქმა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა. არავის შეუძლია ჩემი დახმარება. მე ჯოჯოხეთში მოვხვდები. არა, კი არ მოვხვდები, უკვე იქ ვარ!

შინ დაბრუნებულს როზა მთელი საღამო უკან დამდევა, — ერთიორი ლუკმა შეჭამე, მთელი დღე მშიერი ხარო, მაგრამ ვერა, თითქოს კრიჭა შემეკრა.

მხოლოდ საღამო ხანს დამანებეს ლევანმა და როზამ თავი. ვასიკო დავანვინე. ლადო ჯერ კიდევ არ ჩანდა. ნეტავ ხომ არ გადაიფიქრა? ნამით გამიელვა თავში. არ ვიცი, საიდან გამიჩნდა ეს „მაშველი“ აზრი, მაგრამ ისე მტკიცედ ჩამებეჭდა გონებაში, ცოტა შევბაც კი ვიგრძენი. როცა ბავშვმა დაიძინა, ოთახიდან გამოვედი.

ის იყო, ჩემს საძინებელს მივუახლოვდი, რომ სიბნელიდან გამოსული ლადო შევნიშნე და ქანდაკებასავით გავშემედი. არ ვიცოდი, როგორი რეაქცია უნდა მქონოდა მის დანახვაზე, ამიტომაც ვიდექი და უხმოდ შევცქეროდი.

— ივანშე უკვე? — თითქოს არც არაფერი ხდებოდა, ისე მკითხა და პალატუხის კვანძი შეისხნა.

— მეგონა, აღარ მოხვიდოდი... — რატომღაც, ეს ვთქვი.

— მოვედი... ივანშე-მეთქი?

— დიახ... არა... არ მშია, — ხავილი აღმომხდა და სასონარკვეთილმა მოკეცილ თითებს ისე წაუჭირე ცერი, ლამის წავიმტვრიე.

— არც მე მშია.

ამის მეტი სიტყვა არ თქმულა ჩვენ შორის. მან მხოლოდ მაჯაზე ჩამავლო ხელი და თავისი ოთახისკენ წამიყვანა. როცა მის საძინებელში აღმოვჩნდი, ვიგრძენი, როგორი ხმაურიანი ბაგაბუგი გაუდიოდა ჩემს გულს. მეტის მოთმენა აღარ შემეძლო. ოდნავ შევებრუნე თავი მისკენ და თვალებგაფართოებულმა ჩურჩულით ვუთხარი:

— არ შემიძლია...

ლადომ ხელი შემიშვა და უკან დაიხია. გაშეშებული ვიდექი და მძიმედ ვსუნთქავდი. და სწორედ იმწუთას, როცა უკან გამობრუნებას ვაპირებდი, თვალწინ ნანას და ნუკრის უმწეო სახეები დამიდგა...

— მამატიეთ... ცოტას ველევა, ამის ბრალია, — ამოვილულულე და პერანგის ღილების შესხნა დავინწყე.

მოულოდნელად ხელისგული ჩემს მოცახცახე თითებს დააფარა. შეეხედე.

— რატომ ჩქარობ? შენი შემხედვარე, კაცი იფიქრებს, რომ ვნებისგან იწვი. არადა, ორივემ ვიცით, რომ ასე არ არის. მოდი, თავის ნებაზე მივუშვათ დღევანდელი ღამე, კარგი? ღვინოს დალევ?

— არ ვიცი... ალბათ კი...

მან კედელში ჩაშენებული ბარიდან ბოთლი ღვინო და ორი ბოკალი გამოიღო. მე კვლავ შუა ოთახში ვიდექი გაუნძრევლად. მან ერთი ბოკალი შეავსო, მომიხალოვდა და მომანოდა.

— დალიე და მოგეშვება, ნუ ხარ დაძაბული. მანამდე მე წყალს გადავივლებ.

სავარძელში ჩავეშვი. ლადო საბაზანოში მიიმალა, მე მის ოთახს მოვავლე თვალი. კაკაოსფერ ტონებში შეღებილი კედლები. სულ ეს იყო, რისი შემჩნევაც შევძელი. უეცრად მის უზარმაზარ სანოლს მივაპყარი მზერა. ყელში მობჯენილი ნერწყვი ძლივძლივობით გადავავორე და დაუფიქრებლად დავინწყე ბოკალის დაცულა. სამ ყლუშში ღვინო უკვე აღარ იყო. ბოთლს გადავწვდი და კვლავ შევივსე სასმისი. საინტერესოა, რა რეაქცია ექნება, უგონოდ მთვრალს რომ დამინახავს? მაგრამ მაქვს უფლება, ასე მოვიქცე? მას ხომ არ დაუძალებია ჩემთვის ამ ნაბიჯის გადადგმა. ეს ხომ ჩემი არჩევანი იყო. და რატომ მიჭირს ასე? რამდენი ჩემ-



ზე უკეთესი ქალი იქცევა ასე! სანაცვლოდ კი ყველაფერ სასურველს იღებენ — ქურქებს, მანქანას, ფულს...

მართალია, ჩვენი გარიგების შესახებ არავინ არაფერი იცის, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს? აზრი ხომ არ იცვლება? ან კი რა მოხდა ვითომ, რა თავპატიუს ვიდებ? ბოლოს და ბოლოს, ხომ არ მკლავენ. ყველაფერი რამდენიმე წუთში მორჩება, მე ჩემს კუთვნილ ფულს ავიღებ და — დამთავრდა!

სანამ ლადო საბაზანოდან გამოვიდოდა, თითქმის დავარწმუნე საკუთარი თავი, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა. მამაკაცი გაკვირვებით მომაჩერდა.

— იმედია, ნაქცევამდე დათრობას არ აპირებ, — სიცილით მომმართა.

— დავაპირე, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, დამასწარით გამოსვლა და ჩანაფიქრის განხორციელებაში ხელი შემეშალეთ, — ძლივს გასაგონად ჩავილაპარაკე.

ტუჩის კუთხეები ღიმილმა შეურხია. თეძოებზე პირსახოცს შემოხვეულმა თვითონაც დაისხა ღვინო.

— ჩვენი უიმედო გარიგების წარმატებით შესრულებას გაუმარჯოს! — თქვა და დალია, მერე კი მე მომიბრუნდა. — იცი რა, ანა? ჯერ კიდევ არ არის გვიან, გადაიფიქრო. ნაკუნებად ვაქცევთ ჩვენს კონტრაქტს და მორჩა.

თვალები გამიფართოვდა. ნუთუ აღარ უნდა? იქნებ ჯობია, მართლა უარი ვთქვა? მაგრამ ნანა? ნუკრი? არა, არ გამოვა. არჩევანი არ მაქვს.

— აბა, რას იტყვი?
— თქვენ თვითონ ხომ არ გადაიფიქრეთ?

— არა, უბრალოდ, უკან დახევის შანსს გააღე.

— მე არ მინდა უკან დახევა.

— ანუ ყველაფერი გონივრულად ანონ-დანონე? — ჩუმი ხმით ჩამეკითხა.

— გინდათ, გამომიწვიოთ? — ცოტა არ იყოს, გაებრაზდი.

— მე მგონი, საკუთარი თავი უფრო გამოვიწვიე, როცა შანსი მოგეცა. მაგრამ შენ ის უკვე გაუშვი ხელიდან, — თითქოს ნიშნის მოგებით მიპასუხა, ბოკალი გამომართვა, მაგიდაზე შემოდო და სავარძლიდან წამომაყენა.

მისი თითები ფრთხილად ამოძრავდნენ ჩემი პერანგის ღილებზე. ძალაგამოცლილი ვიდექი. მინდოდა, თვალები დამეხუჭა, მაგრამ მის თითებს მზერა ვერ მოვწყვიტე — გრძელსა და ძლიერს, ოსტატურად რომ ხსნიდნენ პანანუნა ღილებს. მან პე-

რანგი გამხადა და ქვედაბოლოს მიადგა. ისე სწრაფად გამაშიშვლა, რომ მწარედ გამელიმა გუნებაში. კარგი პრაქტიკაა ჰქონია გამოვლილი. რატომაც არა? ხომ მითხრა, მალე მზეზრდებიან ქალებიო. ნეტავ რამდენი საყვარელი ჰყავს გამოცვლილი? ასე?

უეცრად უკან დაიხია და შემომხედა. ახლა კი ავარიდებ მზერა და თვალები დაეხუჭე. ირგვლივ სამარისებური სიჩუმე იდგა, მხოლოდ მისი გახშირებული სუნთქვა მესმოდა.

— შემომხედე, ანა.

ისე გავახილე თვალები, როგორც ახალგაღვიძებულმა და დავინახე, როგორ ალაგზნო ჩემმა მზერამ. კიდევ უფრო გაუხშირდა სუნთქვა.

მან პირსახოცი მოიხსნა... ისე ვიდექით ერთმანეთის წინაშე, როგორც ადამი და ევა. არ ვიცი, რა მეტაკა. თითქოს მამაკაცის უნახავი ვყოფილიყავი, დამბლადაცემულივით მოვიცელე. მან მკლავები მომხვია და მკერდზე მიმისუტა. ვიგრძენი, როგორ უცახცახებდა ხელები. კოცნა დამინწყო. ჩემთვის ნაცნობი იყო ეს შეხებაც და ეს კოცნაც. უფრო მეტიც, სადღაც, სულის სიღრმეში, მწყურროდა კიდევ მისი ალერსი...

უთანაბრო ბრძოლაში, რომელიც ჩემს გონებასა და სხეულს შორის გაიმართა, ამ უკანასკნელმა აჯობა. მორჩილად მივედნე მის ძლიერ მკლავებს და გონზე მოსვლა ვერ მოვასწარი, რომ სანოლში აღმოვჩნდი. ვერც კი წარმოვიდგენდი, ასეთი ვულკანი თუ ბობოქრობდა ჩემი შენიღბული გულგრილობის მიღმა, რომელმაც ახლადა ამოხეთქა. ლადო თავდავიწყებით მკოცნიდა. მისი თითქოს დაუნაყრებელი ალერსი მეც თავბრუს მახვევდა. რალაც მომენტში კვნესა აღმომხდა, თუმცა დაძაბულობა წამითაც არ მომხსნია...

როცა ყველაფერი დამთავრდა, ზურგი შევაქციე და კარგა ხანს გა-

უნძრევლად ვინეკი. იმის თავიც არ მქონდა, თვალები გამეხილა. მინდოდა მეყვირა, სადმე, ბნელ სოროში შევმალულიყავი, მეზიზღებოდა ჩემი თავი, მიუხედავად იმისა, რომ სინამდვილეში ის, რაც მოხდა, მესიამოვნა. ერთდროულად სიმარტოვეს, ტკივილსა და სინანულს განვიცდიდი. ახლა ნუგეშისცემა მჭირდებოდა, მაგრამ ვინ იყო ამის გამკეთებელი?

ლადო ჩამეხუტა და ჩამჩურჩულა. — როგორ ხარ?

მსწრაფლ გავახილე თვალები, ისეთი სითბოთი იყო ნათქვამი ეს ორი სიტყვა. არ ვიცი, იმწუთას რამ მომიარა, მაგრამ მკვეთრად შევბრუნდი მისკენ და საოცარი რამ ვკითხე:

— იმედი გაგიცრუეთ?
— არა, — მშვიდად მომიგო.

— გმადლობ. ალბათ დროა, ჩემს ოთახში გადავიდე.

— არსადაც არ წახვალ. შენი ადგილი აქ არის.

— უახლოესი ორი თვის განმავლობაში? — ვერ მოვითმინე.

არ მიპასუხა, კვლავ მომხვია მკლავი და მიმისუტა.

— რატომ შემომთავაზეთ ეს წინადადება? — რადგან ჩემთვის უკვე ყველაფერი სულერთი იყო, თავხედური ტონით დავსვი შეკითხვა.
— იმიტომ, რომ მინდოდა.

ჰო. მას უნდოდა... მან მიიღო... მისნაირი მამაკაცები ყოველთვის იმას იღებენ, რასაც მოისურვებენ. არა, რა სისულელეა, ვერაფერში დავდანაშაულებ. ჩემი ნებით დავთანხმდი ამაზე, ხომ არ გავუუპატიურებევარ! თითქოს არც არაფერია ამაში ცუდი, ლადომდეც ხომ ვწოლილვარ სხვასთან, მაგალითად, საშუალებას... რა დამავდა ამით? მხოლოდ ის, რომ ამჯერად ფულზე გავიყიდე. საკუთარი სხეულით ვივაჭრე... რა საშინელება! რა განსხვავებაა ჩემსა და იმ მეძავს შორის, ცირკის წინ რომ დგას კლიენტის მოლოდინში? მე უფრო მაღალი მასშტაბების კახა ვარ? თუ იმაშია ჩემი უპირატესობა, რომ ყველას არ ვუნვები? დიდი შეღავათია...

იმდენად ვიყავი დათრგუნვილი, ნანა საერთოდ არ გამხსენებია. არადა, როგორ ელოდნენ ფულს. დამერეკა მაინც... მობილური ოთახში დამრჩა. ვინ იცის, იქნებ ააფეთქეს კიდევ რეკვით ტელეფონი. რომ არ ვუპასუხებ, არ იფიქრონ, რომ მოვატყუე!..

არ ვიცი, რამდენ ხანს ვფიქრობდი... რას ვფიქრობდი... ნელ-ნელა ძილმა წამართვა თავი...

იმ ღამეს ორჯერ გამეღვიძა... პირველად გამთენიისას, მზე ჯერ კიდევ არ იყო ამონვერილი. ლადოს მკლა-





ვებში ვყავდი ჩაბლუჯული და ჩემთან ჩახუტებულს უშფოთველად ეძინა.

მისკენ შევბრუნდი, შევხედე და დავაკვირდი... სახის კანი საოცრად გლუვი ჰქონდა, თუმცა ადრე ბევრჯერ შემომიწნევია თვალის ირგვლივ ნაოჭები... ახლა აღარ ეტყობოდა, თითქოს უკვალოდ გამქრალიყო. თვალი ვერ მოვაცილე. როგორ მომიწინა, თითქოს შევხებოდი მის კანს, მოვფერებოდი და მისი ყელის კოვზი დამეკოცნა. ალბათ სასაცილოდ ჟღერს ყელის კოვზი, მაგრამ თუ გულის კოვზი არსებობს, რატომ ყელის არა? უაზრო ფიქრი ამეტორღიალა. ცდუნება რომ დამეძლია, გულაღმა დავნექი და ჭერს შევაშტერდი. უცნაურად იმოქმედა ამ ღამემ ჩემზე. შემეშინდა კიდევ საკუთარი აზრების...

მეორედ რომ გამეღვიძა, კარგა გვარიანად გათენებულყო. ლადო აღარ იწვა ჩემ გვერდით. ასე როგორ გავითიშე, რომ მისი ადგომა ვერ გავიგე? რა ძილქუში დამანვა? შემრცხვა საკუთარი თავის. ლამის უარი ვუთხარი ნუხელ, თავპატივი დავიდე, როგორც ზეპატოისანმა ქალმა და... ისე ღრმად დავიძინე, თითქოს არც არაფერი მომხდარა ჩემთვის მიუღებელი. თვალი მოვაველე ოთახს და მოულოდნელად ტუმბოზე დადებულ ფულის სქელ დასტას მოვკარი თვალი... ასდოლარიანები იყო. რა სირცხვილია! ეს რა ჩავიდინე!.. ცრემლები მომადგა თვალზე, მაგრამ თავს უფლება არ მივეცი, მეტირა. ეს ჩემი პირობა იყო, მან კი პატიოსნად შეასრულა, რაც ვისურვე და თანხა დამიტოვა — ზუსტად ისე, როგორც ერთი ღამის ქალს უტოვებენ...

ძლივს ავითრიე წელი. სხეული დამძიმებოდა... სასწრაფოდ გადავივლე წყალი და ნანას დავურეკე. ვუთხარი, ფული მაქვს და სად მოგანოდო-მეთქი? ტირილი წასკდა. იმდენი მადლობა მიხადა, ლამის მეც ამატირა. როგორც ჩანს, იმედი გადაენურა, რომ არ შევხებოდა.

სასამართლოს შენობასთან შევხვდით ერთმანეთს. გადავხვიე. კარგა ხანს ვიდევით ჩახუტებულები. როგორი უმწეო მომეჩვენა... მიუხედავად იმისა, რომ მას ჩემზე მეტი მეგობარი, ახლობელი თუ ნათესავი ჰყავდა, ამწუთას მხოლოდ მე ვიყავი მისი მხსნელი. ეს კი მეამაყებოდა. ვიგრძენი, რომ უფრო დაუფახლოვდით ერთმანეთს. გული ამიჩუყდა... ნუკრის გადავხედე... შეფიქრიანებულს შუბლი მოლუშოდა, თუმცა მისი თვალებიდან წამოსული მადლიერება სულს

მითბობდა. საჭირო თანხა გადავეცი ჩემს დაძმას, დანარჩენი 6 ათასი კი შევინახე, რათა გარკვეული დროის გასვლის შემდეგ პატრონისთვის დამებრუნებინა და თავი გამეთავისუფლებინა. კონტრაქტის დარღვევა ჯერ კიდევ გუშინ გადავწყვიტე, როცა მას 4-ის მაგივრად, 10.000 ვთხოვე.

პროცესის დაწყებას არ დაველოდე. მე ჩემი საქმე გავაკეთე, დანარჩენს უჩემოდაც მიხედავდნენ. აღარ ვიყავი საჭირო.

იქიდან პირდაპირ სკოლისკენ გავემუშე. დაველოდე გაკვეთილების დამთავრებას და ვასიკო წამოვიყვანე. ბავშვი მთელი გზა მეტიტინებოდა.

— იცი, რა მითხრა ლადო ძიამ? ცხენოსნობაზე შეგიყვან და ცხენსაც გიყიდო, გესმის? მაგარი კაცია. თავიდან კი მეშინოდა ცოტა, მაგრამ ახლა — აღარ. ადრე ძალიან ცუდი ამბავი გადაიტანა და იმიტომ იყო ასეთი.

— ვინ გითხრა ეს? — შეჭერდი და დავეკითხე.

— როზა ბებომ. ახლა ყველაფერმა გაიარაო. სადარდებელიც არ აქვსო. მე ვუყვარვარ მას და მეც მიყვარს, — თავდაჯერებით წარმოთქვა და უფრო მჭიდროდ ჩამკიდა ხელი...

ექვსი ხდებოდა, ლადო რომ დაბრუნდა ოფისიდან. ვასიკო მისკენ გაექანა, ჩაეხუტა და ტიტინი დაუნყო. მართალი ყოფილა ლევანი... არც ისეთი ურჩხულია, როგორც თავიდან მეგონა. როგორი თბილი გაუხდა მზერა, ვასიკო რომ დაინახა!.. ნეტავ რა გადაიტანა წარსულში? რატომ არის ასე გასაიდუმლოებული ეს ამბავი? რას მალავს? რა იქნება, ისე ახლოს ვიყო მასთან, რომ ყველაფერს მეუბნებოდეს... ამის გაფიქრებაზე გული მომეწურა. საშინლად მარტოსულად და არავისთვის საჭიროდ ვიგრძენი თავი. ამ სახლში ყველა — ლადოც, ლევანიც, როზაც და ვასიკოც თითქოს ერთი ჯაჭვის რგოლებს წარმოადგენდნენ, მე კი გარიყული ვიყავი, ერთი პატარა, უვარგისი, უხარისხო მავთულის რგოლი, რომელიც ასეთი მსხვილი ჯაჭვისთვის არ გამოდგებოდა!

როზა სამზარეულოში ფუსფუსებდა. ვასიკოს ლევანი ართობდა. მე თავი მტკიოდა და ჩემს ოთახში განვმარტოვდი. ვიფიქრე, ცოტას წაუძინებ-მეთქი, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ კარზე კაკუნი გაისმა.

სანამ მოსულს შემოსვლის ნებას დავრთავდი, კარი გაიღო და ზღურბლზე ლადო გამოჩნდა.

— რა იყო, ავად ხარ? — მომეჩვენა, რომ შემფოთდა.

— არა, უბრალოდ, თავი მტკივა, — ვთქვი, სასწრაფოდ წამოვჯექი საწოლზე და აწვნილი თმა გავისწორე. ამასობაში ოთახში ვასიკომაც შემოყო თავი და ისიც მომვარდა.

— მე ციტრამონს მოგიტან, ვასიკო კი წყალს მოგიბრუნებინებს.

ბავშვი მაშინვე გავარდა ბრძანების შესასრულებლად. მარტონი დავრჩით. აწვნილი და თავის გაქნევით წინ ჩამოშლილი თმა ზურგზე გადავიყარე.

— წუნანდელს აქეთ არ მოგვეცა საშუალება, გველაპარაკა... როგორ გეძინა? — მზრუნველი ტონით მკითხა.

— მშვენივრად, მაგრამ წელან თავი ამტკივდა.

— დარწმუნებული ხარ, რომ ეს მართლა თავის ტკივილია? — ჩამეძია.

— თქვენ გგონიათ, ვსიმულანტობ, რათა თქვენთან მორიგი შესვედრა თავიდან ავიცილო?

ამ დროს ვასიკო შემოვიდა და ჭიქით წყალი შემოიტანა.

— მე და ლევანი პლანერს ვაკეთებთ. შეიძლება ნავიდე? — ნებართვა ითხოვა ბიჭუნამ.

— რა თქმა უნდა, — თავი დაუქნია ლადომ, წამოდგა და ბუფეტის უჯრა გამოაღო, საიდანაც, ჩემდა გასაკვირად, მთელი ფირფიტა ციტრამონი ამოაძვრინა.

არც ვიცოდი, ამ უჯრებში რა ინახებოდა. არასდროს გამჩენია სურვილი, შიგ ჩამეხედა.

წამალი დავლიე და შევხედე. ის რალაცას უყურებდა. თვალი გავაყოლე მის მზერას... ჩემს ტუმბოზე ჩასახვის საწინააღმდეგო აბები იყო და იმას დასცქეროდა.

— ეს რა არის? — შეცბუნებულმა იკითხა.

— ეს... აბებია... — ყურებამდე გავნითლდი, ისე შემრცხვა.

— იცი, რა? — ერთხანს ჩაფიქრდა, მერე ჯერ კიდევ გამოუყენებელ ფირფიტას დასწვდა და ჯიბეში ჩაიღო, — მეტად აღარ დაგჭირდება ეგ.

— რას ამბობთ! — წამოვხტი და ხელი ვტაცე. — ეს აუცილებელია.

პასუხის ნაცვლად მკლავები მომხვია და მოფერება დამიწყო.

— არა! — უხეშად მოვიშორე მისი ხელი. — ძალას ნუ მატანთ.

— მშვენივრად იცი, რომ არაფერს გაძალბებ, უბრალოდ, არ მინდა ჩემ გამო ეს უაზრო აბები ყლაპო. მე ვიზრუნებ ამბზე. ახლა კი შენთან მინდა.

— ძალიან გთხოვთ...



— კარგი, რახან ასე მთხოვ, სხვა რა გზაა... — თქვა და თითქოს მხრები ჩამოყარა.

ამკარად შევწხდი. მას მე ნაყიდი ვყავდი, ამიტომ ჩვენი კონტრაქტის წესები არ უნდა დამერღვია... ჯერ-ჯერობით მინც.

— ჯერ არ დაღამებულა, ამიტომ...

— მით უკეთესი, — გამოცოცხლდა, — ახლა მე შენ პირველ გაკვეთილს ჩაგიტარებ.

წინააღმდეგობის განწევას აზრი არ ჰქონდა, თუმცა მტკიცედ გადაწყვიტე, ამჯერად გულგრილი დავრჩენილიყავი და მისთვის აღერსით არ მეპასუხა... ვერ მოვახერხე. იმდენად მსიამოვნებდა მისი შეხება, ყველაფერს მავინწყებდა... და მივხვდი, რომ ჩემს თავს აღარ ვეკუთვნივდი. მისმა მწველმა კოცნამ ლამის დამადნო, თვალები ჩემდა უნებურად დამეხუჭა.

— მგონია, რომ უმიზეზოდ აზვიადებ ყველაფერს, — ჩამჩურჩულა, — გაახილე თვალები. მინდა ვნახო, რას გეძნობ.

ვნებააშლილმა ძლივს დავაშორე ერთმანეთს წამწამები და მიბნედილი მზერა მივაპყარე.

— ანა... — უცნაური ხმით ამოთქვა...

ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდა და მივხვდი, რომ დავიღუპე. ეს კაცი სულს ამომაცლის და დამაცარიელებს. მის გარეშე ერთ დღესაც ვერ გავძლებ! მე მთლიანად მას ვეკუთვნი, ჩემი ყველა უჯრედით, ამ უჯრედების ყველაზე მცირე ნაწილებითაც კი...

საჩვენებელი თითი ლოყაზე ჩამომისვა... მერე ნიკაპზე, მერე ყელზე... მისმა ამგვარმა შეხებამ თითქოს ჯაჭვური რეაქცია გამოიწვია ჩემში... მთელ სხეულში უცნაურმა თრთოლამ დამიარა, მკერდი დამეჭიმა რატომღაც, თითქოს ვილაცამ ჩემს გულს ხელი მოუჭირა და სუნთქვა შემიკრა. ის დაკვირვებით აყოლებდა თვალს ჩემს რეაქციას და ვგრძნობდი, ამკარად მოსწონდა, რაც მემართებოდა.

— ჰო... — თქვა უეცრად, — წუხელ მე ვიყავი ზედმეტად...

არ დაამთავრა, რისი თქმაც უნდოდა, მაგრამ ამის გააზრების უნარი უკვე აღარ მქონდა, რადგან ეგრევე ხელში ამიყვანა და ლოგინზე მიმანწვინა...

წინა ღამით ისეთი დაძაბული ვიყავი, სიამოვნების ბოლომდე შეგრძნების უნარი არ მქონდა. ახლა კი... სადღა მახსოვდა თავის ტკივილი... მისი ყოველი შეხება მაძიებდა, ვნებათაღელვის ალში გადავკარდნი-

ლიყავი. მწვავდა... შინაგანად მწვავდა ეს ალი, ნეტარების ცეცხლით მდაგავდა. ის მკოცნიდა, მეფერებოდა, მსუბუქად მკბენდა, ტუჩებით ლაშქრავდა ჩემს სხეულს და... მოულოდნელად მკერდიდან უჩვეულოდ ღრმა კვნესა აღმოხდა... მისი ხმა, თითების მოძრაობა, მისი მოუსვენარი ტუჩები უფრო და უფრო ამძაფრებდა ჩემს სურვილს. ერთიანად ვთრთოდი და ვიკლაკნებოდი. საოცარი შეგრძნებები მეუფლებოდა, აქამდე უცნობი, აქამდე არგანცილილი. მომიჩვენა, რომ მას ჩემი სიამოვნებით გაგიჟება სურდა. ისე მონყურებულნი მებლერსებოდა, რომ ამოსუნთქვის საშუალებას არ მაძლევდა. ისე დამაცხრა, როგორც ნადირი თავის ნადავლს, როგორც ნაშიშნელები მანანწალა გაშლილ სურფას, როგორც უდაბნოში მოხეტიალე მწყურვალე მგზავრი წყაროს... ამნუთას თავი ვიოლინო მეგონა, რომლის სიმბესაც ვირტუოზი მუსიკოსი ოსტატურად აკვნისებდა... ყოველ წუთს მეგონა, რომ მოზღვავებული ვნებისგან ავფეთქდებოდი!

და ასეც მოხდა... მეგონა, ათასობით ნამსხვრევად გავიფანტე, მილიონ უმცირეს ნაწილაკად დავიმალე... არასდროს გამმძაფრებია მგრძნობელობა ამ სიძლიერით...

— ასე უკეთესია, — ჩამჩურჩულა ყურში, როცა ვნებისგან დამცხრალი საბოლოოდ მოვეშვი...

მეგონა, მთელი სხეული დაეღექტროებული მქონდა, მისი ოდნავი შეხებაც კი მათრთოლებდა. როგორც ჩანს, მან იცოდა ეს, რადგანაც წამით არ გაუჩერებია ხელი, კმაყოფილი დაასრიალებდა ხუთივე თითს ჩემს მხრებზე, მუცელზე, თეძოებზე, მკერდზე... ბოლოს ძლიერად ჩამიხუტა და გაყურდა...

არ ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდა ჩემი ვნებათაღელვა. ძალიან გვიან გამოვერკვიე ამ თავბრუდამხვევი ბურანიდან. გამოვერკვიე და აღმოვაჩინე, რომ დღეიდან უწინდელი ანა ვეღარ ვიქნებოდი. ვგრძნობდი, რომ მისთვის ეს სექსი იყო: ძალიან სასიამოვნო, კომფორტული, მაგრამ — მხოლოდ სექსი. ყველა მისი ქმედება იმისთვის იყო განპირობებული, რომ ჩემთვის რაღაც დაემტკიცებინა, მაგრამ არა გრძნობებით. და მერე რა? მან ხომ პატიოსნად მითხრა, მინდოხარო; მიყვარხარო, ხომ არ უთქვამს?! არც მეტყოდა. იგი მე არასდროს გამათანაბრებდა თავისი წრის ქალებთან, მაგალითად — მარიამთან... ამიტომაც არავფრის იმედი არ უნდა მქონოდა. და ამაში მე ვიყავი დამნაშავე, არ უნდა მიმეცა საკუთარი თავის-

თვის მისი შეყვარების უფლება. სულაც არ გამჭირვებია ტვინის ყვლეტა, ამას რომ მივმხვდარიყავი. ეს სამწუხარო ჭეშმარიტება იყო. როგორ უცაბედად მოხდა ყველაფერი, როგორ მოულოდნელად. ვერც გავიანზრე, როდის შემეყვარდა. გული, სული, სხეული — მან ყველაფერი დაისაკუთრა ჩემი. ღრმად ამოვიოხრე



და ადგომა დავაპირე.

— რა მოხდა? — შემაჩერა.

ცივი მზერა ვესროლე.

— ძალიან მტკივა თავი, არ მიშველა ციტრამონმა. თან, წყალი უნდა გადავივლო.

ხელი შემიშვა. ფრთხილად ჩამოვუშვი ფეხები სანოლიდან. ვიგრძენი, გული მერეოდა. თვალთ ტანსაცმელს დავუწყე ძებნა, შუა ოთახში ეყარა იატაკზე. ლადოს თვალწინ შიშველი ვერ გავივლიდი, ამიტომ იქვე დადებულ მის პურანგს დავავლე ხელი.

— ხომ შეიძლება? — ნებართვა ვითხოვე.

— ეს მე მხოლოდ ბედნიერებას მომანიჭებს, — გამიღიმა.

სინითლემ გადამიარა სახეზე.

— მომწონს, როცა ასე მორცხვობ, გიხდება, — შეამჩნია ჩემი აჭარხლება.

— ბატონო ლადო...

— მინდა, რომ დღეიდან ლადო დამიძახო.

— არ შემიძლია, — უმნეოდ დავიკნავლე.

— შეგიძლია! — აღერსიანად მითხრა. — მინდა, შენმა ტუჩებმა ჩემი სახელი წარმოთქვან. გამაგონე ეს.

მივხვდი, რომ სანამ არ ვიტყოდი, არ გამიშვებდა და მისი თხოვნა შევასრულე.

— ლადო... — ამოვთქვი და ჩვენი მზერა ერთმანეთს შეხვდა, ხოლო ჩემი გული კვლავ უჩვეულო რიტმში „აბაგუნდა“...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გზის გზნიღლები

გმირული საქსიელი

მარი ჯაფარიძე

„ნუთუ გმირები კიდეც არსებობენ? მე ამის უკვე აღარ მჯერა. ქართველებს გმირები ისედაც არ გვაკლია, მაგრამ „თითიდან გამოწოვილი“ გმირები ვის რაში სჭირდება?“ — ასე იწყებს ჩვენი ერთ-ერთი მკითხველი მესიჯს და საკმაოდ ბევრს წუნუნებს იმის გამო, რომ ქართველი მამაკაცები გადაგვარდნენ და გმირები აღარ გვყავს. „ცოლები საბერძნეთსა და იტალიაში ჰყავთ, თვითონ კი მხარეთმოზე არიან წამოწოვილი და „ოდნოებში“ ქალებს აბამენ“ — აგრძელებს იმედგაცრუებული ქალბატონი. არ მინდა მკითხველი გავანაწყენო, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა, რასაც ვფიქრობ (იქნებ სულაც არ ვარ კომპეტენტური ამ „სფეროში“, მაგრამ — მაინც).

ქალბატონო ლამარია (ასეთი ნიკი აქვს მესიჯის ბოლოს მიწერილი), ვერ დაგეთანხმებით, რომ ყველა მამაკაცი გადაგვარდა და გმირები აღარ გვყავს. თუ კარგად გადავლებთ თვალს საქართველოს უახლეს ისტორიაში მომხდარ 2 ომს, მიხვდებით, რომ არ ვტყუი. თუმცა, გმირობა მარტო ომში როდია შესაძლებელი. ჩვეულებრივი, მშვიდი ცხოვრების პირობებშიც არაერთი გმირი აღმოჩენილა. მათი ჩამოთვლა შორს წავიყვანს და ამაზე არ შევჩერდები. თუ დანარჩენ მკითხველებს სურვილი ექნებათ, შემდეგ ნომერში ალბათ შეგახსენებენ. რაც შეეხება „მხარეთმოზე წამოწოვილი“ მამაკაცებს, მათაც ყველას ერთ ტაფაში ნუ შეწავთ. მე ისეთი ოჯახიც ვიცი, ცოლი უცხოეთში რომაა წასული, მაგრამ ქმარი თავაუღებლად მუშაობს მშენებლობაზე და ცოლს ვალების გასტუმრებაში ეხმარება. შეილება უკლის და ისე იღლებ, რომ ხანდახან მოსაკითხად რომ ვურეკავ, ვიდრე კითხვაზე — როგორ ხართ, ბავშვები ხომ კარგად არიან? — მიპასუხებს, ჩაეძინება ხოლმე და ტელეფონს უხმოდ ვთიშავ, რომ არ გავღვიძო. მოკლედ, იმის თქმა მინდოდა, რომ ყველას ერთი საზომით ნუ გაზომავთ და ნუ იქნებით ასეთი პესიმისტი. მგზავნელებო, არ მეთანხმებით?

ახლა კი თქვენ მიერ გამოგზავნილ ამბებს გთავაზობთ.

ორჯერ გაყიდული ერთი თხა

„ერთ დილას, როგორც ყოველთვის, შაქროს ცოლმა მოასწრო ადგომა და საოჯახო საქმეებს მიხედა. შაქრო კი, ტრადიციულად, გვიანობამდე ლოგინში ნებვირობდა. ის იყო, ნინამ საქმიანობა დაასრულა და დასვენება გადაწყვიტა, რომ ქალაქიდან შვილიშვილებმა დაურეკეს, ხვალ დილით გესტუმრებითო. ერთი მხრივ გაუხარდა ნინას ეს ამბავი, მეორე მხრივ კი ელდა ეცა — ლუკმაპური არ მაქვს სახლში, ბალებს რჩენა ხომ უნდათო? — იქნებ ფული ისესხო სადმეო, — ნახევრად მძინარე ქმარს დაადგა თავზე ნინა და გასაჭირი შესჩივლა. წელმონყვეტილივით ადგა შაქრო, მიდგა-მოდგა, მაგრამ ფული არავინ ასესხა. — მეხი კი დაგეცა მაგ თავზე, ყველაფერი ჩემი გასაკეთებელიაო, — უსაყვედურა ცოლმა შაქროს. ნინამ ბევრი იფიქრა და ბოლოს გადაწყვიტა, თხა გაეყიდა. და-

იარა სამეზობლო და ერთ-ერთ ოჯახს მიჰყიდა. შინ გახარებული დაბრუნდა. მეორე დღეს ნინა აღრიანად ადგა და შვილიშვილების დასახვედრად მზადებას შეუდგა. რას ხედავს? ეზოში ის თხაა, წინაღულს რომ გაყიდა. ახალ პატრონს გამოჰპარვია... ნინამ თავში წაიშინა ხელები, ამ შემწვინებულს აქ რა უნდაო... შაქრომ გადაწყვიტა, თხა პატრონისთვის მიეყვანა, მაგრამ ნინას მზაკვრულმა აზრმა გაუელვა თავში — ქმარს თხა გამოსტაცა ხელიდან — მე ვიცი, ამ თხას რასაც ვუზამ! ის ქალი აქ თუ მოვიდა და თხა იკითხა, უთხარი, თვალთაც არ განახავსო, — დაარიგა ქმარი და გზას გაუდგა. ნინამ თხა მეორე სოფელში წაიყვანა და ერთ-ერთ ოჯახს მიჰყიდა. ერთი თხა ორჯერ გაყიდა და შინ გახარებული დაბრუნდა. შაქრო კი ნებვირად განაგრძობდა ძილს, მაგრამ თხის პატრონმა დაურღვია სიმშვიდე და შესჩივლა: — მიშველე, შაქროია, თხა რომ მომიყიდე, გამეპარა და მეზობლებმა მითხრეს,

პატრონთან მივიდოდაო. შაქრომ წვერზე მოისვა ხელი და ის იყო უნდა მოეცყუებინა, რომ ქალს ტირილი აუვარდა — ეს რა დამემართა, ძლივს შეგროვილი ფული მაგ თხის ყიდვას შევალე, ახლა რაღა მემშველება, არ ვიციო. ქალის მოთქმა შაქროს გულზე მოხვდა და მეორე დღესვე ცოლს ფული მოჰპარა და იმ ქალს მიუტანა. როცა ეს ამბავი ნინამ გაიგო, შაქროს გმირულ საქციელს რა ამბავიც მოჰყებოდა და რა დღესაც დააყრიდა, იოლი წარმოსადგენია. განძის მაძიებლის მაძიებელი“.

საკუთარი ბედნიერებისთვის მებრძოლი

„რაც გეჯავრებოდეს, ის გეძალე-ბოდესო, ნათქვამია. ჭირის დღესავით სძულდა სერგის „მამალი“ და ქალაბიჭა გოგონები, მაგრამ ასეთებს თავიდან ვერაფრით იშორებ-



და. სერგი თავისი კარგი ადამიანობის წყალობით, ყველა ძმაცას უყვარდა და ჭირშიც და ლხინშიც მასთან იყვნენ. როგორც იქნა, სანადეული აიხდინა და ნათესავის დახმარებით, ერთი ნაზი გოგო, ანამარია გაიცნო. სერგი პირველი შეხვედრისთანავე აღფრთოვანებული დარჩა მისით. ისე მალე ჩაუყვარდა გულში, თვითონაც გაკვირვებული იყო, ასე მალე როგორ შეძლო იმ გოგომ რომ თავი შეეპყვარაო. ბევრჯერ დააპირა მისთვის სიყვარულის გამოხედა, მაგრამ ანამარია ამის საშუალებას არ აძლევდა. პრობლემა ის იყო, რომ სერგის, როგორც ძმას, ისე უყურებდა. ასაკითაც მცირეწლოვანი, 16 წლის გახლდათ და აზროვნებაც არამყარია ჰქონდა. ერთხელ, სერგის გაუმხილა, ისეთი ბიჭები მომწონს, თავში რომ უჭრით და არავის და არაფერს არ ერიდებიან. ამ სიტყვებმა ძალიან დაალონა მამაკაცი. — გოგონები ასეთები არიან, ყურადღებას რომ აქცევ და თან ჰყვები, შენი ფასი არ იციან, როგორც კი უყურადღებობას გამოიჩინ, თავად მოგაკითხავენო, — დაარიგეს მეგობრებმა. სერგიმ ძმადნაფიცებს დაუჯერა და სახლიდან ერთი კვირა არ გასულა — თავის საფიქრალს იყო მიცემული. ძმაცაცების რჩევამ არ გაამართლა, ანამარიას არც კი მოუკითხავს. ისევ თვითონ მოიკრიბა ძალა და გოგონა შეხვედრაზე დაითანხმა. ბევრი საუბრის შემდეგ გამოუტყდა, რომ ბიჭი მოსწონდა, რომელსაც ერთი ნაკლი ჰქონდა, მაგრამ რა ნაკლს გულისხმობდა, ის კი არ გაუმხილა... სერგიმ ყველა ღონე იხმარა და იმ ბიჭს მიაგნო, მასზე ყველაფერი გაიკითხა და მისი ნაკლიც გაიგო — ნარკომანი ყოფილა. სერგიმ აღარ იცოდა, რა გზას დასდგომოდა. ანამარია ჯიუტად გაიძახოდა, მიყვარს და უიმისოდ თავს მოვიკლავო. მაშინ მამაკაცმა ეშმაკურ ხერხს მიმართა და უთხრა: — შენს მეგობრად მიგულე, ყველაფერში დაგეხმარები, ოღონდ სიმართლე

მითხარი ხოლმეო. პასუხად თანხმობა მიიღო და ანამარიას არც ის დაუმალავს, რომ იმ ბიჭთან ერთად გაპარვას აპირებდა. სერგი აფორიაქებული იყო. ძმაცაცებმა ურჩიეს, რომ თავი დაენებებინა, — მაინც არ უყვარხარ და მის ცხოვრებაში ნულარ ჩაერევიო. სერგიმ მათ პირობა მისცა, მაგრამ მაინც ვერ მოისვენა და ანამარიას სახლში მიაკითხა. შინ უმცროსი და დახვდა, რომელმაც უთხრა, რომ მისი და ვილაც სერგისთან შესახვედრად იყო წასული. სერგი მიხვდა, რომ მის სახელს იყენებდა და იმ ნარკომანს ხვდებოდა. ანამარიას ნათქვამი ჰქონდა, იმ ბიჭს სადაც ხვდებოდა ხოლმე. მაშინვე იქით გაემართა... შეყვარებულები ერთად ისხდნენ და საუბრობდნენ... ბიჭი ცდილობდა, გოგოსთვის ეკოცნა. სერგის მოთმინება ეკარგებოდა, მაგრამ თავს იკავებდა. უეცრად, მათ წინ მანქანა გაჩნდა, იქიდან ორი ზორბა ბიჭი გადმოვიდა. სერგი დაიბნა, მაგრამ როცა ანამარიას პირზე ხელი ააფარეს და მანქანისკენ წაათრიეს, მაშინვე მოვიდა გონს და მათთან მიიჭრა. გაიმართა ჩხუბი. სერგი მაგრად სცემეს, მაგრამ იმდენი კი მოახერხა, რომ ანამარია მათგან დაეხსნა. პოლიციაში გიჩივლებთო, როგორც კი უთხრა ბიჭებს, მაშინვე გაქრნენ ადგილიდან. სერგი საავადმყოფოში დაწვინეს, ანამარიამ კი მეორე დღეს გაიგო, რომ მისი შეყვარებული ყაჩაღობისთვის დაიჭირეს. მართალია, სერგი გმირულ საქციელს კინალამ შეუწირა, მაგრამ რაც მთავარია, საყვარელი ადამიანი გვერდით ჰყავს და დღეს ბედნიერები არიან. ლუნა“.

ბედის ურჩი

„— 5 წუთში შენს სახლთან ვიქნები, პატარავ — თქვა და მობილური გათიშა სახელიმილიანმა ნიკამ... გვიან ღამემდე ამაოდ ელოდა



თუ ძმაცკენს ხელისგული ვეცხანება, აყოლოს მიიღებ. თუ ცხვირი — ჩიოვი მოვიწვებს. თუ ამოივქნის — მოქიანდ იქიოვიბ.

მის გამოჩენას სალომე. წყენა და ბრაზი ერთდროულად ერეოდა შეყვარებულ გოგონას და ნერვიულად აწვალებდა ჯიუტად ჩამოშლილ კულულებს. მხოლოდ მეორე დილას გაიგო, რომ სამსახურიდან გამოსულ ბანკის ახალგაზრდა თანამშრომელს თავს დაესხნენ და რამდენიმე უმძიმესი ჭრილობა მიაყენეს. მის სასთუმალთან ათენებდა სალომე ცრემლიან ღამეებს. ნიკა 2 კვირის შემდეგ მოვიდა გონზე და საყვარელ ქალს შეანათა თავისი ნაპერწკლებჩამქრალი, მწვანე თვალები. მან ჯერ კიდევ არ იცოდა ექიმების სასტიკი განაჩენი, რომ ვეღარასდროს გაივლიდა. მაინც ეურჩა ბედისწერას — მოიარა ევროპის საუკეთესო კლინიკები, მაგრამ ამაოდ. სალომეს სურდა, მის გვერდით ყოფნა, მაგრამ ნიკამ უარი უთხრა. არ უნდოდა, მსხვერპლად შესწირვოდა ნიჭიერი და პერსპექტიული გოგონა, მისნაირ „მეტელს“ — ასე თავად უწოდებდა თავს, რადგან ინვალიდის ეტლში იჯდა. ოპერაციებსა და მკურნალობაში 1 წელი გავიდა. ნიკამ დაწებება გადაწყვიტა და ახალი ცხოვრება დაიწყო — მოძებნა ისეთი სამსახური, სადაც სიარული არ სჭირდებოდა და ცდილობდა, არ ეფიქრა დანგრეულ ოცნებებსა და დაკარგულ სიყვარულზე. სალომე კი დაწებებას არ აპირებდა და ნაბიჯი, რომელიც მან გადადგა, გმირობაზე ბევრად მეტია. მან კარგად იცოდა, რომ ვერც ქალის უპირველეს სიხარულს — დედობას ეზიარებოდა და ვერც ძველებურად იამაყებდა სიმპათიური და ათლექტური აღნაგობის საყვარელი მამაკაცით, მაგრამ აი, უკვე 7 წელია, ისინი ერთად ცხოვრობენ და სალომეს მტკიცედ სწამს, რომ მისი ქმარი ყველაზე კარგი მამაკაცია ამ ქვეყნად და უწინდელზე მეტად უყვარს მეუღლე. ყველას სიყვარულს აშოროს ღმერთმა ასეთი გამოცდა, მაგრამ სალოსთანა გმირობა ერთეულებს შეუძლიათ, როგორც სუსტი, ისე — ძლიერ სქესს შორის. ბრავო, შენისთანა ქალს, ძვირფასო! პარიჟანკა“.

როგორ მოხვდა ზაურა კაკლის ხიდან ახმეტაში?

„ჩემს მეზობლად ცოლ-ქმარი ცხოვრობდა — ზაური და ლუდა. ერთ დღეს ზაურა სართიჭალაში წავიდა, კაკალი უნდა დავბერტყოო და ლუდაც თან წაიყვანა. მანქანა გზის პირას გააჩერეს და შეუდგნენ



საქმეს. ზაური ხეზე ავიდა და კაკლის დაბერტყვა დაიწყო. ჩამოყრილ ნაყოფს კი ლუდა აგროვებდა და ტომარაში ყრიდა. ასე ჩამობერტყეს 2 ხე. ზაური მესამეზე აძვრა, 1-2-ჯერ შემოჰკრა კაკულს და უეცრად გაჩერდა. ხიდან ჩამიჩუმე არ ისმოდა. ლუდა აყვირდა, — ზაური, ზაური! — ქმარს მთელი ხმით ეძახდა, მაგრამ ის ხმას არ იღებდა. ლუდამ ხეს გარშემო შემოუარა, კარგა ხანს ათვალიერა, მაგრამ ქმარი ვერ დაინახა. ძალიან შეეშინდა და პატრული გამოიძახა. ადგილზე მოსულ პოლიციელებს ტირილით უამბო, როგორ დავარგა ხეზე ასული ქმარი. პატრულმაც შეათვალიერა ხე, მაგრამ ზაური ვერსად დალანდა და მაშველები გამოიძახეს. მაშველები ხეზე ავიდნენ, კარგად მიჩხრიკ-მოჩხრიკეს იქაურობა, მაგრამ ზაურის კვალიც კი ვერ აღმოაჩინეს. დაბლა ჩამოსძახეს, აქ არავინაა, ალბათ ეგ ქალი ავადაა, ნამდვილად გიჟია და რაღაცას იგონებს ან ეჩვენებაო. ლუდა ისტერიკაში ჩავარდა. ტიროდა და მხოლოდ ერთს გაიძახოდა — ზაური ხეზე ავიდა და გაქრაო. ამ ორომტრიალში 2 საათი გავიდა. პატრულმა „სასწრაფოს“ გამოძახება და ლუდას საგიჟეთში გაშვება დააპირა. ამ დროს ქალის მობილურმა დარეკა — ქალი, ზაური ვარ, ტაქსის ფული დამახვედრე, ახმეტიდან ტაქსით მოვდივარ და ჯიბეში „კაპიკიც“ არ მაქვსო.

ლუდას ლამის გული ნაუჯიდა. პატრულიც საგონებელში ჩავარდა, ხეზე ასული კაცი ახმეტაში როგორ უნდა მოხვედრილიყო, აზრზე ვერ მოვიდნენ და ზაურის ჩამოსვლას დაელოდნენ. აღმოჩნდა, რომ ზაური ხიდან ჩამოვარდნილა და შემთხვევით, იმ დროს გზაზე გავლილი სატვირთო მანქანის ძარაზე დავარდნილა, გონი დაუკარგავს და ახმეტამდე უმგზავრია. იქიდან კი ტაქსის გამოჰყვა და შინ დაბრუნდა. ასე გადარჩა ლუდა საგიჟეთში მოხვედრას. ნუგოპი“.

თავანწირვა ძმაკაცის გამო

„გამარჯობა. აი, მეც მოვედი და

ძალიან მაგარი ამბავიც უნდა მოგიყვეთ. კაკო და ლადო ბავშვობიდან მეგობრობენ, ყველაფერი საერთო ჰქონდათ და ლამის ცოლიც კი საერთო მოიყვანეს. პირველი კაკო დაქორწინდა და ლადო ძალიან განიცდიდა, მასა და ძმაცაცს შორის ქალი რომ ჩადგა და მეგობარი „წაართვა“. მანამდე ერთად გრილებდნენ, ქალებშიც ერთად დადიოდნენ, ახლა კი კაკო ოჯახს არ შორდებოდა და ლადოც, იძულებული იყო, ფრთამოტეხილი ფრინველივით, თავის „ბუდეში“ მჯდარიყო. ყოველ საღამოს შინიდან გამოიტყუებდა ხოლმე მეგობარს და გვიანობამდე სუფრასთან ისხდნენ — შინ გასაშვებად არ ემეტებოდა. ცხოვრება რომ გაჭირდა, ძმაცაცებმა რუსეთში წასვლა გადაწყვიტეს. ლადოს უხაროდა, ერთად რომ მიდიოდნენ. ახლა მუდამ ძმაცაცს გვერდით იქნებოდა, ფრთებსაც ძველებურად გაშლიდნენ. როგორც ჩანს, ფრთების გაშლა მართლა გამოუვიდათ: წ წლის შემდეგ შინ დაბრუნდნენ. ლადომ კაკოს ცოლის დას — ქალობაში შესულ მაკოს დაადგა თვალი და ოჯახის შექმნას აპირებდა. თან თავს ბედნიერად გრძობდა, რომ ძმაცაცის ქვისლი გახდებოდა. ერთ დღეს კი სოფლის „მარშრუტკას“ ქერთიანი, მაღალ-მაღალი, უბადლო გარეგნობის ქალი ჩამოჰყვა, რომელსაც თან სამიოდე წლის, თმაუჭუჭა, შავტუხა ბიჭუნა ახლდა. ქალმა კითხვა-კითხვით მიაგნო კაკოს სახლს და რუსული აქცენტით დაიძახა — კაკო! კაცმა ხელით მოიჩრდილა და ქალს რომ გახედა, ელდა ეცა. შინიდან მისი ცოლიც გამოვიდა ამასობაში, — რომელი ხარო? — ქალს ჰკითხა და ელბეს მიადგა. კაკოც მათ გვერდით გაჩნდა, ელვის სისწრაფით. ისარგებლა იმით, რომ მისმა ცოლმა რუსულის ინი-ბინჩი არ იცოდა და ქალს რუსულად გამოელაპარაკა.

— „კაკო, კაკ დელა? ია ყდალა, ყდალა, ი კ ტებე პრეხალა“, — უთხრა ქალმა და ცისფერი თვალები სიყვარულით შეანათა.

— „ლიდოჩკა, დარაგაია, კაკ ტი? ტი ნე ვოვრემია პრეხალა, ლადო სპრაშივალ პრო ტებია“, — და ხე-

ლი ლადოს სახლისკენ ისე გაიშვირა, დამნახავს ეგონებოდა, ქალი ლადოს სახლის გზას კითხულობდა.

— „ეტო ტვოი სინ, კაკო, პოს-მოტრი, კაკ ნა ტებია პოხოჟ, — ბავშვი ხელში აიყვანა, რომ მამას კარგად დაენახა“.

— „ოო, კაკოი ჩუდნი რებიონოკ, ტი ნე გოვორილა, ჩტო უ ნას რებიონოკ როდილსია, ლადო ტოჟე ნე ზნალ“, — ისევე ლადო ასხენა.

— რაო, რა მინდაო, კაცო? — ცოლმა შეახსენა, რომ თვითონაც იქ იყო და ცნობისმოყვარეობა ტანჯავდა.

— რაო და ლადოს შეყვარებუ-ლია, რუსეთიდან ჩამოაკითხა და მის სახლს კითხულობს, — არ დაიბნა კაკო, — ახლა ამას ლადოსთან წავიყვან და დავბრუნდები, — უთხრა ცოლს და სასწრაფოდ მოაცილა ქალი იქაურობას.

ლადოს თვალები გაუფართოვდა ლიდოჩკას დანახვაზე, მაგრამ მაშინვე მიხვდა, რაშიც იქნებოდა საქმე.

კაკომ სთხოვა, სანამ ამას უკან გაუშვებდე, რამდენიმე დღით შენთან დარჩეს, შინ ხომ ვერ მივიყვანო. ლადომ შორს დაიჭირა — რას ამბობ, ცოლის მოყვანას ვაპირებ, მაკომ რომ გაიგოს, რუსეთიდან ქალმა ჩამომაკითხა, აღარ გამომყვებო, მაგრამ ბოლოს ძმაცაცის ან უკვე კარგა ხნის შექმნილი ოჯახის შენარჩუნება ამჯობინა და ლიდოჩკა თავისთან დაიტოვა.

ეს კი ნამდვილად გმირობის ტოლფასი იყო. მაკოს ყურამდე კი მივიდა ლადოს სტუმრის ამბავი, მაგრამ ძალიან არ გაბრაზებულა. კაცმა დაუყვავა, — ეს ყველაფერი მანამდე მოხდა, სანამ შენ გაგიცნობდი და შემოიყვარდებოდიო, მიიფერა, საჩუქარიც უყიდა (კაკოს გადაახდევინა საჩუქრის ფული) და ქალმაც აპატია. ლიდოჩკას კაკომ ცოტა ფული მისცა და უკან გაუშვა იმ პირობით, რომ საქართველოში არასოდეს დაბრუნდებოდა. ბავშვი კი თვითონ დაიტოვა (ცოლთან არ ჰყავდა შვილი) და ახლაც ბედნიერად და სიამტკიბილობით ცხოვრობენ“.

მომდევნო ნომრის თემა იქნება
 — „სხვისი ჭირი — ღობეს ჩხირი“. ამბები შეგიძლიათ გამოგზავნოთ მესიჯებით ტელეფონის ნომერზე:
 5.77.45.68.61
 ან მომწეროთ ელფოსტაზე:
 marorita77@yahoo.com

ყურადღება! თუ გსურთ, თქვენი მესიჯი „გზაპნილებში“ დაიბეჭდოს, ტექსტი გრცელი მესიჯით არ გამოგზავნოთ. ერთი მესიჯი (და არა — ამბავი) მხოლოდ 160 სიმბოლოს უნდა შეიცავდეს. ამიტომ, თუ ამბის მოყოლას ერთ მესიჯზე მეტი სჭირდება, გთხოვთ დაანაწევროთ და ცალ-ცალკე გამოგზავნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი მონათხრობი არ გამოქვეყნდება.



ფოტო, ხომეღმაც ნახნეხა დაკახგა

• „კი ხელის ჭუჭყია ფული, მაგრამ გულის დიდი დარდიცაა. გაქვს? კაცი ხარ! არ გაქვს? არაკაცი ხარ! აი, დღევანდელი გადმოსახედიდან დანახული სამყარო“.

• „შენ ხელის ჭუჭყი უძახე და ნახე, დრო მოვა, აღარ ამოთხრი ღორივით დინგით მიწას. მიწა ისე ეყრება, ვით მაკულატურა“. კიბორჩხალა.

• „ეს ბიძინას ფულებია, ბევრს რომ თვალებს უბრმავეებს“.

• „ვაიმე, ესენი ფულს კი არ ინახავენ, პირიქით, თხრიან... გარბინართ საქართველოდან, ნაცბანდავ?“

• „ესაა ის, რაც მსოფლიოს ატრიალებს“.



• „სადაა დასამარხი ფული, ვაი, დედაა! მომეცით, ვალები გავისტუმრო!“

• „ასე ხდება ფულის გათეთრება“.

• „ჩემი მიწაში დამარხული სევდა“.

• „ეჰ, ვის უნდა ჰქონდეს ფული და ვის აქვს? XXI საუკუნეა, ბატონებო, ბანკში შეიტანეთ, ბანკში!“

• „ფულმა იმხელა სახელი და დიდება მოიპოვა, ღმერთიც კი დაჩრდილა და ხალხს ახალ სალოცავ ხატად მოვევლინა, რომლის გარეშეც უფალიც აღარ ახსოვთ“. კიბორჩხალა.

• „ბურატინომ მაინც დათესა ბოლო ქილა დოლარები?“ ემიკო.

• „ფული ხელის ჭუჭყია, მაგრამ ყველა ამ ჭუჭყს ეტანებაა!“ მარიკიტო.

• „სადაც არის საუნჯე შენი, იქ არის გული შენი“.

• „ფულის დათვლა და შენახვა, ესეც ხომ დიდი ნიჭია? შემოგხედავენ, იტყვიან — კარგი ბიჭია“. კიბორჩხალა.

• „თავგმა თხარა, თხარაო, ტიტუუ! რამდენი ფული გამოთხარაოო?“ დადუ.

• „გაჩაღებულია შავი დღისთვის ფულის დაკონსერვება. რა იცი, რა ხდება?“ RAINBOW-იასამანი.

• „ნეტავ ამ სამი ხელის სიფათები დამანახვა! ვინ არიან, ტო!“ RAINBOW-იასამანი.

• „დედას ვფიცავარ, მამას ვფი-

ცავარ, მოვდიოდი, დავინახე, ქვა ედო... ავიღე და მოვიტანე“.

• „ფული იქნება, იქნება მარად, თვალუნვდენელი, თვალს რომ გვიბრმავეებს, მაგრამ მინიდან ამოღებული, ჩვენს ვალუტაში აღარ ტრიალებს“. ოხერი.

• „ფულისთვის რას არ იკადრებს ადამიანი? ეს იმასა ჰგავს, ქათამმა თხარა, თხარაო და თავისი დასაკლავი დანა გამოთხარაო“. ლიკუ.

• „განძის მაძიებელმა განძს მიაგნო!“ ლუნა.

• „ნაგავი ყველაზე დიდი ფულია“.

• „ფული მიწაში არ დამარხო! ფული საქმეში უნდა ჩადო. თუ ჩემი არ გჯერა, ჰკითხე ბიძინა ივანიშვილს“.

• „ერთი სული მაქვს, როდის მივძაღლები, რომ თან გამატანონ“. თათა-სინდრომი.

• „მასე ქნა ბაბუაჩემამაც და მამაჩემი დღემდე ეძებს, სადაა განძი დამარხული“.

„ფულის დასაფლავება“.



„მეუღლის დედ-მამასთან ცხოვრება დისკომფორტს უბიძგენის“

„გეო, რას იბანჯა...“

„გზის“ №40-ში დაიბეჭდა მარის მესოფი შეგასენებთ, იგი გვწერდა, რომ ოჯახი 17 წლისამ შექმნა „პატას მშობლებმა გადანიჭეს, რომ ცალკე უნდა გვეცხოვრა და ბინა გვეყიდეს მართალია, მატერიალურად გვემარებოდნენ, მაგრამ მათ მიერ მოცემული თანხა არ გვეყოფნოდა: გარდა იმისა, რომ უნდა გვეჭამა და ჩაგვეცვა, გართობაზეც ვფიქრობდით, საამისოდ კი ფულს არავინ გვაძლევდა და პატამ გადანიჭა მუშაობას დავინწყებო“. ბიჭი სიმამრა და ასაქმა — მშენებლობაზე დააწყებინა მუშაობა და როგორც მარამ გვითხრა, იმ ფულით, რომელსაც ის შოულობდა, კვირაში ერთხელ განტვირთვის დღეს იწყებდნენ. როცა პატას მშობლებმა შეიტყვეს, ჩვენი შვილი მუშაობსო, ლამის გადაირივნენ, — ცემენტი რომ ზოლო, იმისთვის არ გაგვიზრდინარ, თავს რატომ გვეჭრიო?! მერე კი გაბრაზებულმა, ახალდაქორწინებულებს ფულის მიცემა შეუწყვიტეს. „რამდენიმე თვეში დაფორსულდი. ვიდრე ბავშვი გაჩნდებოდა, თავი, ასე თუ ისე, გაგვეყრნა, მაგრამ შვილის შექმნის შემდეგ ცხოვრება ძალიან გაგვიჭირდა, პატას ნაშოვნი „კაპუკები“ არაფერში გვეყოფნოდა. ერთხელ ჩემმა მეუღლემ შინ ბევრი ფული მოიტანა და მითხრა, — ამიერიდან არ გავიჭირდებაო. ჩემი ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელდება: მალე პატა დაიჭირებს და ბრალად ყაჩაღობა წაუყენებს. მას შემდეგ, რაც დააპატიმრეს, საცხოვრებლად დედ-მამასთან გადავედი. პატარის აღზრდა დედას მივანდევ, მე კი ერთერთ კაფე-ბარში, ჭურჭლის მრეცხავად ვმუშაობ, შვილსაც ვუვლი და გარკვეულ თანხას ქმარსაც ვუროცხავ. დედამთილ-მამამთილი ახლა კი მებეჭენებინან: ჩვენთან გადმოდი, მხარში ამოგიდგებიო, ჩვენს ვაჟს საბოლოოდ ნუ დაგვაკარგვინებ, მას ჩვენთან შეხვედრა კი არა, ლაპარაკიც აღარ სურს, რადგან თავის უბედურებაში ჩვენ გვადანაშაულებსო, — მაგრამ მათთან ერთად ცხოვრებას სიკვდილი მირჩევნა. მირჩიეთ, როგორ მოვიქცე? ისიც არ მინდა, მშობლებს ტვირთად დავანე და კიდევ პატამ არ იცის, სადაც ვმუშაობ, ის ამის უფლებას არ მომიცემდა.“

შორანა:

„შენს ადგილას პატას მშობლებს ყველაფერს მივუტყებდი. მათთან ურთიერთობის აწყობას ვცდებოდი, მაგრამ საცხოვრებლად გადასვლას არ ვიჩქარებდი, ამას მომავლისთვის გადავადებდი. P.S. მარტო საქართველოში შეიძლება თქვან: გოგო თუ მშობლებთან წავიდა, ე. ი. მათ ტვირთად აწვებო. რატომ? ასე სულაც არაა! მშობლისთვის შვილი ტვირთი ვერ იქნება. შვილი ღვთის საჩუქარია და მას მაშინ უნდა ამოუდგე მხარში, როცა უჭირს. ჭკუით იყავი“.

SEX BOY:

„ჩემი აზრით, ადამიანს ყოველთვის უნდა მისცე ერთი შანსი. რაც შეეხება პატას, მე ნამდვილად არ ვამტყუნებ. აბა, წარმოიდგინე, როგორია, როცა შენი შვილი ტირის, საჭმელს ითხოვს, შენ კი ვერაფერს შოულობ მის დასანაყრებლად. ჩემი აზრით, პატა სწორად მოიქცა, მაგრამ ნათქვამია: ყველა კაცი საკუთარი თავის მტერიაო!“

ლუბა:

„არც კი ვიცი, რა გირჩიო, რით გაგამხნეო. პირველი შეცდომა მაშინ დაუშვი, როცა დაოჯახება ნაადრევად, 17 წლისამ გადანიჭე. თუმცა ამას უკვე აღარანაირი მნიშვნელობა არა აქვს. ქმარს სიმართლე უთხარი და იქნებ გაგიგოს. ბოლოს და ბოლოს, შენ ხომ ბავშვის გამო მუშაობ?! ჩემი აზრით, მშობლებთან უფრო კარგად იგარძნობ თავს და გირჩევ, ვიდრე პატაც ციხიდან გამოვა, მანდ დარჩე. არა მგონია, საკუთარ დედ-მამას აწუხებდე. სამწუხაროდ, სხვას ვერაფერს გეტყვი. ღმერთი გფარავდეთ!“

რუსიანი (RED):

„ამდენი ასხნა-განმარტება არ იყო საჭირო საიმისოდ, რომ გეტყვა, თუ რატომ გახდა შენი მეუღლე ყაჩაღი. მესიჯის დასაწყისში აღნიშნე: 17 წლის ლანირაკს სამუშაოს ვინ მისცემდაო? ფაქტი კი სხვა რამეზე მეტყველებს: როცა გაგიჭირდათ, ახლობლის დახმარებით, მაგრამ მაინც იშოვა. არ იქნებოდა ურიგო, ჭურჭლის მრეცხავად მაშინ დაგენყო მუშაობა, როცა პატა ცემენტს ზელდა, გამოუმუშავებული ფული კი ბავშვისთვის საჭირო ნივთების დაგროვებაში დაგეხმარებდა და არა — ერთსაათიან „თუხთუხში“. ცხოვრებაში ამდენ გა-

ჭირვებასა და მიმე წუთს შენთვის იმდენი მაინც უნდა ესწავლებინა, რომ მოვლენები შესაბამისად გაანალიზო და მიხვდე, შენი დედამთილ-მამამთილი არაფერ შუაშია! როგორც მიხვდი, მათ მატერიალურად არ უჭირთ (ახალდაქორწინებული შვილისთვის ბინას ყველა მშობელი ვერ ყიდულობს), ერთად ცხოვრების დროს გეხმარებოდნენ და ცხადია, შოკის მომგვრელი იქნებოდა იმის გაგება, რომ მათი „ცივინიავრემიკარებული“ ვაჟი ცემენტით საესე ვედროებს აქეთ-იქით დაათრევდა. დაფიქრდი, კარგად დაფიქრდი და თავად მიხვდები, რაც უნდა ქნა...“

ლაკო 27:

„ჩემო კარგო, შენი მესიჯიდან ჩანს, რომ მეუღლე გიყვარს. ჰოდა, საყვარელო, გადადი მის სახლში და იქნებ როგორ აგწყნოთ ურთიერთობა. მერწმუნე, ამ ნაბიჯის შემდეგ მეუღლე უფრო მეტად დაგაფასებს. შენს ადგილას, სიყვარულის გამო ყველაფერს გავაკეთებდი. ღმერთმა დაგლოცოს შენს პატარა ოჯახთან ერთად.“

ნათია:

„საყვარელო, მგონი ჯობს, საცხოვრებლად დედამთილ-მამამთილთან გადახვიდე — ამით ქმარსაც გაახარებ და მშობლების კისერზეც აღარ იქნები. წარმატებებს გისურვებ!“

უცნობი:

„გირჩევ, მშობლებთან დარჩე, თორემ მეუღლის დედ-მამასთან ცხოვრება დისკომფორტს შეგიქმნის. იმედია, პატაც გაგიგებს!“

ნათია:

„ჩემო კარგო, საცხოვრებლად პატას მშობლებთან გადადი. გეყო, რაც იტანჯე. მერწმუნე, შენი ამ ნაბიჯით პატაც კმაყოფილი დარჩება. თქვენ ჯერ პატარები ხართ. გავა დრო და ისევ ერთად იქნებით. იცოდე, უფალი იმ განსაცდელს არ მოგიგონებს, რასაც ვერ დაძლეო. აბა, შენ იცი“.

იაკო, ძუთანი:

„ჩემო კარგო, ცხოვრებაში ყველაფერი ხდება. გირჩევ, პატას ოჯახთანაც გქონდეს ურთიერთობა. მართალია, დაამავეს, როცა უყურადღებოდ დაგტოვეს, მაგრამ უკვე ხვდებიან საკუთარ შეცდომას. პირველ რიგში იცი, რა უნდა გააკეთო? — მეუღლეს უთხარი, სადაც მუშაობ, რომ მეუე ამის გამო სერიოზული უთანხმოება არ მოგივადდეთ. უფროს მეგობრად მიგუთლე“.



„თავმოყვარეობას ნურავის შეაღასპინებ“

„გზის“ №40-ში დაიბეჭდა 18 წლის ვაჟას მესიჯი, რომელიც გვწერდა, რომ შეყვარებულის მშობლები ინუნებდნენ: შენნაირ სასიძოზე არ ვოცნებობდით, ჩვენი შვილი ბრედ პიტს უნდა გაეყვარებოდა. „რას მინუნებენ? — ცხადია, გარეგნობას. იმის გამო, რომ თვალები ოდნავ „გამირბის“, დამბრაკეს. „ლოვეს“ ნათესავეები დამცინიან: იმ ბრუციანმა ამის სილამაზე როგორ აღიქვა? წავიდეს, თავისი ტოლი ნახოსო. მართალია, ამ ყველაფრის გამო ძალიან ვბრაზობ, მაგრამ ჩემი ბუთხუზა ისე მიყვარს, რომ მის გამო ყველაფერს ვითმენ. ჩემები მეუბნებიან: იმ გოგოს შეეშვი, თორემ მისი მშობლები ცხოვრებას გაგიმწარებენო. შესაძლოა, ასეც მოხდეს, მაგრამ მე სიყვარულის სახელით, ხავს ვებლაუჭები..“

„სულში შიში შემოგვარვია და ამ შიშს უნდა მოერიო“

შაბანკა:

„ჯობია, ხავს ხელი გაუშვა და იმ გოგოს ჩაველო, რომელიც გიყვარს. უნდა გაიპაროთ! თუ უყვარხარ, წამოგყვება. რაც შეეხება სიელმეს, ეს ხარვეზი გამოსწორებადია. წარმატებებს გისურვებ!“

სოფი:

„სხვის ლაპარაკს ყურს ნუ უგდებ. ჯერ კარგად გაარკვიე, უყვარხარ თუ არა შენს ბუთხუზას, მერე კი სიყვარულისთვის იბრძოლე და როდესაც ერთად იქნებით, მისი მშობლები, როგორც საკუთარ შვილს, ისე მოგიღებენ. წარმატებები!“

ლევან:

„ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, შენი კარგად მესმის. ერთ ძმურ რჩევას მოგცემ: სიყვარულისთვის იბრძოლე, მაგრამ თავმოყვარეობას ნურავის შეაღასპინებ. გახსოვდეს, თავს თუ დაიფასებ, სხვებიც დაგაფასებენ!“

ნათუკა:

„თუ დარწმუნებული ხარ, რომ იმ გოგოს მართლა უყვარხარ, არავის გამო არ დაკარგო. აუ, არ მესმის ისეთი ადამიანების, როგორებიც შენი შეყვარებულის მშობლები არიან. ბედნიერებას გისურვებთ შენ და შენს ბუთხუზას. ყველაფერი კარგად იქნება.“

თაყნაყნაძე:

„რა სისულელეა! ნუ გადამრევ, მოქალაქე ვაჟა! ცხოვრების გამწარებას სჯობს, ახლავე დაშორდე. P.S. სიყვარული კარგი რამაა, მაგრამ დროებითია.“

ლაკო 27:

„ჯერ ერთი, კაცი ხარ და ვილაც-ვილაცებს თავს როგორ ამცირებინებ? იცი, რა, მაგ შენს „ლოვეს“ რომ უყვარდე, ნათესავეებს ამდენს არ ალა-

პარაკებდა. კაცი ხარ და კაცურად მოიქეცი. არასდროს არავის გამო თავი არ დახარო!“

ლუნა:

„ჯერ პატარა ხომ არ ხარ საიმი-სოდ, რომ ოჯახი შექმნა? იქნებ ჯობდა, ცოტა მოეცადა? ნაჩქარევი ნაბიჯის

„სამაგიეროს გადახდის მიზნით, სხვა შიშით“

თბილისი: „გამარჯობა. მე თქვენი რუბრიკის ერთგული მკითხველი ვარ. მინდა, ჩემ შესახებ გაამბოთ: დათუჩა 6 თვის წინ, ინტერნეტით გავიცანი. თავიდან ვითომ, ყურადღებას არ ვაქცევდი, მაგრამ მერე მივხვდი, რომ მიყვარდა. ჰოდა, შეყვარებულები გავხდით. ის ბათუმში ცხოვრობს და ცხადია, ერთმანეთის ნახვას სშირად ვერ ვახერხებდით, მაგრამ დღის განმავლობაში „ტელეფონი“ სშირად მეკონტაქტებოდა. მართლა ვუყვარვარ და ჩემგან შორს ყოფიანს ვერ იტანდა. ჰოდა, დაახლოებით ერთი თვის წინ მოხვდა, — ცოლად გამომყვიო. უარი ვუთხარი, რადგან მიმაჩნია, რომ საამისოდ ჯერ ძალიან პატარა ვარ. დათუჩამ, სამაგიეროს გადახდის მიზნით, სხვა გოგო შეირთო, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, მაინც მეკონტაქტება ხოლმე. მირჩიეთ, როგორ მოვიქცე?“

„ველაგოგის ქალიშვილი შემიყვარა“

როსტომი: „მასწავლებლებთან პრობლემა შემექმნა იმის გამო, რომ პედაგოგის ქალიშვილი შემიყვარდა. ჰოდა, ახლა მნიშვნელობა არა აქვს, გაკვეთილი ვიცი თუ არა, თითქმის ყველა მასწავლებელი ცდილობს (ასე დაუკვეთა მათ ჩემმა მომავალმა სიდედრმა), სული გამიმწაროს. სადმე ერთად თუ დაგვინახავენ, ეგრევე ნიას დედას ურეკავენ და ისიც, გიჟივით მოგვევარდება ხოლმე. არ ვიცი, როგორ მოვიქცე... ამას წინათ მშობლებს მოვთხოვე, სხვა სკოლაში გადამიყვანეთ-მეთქი. თავიდან დამთანხმდნენ, მაგრამ როცა მიზეზი გაიგეს, ლამის გაგიჟდნენ: ის ქალი ასე უნამუსოდ როგორ იქცევა, ან ჩვენს ოჯახს რას უნუნებსო? მადლობა თქვას, იმ გალუულ გოგოს სახლში თუ შემოვუშვებთ. არსადაც არ გადახვალ! თუ უნდათ, თავიანთი შვილი მოაშორონ იქაურობასო. მოკლედ, ახლა ჩვენი მშობლებიც გადაეკიდნენ ერთმანეთს... მირჩიეთ, მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, რა ნაბიჯები უნდა გადავდგა?“

P.S. მაშ ასე, თუ თბილისს და როსტომს წერილის ნაკითხვის შემდეგ, მათთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმისჯეთ ტელეფონის ნომერზე: 5.58. 25.60.81 მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.




მოხილ-ზასია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მოხილ-ზასიაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვით ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი შემდეგ მესიჯი გამოგზავნით ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ. მისიზის ღირებულება 50 თეთრი

ქაღაბი



1. გავიცნობ ნორმალურ მამაკაცს.
2. მინდა გავიცნო წესიერი, ალაღმარ-თალი, სუფთა ნარსულის მქონე, უცოლო ბიჭი, 28 წლამდე, ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ იმერეთიდან, 21 წლის. მარი. დანარჩენი — პირადად.
3. გავიცნობ კაცს, ფარული შეხვედრებისთვის. მაია.
4. ვარ 42 წლის, მაქვს სამსახური, მსურს შევექნა ოჯახი. გამოქვეყნდეს 48 წლამდე ასაკის მამაკაცი, თბილისელი, შეიძლება ახლო რაიონებიდანაც.
5. ვარ 24 წლის, ქმარს გაშორებული, სიმპათიური მანდილოსანი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 35 წლამდე, მატერიალურად უზრუნველყოფილ მამაკაცს. ელენე.



მამაკაცები

6. ვარ 30/167/62, ნორმალური ბიჭი, იმერეთიდან. ოჯახის შექმნის მიზნით მინდა გავიცნო პატიოსანი გოგო, 27-30 წლამდე. სასურველია, ქალაქელი. დანარჩენი — პირადად.
7. გავიცნობ გოგოს, ლამაზი გარეგნობის, თბილისელი, სამეგობროდ. სასურველია, განათხოვარი, 20-22 წლამდე. ვარ თბილისელი, 20 წლის, სიმპათიური, ტანადი, დასაქმებული.
8. ვარ 28 წლის, სიმპათიური მამაკაცი, ბნითი უზრუნველყოფილი, სპორტსმენი, და-

საქმებული. ტელეფონზე გამოქვეყნდეს „გზა“ №40-ის მე-4 მესიჯის ავტორი. იკა.

9. ვარ 44 წლის, 182/95, ვმუშაობ ერთ პატარა ქალაქში, სპეციალობით — სამთო ინჟინერი. ხანგრძლივი, სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ 38-50 წლამდე ასაკის, სუსტი აღნაგობის მანდილოსანს.

10. გთხოვთ, მომცეთ „გზის“ 38-ე ნომერში გამოქვეყნებული, მე-4 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი ან მას მიეცით ჩემი ნომერი, ძალიან გთხოვთ.

11. მომეცით „გზა“ №39, 1-ელი მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

12. ვარ თბილისელი, დიდ და ლამაზ სიყვარულს მონატრებული მამაკაცი. ვეძებ ქალბატონს, 30-დან 50 წლამდე, ვისაც ასევე დიდი და ლამაზი სიყვარული შეუძლია.

13. გავიცნობ 25-35 წლის ქალს, სამეგობროდ, რომელსაც ექნება ბინა. დანარჩენი — პირადად.

14. გავიცნობ 40 წლამდე მანდილოსანს, სერიოზული ურთიერთობისთვის.

15. ვარ 36 წლის და მინდა შევექნა ოჯახი. შექმნიანის 40 წლამდე ქალბატონი, სულით ძლიერი. დანარჩენი — პირადად.

16. გავიცნობ მანდილოსანს, 35 წლამდე, გელით გამაღივებელი ხელით.

17. გავიცნობ კულტურულ, ზრდილობიან, შეგნებულ და გამგებიან მანდილოსანს, თბილისელს ან ახლო რაიონში მცხოვრებს. ვარ 27 წლის, თბილი, ალერსიანი, ყურადღებიანი.



ვეკვებ

18. ვეხმარები 28 ნომერს. მე ვარ ირმა ჯანგულაშვილი. შეატყობინეთ ეკა-ჟორას.

19. სენაკელი ზვიად, მე დიდი ხანია, გეძებ, რადგან ჩვენ ბოროტმა ენებმა დაგვაშორეს ერთმანეთს. თუ გესმის ჩემი სხვა, გთხოვ, დამეკონტაქტე.



სსპადასსპა

• პატარავ, დედას სისხარული, როგორ ხარ? ისე მენტარები, ლამის გული გასკდეს და ნაფლეთებად იქცეს. დე, ჩემი ტყვილი ხარ... ჩემი ყველაზე დიდი ოცნება ისაა, რომ ჩემ გვერდით იყო. ჩვენ არა გვიშავს... ახალი წელი რაც უფრო ახლოვდება, მით მეტად მსულს... არ მინდა უშენოდ ახალი წელი, არც ძველი და საერთოდ, სიცოცხლეც არ მინდა... ჩემი პატარა ჩემ გვერდით მინდა იყო. ახალი არაფერია, ძველებურად მიუყვებით ცხოვრებას. გვენატრები

ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მოხილ-ზასიისთვის“ გამოსავალი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრიბილი, არ გამოქვეყნდება!

ა — a	მ — m	ლ — gh
ბ — b	ნ — n	ყ — y
გ — g	ო — o	შ — sh
დ — d	პ — p	ჩ — ch
ე — e	ჟ — zh	ც — c
ვ — v	რ — r	ძ — dz
ზ — z	ს — s	წ — w
თ — t	ტ — t	ჭ — wh
ი — i	უ — u	ხ — x
კ — k	ფ — f	ჯ — j
ლ — l	ქ — q	ჰ — h



ყველას. საბას ლურჯი, ველვეტის პიჯაკი ვუყიდე ნაცრისფერი კაპიუშონით და ნაცრისფერი ჯინსის შარვალში... ისეთი საყვარელია, გაგიუდები, რომ ნახო. პატარა კაცივით დადის. ამ ბოლო დროს უფრო ხშირად გახსენებს... უფრო და უფრო გემსგავსება... რომ ვუყურებ, გული ყელში მეზღინება ხოლმე... ნეტავ ახლა მაგხელა იყო... ხელს ჩაგვიდებდი და არსადაც არ გაგიშვებდი... ამ კვირას ზოოპარკში მიინდა წავიყვანო. ნამდვილი გენიოსია, ისე აზროვნებს და ლაპარაკობს... გენცავლოს ჩემი სიცოცხლე, დე... არაფერია ჩემი ცხოვრება შენი და შენი ძმის გარეშე... ის მაინც იყოს ახლოს... ასე, საბას ამარად ვარ დარჩენილი და მასზე ვიკლავ თქვენს მონატრებას. ბადერისკენ ახალი არაფერია. კარგად ვარო, ამბობს. ამ კვირაში ვნახავთ. იმ საქმეზე ისევე და ისევე 100%-იანი დაპირებაა და მაიმედებენ, რამდენიმე დღე გვაცადებო. დაცდილი აქვთ და ვნახოთ აგერ... გეხუტები, გვარავდეს უფალი. გიკოცნი მწვანე და ციმიანი თვალეებს. დედა.

•3.198გი, ნეტავ იცოდე, როგორ მენატრები, როგორ განვიციდი შენს მანდ ყოფნას და როგორ ვნერვიულობ შენ გამო. ალექსომ დარეკა, კი გადავიცი, გიამ შემოთვალა, ნუ წუხდებო, მაგრამ მაინც შეგვძვი ვილაცას და ყველაფერი სუთიანზეა, მაგრამ სად, რა ან როგორ, არ ვიცი. ასეთ სუთიანზე კიდევ, ჩემს მტერს ექნა საქმე. მაინც ცდილობს და ყოველ ზარზემადლობას ვუთხნები. ეჰ, გი, რა ვქნა, აღარ ვიცი, მაქვს პერიოდები, როცა მგონია, რომ ძალიან, ძალიან ძლიერი ვარ და ყველაფერს გადავიტან, მაგრამ ახლა, ამწუთას ჩემზე უსუსური არავინ მგონია, ვზივარ და დავტირი ჩვენს მწარე ბედს... როგორ მინდა, ახლა აქ იყო, როგორ მინდა, ერთად ვიმსჯელოთ და ვიფიქროთ... მომენატრე ბუუს, ამ სიტყვის სრული, ყოვლისმომცველი მნიშვნელობით. მომენატრე და უშენობა ისევე აუტანელია და შეუძლებელია, როგორც ცხოვრება უნგბადის გარეშე. მიყვარხარ, გი, უზომოდ. თვე.

•3.198გი, ჩემო სიხარულო, ჩემო მონატრებავ, როგორ ხარ, ნეტავ? ან ამ დროს გინახავს თუ გლვიდავს? მე არ მაძინებს შენზე ფიქრები, უაზროდ მაკლიხარ და მარტოსულად მივიჩნევთავს. კვლავ ერთად გატარებულ დღეებს ვისხენებ, ვოცნებობ შენზე. ცოტა აგრილდა, მალე დაზამთრდება, ეტყობა, მაგრამ ჩემს სულში კარგა ხანია, ზამთარია და სიცივე და ყინვამ დაიდო ბინა. იმედია, ყველაფერი გამოსწორდება, ბუუს, გაიფანტება ეს შავი ღრუბელი და ჩვენთვისაც დადგება გაზაფხული. ვერასდროს წარმოვიდგენდი, თუ ჩემს განცდასა და ემოციას ასე გამოვფენდი ჟურნალის ფურცლებზე, მაგრამ ოღონდ ხმა მოგანვინო და კომპლექსები — ძირს! გასოვდეს, რომ ძალიან მიყვარხარ და ამ პერიოდმა ეს მეტად მაგრძობინა; გახსოვდეს, რომ მუდამ შენზე ვფიქრობ და შენ ხარ ის ადამიანი, ვისაც ჩემ გვერდით ვხედავ მომავალში. თავს გაუფრთხილდი. ძალიან მაკლიხარ, მჭირდები. გკოცნი. თვე.

•3.198მუუს, მოგვიანებით გამომდის, მაგრამ მაინც გილოცავ მცხეთობას. უფალი გვფარავდეს, ჩემო სიყვარულო. დღეს აქ მოწამეთობაა და დავითისა და კონსტანტინეს მაღლი შეგწიოს.

•ჯოჯო, როგორ ხარ? ჩვენ არა გვიშავს. როგორ მინდა, ეს დღეები მალე გავიდეს და კიდევ გნახო. როგორ ელოდება ბელა წერილს შენგან... გამოგზავნე, გეხუტები. უფალი გვარავდეს.

•3.198გი, ნეტავ იცოდე, როგორ მენატრები. უკვე მეთერთმეტე თვეა, რაც ამოდენა სევდითა და ტკივილით დავდივარ და ვწვლობ. საშინელებაა და მტერსაც არ ვუსურვებ ამ ყოფას. თვე.

•3.198 ჩვენ არა გვიშავს, გი, ვართ ნელ-ნელა. ნია ემზადება, საბა სწავლობს, მე ვმუშაობ და კიდევ კარგი, რომ ისე დაღლილი მივდივარ შინ, რომ ლაპარაკისა და ბევრი ფიქრის თავი აღარ მაქვს. მერე კიდევ — ოჯახის საქმეები და ამ წვლებამში მიდის დღეები ჩვენი. ქერინი ახლა სვანეთშია წასული, კვირას ჩამოვა. მიდის ცხოვრება, როგორც შენ იტყობი, გაზზე, მაგრამ მაინც მიდის. ბუუს, გვაკლიხარ, ყველას გვაკლიხარ. საბა სულ გკითხულობს და გისხენებს. მე კი მოგიწონებთ და თვიდან თვემდე შეხვედრის იმედით ვცოცხლობ. თვე.

•ც212, ჩემო სიხარულო, ახლა მუსიკას ვუსმენ და გავყურებ რაჭის სილამაზეს. ისეთი ლამაზია... როგორ მინდა, ჩემთან იყო და ამ სილამაზეს ერთად ვუყურებდეთ... მიყვარხარ. მარი.

•ც212, სოს, ჩემო სიხარულო, გილოცავ მოწამეთობას. ღმერთი გვარავდეს, ახლა რაჭაში მივდივარ. გული მტკივა, შენ გარეშე რომ მივდივარ, ჩემო ტკბილო. მიყვარხარ. მარი.

•მოგელი ბიძია, როგორ ხარ? ძალიან გვენატრები, მაგრამ ჩვენგან შორს ხარ. რას ვიზამთ?! ღმერთის ნებით ცხოვრებაში ყველაფერი ხდება, ძალიან გვაკლიხართ, გვიყვარხართ.

•ლორი, რავა ხარ, ძმა? იმედია, კარგად. ეცადე, არ ინერვიულო, ძმაო და გაუძელი. ყველას გვახსოვხარ — ბიჭებს და ყველა მოკითხვას გითვლის. მაგრად გვაკლიხარ და გვენატრები. მაგრად ტყბავს, ძმაო, რომ ამ ახალ წელს ტრადიცია დაირღვევა და იქ ვერ წავალთ, სადაც დავდივართ ხოლმე. ცოლი ჯერ არ მომყავს, მეჯვარეს ველოდები, იცოდე. მე მუშაობა დავინყე, სადაც ვაპირებდი — იქ. ავთომ რალაც ბიზნესი დაინყო. დანარჩენი ისევე ისეა, როგორც იყო, თავს გაუფრთხილდი. შემდეგ კვირასაც მოგწერ. ჭიჭო.

•გიო, ძალიან გვიყვარხარ და გვენატრები ყველას. ყოველდღე სიზმარში გხედავ. ღმერთსაც ენატრები, ხშირად გახსენებს და კანფეტებს გინახავს, — რომ მოვა, მიცემო. იზა.

•ჩემო ირაკლი, მიყვარხარ, მენატრები, ბედნიერი ვარ, რადგან იმედი გამიმართლე და დარჩი ისეთი, როგორსაც ველოდი. შენი მანანა მასწავლებელი.

•ც212, სოს, ჩემო სიხარულო, ახლა მამას სასაფლაოზე ვართ მი და ბაბი, ჩემო

სიხარულო, არ იდარდო, ყველაფერი კარგად იქნება. მიყვარხარ ძალიან, ძალიან... ღმერთი გვარავდეს, მარი.

•ც212 სოს, ჩემო სიხარულო, ცუდად ვარ ახლა... გეხუტე... როგორ მინდა შენთან ყოფნა, რა ცუდია უშენობა, ნეტავ იცოდე. ნეტავ მალე გავიდეს ეს დღეები. მიყვარხარ, გკოცნი.

•სიყვარულო, როგორ ხარ? სულ დამივიწყე... რამდენი ხანია, აღარ მირეკავ... ძალიან მომენატრე, ძალიან ცუდად ვარ...

•მარი, ეს სმს დამიბეჭდე, გთხოვ. მინდა ახალი და ძველი მგზავნელები გავიცნო, ვისაც არ ვიცნობ. მარ, თუ ვინმემ გთხოვა ჩემი ნომერი, გააგებინე, კაი? ჩაგეხუტე.

•ჰო, გმირები კიდევ არსებობენ? მარ-კიტო.

•გმირული საქციელი მარტო ის არაა, ვინმეს თუ რაიმეთი დაეხმარე, მაგრამ ზოგს ასე ჰგონია და თავი მოაქვს. მარკიტო.

•გეხუტებით, „გზის“ 41-ე ნომერში გამოქვეყნებული ავუს ნომერი მომეცით, „გზავნილებში“ რომ მოგწერათ. ძალიან გთხოვ.

•მგზავნელებს გაუმარჯოს. ნაომ, როგორ გავხდე პოპულარული? საყვარელი ხარ. თათი.

•ნუ, მოკლედ, კუნკულ, მაგარი არეულ-დარეული ხარ. :) ისე, ბავშვობიდან კი მინდოდა ჟურნალისტობა, მაგრამ ფაქტია, მარი ჯაფარიძე არ ვარ, არც შენს მტობობას ვაპირებ და არც იმის მტკიცებას, რომ ბუცა და მარი ჯაფარიძე ერთი და იგივე პიროვნება არაა. ასე რომ, იყავი 2 ადამიანზე ერთად შეყვარებული, მე მეტს აღარ გიპასუხებ, აბა ჰქ: :) ბუცა.

•ჰოდა, თან კიდევ ერთი, კუნკულ, ისეთი არაჩვეულებრივი საქმრო მყავს, სულ რომ ბრედ პიტი იყო და ივანიშვილის ქონება გქონდეს, მაინც ბუცა ვიქნები და არასოდეს ვიფიქრებ მაგ უაზრო შემოთავაზებაზე. ასე რომ, ახლის ძებნა დაინყე, კუნკულ, იქნებ იპოვო კიდევ ვინმე ისეთი, რა... ბუცა.

•ძალიან გთხოვთ დამეხმარეთ, თუნდაც თითო ლარით, ქირით ვცხოვრობ ოჯახთან ერთად. ლოგინის ფულიც კი არ მაქვს. ზამთარში კი არც კი ვიცი, რა გვეშველება. დამირეკეთ ან ბანკის ანგარიშზე დამეხმარეთ, მე თქვენი იმედი მაქვს, გთხოვთ, დამეხმარეთ, ვიცი, ბევრი კეთილი ადამიანი კითხულობს „გზას“. ღმერთი დაგლოცავთ და გაგახარებთ. წინასწარ დიდი მადლობა. ძალიან გთხოვთ, იმედს ნუ გამიცრუებთ. სოფიკო.

•კარგი იქნებოდა, ამ ჟურნალში მგზავნილების სურათები რომ იბეჭდებოდეს! HAPPY BOY.

•ერთ ბიჭზე უზომოდ შეყვარებული, 15 წლის გოგო ვარ. ის ჩემს სოფელში, ქუჩაში დავინახე. მისი დანახვისას რალაც საოცარი რამ ვიგრძენი და ის დღიდან მოსვენება დავკარგე. უკვე ორი წელია, მასზე ვარ შეყვარებული ცალმხრივად. ძალიან მტკივა გული ამის გამო. სულ მასზე ვფიქრობ. მისგან შორს ვარ და მას მხოლოდ ზაფხულობით ვხედავ ხოლმე, მაგრამ დრომ და მანძილმა ის მაინც ვერ დამავიწყა. იმის



იმედი, რომ შემეყვარება, უკვე აღარ მაქვს. ჩემზე სამი წლით უფროსია. აღარ ვიცი, რა გავაკეთო, როგორ დავივიწყო. მინდა, მზიარულ ცხოვრებას დავუბრუნდე, სადაც არ იყო არც ცრემლები და არც სევდა, მაგრამ არ შემიძლია.

• აუ, აგუ, ძალიან, ძალიან მინდა შენი გაცნობა, საინტერესო ადამიანი ჩანხარ. :-) შემეხმინე, გთხოვ. NATKADOLL ნათუკა.

• ნუ ფიქრობ, ისევ მასობხარ/ ნუ ფიქრობ, ისევ მსურხარ/ მე ახლა კი არ მიყვარხარ/ მთელი არსებით მძულხარ.../ ის მეფიქრება, ამ ზამთარს/ როგორ გავუძლო მარტომ/ შენ ფიქრობ, ისევ მიყვარხარ/ თუმცა ვერ ვხვდები, რატომ.../ თუ ფიქრობ, ძლიერ შემეცდარხარ/ რომ მოგინატრებ, ხვალაც/ მუხამ გინატრა, თორემ/ ჩემთვის მკვდარი ხარ ახლაც... ლუნა.

• მამატიე ყველაფერი, ყველაფრისთვის. მენატრები, გიოო. ფიფქია.

• მარი, როგორ ხარ? საუკუნეა, არ მომიწერია. მომენატრეყვე! ფიფქია.

• დეიდამშვილი დამეღუბა. თავი მოიკლა. მონერის ხალისი აღარ მაქვს, მაგრამ არ გეგონოთ, დამავიწყდით. გულში მყავხართ და მიყვარხართ. ფიფქია.

• პუპ, როგორ ხარ? ძალიან მომენატრე, სომ მშვიდობაა? რატომ მიმატოვე? შეგძლებია ჩემი დავიწყება. მე ისევ ისე ვარ, როგორც დამტოვე — თავისუფალი. არც შენ და არც ის. ასე ჯობია.

• რა ვქნისა ციხე ავაგე, ჯავრი შევაბი კარადა, საიქიოდან მოიდენ ამ ციხის სანახავადა. ბევრი ყარეს ციხესა, კარ ვერ გატეხეს ძალადა, მემრე თქვეს: დრო რომ მოალოს, ევლის ადგილზე ამოსვლა, ევლისა არის ნესია, მოხუცი მომკის იმასვე, რაც სიყრმით დაუთესია!!! გაიკა.

• დღეს უშუბრობს ოცნებებში მინევეს გაფრენა, ახლა ფიქრებმა უშიზეზოდ იწყეს ჩაფრფვლა, სიკვდილის ჩრდილი აედუნა სიციცხლეს ლანდადა, იქნებ კონტურებს მიღმა ვცაღო...

• ლამა, უფალი გადაგხდის იმ სიკეთისთვის, რაც შენ გამკეთე აუცილებლად. უფალი არასოდეს მიატოვებს სუფთა სულს. გაი.

• გეხვენებით, „გზის“ 41-ე ნომერში გამოქვეყნებული მესიჯის ავტორის, აგუს ნომერი მომეცით, „გზავნილებში“ „მანიაკის“ სათაურით რომ მოგწერათ. ძალიან გთხოვთ.

• ლმერთმა გაგაჩინა ლამაზ არსებად და მერე სახელად გინოდა ქალი, დღეს შენი დღეა, იბედნიერე და არ დაკარგო არც ერთი წამი.

• ბუცა, გამომეყვი ცოლად. მარტო გარეგნულად კი არა, სულიერადაც გაგალამაზებ. შენი ლექსიკონიდან ამოიშლება — მკიდა-დავიკიდოები. თუმცა, შეიძლება ყურზე საყურე დაეკიდო. რაც უნდა ახაგონ ერთმანეთი კაცებმა და ქალებმა, ქალის გარეშე კაცი უბრალოდ არ ვარგა. აი, ქალი კი კაცის გარეშე არარაობაა. კუნკულა.

• ჩემი უსაყვარლესი ნათის (ლაკვასტი) და გიოს სტუმრობამ ისე მაგრად გამახარა! შემოგველეთ, ძალიან კარგები ხართ,

ძალიან მიყვარხართ და გაფასებთ. გაიხარეთ! ფლამინგო.

• ჩვენი სიყვარული წმინდაა და ვაი მას, ვინც მის აძღვრევას შეეცდება. მე უშენოდ ვერ ვიცოცხლებ. ალი.

• სანთლების შუქი... მხოლოდ მე და შენ, ნრფელი სიყვარული და წამი, რომელიც მინდა, უსასრულოდ გაგრძელდეს. უგონოდ მიყვარხარ. ალი.

• მარი, ნუ მზავრავ, მესიჯები დამიბეჭდე, თორემ მეგრული გამეცეცევა. ალი.

• გერასიმე, უღრმესი მადლობა, ასეთი სიტბოსა და სიყვარულისთვის. ძალიან მინდა თქვენი გაცნობა და იმედია, შეეძლებ უახლოეს მომავალში. პარიზიანა.

• ჩემი ბრალია, მშობელი მამავ, შენ რომ მინის ქვეშა ნეფხარ, მე დაგღუპე მამაჩემო, მე გაგიჩინე წყლულია. მე რომ ციხეში ჩავვარდი, გულში გაგიჩინა დარდები, ვიცი რომ ბოლმა გახრწობდა, გაგიჩინა სატყვივარი. მის შემდეგ მამი, რაც ოქტომბერში, სვიდანიზე იყავი ჩემთან, მას შემდეგ მოკვდა ეს ჩემი გული და სამუდამოდ მკვდარი იქნება. რომ დამითავრდა მე სვიდანია და ლაგერიდან გამოდიოდი, სიტყვით მითხარი, კარგად იყავი, ხელს აღარ მართმე, მშობელი მამავ. მე მანც ისე არ გამოგიშვი და გამოგყვი ვახტის კარამდის, ხელი მოგხვიე, მშობელი მამავ, და გადაგკოცე უკანასკნელად. მე მიტყვი, მამი, შენს გულის დარდებს, რად არ გინდოდა გამოთხოვება, რად ამარიდე მე პირი შენი, რად არ გინდოდა ჩემთვის გეკოცნა. მე ვეღარ გნახე ვერასდროს ცოცხალს და ვეღარ გეტყვი — მშობელი მამავ, და ეს ცრემლები ნაილე ჩემგან, გზას გაგინათებს სამოთხეშია. და ეს ცრემლები ნაილე ჩემგან, რეგულის ფურცელს ზედ რომ ატყვი, თვითონ მიხვდები, ჩემო მამიკო, შენი ტანჯული შეილის ცრემლია. პირველად ვიტყვი შენს შესანდობარს, ან დავივიწყებ არასდროს, მამი, და მოგიგონებ, ვიტყვი ყოველთვის, რომ კარგი მყავდა მამა მშობელი. ფიცს გაძლევ, ვფიცავ ჩემს გულის ფიცარს, რომ ჩემს გულიდან შენ არ ამოხვალ, ასეთი მამა, როგორც მე მყავდი, ყველას ჰყოლოდეს ქვეყანაზედა. თუ რომ მელირსა ოჯახში მოსვლა, მოვალ შენს საფლავს ტანჯული გულით, დაგაფრქვევ ცრემლებს და ვიტყვი კიდევ, მე მიზეზი ვარ, შენ რომ მკვდარი ხარ. თუ რომ მელირსა ოჯახში მოსვლა, პატივს გცემ, მამი, ყველანაირად და თუ მოვკვდები მზავგრელთა ხელში, მოგქებნი, გნახავ, სისარულითა. წვალობდი, მამი, ჩემი გულისთვის, რომ სხვაზე ნაკლებ არ ყოფილიყავ, დეცი, მამი, სამარადისოდ და დამამწუხრე შენი შვილია. ძალიან გთხოვთ, ჩემი სიტყვები რომ ნაუკითხოთ მამიკოს ჩემსას, გულზე დაადეთ და თან ნაილოს, ეს სიყვარული, ვედრება ჩემგან. კუნკულა.

• ჩვენი ურუნალის მკითხველნი, პლაგიატობაში არ ჩამითვალთ. იგაგები — „ბუზი და ლომი“, „ყვავი“, ივანე კრილოვისა გახლავთ და რატომღაც უაფტოროდ დაიბეჭდა. ახლაც ამავე ავტორის იგავს გთავაზობთ: ბუზი და ფუტკარი. ფუტკარი ყვა-

